საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№02 (284)

21 - 27 ნოემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

# ლიკვიდაცია

## იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე დემონსტრაციულად ააფეთქეს



«საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრებს, ყოფილ ოპოზიციას კი ვეტყოდი: უნამუსოებო! «ვაზაგაშვილი-გირგვლიანი-რობაქიძის» ძახილით რომ მოეთრიეთ ხელისუფლებაში, არათუ დახოცილები, ცოცხალი კაცი ვერ დაიცავით. იცოდეთ, არ შეგარჩენთ იური ვაზაგაშვილს!» 2







«თუ ხელისუფლებამ დროულად ვერ მოახერხა ამ კრიმინალური ორგანიზაციების იზოლაცია, კიდევ ბევრი მკვლელობის მომსწრენი გავხდებით»

«სააკაშვილი სასწრაფოდ არის დასაპატიმრებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლელობები არ შეწყდება!»

## კარლი, ფრიდრიხი, ადოლფი და მიშა...



6

*„მე დავიმორჩილებ ჩამორჩენილ რუსეთს!“ — მეფე ფრიდრიხი. 1759 წელს რუსული არმია ბერლინში შევიდა.

*„რუსეთი თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსია!“ — ნაპოლეონი, მეცხრამეტე საუკუნე. 1814 წელს რუსეთის არმიამ პარიზი აიღო.

*„მე საბჭოთა კავშირს წლის ბოლომდე დავიპყრობ!“ — ადოლფ ჰიტლერი, 1941 წელი. 1945 წელს საბჭოთა ჯარი ბერლინში შევიდა...



7

გია მეფარიშვილი:

## საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს!

«მხედრიონი» საქართველოს 8 მთავრობამ დააფინანსა»

3 ნუვორიშების «თარეში» საქართველოში

4 ასინეთას თავგადასავალი უკრაინაში

10 «მარგველაშვილმა ბევრჯერ შელახა ქვეყნის რეპუტაცია»

11 «სომხეთმა ექსპანსიის ახალი ტალღა დაიწყო — საქართველო 450 ქართულ ტაძარს კარგავს!»

12 «არც «შარლი» ვარ და არც — ტერორისტი!»

ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

დაძალებული 14 სექსი

16 გერმანულის გაკვეთილები უკრაინისთვის

ზღვარგადასული 22 «გამოხატვის თავისუფლება»

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ირინა ენუქიძეცა და იური ვაზაგაშვილიც სიმართლისთვის ბრძოლას შეეწირნენ. ეს მხოლოდ ვაზაგაშვილების ოჯახის ტრაგედია არ არის, ეს სრულიად საქართველოს ტრაგედიაა. იური მარტო თავისი შვილის მკვლელობის გამოძიებას არ ითხოვდა. ის ყველა იმ ადამიანისთვის იბრძოდა, რომლებიც „ნაციონალებმა“ დახოცეს“.**

# ლიკვიდაცია

## იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე დემონსტრაციულად ააფეთქეს

**2006 წლის 2 მაისს სააკაშვილის რეჟიმის სამართალდამცველთა მიერ კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული ზურა ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი, 20 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში შვილის საფლავზე ყვავილების მიტანის მომენტში ნაღმის აფეთქების შედეგად დაიღუპა. იური ვაზაგაშვილი სოფელში მეზობლის დაკრძალვაზე იყო ჩასული. ყარაფილელები ამბობენ, რომ იური ვაზაგაშვილს სოფლის რომელიმე მკვიდრის გარდაცვალებისას, წესად ჰქონდა დაკრძალვამდე რამდენიმე წუთით ადრე შვილის საფლავზე გასვლა და განმარტოება. სოფლის მცხოვრებლები ვარაუდობენ, რომ მისი ამ ჩვეულების შესახებ წინასწარ იცოდნენ და ზურა ვაზაგაშვილის საფლავი ამიტომ დანაღმეს.
ამ ვერსიას ადასტურებს ვაზაგაშვილების ერთ-ერთი ადვოკატიც.**




**ადგილობრივები ამბობენ, რომ აფეთქება ლარნაკში ყვავილების ჩადებისთანავე მოხდა და, იური ვაზაგაშვილი მარტო რომ არ ყოფილიყო, მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა. იური ვაზაგაშვილის და — მანანა ვაზაგაშვილი თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს და სავარაუდო მკვლელების გვარებსაც ასახელებს. „სოფელ ყარაფილაში დღეს დაკრძალვა იყო, იური დაკრძალვაზე ჩასვლას გეგმავდა და ამის შესახებ, როგორც ჩანს, ინფორმაცია ჰქონდათ იმ პირებს, რომლებმაც მკვლელობა დაგეგმეს. ჩემს ძმას შვილის — ზურას მკვლელები ჩაუსაფრდნენ და მომიკლეს. ესენი არიან: დალაქიშვილი, ფირცხალავა და ძმანი მისნი“, – განაცხადა მანანა ვაზაგაშვილმა.**

**იური ვაზაგაშვილის მეუღლე ციალა ვაზაგაშვილიც ირაკლი ფირცხალავას ადანაშაულებს.**

**„ბოლო იმედი მომიკლა ფირცხალავამ. ყველამ გაიგოს —ეს ფირცხალავას ჩადენილია. ამ ადამიანმა ოჯახი მომიკლა“, — ამბობს ციალა ვაზაგაშვილი.**

**გავრცელებული ინფორმაციით, იური ვაზაგაშვილი 20 იანვარს, კასპიდან ჩამოსვილის შემდეგ, საღამოს რვა საათზე, მეორე არხის პროექტ „გამომძიებელი რეპორტიორის“ ჟურნლისტებს უნდა შეხვედროდა და პირველი ინტერვიუ ჩაეწერათ მოწმესთან (ეს მოწმე ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს), რომელმაც იური ვაზაგაშვილს განუცხადა, რომ 2006 წელს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ ჩვენება ძალდატანებით მიაცემინეს და ახლა ადრინდელი ჩვენების შეცვლაზე თანახმა იყო. მაგრამ იური ვაზაგაშვილს მოწმის ალაპარაკება არ დასცალდა.**

**აი, ასე დემონსტრაციულად ააფეთქეს სამართლიანობისთვის მებრძოლი შვილმოკლული მამა, სხვებმაც რომ აღარ გაბედონ მკვლელების დასჯის მოთხოვნა...**

**მომხდარზე პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის 109-ე მუხლით დაიწყო, რომელიც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში...**

2012 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თანამდებობები დაიკავეს, ალბათ, ბევრს ახსოვს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადება ზურაბ ვაზაგაშვილის მემორიალური დაფის გახსნის დღეს: **„დღეს აქ შევიკრიბეთ ვაზაგაშვილის დაფასთან, რომელიც 1 ოქტომბრის შემდეგ დიდი მოვლენის შედეგად იქცა მემორიალად. ეს მემორიალი არის იმ იუსტიციის სახლის ინიციატივა, რომელიც აქ დგას. ბატონ იურის სურვილი იყო, ეს მემორიალი ყოფილიყო მიძღვნილი ყველა იმ ადამიანის ხსოვნისადმი, რომელიც 2004-2012 წლებში შეეწირა წინა ხელისუფლების უკანონო ქმედებებს. მეამაყება, რომ იუსტიციის სამინისტრომ ბატონი იურის იმედს ფრთა შეასხა და დადგა ეს ლამაზი მემორიალი“.**

**მემორიალურ დაფას ასეთი წარწერა აქვს: „ეს აღარასოდეს მოხდება, გადავარჩინოთ სიცოცხლე“.**

თეა წულუკიანის ამ განცხადებიდან ძალიან მალე საქართველო სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაუნდობლად მოკლული ახალგაზრდების კიდევ ერთი მშობლის (ირინა ენუქიძის შემდეგ) სიკვდილმა, უფრო ზუსტად, მკვლელობამ შეძრა.

საინტერესო იქნებოდა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის პასუხი შეკითხვაზე: **„რა იმედის ფრთა შეასხა“ იუსტიციის სამინისტრომ იური ვაზაგაშვილს?**

2015 წლის 15 იანვარს საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორის“ პრესკლუბში იური ვაზაგაშვილმა უკანასკნელი პრესკონფერეცია ამ სიტყვებით დაიწყო: **„ზურა განზრახ მომიკლეს. ხელისუფლებას მივმართავ, კერძოდ, პრემიერს: — ჭიკაიძე მფარველობს მკვლელებს! ყველა მკვლელი თანამდებობაზეა: მირზოევი, ჭანუყვაძე, ფირცხალავა, სამარღანიშვილი. ეს ადამიანები თვითონ ღარიბაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროსაც მუშაობდნენ, ისინი ჭიკაიძის დროს არ მოსულან. ვერ წარმომიდგენია, თუ მათ ვიღაც არ მფარველობს, რომ ამ ადამიანებს ვინმეს სიცოცხლე და დაცვა ანდო. ...ყველა დაზარალებული ერთად მივადგეთ ამ ხელისუფლებას და პასუხი მოვთხოვოთ. ყველა დაზარალებულმა ვიცით, ვინ ვისი მფარველია და ვისი ფულით იკვებება“.**

ეს პრესკონფერენცია იური ვაზაგაშვილმა მას შემდეგ გამართა, რაც დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნოკოლეიშვილმა მკვლელობის საქმის ახალი, სკანდალური დეტალები გაასაჯაროა და დასკვნა პროკურატურას გადასცა. საზოგადოება შედეგის მოლოდინში იყო...

**იური ვაზაგაშვილის მკვლელობიდან რამდენიმე წუთში ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატს — ირმა ჭკადუას, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძესა და გენერალ ტრისტან წითელაშვილს დავუკავშირდით და მომხდარი ტრაგედიის კომენტირება ვთხოვეთ:**

### ირმა ჭკადუა:
### იური თავს არ მოიკლავდა

— სიმართლე გითხრათ, საუბარი ძალიან მიჭირს, ცუდად ვარ... ეს მხოლოდ ვაზაგაშვილების ტრაგედია არ არის, ეს სრულიად საქართველოს ტრაგედიაა... **იური ვაზაგაშვილი იყო მამა, რომელმაც შვილის გამო თავი გაწირა.**

**წინა ხელისუფლების პერიოდში ბატონი იურის სიცოცხლეს საფრთხე სულ ემუქრებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ნათელი წერტილები გამოჩნდა მისი შვილის მკვლელობის საქმეში, ალბათ, ვიღაც ისეთის გვარი ამოტივტივდა, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეს.**

**— ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო ეს?**

— იცით, ბატონი იური არასოდეს არაფერს მალავდა. თქვენ, ჟურნალისტებმაც, ყველაფერი იცით, მას ძალიან ბევრისთვის საშიში ინფორმაცია ჰქონდა. ძილშიც კი შვილის საქმეზე ფიქრობდა, მაგრამ ახლა ძალიან გამიჭირდება იმის თქმა, ბოლოს ვისზე რა ინფორმაციას ფლობდა.

**იური თავს არ მოიკლავდა, რადგან მისი შვილის საქმე და მისი ბრძოლა ისეთ ფაზაში იყო შესული, თავის მოკვლა არაფრით შეიძლებოდა. ბატონი იური თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიკლავდა, თუ შვილის მკვლელებს იმძვეყნად გაიყოლებდა. ზურას მკვლელებს, რომელთა ჯავრიც საფლავში ჩაიყოლა, ცოცხლებს არაფრით დატოვებდა.**

**— ის ადამიანები სხვებისთვისაც საშიში არიან? ვაზაგაშვილების მსგავსად ხომ ბევრი ოჯახია გამწარებული...**

— რასაკვირველია, საშიში არიან, ისინი პირველი დღიდან საშიში იყვნენ, მას შემდეგ, რაც მკვლელობების სერიები მოაწყვეს. საქმე ის არის, რომ **თითქმის ყველა გახმაურებულ საქმეზე ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, მაგრამ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე არავინ დასჯილა, ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ გარეულნი.**

იური ვაზაგაშვილი, როგორც წინა ხელისუფლების, ისე ახალი ხელისუფლების მსხვერპლია, ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ ამ ოჯახის ტრაგედიის მიზეზის გასარკვევად დრო ვერ გამონახა.

### სანდრო ბრეგაძე:
### ვაზაგაშვილების ოჯახის ტრაგედია „ნაციონალების“ ბრალია

— იური ვაზაგაშვილი ჩემი ძალიან ახლო მეგობარი და თანამებრძოლი იყო. ის შეუპოვარი და უსამართლობასთან შეურიგებელი ადამიანი გახლდათ. **ირინა ენუქიძეცა და იური ვაზაგაშვილიც სიმართლისთვის ბრძოლას შეეწირნენ. ეს მხოლოდ ვაზაგაშვილების ოჯახის ტრაგედია არ არის, ეს სრულიად საქართველოს ტრაგედიაა. იური მარტო თავისი შვილის მკვლელობის გამოძიებას არ ითხოვდა. ის ყველა იმ ადამიანისთვის იბრძოდა, რომლებიც „ნაციონალებმა“ დახოცეს.**

იმედს ვიტოვებ, რომ მკვლელობას გამოიძიებენ.

**— რატომ გგონიათ, რომ ამ საქმეს გამოიძიებენ? მისი შვილის საქმე ხომ, ამდენი ხანია, გაუხსნელია? ბოლო პრესკონფერენციაზე იური ვაზაგაშვილმა შს მინისტრი ჭიკაიძე დამნაშავეების მფარველობაში დაადანაშაულა.**

— წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. გამოძიებას დაველოდოთ. იური ვაზაგაშვილის მკვლელობაზე გამოძიებამ იმსჯელოს. რაც შეეხება ვაზაგაშვილების ოჯახის ტრაგედიას, ეს „ნაციონალების“ ბრალია და მათ სახელს ეწერება; ეს სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულია.

### ტრისტან წითელაშვილი:
### იური ვაზაგაშვილი სააკაშვილის დაკვეთით არის მოკლული

— იური ვაზაგაშვილი რომ მიხეილ სააკაშვილის დაკვეთით არის მოკლული, ორი აზრი არ არსებობს და არც არავის შეაქვს ეჭვი. სწორედ სააკაშვილმა ჩაიდინა თავის დროზე ის საზარელი დანაშაულიც, რომელსაც იურის ვაჟი ზურაბი შეეწირა.

იურიმ შვილის მკვლელობის საქმე, ფაქტობრივად, გახსნა — რამდენიმე დღეში სიმართლე გაირკვეოდა.

**— ბატონო ტრისტან, ნაღმის დადება ყველას შეუძლია?**

— რას ამბობთ, ეს პროფესიონალის ხელით არის გაკეთებული, ნაღმის დადება ყველას როდი შეუძლია! ასეთ მკვლელობებსა და ოპერაციებს სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში სპეციალური ჯგუფები ახორციელებდნენ. **თუ ხელისუფლებამ დროულად ვერ მოახერხა** ▶

**ახალ ქართველ ნუვორიშებს ჰგონიათ, რომ ნებისმიერი ქალაქი, დაბა, სოფელი და მთელი ქვეყანა მხოლოდ მათი გემოვნებით უნდა მოეწყოს. ისინი ამ შენობებს, დაწესებულებებს, გასართობ ცენტრებს თუ შადრევნებს ხალხს და ქვეყანას კი არა, უბრალოდ, საკუთარ თავს უშენებენ...**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ამ კრიმინალური ორგანიზაციების იზოლაცია და ლიკვიდაცია, კიდევ ბევრი მკვლელობის მომსწრენი გავხდებით. სააკაშვილი სასწრაფოდ არის დასაპატიმრებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლელობები არ შეწყდება.**

გაინტერესებთ, რა პროცესია ნაღმის დადება? — გეტყვით. ეს იგეგმება დიდი ხნით ადრე. **ნაღმის დადებისას, პირველ რიგში, სწავლობენ, ტერიტორიას — ნაღმის დადებისას მიწის რაოდენობასაც მნიშვნელობა აქვს. შემდეგ იჭერენ თადარიგს, მსხვერპლი შემთხვევით სხვა რომ არ აღმოჩნდეს. მერე ზუსტად იკვლევენ მსხვერპლის გადაადგილების გრაფიკს, რათა შეცდომა არ მოხდეს და ნაღმი დროზე ადრე არ აფეთქდეს. ასე რომ, ეს მარტივი პროცესი არ არის, ამის გაკეთება ყველას არ შეუძლია.** ჯერ ძიებას დასკვნა არ გამოუქვეყნებია, რა სიმძლავრის ასაფეთქებელი ნივთიერება იყო გამოყენებული. სამხედრო ექსპერტებს ძალიან მალე გვექნება ნაღმის ზუსტი მონაცემები. სავარაუდოდ, დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება გამოიყენეს.

დასასრულ, მინდა, საქართველოს ყველა მოქალაქეს ვუთხრა — ჩვენ საფრთხეში ვართ!

**შვილმკვდარი მამის, იური ვაზაგაშვილის, მკვლელობამ მთელი ქვეყანა შეაშფოთა. მომხდარი თავზარდამცემი აღმოჩნდა ჟენევაში მყოფი გურამ შარაძის ქალიშვილის — რუსუდან შარაძისთვისაც. მან „საქართველო და მსოფლიოს“ გამოუგზავნა ხელისუფლებისადმი მიმართვის ტექსტი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

„ეს ჩაიდინეს ზურა ვაზაგაშვილის მკვლელებმა, რომელთა უმრავლესობა დღესაც თანამდებობებზე თარეშობს, იმის მაგივრად, რომ ციხეში ლპებოდნენ. „ოცნებამ“ კი არათუ დახვრეტილი ზურა ვაზაგაშვილი, მისი ცოცხალი მამა ვერ დაიცვა. ასე რომ, პასუხისმგებლობა ორივე მხარეს აკისრია. ვინც ჩახედულია ჩვენს მოძრაობაში „გადაარჩინე სიცოცხლე“ (რომელშიც დახოცილი ადამიანების ოჯახის წევრები ვართ გაერთიანებულები), იმან ძალიან კარგად იცის, რომ იური ვაზაგაშვილი იყო ჩვენი დედაბოძი სიტყვითაც, საქმითაც და ყველაფრით! თუმცა ეს გარედანაც კარგად ჩანდა. სწორედ ამიტომ მოკლეს ძია იური. გარდა იმისა, რომ მოახდინეს პირადი ანგარიშსწორება, ამ მკვლელობით ჩვენი მოძრაობის დასუსტება (თუ არა დაშლა) უნდათ, დაშინებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრებს, ყოფილ ოპოზიციას კი ვეტყოდი: უნამუსოებო!**

**„ვაზაგაშვილი-გირგვლიანი-რობაქიძის“ ძახილით რომ მოეთრიეთ ხელისუფლებაში, არათუ დახოცილები, ცოცხალი კაცი ვერ დაიცავით. იცოდეთ, არ შეგარჩენთ იური ვაზაგაშვილს!**

მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა

# ნუვორიშების «თარეში» საქართველოში

**ბოლო პერიოდში ჩვენში ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზებს: „გადაგვიარეს რა ამ ჩინელებმა!“ ან „წალეკეს თურქებმა აქაურობა!“, ან კიდევ — „ინდოელები გვაკლდა! გადაჯეგეს საქართველო ამ უცხოტომელებმა!“ და ა. შ.**



**ეს შუშის ხიდებიო, ის შუშისავე ცათამბჯენებიო, იქით ჭაჭის არყის შადრევანიო, კიდევ სიღნაღიო, შუქურაო, პოლიციის შენობებიო... «ტრუბები» რიყეზეო... შადრევნები, შადრევნები და კიდევ ერთხელ შადრევნებიო... «ყინულის სასახლეო» და ა. შ. და ა. შ. ვერავინ იტყვის, ვის რაში სჭირდებოდა ამ «აღმშენებლობათა» 80 პროცენტი მაინც და რაში გამოიყენა ან ქვეყანამ და ან ხალხმა ისინი!**

არა, ქსენოფობობას ნუ დამაბრალებთ!

გარდა იმისა, რომ საკუთარ მიწა-წყალზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა „თარეშის“ გარკვეულ კანონიერ ჩარჩოებში მოქცევის სურვილის გამოხატვა სულაც არ არის ქსენოფობია, ამ შემთხვევაში სულ სხვა ამბავი უნდა გახაროთ.

კერძოდ, აღმოვაჩინე, რომ **საქართველოს ჩინელებმა კი არ გადაუარეს ან ინდოელებმა კი არ წალეკეს, არამედ ჩვენი ქვეყანა დღეს ნუვორიშთა სათარეშოდაა ქცეული!**

ვისაც ეს რომელიმე ველური ტომის აღმნიშვნელი სიტყვა ჰგონია, მოთმინებით წაიკითხოს ეს ტექსტი ბოლომდე და მერე განმსაჯოს — ვამბობ თუ არა მართალს.

სიმართლე ითქვას, არც არაფერი აღმომიჩენია განსაკუთრებული. უბრალოდ, ვიპოვე სიტყვა, რომლითაც შეიძლება დახასიათდეს დღევანდელი საქართველო და მისი უბადრუკი მდგომარეობა...

ისე ეგოისტურად გამიხარდა ამ სიტყვის პოვნა, რომ თქვენც, ჩემო მკითხველო, მინდა, ტექსტის დასაწყისშივე გაცნობოთ ჩემი აღმოჩენა:

ერთ-ერთ ყველასათვის კარგად ნაცნობ, ბავშვობის მერე რომ აღარ წამიკითხავს, ისეთ წიგნს ვკითხულობდი კიდევ ერთხელ (საძილე აბების ნაცვლად ვიყენებ ხოლმე ამ უებარ საშუალებას). ეს წიგნი დიდი ვერაფრის მომცემია, თუმცა, ძილი მომგვარა კი არა, პირიქით — გამომაფხიზლა ერთ-ერთ მოთხრობაში ამოკითხულმა ფრაზამ: **„დღეს ჩვენი ქვეყანა ნუვორიშების ხელშია და არაფერი უნდა გვიკვირდეს“...**

ბავშვობის შემდეგ ამ ტერმინისთვის ყური აღარ მომიკრავს და აღარც მახსოვდა...

განმარტება გვერდის სქოლიოში: **„ნუვორიში — გარემოებების წყალობით ძალიან სწრაფად გამდიდრებული ადამიანი, ძირითადად, სპეკულანტური გარიგებების გზით“...**

შემდეგ და შემდეგ, როდესაც უკვე ამ ტერმინით დაინტერესდებით, მის სხვადასხვა განმარტებაში შეგიძლიათ, გადააწყდეთ შემდეგ ფრაზებს: **„სწრაფად გამდიდრებული მეტიჩარა“, „შემთხვევით გამდიდრებული ადამიანი, რომელსაც სურს გასვლა მაღალ წრეებში“, „უცებ გამდიდრებული, რომელსაც სურს, მის გარშემო არსებული მიკროგარემო თავისი გემოვნებით შეცვალოს და საკუთარ თავზე მოირგოს“.**

ამ ფრაზების ამოკითხვის შემდეგ უკვე მიხვდებით, რატომ წუწუნებდა ჩემ მიერ ნახსენები წიგნის გმირი, — ჩვენი ქვეყანა ნუვორიშების ხელშიაო და, ალბათ, უკვე იმასაც მიხვდით, რატომ გამიხარდა ასე ეგოისტურად ამ ტერმინის „კვლავაღმოჩენა“...

„ჭკვიანი რომ არ ყოფილიყო, ამდენ მილიარდს ვერ იშოვიდა!“

„ამხელა ფულის შოვნას ეხუმრები შენ? მაგას ინტელექტი სჭირდება! ყველაზე ჭკვიანი რომ არ იყოს, ყველაზე დიდი ფული არ ექნებოდა!“ — ეს XXI საუკუნის საქართველოში ძალიან ფეხმოდგმული და ფესვგამაგრებული ფრაზებია...

ხოლო სადღაც XVIII-XIX საუკუნეების ევროპაში ასეთ „ჭკვიანებს,“ უბრალოდ, ნუვორიშებს უწოდებდნენ თურმე და წუხდნენ კიდეც, რომ მათი ქვეყანა, მათი სამშობლო ასეთი ნუვორიშების ხელში იყო ჩავარდნილი.

რა თქმა უნდა, **ნამდვილად არ მაქვს მიზნად იმის მტკიცება, რომ ნებისმიერი ფულიანი ადამიანი უჭკუოა, რადგან, ჩემი აზრით, ეს ზუსტად ისეთივე სისულელე იქნება, როგორც მავანთა მტკიცება — რადგან ფული აქვს, ესე იგი ჭკვიანიაო.**

ბევრი ფულის ქონას და ჭკუა-ინტელექტს ერთმანეთთან, უბრალოდ, საერთო არაფერი აქვს.

ჭკვიანი კაციც შეიძლება იყოს უფულოდ და უჭკუოც!

ჭკვიანი კაციც შეიძლება გამდიდრდეს და უჭკუოც!

ფულსა და ინტელექტს შორის ასეთი პირდაპირი კავშირის დანახვა ელემენტარული სიბეცეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენში ეს „სიბეცე“ ბევრს განგებ „სჭირს“ და სწორედ ამის გამო საკუთარი თავიც „ჭკვიანად“ მიაჩნია...

ახლა, რაც შეეხება ჩემი ბავშვობის წიგნში ამოკითხულ იმ მთავარ ფრაზას: „ნუვორიშები ცდილობენ, მიკროგარემო თავიანთი გემოვნებით, როგორც სურთ, ისე შეცვალონ და ყველაფერს თავისი კვალი დაატყონ...“

ამ ფრაზის კარგად გასააზრებლად დღევანდელ საქართველოში მცხოვრებ არც ერთ ადამიანს დიდი დრო არ დასჭირდება:

„სოლოლაკის ქედზე, თავისუფლების მოედანსა და ერეკლეს მოედანზე ახალი თანამედროვე კონსტრუქციის შენობები აშენდება, რომლებსაც ერთმანეთთან საბაგირო ვაგონები დააკავშირებს...“

„ურეკში იხსნება საკონცერტო დარბაზი, რომელიც 10 ათას მაყურებელს დაიტევს, კონსტრუქცია თანამედროვე დიზაინისაა და მას აქვს მოძრავი სახურავი...“

და კიდევ შენდება და შენდება და შენდება...

რა შენდება, რისთვის შენდება, ვისთვის შენდება და რა მიზნით — ეს კაციშვილს არ აინტერესებს...

თუკი გავიხსენებთ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ცხოვრების ბოლო 12 წელიწადს, კიდევ უამრავ მსგავს ფაქტს „ამოვყრით“ — **ეს შუშის ხიდებიო, ის შუშისავე ცათამბჯენებიო, იქით ჭაჭის არყის შადრევანიო, კიდევ სიღნაღიო, შუქურაო, პოლიციის შენობებიო... „ტრუბები“ რიყეზეო... შადრევნები, შადრევნები და კიდევ ერთხელ შადრევნებიო... „ყინულის სასახლეო“ და ა. შ. და ა. შ.**

ვერავინ იტყვის, ვის რაში სჭირდებოდა ამ „აღმშენებლობათა“ 80 პროცენტი მაინც და რაში გამოიყენა ან ქვეყანამ და ან ხალხმა ისინი!

არც არაფერში! უბრალოდ, ახალ ქართველ ნუვორიშებს ჰგონიათ, რომ ნებისმიერი ქალაქი, დაბა, სოფელი და მთელი ქვეყანა მხოლოდ მათი გემოვნებით უნდა მოეწყოს. ისინი ამ შენობებს, დაწესებულებებს, გასართობ ცენტრებს თუ შადრევნებს ხალხს და ქვეყანას კი არა, უბრალოდ, საკუთარ თავს უშენებენ...

XVIII საუკუნის ევროპა, უფრო ზუსტად, მისი ინტელექტუალური ნაწილი, მონდომებით უწევდა წინააღმდეგობას ნუვორიშიზმს, რადგან ითვლებოდა, რომ ისინი ქალაქის მოსახლეობის გემოვნებისთვის მიულებელი, ასე ვთქვათ, „გოიმური“ გემოვნებით აკეთებდნენ ყველაფერს.

იმჟამინდელ ევროპას ეს წინააღმდეგობა გაუვიდა, რადგან აზრადაც არავის გაუვლია, რომ „დიდი ფულის შოვნა“ რამენაირად „დიდ ინტელექტთან“ დაეკავშირებინა და ნუვორიშები ამაოდ შეეცადნენ, ელიტაში ადგილის დამკვიდრებას...

მხოლოდ ნუვორიშთა შთამომავლებმა შეძლეს, ნელ-ნელა შერეოდნენ ინტელექტუალთა და მაღალი წრის საზოგადოებას და ისიც გემოვნების დახვეწის გზით და არა პირიქით — საკუთარის თავსმოხვევით.

XXI სუკუნის საქართველოში ნუვორიშებთან რაიმე სახის წინააღმდეგობა კი არა, თითქმის ყველა ქართული მედიასაშუალება და საზოგადოების გარკვეული ნაწილიც მხოლოდ იმით არის დაკავებული, როგორმე დაგვაჯეროს, — „ვისაც შენზე მეტი ფული აქვს, ის შენზე ჭკვიანი და ინტელქტუალურიც არის!“

ამ ლოგიკით ხომ ცნობილი მელიქ კაზარიანცი ყველა ქართველ ინტელექტუალზე „ჭკვიანი“ და „ინტელექტუალი“ ყოფილა. ეგ ამბავი კიდევ იქით იყოს და, თანამედროვე **ქართველი ნუვორიშები ისე „ალამაზებენ“ და „აღაშენებენ“ თბილისსაც და სხვა ქალაქებსაც, რომ არც კი ეკითხებიან ვინმეს რამეს...**

მერე კი, ასე უკითხავად და ჩვენი აზრის სრული იგნორირებით, როგორც უყვართ ხოლმე თქმა, „განხორციელებულ პროექტებს“ ადგებიან და აქეთ გვაყვედრიან — აი, ნახეთ, ამდენი რამე ავაშენეთ, თქვენ კი უმადურები ხართ და არ გვიფასებთო!

აგერ ნათელი მაგალითიც:-

**„თბილისის საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნებიდან“ ნუგზარ მალაღურაძემ განაცხადა, რომ პროექტ „პანორამა თბილისის“ განხორციელება აუცილებელია, ხოლო ოპონენტები მას მხოლოდ იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ შურთ ხელისუფლების წარმატებისა“** (საინფორმაციო სააგენტოების ცნობა).

ესეც თანამედროვე ნუვორიშთა მუდმივი ატრიბუტი — საკენკის მომლოდინე მეხოტბეები, რომლებსაც ნებისმიერი კრიტიკის საპასუხოდ მზად აქვთ ქვისგამხეთქი „არგუმენტები“ — „შურიანებო! დაბოღმილებო! წარუმატებლებო!“.

ეს ტერმინებიც ხომ, უკვე 12 წელიწადია, გვესმის და ეფექტიანად გამოიყენება თავისი „ხოშის“ გასწორებით დაკავებულ ნუვორიშთა გასაპრავებლად...

თუმცა „გასაპრავებელი ჯერ კიდევ ბევრია!“ ...

და „არგუმენტებიც“ უამრავი!

აი, მაგალითად, ასეთი — **„როდესაც ბატონი ვახტანგ გორგასალი ნადირობდა, მაშინ მთელი თბილისი რეკრეაციული ზონა იყო!“** (იმავე საკრებულოს წევრის განცხადებიდან)...

ასეთი „არგუმენტები“, როგორც წესი, ქვას ვერა და საზოგადოებას მართლაც „ხეთქავს“ და „ხლეჩს“ ორ, სამ, ათ ან მეტ ნაწილად.

თუმცა ნუვორიშები არც ამას დაგიდევენ და სულ მალე, 2016 წლის არჩევნებზე, მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის არც კი უკითხავთ, გჭირდებოდათ თუ არა ეს, საარჩევნო ბუკლეტებში აუცილებლად იქნება შეტანილი: ჩვენ ავაშენეთ „პანორამა-თბილისი“, ავაშენეთ ურეკის 10-ათასკაციანი საკონცერტო დარბაზი, საბაგიროები, დაკიდული ბაღები, შადრევნები... ბოლოს ნაგულისხმები იქნება: „და ამ ყველაფრის შემდეგ ხმა არ უნდა მომცე, შე, უმადურო?“

სინამდვილეში **რატომ და რისთვის აკეთებენ, აშენებენ და „ქველმოქმედებენ“ ნუვორიშები, ამაზე ყველაზე კარგად მეტყველებს „ფეისბუქგვერდის“ — „ოლდ სიტი დეველოპმენტ“-ის მიერ დიდი სიამაყით გამოქვეყნებული „პანორამა-თბილისის“ გრაფიკული მაკეტი, რომელსაც 10 დღის განმავლობაში თბილისელებისგან მთელი... 16 (თექვსმეტი) მოწონება აქვს!**

ეს მაშინ, როდესაც თბილისში გახსნილი „დონატების“ რესტორნის „ფეისბუქგვერდს“ ერთ კვირაში ასიათასობით „ლაიქი“ დაუგროვდა...

**ახლა კი თავად განსაჯეთ, ვინ „გადაუარა“, „გადაჯეგა“ და „წალეკა“ საქართველო — ჩინელებმა, თურქებმა, ინდოელებმა, არაბებმა, მონღოლებმა თუ ქართველმა ნუვორიშებმა?**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახლა უკრაინაში იღვწის ასინეთა. გამოცდილებას უზიარებს იქაურ ხელისუფლებას. თავისი „ჩარეცხილები“, „ფაშისტები“ და სხვა საბაბით დაპატიმრებულებიც, სავარაუდოდ, მალე გამოჩნდებიან. მანამდე კი ქართული „რეფორმებით“ მოტყუებეული უკრაინელი ხალხიც გამოიღვიძებს და „რეფორმატორების“ დასაქმება მათ ამერიკელ პატრონებს რომელიმე სხვა ქვეყანაში მოუწევთ. ჩვენ კი იმის იმედიღა დაგვრჩენია, რომ ეს „სხვა ქვეყანა“ საქართველო არ იქნება!**

# ასინეთას თავგადასავალი უკრაინაში

**როგორც უნდა ცდილობდნენ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილი „ნაციონალები“ ჰუმანური ნიღბის მორგებას, ჭირი თავს არ მალავს და დროდადრო სიმართლეს წამოაცდენინებს ხოლმე. ამას წინათ სააკაშვილმა მონატრებული ხელობა გაიხსენა და ჯერაც მისი „რეფორმატორობის“ გულუბრყვილო ხიბლში ჩავარდნილ უკრაინელებს მიახალა: „უკრაინაში მასობრივი დაკავებები არ უნდა მოხდეს, მაგრამ (ეს „შარლების“ და „მაგრამის“ მოძულეებისთვის, თორემ მასობრივი დაკავებები ერთეული ტელედაპატიმრებების შემდეგ აუცილებლად რომ დაიწყება, ეს უკვე ნანახი გვაქვს) კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ საჭიროა, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა დაიწყოთ. იმ ადამიანებმა, რომლებმაც უკრაინას დიდძალი თანხა მოჰპარეს, უკან უნდა დააბრუნონ. ვისაც თავისუფლებაზე საკუთარი ტელეარხები და რადაში დეპუტატები ეყოლება, უმჯობესია, ასეთებს ფული არ ჰქონდეთ“. დიახ, უმჯობესია, ასეთებს არც ფული ჰქონდეთ, არც — ტელეკომპანიები და არც სადეპუტატო მანდატების 40 პროცენტი, მაგრამ საქართველოში სწორედ ასეა. ამ ციტატის ავტორს ეს ყველაფერი აქვს „ქართული ოცნების“ წყალობით და არა — ქართველი ხალხის ნებით, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრი გვარწმუნებს!**



**სააკაშვილს გუნდის შენარჩუნება და მისი რაღაცით დასაქმება ესაჭიროება. თან, სასურველია, რომ ამ სამუშაო ადგილებზე მის კადრებს მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებოდეთ ხელი — ყვარყვარესი არ იყოს, რა იცი, რა ხდება? თუ გადაწყვეტილებების მიღებაზე მიდგა საქმე, იქნებ მათზე ზეგავლენის მოხდენაც მოახერხოს! თუ არადა, ასინეთობას მაინც გასწევენ — «ორი კაცი რომ გაიგონებს და მიხვდება ყველაფერს, ერთი კაცი გაიგებს და მიხვდება ისე?!»**

სუბიექტები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის პროექტ 2030-ს სასაცილოდ იგდებენ, თვითონ პროექტ „ინოვაციური საქართველო — 2025“-ს ახორციელებენ. რით ჯობია 2030-ს 2025? ალბათ, იმით, რომ ხუთიანი ურევია. გასული წლის 1-7 აგვისტოს ბაზალეთის სასწავლო ცენტრში ამ პროექტის ფარგლებში ტრენინგიც ჩაატარეს და ერთი კვირის განმავლობაში ახალგაზრდებს ტვინიც კარგად გამოურეცხეს. მაგალითი: **„7 დღის განმავლობაში ჩვენ ვესწრებოდით ლექციებს, რომლებსაც გვიკითხავდნენ სხვადასხვა სფეროს კომპეტენტური პიროვნებები. ვერთვებოდით დისკუსიებში, ვახდენდით ჩვენი ცოდნის რეალიზებას, ვიღრმავებდით გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევებს. პირველივე დღეს დავიყავით ჯგუფებად, მთელი ამ დროის განმავლობაში, ვასრულებდით მეტად საინტერესო დავალებებს, ვახდენდით სხვადასხვა თემების პრეზენტირებას. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თითოეულმა იმ პიროვნებამ, რომლებიც სხვადასხვა საკითხებზე გვიკითხავდნენ ლექციებს“.**

„ვახდენდით ჩვენი ცოდნის რეალიზებას“, „ვახდენდით სხვადასხვა თემების პრეზენტირებას“ და „უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს სხვადასხვა სფეროს კომპეტენტურმა პიროვნებებმა!“ „მადლობა მათ, ესოდენ მრავლის მომცემი და საინტერესო ურთიერთობებისათვის“. ერთი სიტყვით, მადლობა პარტიას!

ახლა — ეს **„სხვადასხვა სფეროს კომპეტენტური პიროვნებებიც“** ვნახოთ: **გიორგი ვაშაძე, დავით ბაქრაძე, დავით კიზირია, ზურაბ ჯაფარიძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, დავით დარჩიაშვილი, გიორგი კანდელაკი, გიგა ბოკერია, გია ბარამიძე, გიგი უგულავა.** ისიც ვნახოთ, **ვინ რა საკითხში ყოფილა კომპეტენტური: ვაშაძე-ბაქრაძე** — გლობალური ტენდენციები და საქართველოს განვითარება; **დავით კიზირია** — სტრატეგიული განვითარება, განათლება და კულტურა; **ზურაბ ჯაფარიძე** — ეკონომიკა; **ზურაბ ჭიაბერაშვილი** — სოციალური სფერო და ჯანდაცვა; **დარჩიაშვილი-კანდელაკი-ბოკერია-ბარამიძე** — საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების კონცეფცია; **ვაშაძე-უგულავა** — სახელმწიფო და სახელმწიფო სერვისები.

ამ ტრენინგების მომსმენი გოგონა დასძენს: „საინტერესო იყო ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ტრეინინგებს ვესწრებოდით სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები“. ვის უკვირს — მათ ხომ ურიცხვი არასამთავრობო შექმნეს ხელისუფლებიდან წასვლის (წაბრძანების, რომელიც მათი ნებით არ მომხდარა) შემდეგ და ახლა ერთმანეთის ღონისძიებებზე ექსპერტებად დადიან. უფულობას არ უჩივიან, თემებსაც ერთმანეთში ცვლიან და ახალგაზრდების მიზიდვით არიან დაკავებულნი.

მიაქციეთ ყურადღება: **ისინი ყველა საკითხში არიან „კომპეტენტური“ და მათი მიწვეული ახალგაზრდებიდან არავის უჩნდება კითხვა – რა სიკეთე მოუტანა საქართველოს დარჩიაშვილი-კანდელაკი-ბოკერია-ბარამიძის საგარეო პოლიტიკამ და უსაფრთხოების კონცეფციამ! არც იმას კითხულობენ, უგულავა რატომ საუბრობს სახელმწიფო სერვისებზე და არა, მაგალითად, თვითმმართველობაზე! ან ჭიაბერაშვილის მიერ სიკვდილისთვის განწირული მოსახლეობა რატომ უნდა ემადლიერებოდეს მისეულ სოციალურ სფეროს და ჯანდაცვას!**

არ არის გასაკვირი, რომ ეს ადამიანები „ყველაფრის“ ექსპერტები არიან: **მოკლე სათადარიგო სკამისა და სრული უნდოგლობის პირობებში სააკაშვილი მათ ხან გუბერნატორებად ამუშავებდა, ხან — მინისტრებად და ხან — ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორებად. მათი ვიწრო წრის გარდა სახელმწიფო სამსახურებში სხვებს არ ასაქმებდნენ და ასე იზრდებოდნენ „კმარას“ უვიცი აქტივისტები კარიერულ კიბეზე ორ-ორი საფეხურის გამოტოვებით!**

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ „კომპეტენტურ“ პირთა ჩამონათვალში ვინმე **დავით კიზირია**, რომელიც სტრატეგიული განვითარებიდან დაწყებული, განათლებითა და კულტურით დასრულებული, ყველაფერში ერთნაირად ერკვევა. ვინ არის კიზირია? ახლო წარსულში იგი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოში წარადგინა. იმ მომენტისთვის იგი ილიაუნის ასისტენტ-პროფესორი იყო. ესეც იმავე სისტემის გაგრძელებაა

**— უნივერსიტეტებშიც მხოლოდ მათი წრიდან გამოჩეკილი პროფესორები უნდა ყოფილიყვნენ და დღესაც ასე გრძელდება. უნივერსიტეტების დამრბევ-ოკუპანტმა „ნაციონალებმა“ ავტონომიურობის პრინციპი მხოლოდ ახლა გაიხსენეს, როცა თვითონ აღარ არიან ხელისუფლებაში!**

მაშ ასე, „ყველაფრის პროფესორი“ კიზირია ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ დისკუსიაში მიუთითებდა: „DK — არა ანონიმურობის გამო. ყოველთვის ინიციალებით ვერთვები-ხოლმე საჯარო დისკუსიებში და რადგან ჩემი სახელი და გვარი არაფერს ეუბნება საზოგადოებას, დამატებითი არასაჭირო ინფორმაციით აღარ ვტვირთავ-ხოლმე

დავით კიზირია“.

**ორთოგრაფია და სასვენი ნიშნები განზრახ არ შევასწორე ამ „პროფესორის“ მინაწერში, თუმცა აქ უფრო ის არის საყურადღებო, რომ იგი თვითონაც კარგად ხვდება – მისი სახელი და გვარი არაფერს ეუბნება საზოგადოებას. ორიოდე დღის წინათ კი ეს „საყოველთაო“ ექსპერტი არც მეტი, არც ნაკლები, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მრჩევლად დაინიშნა. „ასე იწრთობოდა ფოლადი“ — ორიოდე წელიწადში იგი უკრაინიდან უკვე „შემდგარი“ ბიოგრაფიით მოგვევლინება და „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო სიაშიც დაიკავებს ადგილს.**

მთელი ეს უკრაინული გაწამაწია „ნაცმოძრაობის“ სახეების მონაწილეობით სასაცილო იქნებოდა, რომ არა მთავარი ამოცანა: **სააკაშვილს გუნდის შენარჩუნება და მისი რაღაცით დასაქმება ესაჭიროება. თან, სასურველია, რომ ამ სამუშაო ადგილებზე მის კადრებს მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებოდეთ ხელი — ყვარყვარესი არ იყოს, რა იცი, რა ხდება? თუ გადაწყვეტილებების მიღებაზე მიდგა საქმე, იქნებ მათზე ზეგავლენის მოხდენაც მოახერხოს! თუ არადა, ასინეთობას მაინც გასწევენ — „ორი კაცი რომ გაიგონებს და მიხვდება ყველაფერს, ერთი კაცი გაიგებს და მიხვდება ისე?!“**

„ნაციონალური“ პოლიტიკის კრახის გათვალისწინების ნაცვლად, უკრაინის დღევანდელი ხელისუფალნი გულმოდგინედ იმეორებენ სააკაშვილის რიტორიკას. პრემიერ-მინისტრი იაცენიუკი ცდილობს, მასავით ეგზალტირებულად და ჟესტიკულაციის გამოყენებით გაასაღოს სიცრუე სიმართლედ, პოროშენკოც, სააკაშვილივით, პირობებს დებს და შემდეგ საწინააღმდეგოს სჩადის, იულია ტიმოშენკო კი ოპოზიციიდან აფრთხილებს ყველას, რომ რადას დარბაზში სხვა გადაწყვეტილებები მიიღება, საბოლოო დოკუმენტებში კი სულ სხვა რამ იკითხება!

და ისევ კიზირია, რომელიც კიდევ ერთი ეპიზოდით არის ცნობილი: 2010 წლის მაისში ტელეკომპანია „კა- ▶

**ისინი ყველა საკითხში არიან «კომპეტენტურნი» და მათი მიწვეული ახალგაზრდებიდან არავის უჩნდება კითხვა — რა სიკეთე მოუტანა საქართველოს დარჩიაშვილი-კანდელაკი-ბოკერია-ბარამიძის საგარეო პოლიტიკამ და უსაფრთხოების კონცეფციამ? არც იმას კითხულობენ, უგულავა რატომ საუბრობს სახელმწიფო სერვისებზე და არა, მაგალითად, თვითმმართველობაზე! ან ჭიაბერაშვილის მიერ სიკვდილისთვის განწირული მოსახლეობა რატომ უნდა ემადლიერებოდეს მისეულ სოციალურ სფეროს და ჯანდაცვას!**

პრემიერა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ ტელეარხზე მხოლოდ საქართველოს შესახებ გავა გადაცემები, დოკუმენტური ფილმები და ისტორიული მასალები... 9 აპრილის ტრაგედია, შემდეგ — თბილისის ნგრევა, ქართველი ქართველს რომ კლავდა, აფხაზეთში ომი დავიწყეთ და დავკარგეთ, სამაჩაბლო დავკარგეთ და ამ ყველაფერზე შეფასება არავის გაუკეთებია. სწორედ ამ პროცესების შეუფასებლობამ მოგვცა შედეგი, რისი მომსწრენიც დღეს ვართ, ფილმში ეს ყველაფერი ძალიან კარგად არის ასახული.**

ჯუმბერ პატიაშვილი:

# ფილმში «სიკეთე მაინც მოდის» შეთხზული ამბები არ არის

**2014 წლის 15 დეკემბერს ტელეკომპანია „ქართული ტელევიზიის“ ოფისში გაიმართა პირველი სერიის პრემიერა დოკუმენტური მრავალსერიანი მხატვრული ფილმისა „სიკეთე მაინც მოდის“. ეს ფილმი ჯუმბერ პატიაშვილის წიგნის („23 წლის შემდეგ“) მიხედვით არის გადაღებული. წიგნი „23 წლის შემდეგ“ ჯუმბერ პატიაშვილის მიერ განვლილ წლებსა და მისი მოღვაწეობის ბოლოს განვითარებულ მოვლენებს ასახავს. წიგნის შინაარსი ფაქტებსა და დოკუმენტებზეა აგებული, ნათლად არის ასახული, რა მოხდა წარსულში, როგორი საფუძველი უნდა ჩაეყაროს მომავალს.**
**2015 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან კი ამ ფილმს „ქართული ტელევიზიის“ ეთერში აჩვენებენ.**
**რაც მთავარია, მაყურებელს საშუალება აქვს, დასვას ნებისმიერი შეკითხვა, მათ შორის, ჯუმბერ პატიაშვილის მიმართ.**



„სამწუხაროდ, 20-30 წლის ახალგაზრდებმა არ იციან საქართველოს ნამდვილი წარსული, ანუ იმ პერიოდისა, რომელშიც ჩვენ ვმოღვაწეობდით. ამ ახალგაზრდებს მწირი ინფორმაცია აქვთ ამ ყველაფრის შესახებ და არასწორ შეფასებებსაც ამიტომ აკეთებენ, რითაც ბევრს ვკარგავთ. როცა საუბარია დამოუკიდებლობაზე, თუ საქართველო მართლა დამოუკიდებელი ქვეყანაა, მითხრას ვინმემ, რომელი სფერო გვაქვს დამოუკიდებელი? ერთი მაინც დამისახელონ! სამწუხაროდ, მთელი საქართველო დამოკიდებულია დასავლეთზე, ამერიკაზე,“ — ამბობს ჯუმბერ პატიაშვილი.

ფილმის გადაღების ინიციატორია „ქართული ტელევიზიის“ დამფუძნებელი, სახელგანთქმული ქართველი კინორეჟისორი **რეზო ჩხეიძე.** ის კონსულტაციას უწევს **ზალიკო ნემსაძეს**, რომელსაც რეჟისორის საპასუხისმგებლო საქმე დაეკისრა.

ბატონ ჯუმბერს „ქართული ტელევიზია“ ძალიან მოსწონს, ამიტომ სიხარულით შეხვდა იდეას, რომ დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს ასახავს, სწორედ ამ ტელევიზიის ეთერში აჩვენებენ. **„ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ ამ ტელეარხზე მხოლოდ საქართველოს შესახებ გავა გადაცემები, დოკუმენტური ფილმები და ისტორიული მასალები... 9 აპრილის ტრაგედია, შემდეგ — თბილისის ნგრევა, ქართველი ქართველს რომ კლავდა, აფხაზეთში ომი დავიწყეთ და დავკარგეთ, სამაჩაბლო დავკარგეთ და ამ ყველაფერზე შეფასება არავის გაუკეთებია. სწორედ ამ პროცესების შეუფასებლობამ მოგვცა შედეგი, რომლის მომსწრენიც დღეს ვართ, ფილმში ეს ყველაფერი ძალიან კარგად არის ასახული,“** — ამბობს ბატონი ჯუმბერი.

— უკვე ერთი კვირაა, ფილმის „სიკეთე მაინც მოდის“ პირველი და მეორე სერია „ქართული ტელევიზიის“ ეთერში გადის. გამოხმაურებაც მაშინვე მოჰყვა და, როგორც ამბობენ, ძალიან დამაჯერებელია ფაქტები, რომლებიც ფილმშია ასახული. ერთი შეხედვით, თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ჩემი განვლილი გზაა... ფილმში ნაჩვენებია ის საგამოფენო დარბაზი, რომელიც მცხეთაში გავაკეთე და დეტალურად არის აღწერილი ყველა ფოტოს ისტორია. ასევე კარგად არის აღწერილი, 1980-იანი წლები როგორი წარმატებული იყო, როგორ ვაფასებდით წარსულს და რა როლი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას, რა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა, როგორ დიდ პატივს ვცემდით კულტურის სფეროში მოღვაწე, დამსახურებულ ადამიანებს და კიდევ უამრავი რამ, რითაც დღემდე მოვედით.

**— კმაყოფილი ხართ ფილმით?**

— მთავარია, რომ ფილმში შეთხზული ამბები არ არის, მხოლოდ დოკუმენტური და ფაქტებზე დაყრდნობილი ინფორმაციაა. გამოყენებულია საარქივო მასალები. სამწუხაროდ, სრულად ვერ მოვიძიეთ ყველა მასალა, მაგრამ, რაც ფილმის ავტორებმა მოიპოვეს, გამოყენებულია. მოგეხსენებათ, იმხანად ტელევიზიების ბუმი არ იყო, ამიტომ ყველა დეტალი აღბეჭდილი არ არის, თუმცა მაქსიმალურად ვეცადეთ, ძირითადი მასალები მოგვეპოვებინა, ზოგი ჩემთვისაც აღმოჩენა იყო. ასე რომ, მაყურებელი ძალიან ბევრ, ახალ და საინტერესო ინფორმაციას გაიგებს.

**— ბატონო ჯუმბერ, რას ეტყვით მაყურებელს, რატომ უნდა უყურონ ფილმს „სიკეთე მაინც მოდის“?**

— აუცილებლად უნდა უყურონ, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია. ფილმის გადაღების ინიციატივა თვითონ ტელევიზიამ გამოიჩინა, ჩათვალეს, რომ გასული საუკუნის 80-90-იანი წლები საქართველოსთვის ის პერიოდია, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა დაიწყო. **სწორედ იმ პერიოდში მოხდა 9 აპრილი და შეიცვალა წყობა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პერიოდის შესახებ ახალგაზრდებმა ბევრი არაფერი იციან და, თუ იციან, — დამახინჯებულად. ფილმში ნაჩვენებია ის პროცესები, თუ როგორ უცრუვდებოდათ ადამიანებს იმედები, როგორ ყალბდებოდა არჩევნები და ეს გამყალბებლები კვლავ ხელისუფლებაში არიან, არ დასჯილან; არადა, ბევრი მათგანის დანაშაული სისხლის სამართლის დანაშაულის ტოლფასია.**

### «სწორედ იმ პერიოდში მოხდა 9 აპრილი და შეიცვალა წყობა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პერიოდის შესახებ ახალგაზრდებმა ბევრი არაფერი იციან და, თუ იციან, — დამახინჯებულად. ფილმში ნაჩვენებია ის პროცესები, თუ როგორ უცრუვდებოდათ ადამიანებს იმედები, როგორ ყალბდებოდა არჩევნები და ეს გამყალბებლები კვლავ ხელისუფლებაში არიან, არ დასჯილან; არადა, ბევრი მათგანის დანაშაული სისხლის სამართლის დანაშაულის ტოლფასია»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ვკასიაში“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდებით. სააკაშვილმა კომპანიის ეზოში მომხდარს მაშინვე უწოდა „დარბევა“ და საქალაქო სასამართლომაც გულმოდგინედ დაუდასტურა ეს კვალიფიკაცია. გადაცემის წამყვანმა და ტელეკომპანიის მფლობელმა ნინო ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ლევან ჩაჩუა არ მონაწილეობდა ჩხუბში. „მე მინდა სამართალი და არა შურისძიება“. სამართალი კი იმჟამად ერთი ძალის მითითებით მოქმედებდა და სინდისის პატიმრები მხოლოდ ხელისუფლებიდან ამ ძალის წასვლის შემდეგ გამოვიდნენ ციხეებიდან.

შვილის მიმართ მუქარის გამო „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემელი მალხაზ გულაშვილი იძულებული შეიქნა, საქართველო დაეტოვებინა. მამა-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მიმართვას დევნის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც საწინააღმდეგო ბანაკიდან მოჰყვა საპასუხო წერილი „ფაშიზმის 182 მხარდამჭერს“:

**„საქართველოს 182-მა მოქალაქემ ღიად დაუჭირა მხარი მალხაზ გულაშვილის მეთაურობით მოქმედ აშკარად ფაშისტურ და იმავდროულად პრორუსულ გაერთიანებას. როგორც გულაშვილის და მისი „მოძრაობის“ გულშემატკივრები, ისე მათ მხარდამჭერ მიმართვაზე ხელმომწერნი, ძალადობას, რელიგიის და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე შუღლის გაღვივებას გამოხატვის თავისუფლებას უწოდებენ და ფაშიზმს ამართლებენ“.**

ხელმომწერებს შორის არიან: **ნოდარ ლადარია, კახა ბენდუქიძე, თამარ ჩერგოლეიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიგა ზედანია, გია ნოდია** და სხვანი. არ გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ „და სხვანში“ ბევრ ადამიანთან ერთად, ვისი სახელი და გვარიც საზოგადოებას არაფერს ეუბნება, სწორედ ის **დავით კიზირიაცაა.**

რამდენიმე წლით ადრე სულხან მოლაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას საზოგადოების 200-მდე თვალსაჩინო წარმომადგენელმა მოაწერა ხელი. სააკაშვილმა მათ „ჩარეცხილები“ უწოდა. დღეს ის თვითონ ჩარეცხა იმ საზოგადოებამ, რომელსაც დამამცირებელი სახელებით მიმართავდა. ჩარეცხილია, მაგრამ მაინც ცდილობს, იტივტივოს და ამას უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამღვრეულ წყალში ახერხებს.

უკრაინაში „ნაციონალური“ საკადრო კარუსელის ღერძი **გიორგი ვაშაძეა.** იგი, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ დამფუძნებელია. გასული წლის სექტემბერში ლვოვში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ლევან ვარშალომიძე, გიორგი ვაშაძე, დავით კიზირია მონაწილეობდნენ. უკრაინული საagenტო УНИАН-ი იუწყებოდა, რომ „სააკაშვილის გუნდის წევრები ლვოვს რეფორმების გატარებაში დაეხმარებიან“ და ამ მიზნით ლვოვის სამხარეო ადმინისტრაციასა და „ინოვაციებისა და განვითარების ფონდს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. მეორე დღეს აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე **ლევან ვარშალომიძე** ლვოვის სამხარეო ადმინისტრაციის თავმჯდომარის — იური ტურიანსკის მრჩეველი გახდა.

გიორგი ვაშაძე სოციალურ ქსელში წერდა: „ქართველი ექსპერტები უკრაინულ მხარეს დაეხმარებიან რეგიონული ადმინისტრაციის ორგანიზაციული ცვლილებებისა და ადმინისტრაციის სერვისების რეფორმირების გეგმის შემუშავებასა და იმპლემენტაციაში. ეს იქნება საპილოტე პროექტი, რომელიც ლვოვის სამხარეო ადმინისტრაციის მაგალითზე შექმნის რეგიონული მართველობის ახალ სტანდარტს. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმა გულისხმობს ძალაუფლების გადანაწილებას ცენტრიდან ადგილებზე“. **საინტერესოა, რომ ამ კეთილ საქმეში უკრაინელებს ის ლევან ვარშალომიძე დაეხმარება, რომლის ხელითაც და სააკაშვილის მონდომებით აჭარის ავტონომიის ყველა უფლება სწორედ ცენტრს გადაეცა და არა — პირიქით! ერთი სიტყვით, უკუღმაა ეს, ასინეთა, მარა სულერთია!**

ფონდი საქართველოშიც აქტიურად საქმიანობს. „სახელმწიფო სამი ნოლი — რეფორმების ახალი ტალღა“ — ასე ჰქვია ახალ პროექტს, რომელიც ხუთი კონკრეტული მიმართულებით 12 თვითმმართველ ქალაქში უნდა განხორციელდეს. ყველა მონაწილეს ექნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქალაქისა და მთელი რეგიონის ჯანდაცვის, განათლების, სამართალდამცავი სისტემის, ეკონომიკისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. გიორგი ვაშაძე ამბობს: „მთავარი პრინციპი ამ პროექტის არის ის, რომ სახელმწიფო უნდა გახდეს პლატფორმა, რომელმაც ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის განვითარებას თავისი რეგულაციებით და თავისი ზედმეტი ჩარევებით.“

ყურადღება მიაქციეთ: **ამას იმ ხელისუფლების წარმომადგენელი ამბობს, რომელიც ცოლ-ქმარს შორის ლოგინში იწვა და ასი ყური ჰქონდა გამოსხმული! ასინეთაც კი არ მისულა ასეთ აქტიურ ფაზამდე — ის მხოლოდ აყურადებდა და არქიფო სეთურს წვრილად უყვებოდა მოსმენილის შესახებ!**

**ახლა უკრაინაში იღვწის ასინეთა. გამოცდილებას უზიარებს იქაურ ხელისუფლებას. თავისი „ჩარეცხილები“, „ფაშისტები“ და სხვა საბაბით დაპატიმრებულებიც, სავარაუდოდ, მალე გამოჩნდებიან. მანამდე კი ქართული „რეფორმებით“ მოტყუებული უკრაინელი ხალხიც გამოიღვიძებს და „რეფორმატორების“ დასაქმება მათ ამერიკელ პატრონებს რომელიმე სხვა ქვეყანაში მოუწევთ.**

ჩვენ იმის იმედიღა დაგვრჩენია, რომ ეს „სხვა ქვეყანა“ საქართველო არ იქნება!

## ებოლას ვირუსით დაღუპულთა რაოდენობამ 8 400-ს გადააჭარბა

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საერთო ჯამში, ებოლას ჰემორაგიული ვირუსით 21 296 ადამიანია ინფიცირებული. დაღუპულთა რაოდენობამ კი 8 400-ს გადააჭარბა.** როგორც ორგანიზაცია აღნიშნავს, ბოლო კვირის განმავლობაში შესამჩნევად ცოტა ადამიანი დაინფიცირდა ლიბერიაში, სიერა-ლეონესა და გვინეაში.

გასულ კვირას, ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ებოლას სასიკვდილო ვირუსის წინააღმდეგ ექსპერიმენტული ვაქცინის ტესტირება დაიწყეს.



ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილი კიდევ სადმე გაასწრებს, მაგრამ პოროშენკოს, იაცენიუკს, ტურჩინოვსა და „მაიდნის“ სხვა „გმირებს“, სავარაუდოდ, არც ბრუკლინის პენტჰაუზში წაიყვანს და არც მაიამის საზაფხულო რეზიდენციაში! ამისთვის მათ ჯერ სააკაშვილის რეცეპტით „კორუფცია უნდა დაამარცხონ“ და ამის შედეგად მოპოვებული მილიარდები გაიტანონ ქვეყნიდან, მაგრამ, დიდი ალბათობით, სააკაშვილი მათ ხეზე ასვლას არ ასწავლის!**

# კარლი, ფრიდრიხი, ადოლფი და მიშა...

**ორ დღეში წაგებული ომის მთავარსარდალი უკრაინული მედიიდან ასულელებს იქაურებს. რა ენაღვლება სხვისი ომი, საკუთარიც არ უდარდია, ვიდრე არ მოეჩვენა, რომ რუსული ბომბდამშენი პირადად მისკენ მიფრინავდა! მაშინ იყო, გორში, საფრანგეთის საგარეო მინისტრის თვალწინ მიწა რომ გადახნა ცხვირით, ახლა კი უკრაინელებს მოუწოდებს: „ძლიერი სამხედრო წინააღმდეგობის გარეშე ეს ისტორია არასოდეს დასრულდება. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთს მსხვერპლის ლიმიტი აქვს: რამდენი ჯარისკაცის სიკვდილს მოითმენს რუსული საზოგადოება... ავღანეთში რუსული მრავალმილიონიანი სახელმწიფოდან 15 ათასი რუსი დაიღუპა, ახლა კი რუსეთის მოსახლეობა, საბჭოთა კავშირთან შედარებით, უფრო ნაკლებია და, რაც უფრო მეტი „ტვირთი-200“ (კუბო) გაიგზავნება რუსეთში, მით უფრო მალე ამოიწურება რუსეთის ლიმიტი“.**



**წაგებული ომის მთავარსარდალი, რომელმაც ცხინვალის რეგიონში დაღუპული ჯარისკაცებისა და ოფიცრების ცხედრები თაკარა მზეში ბრძოლის ველზე ჩატოვა, ახლა ნიანგის ცრემლებს ღვრის სუხიაშვილის დაღუპვის გამო და ეპითეტებს არ იშურებს**

მოკლედ, სერიალი „ორი გვამი მჭირდება“ გრძელდება, ოღონდ ყოფილ მთავარსარდალს, მერაბიშვილთან შედარებით, გაცილებით უკეთესი მადა აქვს. მადაც და ფანტაზიაც, აბა, უსმინეთ: **„რატომ შემოვიდა პუტინი საქართველოში თავისი 100-ათასიანი არმიით? იმიტომ, რომ საქართველოსთან ომის წარმატებულად წარმოჩენა რუსულ საზოგადოებაში ადვილი იყო, მაგრამ უკრაინასთან ომის წარმატებულად წარდგენა მას გაუჭირდება. იგი დიდხანს ვერ გააგრძელებს რუსი ხალხის ტყუილებით „გამოკვებას“...** „ვლადიმერ პუტინი საზოგადოების განწყობას უყურებს. მას ჰქონდა გეგმა, სამხრეთით ყირიმთან მისაერთებლად დერეფანი გაეკეთებინა, მაგრამ ნავთობის ფასებმა დაიწია, რუბლი გაუფასურდა, ეკონომიკის ტემპები სწრაფად კლებულობს, მოსახლეობის უკმაყოფილება კი მატულობს, ამიტომ მან ეს გეგმა ველარ განახორციელა. ახლა სიტუაციას უყურებს... გამოუცხადებელ ომს აქვს თავისი პლუსები, მაგრამ აქვს დიდი მინუსებიც — მოსახლეობა დიდხანს ველარ მოითმენს იმას, რომ რუსი ჯარისკაცები იღუპებიან... უბრალოდ, უკრაინამ კიდევ ცოტა ხანს უნდა გაუძლოს ამ სიტუაციას... რაც უფრო მედგრად გაუძლებთ, მით უფრო მოახლოვდება გამარჯვება“, — გაამხნევა უკრაინელები მიხეილ სააკაშვილმა.

**ცნობისთვის: ბოლო სოციოლოგიური კვლევით პუტინის რეიტინგი 73%-ზე მეტია — გაცილებით მეტი, ვიდრე 2008 წელს, თუმცა რას დაგიდევს მიშიკო, ცრუპენტელობა ხომ ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი! კიდევ ერთი „ლომგული“— ყოფილი „კმარელი“ და ზონდერი, დღეს ადვოკატის მანტიას ამოფარებული გიორგი ონიანი სააკაშვილის პათოსს მიჰყვება და სოციალური ქსელიდან ქართულად მიმართავს უკრაინელებს: „ერს, რომელსაც ამ სულისკვეთების შვილები ჰყავს, ვერავინ დააჩოქებს. თქვენს გვერდში გვიგულეთ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და ნუ გეწყინებათ ჩვენი დროებითი ხელისუფლების მოღალატეობრივი პოზიცია, ის, რომ ხელისუფლებაში არიან მათი დამსახურება არ არის, ჩვენი დროებითი გაურკვევლობის შედეგია. თუმცა ეს გაურკვევლობა თითქმის დასრულებულია საზოგადოებაში“.**

ასეთი სულისკვეთება იქვე მოტანილ პლაკატზე, უფრო სწორად, მის შინაარსზეა დაფუძნებული: Российский оккупант! То, что ты пока жив, это не твоя заслуга, а наша временная недоработка. Украинские киборги.

ამ ვირტუალური ცრუპენტელობით გაჯერებულ სივრცეში რეალური ადამიანები რეალურად იხოცებიან, თუმცა სააკაშვილსა და მის მეგობრებს ეს არც ადრე ადარდებდათ საქართველოში და არც ახლა — უკრაინაში! უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი — 37 წლის თამაზ სუხიაშვილი დაიღუპა. დონეცკის აეროპორტის შტურმის დროს კიდევ სამი ქართველი დაიჭრა. თამაზ სუხიაშვილს 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა. იგი ცხინვალში, ერაყში, ავღანეთში და 2008 წლის აგვისტოს ომში იბრძოდა. უკრაინაში სამი თვის წინათ წავიდა, ამბობენ, რომ ბატალიონ „აიდარის“ სადაზვერვო ქვედანაყოფს მეთაურობდაო.

**წაგებული ომის მთავარსარდალი, რომელმაც ცხინვალის რეგიონში დაღუპული ჯარისკაცებისა და ოფიცრების ცხედრები თაკარა მზეში ბრძოლის ველზე ჩატოვა, ახლა ნიანგის ცრემლებს ღვრის სუხიაშვილის დაღუპვის გამო და ეპითეტებს არ იშურებს:** „უკრაინაში, დონეცკის აეროპორტისთვის ბრძოლაში, გმირულად დაიღუპა ქართველი ოფიცერი თამაზ სუხიაშვილი. მან, სხვა ქართველებმა და მოხალისეთა ასეულმა, უკუაქცია რუსული სპეცრაზმი და კადიროველების ჯგუფი. ჩვენმა მებრძოლებმა ძალიან მძიმე ბრძოლაში გამოგლიჯეს აგრესორს მონასტრის ტერიტორია, საიდანაც ის ესროდა აეროპორტს, რითაც უკრაინის არმიას დაუბრუნდა და შეუნარჩუნდა კონტროლი დონეცკის აეროპორტზე, რომლის აღება პუტინისთვის პრინციპის საკითხად არის ქცეული“.

იგი, როგორც მამაცი და სამართლიანი მხედართმთავარი, არც დაჭრილებს ივიწყებს და მათზეც ზრუნავს სამშობლოდან შორს: „ამ გმირობის ჩადენის დროს დაიჭრა კიდევ სამი ქართველი მებრძოლი. ველაპარაკე სანდრო კვიტაშვილს და ისინი მალე გამოჯანმრთელდებიან. თამაზი 2004-ში იბრძოდა ცხინვალში, იყო ერაყსა და ავღანეთში და 2008 წელს თავი გამოიჩინა რუსეთთან ომში. უკრაინაში ომის დაწყებისთანავე მიატოვა თავისი მაღალანაზღაურებადი სამსახური, იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების განსაკუთრებულ დავალებათა განაყოფის ლეიტენანტი გახლდათ და ყველა შეტაკებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, სანამ გუშინ ბოლო გამარჯვება არ მოუტანა უკრაინას, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა... დიდება გმირებს, დიდება მათ მშობელ და გამზრდელ საქართველოს, დიდება უკრაინას!“

**ეს ისეთივე „საბოლოო გამარჯვებაა“, როგორიც 2008 წელს რუსთაველის პროსპექტზე ნაზეიმები „გამარჯვება“; ისეთივე ტყუილი, როგორც საქართველოში რუსეთის 100-ათასიანი ჯარის შემოჭრა და „ღრუბელ-ღრუბელ“ ფოთში ჩაფრენილი მხედართმთავარი, რომელიც იმ დღეებში, კაცმა არ იცის, სად იმალებოდა.**

სინამდვილე არის ის, რომ გამოცხადებული ზავის შემდეგ პოროშენკომ განაახლა საბრძოლო მოქმედებები. დონეცკელი ამბოხებულების პოზიციებიდან საკმაოდ დაშორებულ ვოლნოვახასთან სამგზავრო ავტობუსის აფეთქებისას 12 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც პარიზში, „შარლი ებდოს“ რედაქციაზე ტერორისტული თავდასხმისას. მეორე დღეს კიევსა და ლვოვში „შვიდობის მარშები“ მოეწყო პლაკატებით „მე ვარ ვოლნოვახა“, უკრაინულ და რატომღაც ფრანგულ ენებზე.

**ადამიანის სიცოცხლე ნელ-ნელა ვირტუალური და რეალური შოუების საბაბად იქცა. იმავე დღეს უკრაინული არმიის მიერ საცხოვრებელი სახლის დაბომბვის შედეგად ორი ბავშვი დაიღუპა. არავის უთქვამს ამ ბავშვების სახელები, არც პლაკატებით გამოსულან — „მე ვარ აფეთქებული (მოკლული, დამწვარი და ა.შ.) ბავშვი! რა გაეწყობა, გეოპოლიტიკურ თამაშებში ბავშვები პაიკებად გამოიყენებიან!**

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ! ამ ანდაზის მიხედვით, სააკაშვილის მეგობარი პოროშენკო მასავით მხდალი და ლაჩარი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ეს დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მეთაურმა ალექსანდრ ზახარჩენკომაც იცის და იმ აეროპორტში იწვევს მოლაპარაკებებზე, რომელიც, სააკაშვილს რომ დავუჯეროთ, უკვე პოროშენკოს ხელშია! ზახარჩენკო ამბობს, რომ მამაკაცი ლაჩარი არ უნდა იყოს: „ის მთავარსარდალია, მამაკაცი. თუ მამაკაცია, ჩამოვიდეს, მივუსხდებით მაგიდას, ჩაის დავლევთ და დავილაპარაკებთ, როგორ შევაჩეროთ ეს სასაკლაო“.

**გამოიცანით, როგორ მოიქცევა სააკაშვილის მეგობარი?**

**როგორ მოიქცევიან სააკაშვილის ოკეანისგაღმელი მეგობრები?**

წყალზე და პამპერსებზე ნულარ ვიხუმრებთ, რადგან რუსეთთან ბოლო ხანს ჩახუტებულმა თურქეთმა ავიამზიდები კი არა, ამ „სამხედრო“ ტვირთიანი გემებიც შეიძლება არ გაატაროს. ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ევროპული სარდლობის მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა **ბენ ჰოჯესმა** კი კიდევ უფრო გახსნა ფრჩხილები: „რუსეთი ჯერ უკრაინითაა დაკავებული, თუმცა რამდენიმე წელიწადში სიტუაცია, შესაძლოა, შეიცვალოს — რუსეთი ძალების კონცენტრაციას და მოქმედებას ერთდროულად სამი მიმართულებით ისე შეძლებს, რომ დასავლეთს რეაგირებისთვის დროც არ დარჩება. ამჯერად რუსეთს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე სამი მსგავსი ოპერაცია ჩაატაროს, მაგრამ 4-5 წელიწადში ეს მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს“.

**4–5 წლის შემდეგ კი არა, 6 წლის წინათაც არ მოუკლავს თავი ჩვენს „სტრატეგიულ მოკავშირეს“ დროული რეაგირებისთვის. ამასობაში კი რუსეთმა აგვისტოს ომის შედეგები გააანალიზა და ყირიმი ისე „თავაზიანად“ დაიბრუნა, რომ ოკეანის გაღმა თვალის მიდევნებაც კი ვერ მოასწრეს.**

ამერიკელი გენერალი, როგორც ჩანს, დღესაც გაოცებულია: „ეს ყველაფერი კი იმდენად სწრაფად და ფარულად მოხდა, რომ რაიმე სახის რეაგირება რთული აღმოჩნდა“. ამერიკელი გენერალი, ჩვენი ადგილობრივი ექსპერტებივით, ვარაუდებში გადადის და ასე გვამშვიდებს: „რუსეთის მეზობლებს — საქართველოსა და ბალტიისპირეთს — უახლოეს პერიოდში შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ არა დიდი ხნით. ამჯერად ყურადღება უკრაინაზეა გადატანილი. ვფიქრობ, რუსეთის მოსაზღვრე სხვა ქვეყნები აკვირდებიან ამ მოვლენებს და ელოდებიან რომ 2-3 წელიწადში თავად გახდებიან სამიზნე“.

**მათი პინოქიო კი ისევ „საქმეშია“ — უკრაინელებს ასწავლის, როგორ უნდა „მოუგონ“ რუსებს ომი!**

**ცნობისათვის:**

***„რუსეთი კარლიკია — მე მას დავაჩოქებ!“ — კარლოს მეთორმეტე, მე-18 საუკუნე.**

**შვედეთმა სამუდამოდ დაკარგა ზესახელმწიფოს სტატუსი.**

***„მე დავიმორჩილებ ჩამორჩენილ რუსეთს!“ — მეფე ფრიდრიხი.**

**1759 წელს რუსული არმია ბერლინში შევიდა.**

***„რუსეთი თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსია!“ — ნაპოლეონი, მეცხრამეტე საუკუნე.**

**1814 წელს რუსეთის არმიამ პარიზი აიღო.**

***„მე საბჭოთა კავშირს წლის ბოლომდე დავიპყრობ!“ — ადოლფ ჰიტლერი, 1941 წელი.**

**1945 წელს საბჭოთა ჯარი ბერლინში შევიდა.**

**ახლა იძახოს ობამამ, რუსეთი მხოლოდ რეგიონული „დერჟავააო“ და ვნახოთ, სად შევა მისი ჯარი!**

**სააკაშვილი კიდევ სადმე გაასწრებს, მაგრამ პოროშენკოს, იაცენიუკს, ტურჩინოვსა და „მაიდნის“ სხვა „გმირებს“, სავარაუდოდ, არც ბრუკლინის პენტჰაუზში წაიყვანს და არც მაიამის საზაფხულო რეზიდენციაში! ამისთვის მათ ჯერ სააკაშვილის რეცეპტით „კორუფცია უნდა დაამარცხონ“ და ამის შედეგად მოპოვებული მილიარდები გაიტანონ ქვეყნიდან, მაგრამ, დიდი ალბათობით, სააკაშვილი მათ ხეზე ასვლას არ ასწავლის!**

**თამარ დავითულიანი**

**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უკვე არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებში დაქირავებულების მონაწილეობას. 410-ე მუხლის თანახმად, დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით. ამას გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლით, საქართველოს მოქალაქეებს ეკრძალებათ, შევიდნენ უცხო ქვეყნის ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში (ან სხვა დაიყოლიონ) და აღნიშნულიქმედებაც თავისუფლების აღკვეთით ისჯება“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*გია მეფარიშვილი:*

# საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს!

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ახალი, 312-ე პრიმა მუხლი დაემატება, რომლის მიხედვითაც, საზღვარგარეთ უკანონო ფორმირებაში მონაწილეობა, ამგვარი მონაწილეობისთვის წვრთნა ან მოწოდება, თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. კანონპროექტი მთავრობამ განსახილველად პარლამენტს უკვე გაუგზავნა. დღეს საკმაოდ ბევრი ქართველი იბრძვის უცხო ქვეყნებში, არის თუ არა მართებული და დროული მთავრობის გადაწყვეტილება, კონკრეტულად რომელ ქვეყანაში წასულ მებრძოლებს შეეხება სასჯელი და რატომ არასდროს შესრულებულა უკვე არსებული 410-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ კრძალავს დაქირავებული მებრძოლის უცხო ქვეყნის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილეობას?**
**ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ სამართლის დოქტორი, პროფესორი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი და ყოფილი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი ესაუბრება:**

— ეს საკანონმდებლო ნოვაცია, ალბათ, ბოლო პერიოდში საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში და სხვადასხვა სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობამ განაპირობა. მხედველობაში მაქვს სირია და უკრაინა, ვინაიდან, როგორც ერთ, ისე მეორე ქვეყანაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში, მოგეხსენებათ, ქართველი მოხალისეებიც მონაწილეობენ. როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, მას ამის შესახებ პანკისის ხეობის მოსახლეობამაც სთხოვა. თუ ასეა, მაშინ მესმის, რა აიძულებდა კანონმდებელს, ასეთი საკანონმდებლო ცვლილება მიეღო, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ფაქიზი საკითხია, ამიტომ გააზრებულ მიდგომას მოითხოვს, რათა არ დაირღვეს ის ბალანსი, რომელსაც ქვეყანა ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ვალდებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უკვე არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებში დაქირავებულების მონაწილეობას. 410-ე მუხლის თანახმად, დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით. ამას გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლით, საქართველოს მოქალაქეებს ეკრძალებათ, შევიდნენ უცხო ქვეყნის ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში (ან სხვა დაიყოლიონ) და აღნიშნული ქმედებაც თავისუფლების აღკვეთით ისჯება.** ქართველი კანონმდებელი, როგორც ჩანს, ტოვებს 310-ე მუხლს და ქმნის ახალ ნორმას, რომელიც ითვალისწინებს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობას. გარკვეული ლოგიკა აქ წყდება. ალბათ, ამიტომ კანონპროექტის დამტკიცებამდე კიდევ უნდა ავწონ-დავწონოთ და კარგად დავფიქრდეთ. მაგალითად, მიმაჩნია, რომ **312-ე მუხლის მიღების აუცილებლობა არ იყო, ამას სჯობდა, კიდევ უფრო დახვეწილიყო 310-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახური საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია.**

**— თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლს კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით — 5-დან 7 წლამდე. დაქირავებულად კი ითვლება ნებისმიერი, ვინც არ არის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე, მოქმედებს გასამრჯელოსთვის, მუდმივად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ოფიციალურად გაგზავნილი არ არის მოვალეობის შესასრულებლად. 410-ე მუხლით ოდესმე ვინმე თუ დასჯილა?**

— არა, ასეთი შემთხვევის შესახებ არ მსმენია. ტექსტის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე ზუსტი დასკვნის გამოტანის საშუალება არ გვაქვს, მაგრამ მე მინდა, ჩემი პოზიცია გამოვხატო: დიახ, **საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის უფლება აქვს, მაგრამ, ასეთი სურვილის შემთხვევაში, მან უნდა დათმოს საქართველოს მოქალაქეობა, ვინაიდან საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის, პირველ რიგში, სამშობლოს დაცვაა ყველაზე წმინდა ვალდებულება.** ჩვენ ვალდებული ვართ, საკუთარი ქვეყანა დავიცვათ და კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საერთაშორისო ვალდებულებები შევასრულოთ. სხვა გამონაკლისს ჩვენი კანონმდებლობა არ უნდა ითვალისწინებდეს. ეს ჩემი აზრია. ვფიქრობ, ყოველგვარი წახალისება დაქირავებულთა მონაწილეობისთვის არ უნდა იყოს სწორი. სხვათა შორის, ეს პრობლემა ბევრ ევროპულ ქვეყანას აწუხებს.

თუ ამ საკითხს სერიოზულად არ მივუდექით და მწვავე შეფასებები არ გავაკეთეთ, მართალი არ იქნება. თუ კანონმდებელი აღნიშნულ კანონს მიიღებს, ეს მისი ნებაა, მაგრამ **არ დავარღვიოთ საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართალი, რის საფრთხესაც ვხედავ და არა მგონია, ამ კანონმა იმუშაოს. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს დაქირავებულების არსებობის შესაძლებლობას და მძიმე საერთაშორისო დანაშაულად მიიჩნევა.** მინდა, შეგახსენოთ, რომ 1970-იანი წლების ბოლოს ანგოლაში სპეციალური საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალებიც კი ჩატარდა, სადაც ის დაქირავებული მებრძოლები გაასამართლეს, რომლებიც იქ ევროპიდან ჩადიოდნენ და სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდნენ. ყოველგვარი დაქირავებულის მონაწილეობა გამორიცხულია, ეს დაუშვებელია, იქნება ეს ოფიციალური სტრუქტურა თუ არაოფიციალური. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება საერთაშორისო ვალდებულებებს და ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს. **საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად, ასევე ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენტიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები.**

**დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურებში, მაგალითად, თავდაცვის, შს სამინისტროსა და სხვა დანაყოფებში, მონაწილეობის უფლება არ აქვს, ასეთი რამ დაუშვებელია და წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.**

საქართველოს მოქალაქემ, თუ ის მიიჩნევს, რომ გარკვეული ვალდებულება უნდა შეასრულოს უცხო ქვეყანაში, საქართველოს მოქალაქეობა უნდა დათმოს. საერთოდ, „დაქირავებულების თემა“ ახალი არ არის, ეს საკითხი შუა საუკუნეებიდან არის აქტუალური. ეს პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეულად დადგა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, ელემენტარული საარსებო წყარო რომ ჰქონოდათ, სხვადასხვა კანონიერ თუ უკანონო სამხედრო ფორმირებაში შედიოდნენ.

**— საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უცხო ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურებს დაქვემდებარებულ სამსახურში მონაწილეობაც დანაშაულად ითვლება. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სისხლის სამართლის კოდექსში ინიცირებული ცვლილება ეხება როგორც სირიასა და ერაყში, ასევე უკრაინაში მებრძოლ საქართველოს მოქალაქეებსაც. თუმცა, როგორც შს მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ განმარტა, აღნიშნული ცვლილება კიევის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქართველებს არ შეეხება. ჩნდება კითხვა — ვის შეეხება ეს ცვლილება და სწორად თუ მოხდება ოფიციალური და არაოფიციალური სტრუქტურების გამიჯვნა?**

— როგორც ჩანს, ზუსტად ამისთვის კეთდება ახალი ნოვაცია. ეს ყველაფერი პოლიტიკური გემოვნების საკითხია. **აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, დაისჯება მხოლოდ და მხოლოდ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა. მაგალითად, სირიაში, ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს მოქალაქეები უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებად ჩაითვლებიან, ვინაიდან ისინი არ ექვემდებარებიან ოფიციალურ სტრუქტურას, მაგრამ, მაგალითად, უკრაინაში წასული მოხალისეები, ასეთი პასუხისმგებლობის სუბიექტები არ გახდებიან.**

თუმცა მოვუწოდებ ქართველ კანონმდებლებს, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ! ჩემი აზრით, **ბალანსის დარღვევა არ ღირს და ეს არ არის ასე ადვილად გადასაწყვეტი საკითხი.** მე მაინც ვფიქრობ, **საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს. ეს მისი საქმე არ არის. საქართველო მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა, მას ჰყავს სამხედრო ძალები, შეუძლია, დაიცვას თავი და საერთაშორისო ვალდებულების შესასრულებლად მიიღოს გარკვეულ სამხედრო მისიებში მონაწილეობა, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს მხოლოდ ოფიციალურ დონეზე.** ჩვენი კანონმდებლობა გამონაკლისს არ უნდა ითვალისწინებდეს. სხვათა შორის, სწორედ უკრაინაში უკვე სამი ქართველი მოხალისე დაიღუპა, ორი მათგანი უკრაინის ოფიციალურ შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა, ერთიც — ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამხედრო შენაერთში იბრძოდა. ამას გარდა, საქართველოდან სირიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში უკვე ათი კაცი დაიღუპა. ეს ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა.

**«უკრაინაში უკვე სამი ქართველი მოხალისე დაიღუპა, ორი მათგანი უკრაინის ოფიციალურ შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა, ერთიც — ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამხედრო შენაერთში იბრძოდა. ამას გარდა, საქართველოდან სირიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში უკვე ათი კაცი დაიღუპა. ეს ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა!»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

## ნატოს გენმდივანი ალიანსის წევრებს სამხედრო ხარჯების გაზრდისკენ მოუწოდებს

**ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ალიანსის წევრ სახელმწიფოებს, მნიშვნელოვნად გაზარდონ თავდაცვის ხარჯები. იუწყება „დოიჩე ველე“.**

„უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარება იცვლება და ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ხარჯები განსაკუთრებით უნდა გაზარდოს ბერლინმა, რადგან სწორედ გერმანია იკავებს წამყვან პოზიციას ევროპაში, არის ლიდერი ეკონომიკასა და სხვა სფეროებში. ჩვენ, ასევე, ველოდებით, როდის გახდება გერმანია ლიდერი თავდაცვის სფეროში ინვესტიციების მხრივ. დადგა ცვლილებების დრო“, — განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა ბერლინში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ალიანსის ლიდერმა მიუთითა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სამხედრო ხარჯები 20 პროცენტით შეამცირა მაშინ, როდესაც რუსეთმა ეს ხარჯები მნიშვნელოვნად გაზარდა.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მხედრიონს“ პერსპექტივაში უნდა ემოქმედა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ჩამოსაგდებად. ეს რომ ვნახე, შვილებს გეფიცები, ცუდად გავხდი... პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო და შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროებისთვის გვერდის ავლით, „შეკრულები“ იყვნენ და „მხედრიონთან“ ერთობლივად მოქმედებდნენ... თერთმეტჯერ გავაჩერე მანქანები, მხედრიონელების მიერ მილიციის განყოფილებებიდან გატაცებული იარაღით დატვირთული. თერთმეტჯერვე გაუშვეს“.



# ანზორ მაისურაძე: «მხედრიონი» საქართველოს მთავრობამ დააფინანსა

**უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე ამ სპეცსამსახურის ცოცხალი ისტორიაა. ისიც კი იცის, რაზეც ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, მაგრამ რაც ნამდვილად იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ინტერვიუში, რომელიც წლევანდელ 19 იანვარს ჩამოართვა მას „საქართველო და მსოფლიომ“, ეს აშკარად გამოჩნდა. აღიჭურვეთ მოთმინებით, რადგან საუბარს იმ თემით ვიწყებთ, რომლითაც ქართულმა ტელევიზიამ ეს დღე, 19 იანვარი, ნათლისღება გაგვითენა — უკრაინის სამოქალაქო ომში დაღუპული და დაჭრილი ქართველი მეომრების ამბავი ტოპინფორმაციად მოგვაწოდა.**



**— ბატონო ანზორ, ვითომ ავღანეთი არ გვეყო და ახლა უკრაინიდან მოგვდის ეს სამწუხარო შეტყობინებები.**

— დიდად სამწუხაროა, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არ არის მაინცდამაინც ჩვენი დროის თავისებურება და მისი მახასიათებელი. საბჭოთა პერიოდში ჩვენი მოქალაქეების უცხო ქვეყნის ჯარში მსახურება მიჩნეული იყო ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებად, რაც საბჭოთა პატრიოტიზმის რანგში იყო აღზევებული.

**— ჯარში სამსახური, საერთოდ?**

— არა. იგულისხმებოდა სამხედრო სამსახური შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში, როგორც წესი, სამოქალაქო ომის დროს. თანაც არა — საერთოდ უცხო ქვეყნების არმიებში, არამედ ისეთი ქვეყნების ჯარებში, რომლებიც, საბჭოთა შეფასებით, ითვლებოდა „პროგრესულ“, „ანტიმილიტარისტულ“, „კომუნისტურ“, „სახალხო-დემოკრატიულ“ ქვეყნებად, ხოლო შეიარაღებული დაპირისპირება მიმართული იყო იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ, ანუ იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებმაც აირჩიეს განვითარების „არაკაპიტალისტური“ გზა.

უფროსი თაობის თქვენმა მკითხველმა იცის, რომ ტროცკის პერმანენტული რევოლუციებისა და პროლეტარიატის მიერ სოციალისტური რევოლუციების ხანძრის აბრიალების ნაცვლად მსოფლიოში, სტალინმა წამოაყენა და დაასაბუთა დებულება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. საბჭოთა კავშირი ამ დებულების პრაქტიკული დადასტურება იყო, მაგრამ ბოლშევიკებს ხელი არ აუღიათ სოციალიზმის გამარჯვებაზე მსოფლიო მასშტაბით და ამ მიზნის მისაღწევად ეხმარებოდნენ სხვა ქვეყნებს, სადაც ამა თუ იმ დროს ხდებოდა ამბოხება არსებული რეჟიმების წინააღმდეგ. მათ შორის, სამხედრო ძალით დახმარება, იგივე ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებაც იგულისხმებოდა. ამან ცოცხალი ძალის თუ ეკონომიკური შესაძლებლობების უზარმაზარი რესურსი წაიღო. ეს განსაკუთრებით აფრიკულ ქვეყნებზე ითქმის. დიდ ხარჯად დააწვა საბჭოთა ეკონომიკას, მაშასადამე, საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეებს, ჩვენ, ყველას. ხომ გახსოვთ ასეთი გამოთქმა: „ვივა, კუბა! ვავა ცხაკაია!“ *(ვიცინით).*

**— ამერიკაც უზარმაზარ სახსრებს ხარჯავდა.**

— როცა მსოფლიო ორპოლუსიანია, როცა ორი ძალა ერთმანეთსაა დაპირისპირებული იდეოლოგიურად, ეკონომიკით, სამხედრო პოტენციალით, სხვანაირად არც შეიძლება, ყოფილიყო.

**— აშშ ახლაც განაგრძობს „დემოკრატიის ექსპორტს ხიშტების მეშვეობით“...**

— მოქმედების ფორმასა და შინაარსშია განსხვავება, თორემ, მიზანი ფაქტობრივად, იგივეა — მსოფლიოს დაპატრონება. მართალია, იდეოლოგიაში დიდი სხვაობაა, მაგრამ ამის ანალიზს რომ შევუდგეთ, შორს წავალთ. მოგვიწევს იმის გახსენება, რა გააკეთეს ლიბიაში, იუგოსლავიაში, ეგვიპტეში, რა ხდება სირიაში და ა. შ.

**— საბჭოთა კავშირი ამ მიმართულებით გააქტიურდა 1937 წელს, როცა ესპანეთის რესპუბლიკას დაუჭირა მხარი ფრანკოს ფაშისტური ამბოხის წინააღმდეგ სამოქალაქო ომში.**

— განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ამ „მოძრაობამ“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო: კორეა, ალჟირი, ვიეტნამი, ეგვიპტე, ლაოსი, იემენის არაბთა რესპუბლიკა, სირია, ანგოლა, მოზამბიკი, ეთიოპია, გვატემალა, კამბოჯა, ბანგლადეში, ლიბანი. ზოგიერთ ქვეყანაში რამდენიმეჯერ შევსულვართ დახმარების გასაწევად. დასასრულ — ავღანეთი.

**— მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ოფიციალურად არასოდეს აღიარებდა, რომ მისი ქვეყნის მოქალაქეები მონაწილეობდნენ რომელიმე სამოქალაქო ომში.**

— ეგ კი არა, იაპონიის წინააღმდეგ ომში, რომელიც სამოკავშირეო შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა იკისრა, საბჭოთა სარდლები შეცვლილი გვარებით მონაწილეობდნენ.

**— მით უფრო გასაიდუმლოებული იყო სახელმწიფო უშიშროების სისტემის თანამშრომლების მონაწილეობა.**

— ეს გასაკვირი არც არის, ამ სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

**— რა სპეციფიკური სამუშაოს შესასრულებლად იგზავნებოდნენ „ცხელ წერტილებში“ ჩეკისტები?**

— ჯერ ის უნდა ვთქვა, რომ ამგვარ სიტუაციაში ჩვენი პროფესიონალები განსაკუთრებით უფრო სახელმწიფოებრივად აზროვნებენ, ვიდრე სხვა, თუნდაც სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც ობიექტურად შეზღუდულნი არიან თავიანთი პროფესიების ჩარჩოებით. ამასთანავე, ჩეკისტები, უმეტეს ვალდებულებას იღებენ თავიანთ თავზე. ამიტომ იყო, რომ უშიშროებაში მომუშავე ადამიანებს უფრო მეტად ენდობოდნენ. ძალიან რთულ დავალებებს აძლევდნენ.

**— ომის დროს?! შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადამწყვეტი სიტყვა ხომ სამხედროებს ეკუთვნით?!**

— გეთანხმებით. მაგრამ ომის დროს თუ ინფორმაცია არ გექნება, რა ხდება მოწინააღმდეგის ბანაკში, რა სიტუაციაა დაპირისპირების ხაზს იქით, გამარჯვება გარანტირებული არ გექნება. ხომ ასეა?

**— დიახ.**

— ინფორმაცია რომ მიიღო, უნდა გყავდეს პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ მტრის ზურგში მუშაობა. სხვანაირად სრულყოფილად ვერ დაგეგმავ ვერც ერთ ოპერაციას. ავღანეთში ჩვენგან სწორედ ამ საქმის ორგანიზებით იყვნენ დაკავებული **თენგიზ ეპიტაშვილი** (ღმერთმა აცხონოს!) და **ვალერი ჩხეიძე**, რომლებიც შემდგომ გენერლები გახდნენ. ვალერი ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვებათ, როცა უცხოეთში მკურნალობის კურსს დაამთავრებს და საქართველოში დაბრუნდება. სხვებიც იყვნენ, ქართველებზე ვლაპარაკობ, რომლებიც სპეციალური დავალებით იყვნენ უცხოეთის ქვეყნებში მივლინებული.

ჩემი კოლეგები გეგმავდნენ და განახორციელებდნენ ოპერაციებს მოჯაჰედებთან ურთიერთობის, მათი გადმობირების, მათგან ინფორმაციის მიღების და ა. შ. მიზნით.

**— ავღანეთში ყოფნისას კუნდუზის ოლქის უშიშროების სამსახურის უფროსმა მითხრა, რომ მოჯაჰედებიდან ინფორმაციის მიღებას უმთავრესად მათი მოსყიდვით ახერხებდნენ, მაგრამ საინტერესო იყო ის, რომ ჩვენი მხარის მიერ მოსყიდულები კარგ საფასურად ამერიკელებს მიჰყიდიდნენ ხოლმე ინფორმაციას საბჭოთა საჯარისო კონტიგენტის შესახებ. ყველაფერი იყიდებოდა — ინფორმაციით დაწყებული, ნარკოტიკით დამთავრებული. ეს ჩემი თვალით ვნახე.**

— ასეთები, რამდენიც გინდა, იმდენი იყვნენ: საბჭოთა დაზვერვასაც აწვდიდნენ ინფორმაციას და ამერიკელებსაც, კორექტულობა რომ დავიცვათ, ვთქვათ, საველე მეთაურებსაც. ავღანეთში, სადაც ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, სოციალური დაცვა და ა. შ. პრაქტიკულად არ არსებობს, ადამიანები ყიდვა-გაყიდვაზე იყვნენ გადასული. იდეური პრინციპები კი არა, ფული იყო ყველაფრის თავი და ბოლო. ინფორმაცია ნარკოტიკებივით კარგად საღდებოდა...

**— ავღანეთში „საბჭოთა შეზღუდული კონტიგენტის“ ჯარისკაცები იბრძოდნენ. თქვენ გეცოდინებათ, შეეძლო თუ არა ნებისმიერ საბჭოთა მოქალაქეს იმ ქვეყანაში მოხალისედ წასვლა „ინტერნაციონალური მოვალეობის“ შესასრულებლად?**

— არა, რა თქმა უნდა, არა. იქ იბრძოდნენ სამხედრო მოსამსახურეები იმ ნაწილების, რომლებიც აღნიშნულ ქვეყანაში იყვნენ გადასროლილი; ხოლო ჩვენგან — ის თანამშრომლები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ უცხოეთში მუშაობის სპეციალური ერთწლიანი ან ორწლიანი სასწავლო კურსები და ჰქონდათ საკმარისი გამოცდილება, სამოქალაქო პირს იქ არაფერი ესაქმებოდა.

**— ცნობილი ქართველი იურისტი, მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი და, ამასთანავე, ყოფილი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი უკრაინის კონფლიქტში ქართველების მონაწილეობის თემაზე საუბრისას აცხადებს: „უკრაინა ჩვენი მოძმე ქვეყანაა და მხარში უნდა ამოვუდ-** ▶

**«თუ ადამიანი სხვა ქვეყნის ომში თავისი ნებით მიდის, მოხალისეა, რას შეაჩერებ? ამას ახლა ჩათვლიან ადამიანის უფლებათა ხელყოფად — ეს ერთი, და მეორე: არავინ იფიქროს, ეს კაცი საომრად მიდის თუნდაც უმაღლესი პრინციპებისადმი ერთგულების გამო მოძმე ხალხის დასახმარებლად. ასეთები იშვიათი გამონაკლისი იქნება. მიდის იმიტომ, რომ ფულს უხდიან, საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას. ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანები საქართველოში ცოტა როდია. სხვის ჯარში მსახურებით ვითომ იოლად ფულის შოვნა სიცოცხლის ფასად უჯდებათ»**

**«ავღანეთში, სადაც ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, სოციალური დაცვა და ა. შ. პრაქტიკულად არ არსებობს, ადამიანები ყიდვა-გაყიდვაზე იყვნენ გადასული. იდეური პრინციპები კი არა, ფული იყო ყველაფრის თავი და ბოლო»**

**დაურეკავდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამა და ამ რაიკომის მდივნისთვის ან აღმასკომის თავმჯდომარისთვის აეჭედათ სამუშაო კაბინეტის კარი. მილიციელები იმავე დავალებას აძლევდნენ ე. წ. ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ ლიდერებს.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



საბჭოთა ჯარის ნაწილების გამოსვლა ავღანეთიდან

**გეთ, დავეხმაროთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებში. მაგრამ, როცა სამხედრო მხარდაჭერაზეა საუბარი, სიფხიზლეა საჭირო. საქართველო სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში არ უნდა ჩაერიოს... ეს ჩვენი საქმე არ არის".**

— სახელმწიფომ რომ გაგზავნოს, მაშინ იქნება ჩვენი საქმე? ვიეტნამში რომ გზავნიდნენ, მაშინ ღირდა?! რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა თუნდაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში? **თუ ადამიანი სხვა ქვეყნის ომში თავისი ნებით მიდის, მოხალისეა, რას შეაჩერებ? ამას ახლა ჩათვლიან ადამიანის უფლებათა ხელყოფად — ეს ერთი, და მეორე: არავინ იფიქროს, ეს კაცი საომრად მიდის თუნდაც უმაღლესი პრინციპებისადმი ერთგულების გამო მოძმე ხალხის დასახმარებლად. ასეთები იშვიათი გამონაკლისი იქნება. მიდის იმიტომ, რომ ფულს უხდიან, საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას. ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანები საქართველოში ცოტა როდია. სხვის ჯარში მსახურებით ვითომ იოლად ფულის შოვნა სიცოცხლის ფასად უჯდებათ.**

**— ხოლო დასავლეთ უკრაინის პროფაშისტულ უკანონო სამხედრო გაერთიანებებში სამსახური სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება იმ კანონის თანახმად, რომელსაც 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტი განიხილავს.**

— უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების თავაწყვეტილობა, რომელიც საქართველოში გადავიტანეთ, ძალიან ძვირად დაგვიჯდა.

**1989 წელს, როცა დაზვერვის სამსახურიდან იდეოლოგიურში ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ დამაბრუნეს, ჩავიხედე ამ უკანონო გაერთიანებების საქმეებში და, არ დაგიმალავთ, იმან, რაც ვნახე, შემზარა.**

**— ასეთი რა ხდებოდა?**

— პირდაპირ გეტყვით: უკანონო სამხედრო ფორმირება „მხედრიონი" შეიქმნა, ჩამოყალიბდა და დაფინანსდა საქართველოს მთავრობის მიერ.

**— როდის, ბატონო ანზორ?**

— გივი გუმბარიძის ცკ-ს პირველი მდივნობის პერიოდში. ნოდარ ჭითანავა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, შვებულებაში იყო, როცა მთავრობამ „მხედრიონს" სამი მილიონი მანეთი გამოუყო. **„მხედრიონს" პერსპექტივაში უნდა ემოქმედა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ჩამოსაგდებად. ეს რომ ვნახე, შვილებს გეფიცები, ცუდად გავხდი.**

**— დოკუმენტურად დასტურდება, რასაც ამბობთ?**

— რა თქმა უნდა! ეს ნიშნავდა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო და შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროებისთვის გვერდის ავლით, „შეკრულები" იყვნენ და „მხედრიონთან" ერთობლივად მოქმედებდნენ. ამ დროს ინაური უკვე წასულია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობიდან.

თერთმეტჯერ გავაჩერე მანქანები, მხედრიონელების მიერ მილიციის განყოფილებებიდან გატაცებული იარაღით დატვირთული. თერთმეტჯერვე გაუშვეს.

კარების აჭედვების ეპიდემია ხომ გახსოვთ?

**— მახსოვს, როგორ არა.**

— დაურეკავდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამა და ამ რაიკომის მდივნისთვის ან აღმასკომის თავმჯდომარისთვის აეჭედათ სამუშაო კაბინეტის კარი. **მილიციელები იმავე დავალებას აძლევდნენ ე. წ. ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ ლიდერებს და დილით მავან პარტიულ თუ საბჭოთა მუშაკს სამსახურში კარი აჭედილი დახვდებოდა.**

„მხედრიონზე" დამუშავების საქმე პირველად რომ შევქმენი, ეს საქმე ვალერი ჩხეიძეს მიჰყავდა. სახელწოდებაც მახსოვს ამ საქმის „იგროკი" („მოთამაშენი") დავარქვით.

თავიდან არ მაძლევდნენ ამ საქმის შექმნის უფლებას. გენერალი ნოდარ მაისურაძე იყო მაშინ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. შევედი მასთან და ვუთხარი: უფლებას არ მომცემთ და ხვალიდან სამსახურში არ მოვალ-მეთქი.

რატომო, — მკითხა. ვუპასუხე, რომ საქართველოში, ჩვენს ცხვირწინ მოქმედებს შეიარაღებული უკანონო ფორმირება, რასაც უნდა, იმას აკეთებს, ჩვენ არაფერს ვიმჩნევთ, მაგრამ გავა წლები, არც ისე ბევრი, დამიძახებენ და მკითხავენ: ანზორ მაისურაძე, მაშინ სად იყავი, რა გააკეთე „მხედრიონის" პარპაში რომ აღგეკვეთა? ეს ხომ შენი მოვალეობა იყოო და რა უნდა ვუპასუხო? დავბრმავდი თუ უსუსური ვიყავი-თქო? *(ანზორ მაისურაძემ აქ უფრო მწარე სიტყვა იხმარა).*

მომცეს უფლება და, რაც ვნახე, იმან გადამრია: უტყუარად მოქმედებდა ის სქემა — ზოგს კარებს აუჭედავდნენ, ზოგს მიტინგებზე ათახსირებდნენ, რუსეთის აგენტებად და მოღალატეებად აცხადებდნენ.

ეს რომ ვთქვი და ვამხილე, ამითვალწუნეს და არცთუ დიდი ხნის შემდეგ წინ დამხვდა. იძულებული შევიქენი, სამსახურიდან წავსულიყავი.

**— ეს დეტალი ხომ არ არის ერთ წვეთ წყალში არეკლილი დიდი პრობლემა დიდი სახელმწიფოსი: ასე ინგრეოდა საბჭოთა კავშირი?**

— 1979 წელს დავბრუნდი უცხოეთიდან და განვაგრძე სამსახური სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. მაშინ კვირაში ერთხელ თანამშრომლებისთვის ტარდებოდა ე. წ. ჩეკისტური მეცადინეობები. დილის 8 საათზე მივდიოდით კომიტეტში და ორი საათის განმავლობაში განვიხილავდით აქტუალურ თემებს.

ჩვენ, დაზვერვის თანამშრომლებს, სხვებზე უფრო მეტად გვქონდა აზრის გამოხატვის საშუალება. ერთმანეთს თავისუფლად ვუზიარებდით ჩვენს მოსაზრებებს. განსაკუთრებით, საზღვარგარეთ მუშაობისას.

ჰოდა, ვუსმინე, ვუსმინე ჩემი კოლეგების მსჯელობას ამ „ჩეკისტური მეცადინეობის" პროცესში. ისეთ რაღაცებს ამბობდნენ, რაც არ ჯდებოდა ქვეყნის შიგნით განვითარებულ პროცესებში, აცდენილი იყო რეალობას. ავდექი და ვთქვი, ერთმანეთს მაინც ნუ ვატყუებთ-მეთქი. დავასაბუთე ჩემი პოზიცია. მეორე დღეს მიბარებს ინაური. შევედი. მკაცრად მეუბნება (წლების განმავლობაში საბჭოთა ჯარში იყო ნამსახურები და უმეტესად რუსულად ლაპარაკობდა):

— Ты что охолаживаешь моих сотрудников? გულს რად უცრუებო ჩემს თანამშრომლებს.

გამიკვირდა. რა დავაშავე-მეთქი, — ვკითხე. იმ მეცადინეობაზე რა ილაპარაკეო? — სიმართლე ვილაპარაკე, ამხანაგო გენერალო, — ვუპასუხე.

ვის რა ჭირად უნდა შენი სიმართლეო! აქ ინაურმა უცენზურო რუსული გამოთქმა იხმარა.

ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები რატომ მიპასუხა ამ დიდი გამოცდილების კაცმა ასე მწარედ და ხელჩაქნევით: იგი გრძნობდა (ეგებ, იცოდა კიდეც), რომ უკვე დაწყებული იყო საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესი და ჩვენი სიმართლე და პრინციპულობა ველარაფერს უშველიდა.

აი, ასე — სიმართლის დამალვით და ერთმანეთის მოტყუებით დაინგრა ის ქვეყანა — საბჭოთა კავშირი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# «კამელინის» ფარმაკოლოგიური მოქმედება და გამოყენების ჩვენებები

**„კამელინი" ქართული წარმოების ორიგინალური, 100%-ით ნატურალური, მაღალეფექტური, არატოქსიკური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია; გამოირჩევა ორგანიზმში შეყვანის გზების მრავალფეროვნებით: „კამელინი-მ1" ინიექციაა, „კამელინი-მ2" — კაფსულები, „კამელინი-მ3" — მალამო, „კამელინი-მ4" — სუპოზიტორი, „კამელინფლუ" — სპრეი.**

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამედიცინო დეპარტამენტის სრული პროფესორი ციცინო გაგნიძე:**

„კამელინი" იმუნომოდულატორული აქტივობის გამაძლიერებელი საშუალება, ანტიოქსიდანტია; არეგულირებს უჯრედოვანი იმუნური სისტემის მუშაობას და იცავს ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებისგან. „კამელინი" შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპლექსურ თერაპიაში სხვადასხვა პათოლოგიის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ პათოგენეზში ადგილი აქვს იმუნოპათოლოგიურ ფაქტორებს. შესწავლილ იქნა პრეპარატ „კამელინის" ანტიოქსიდანტური აქტივობა. ექსპერიმენტებში გამოყენებული იქნა კამელინის ხუთივე ფორმის პრეპარატი, მაგრამ აქცენტი „კამელინ-მ2"-ზე, კაფსულებზე გაკეთდა.

კვლევებიდან გამომდინარე, დაასკვნეს, რომ ზრდასრულ ადამიანებში (ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მოთხოვნის საშუალო სადღეღამისო ნორმა 360 მგ-ს შეადგენს) „კამელინის" 2-3 კაფსულა სრულიად უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ მოთხოვნებს.

**„კამელინ-მ1"** ეფექტურია, როგორც იმუნომოდულატორი, ანტიოქსიდანტი, ანტიბაქტერიული, რეგენერაციული, ანტივირუსული საშუალება. ახდენს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს, შემაკავებლად მოქმედებს სიმსივნურ ზრდაზე.

**„კამელინ-მ2"**-ს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, აქტიურად მონაწილეობს ქსოვილების შეხორცებაში, ხელს უწყობს კოლაგენის ჩალაგებას დაზიანების ადგილას; გამოიყენება ვირუსული, ბაქტერიული, სოკოვანი ინფექციების, სიმსივნური დაავადებების, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული დაავადებების, პოლინეიროპათიების, პოსტოპერაციული და ტრავმების დროს.

**„კამელინ-მ3"**-ს გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, ააქტივებს იმუნიტეტს, აჩქარებს შეხორცების პროცესს.

**„კამელინ-მ4"** ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, იმუნომოდულაციისა და რეპარაციული პროცესების გამაძლიერებელი ეფექტის მქონე პრეპარატია, აჩქარებს რეგენერაციის პროცესებს, აძლიერებს ადგილობრივი იმუნური ბარიერის ფუნქციონირებას. პრეპარატი „კამელინი" როგორც მეცნიერთა, ასევე პრაქტიკოს ექიმთა დიდ ინტერესს იწვევს. მათთვის ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლები და კვლევებში ჩართული ექიმები დამოუკიდებელ თემატურ კონფერენციებს, კლინიკურ კვლევებზე დამყარებული შედეგების პრეზენტაციებს აწყობენ. კომპანია ასევე აქტიურად იღებს მონაწილეობას სამედიცინო საზოგადოების მიერ გამართულ კონფერენციებსა და ღონისძიებებში. საქართველოსა და საზღვარგარეთ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა პრეპარატის ჩვენების მრავალმხრივობა. იგი გამოიყენება სტომატოლოგიაში, რევმატოლოგიაში, ქირურგიაში, უროლოგიაში, გინეკოლოგიაში, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების სამკურნალოდ და სხვ.

„კამელინი" ფართოდ გამოიყენება ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი ინფექციების, ასევე ვაგინალური, საშვილოსნოს ყელის ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოს ყელის ეროზიების, ფიბრომატოზულ-კისტოზური მასტოპათიების, სახსრების დისტროფიულ-დეგენერაციული დაავადებების შემთხვევაში. სახსრების ხრტილოვანი ფუნქციონირებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი ორგანული მჟავები, რომლებითაც მართლაც ძალიან მდიდარია „კამელინი". მისი მიღებისას ეს ნივთიერებები უშუალოდ ერთვებიან ხრტილოვანი ქსოვილის მშენებლობის პროცესში, რის შედეგადაც ხდება ტკივილების კუპირება, შეზღუდული მოძრაობა მკვეთრად უმჯობესდება.

გამოყენების ჩვენებები

- კანის, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი და ხანგრძლივი შეუხორცებელი ჭრილობები, ტროპიკული წყლულები, ფურუნკული, პანარიციუმი, დამწვრობები, ნაწოლები;
- კანის დაავადებები;
- ოპერაციის შემდგომი პერიოდი: ჭრილობების შეხორცება;
- ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი ინფექციები;
- ტრავმები და დაჟეჟილობები;
- სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული დაავადებები, ართრიტები, ართროზები;
- სიმსივნური დაავადებები;
- პოლინეიროპათიები;
- ვაგინალური ინფექციები;
- პროსტატიტები, პროქტიტები, სწორი ნაწლავის ნახეთქები, ბუასილი;
- სტომატოლოგიური დაავადებები;
- პირის ღრუსა და ყელის ინფექციები: ფარინგიტი, ლარინგიტი, (კატარალური ანგინა) სტომატიტი, წყლულოვანი გინგივიტი, როგორც დამხმარე საშუალება ქრონიკული ტონზილიტის დროს.

**ვლადიმერ. თ. 56 წლის,** ყვება, რომ 2007 წლიდან ჯერ კიდურებზე, შემდეგ კი მთელ ტანზე გაუჩნდა სისხლჩაქცევები, რომლებიც პერიოდულად ქრებოდა. მაშინ საქართველოს ნავიგაციაში მუშაობდა და შესაბამისად ალდაგის 100-პროცენტიანი სადაზღვევო პაკეტის საშუალებით ჩაიტარა ყველაზე საუკეთესო კლინიკებსა თუ ლაბორატორიებში გამოკვლევები (სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზი, სისხლის შედედების ფაქტორების განსაზღვრა, თრომბოციტების საწინააღმდეგო აუტოანტისხეულების გამოვლენა და სხვ.). დაუდგინდა აუტოიმუნური თრომბოციტოპენიური პურპურა. თრომბოციტების რაოდენობა გამაოგნებელი იყო — ერთი ერთეული. დაენიშნა მედიცინაში აპრობირებული კომპლექსური მკურნალობა მედიკამენტებით. 2 თვის მკურნალობის მიუხედავად, პაციენტის მდგომარეობა უფრო დამძიმდა, დაიკლო წონაში, საუბარი და სიარულიც უჭირდა. საბოლოოდ გადაწყდა სპლენექტომია-ელენთის ამოკვეთა, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა და უიმედოდ დაიწყო მკურნალობა კამელინით. 1 თვეში თრომბოციტების რაოდენობა 172-მდე ავიდა, მოუწესრიგდა ღვიძლის, ფილტვის პრობლემებიც (10 დღეში ფილტვში წყალი არ არენიშნებოდა). პაციენტი შრომისუნარიანია და პროფილაქტიკური თვალსაზრისით წელიწადში ორჯერ იტარებს „კამელინით" მკურნალობის კურსს.

მოამზადა
**მაია ცომაია**

**«კამელინთან» დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33**

www.camelyn.ge

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ლადო ჭანტურიას და ანა დოლიძეს ასახელებენ. კანდიდატები, ერთი შეხედვით, მისაღებია, მაგრამ ადამიანმა, რომელიც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნება, უნდა იცოდეს, რომ ქვეყანაში, სულ ცოტა, 220 პოლიტიკური პატიმარი იყო, მათ დაპატიმრებაში კი 100 მოსამართლე მაინც არის დამნაშავე“.**

# «მარგველაშვილმა ბევრჯერ შელახა ქვეყნის ისედაც შელახული რეპუტაცია»

**უკვე მესამე წელიწადია, ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია, მაგრამ ამ პროცესში, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს, ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — კოტე კუბლაშვილს ასახელებენ. დღეს კოტე კუბლაშვილს, როგორც იქნა, ამოეწურა თანამდებობაზე ყოფნის ათწლიანი ვადა და ქვეყანა ახალი თავმჯდომარის მოლოდინშია. საქართველოს მართლმსაჯულებას კი ბევრი ხარვეზი აქვს გამოსასწორებელი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის დასახელების პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებზე ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე და ადვოკატი ირმა ჭკადუა გვესაუბრებიან.**



**პეტრე მამრაძე:**

## დღევანდელ ხელისუფლებაში პრინციპულობის ფასი ნული თეთრია

**პეტრე მამრაძე:**

**— ბატონო პეტრე, პრეზიდენტმა ძალიან მოკლე ხანში დაკარგა ხალხის ნდობა. მის მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დანიშნული კადრები მოსაწონი არავისთვის იყო... დღეს ხალხი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მოლოდინშია — საქართველოში უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე უნდა დაინიშნოს, თანაც — ათი წლით. როგორია თქვენი მოლოდინი — სანდო იქნება პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი?**

— პირველ რიგში, დაგეთანხმებით, რომ მარგველაშვილმა ხალხის ნდობა დაკარგა. **დღიდან გაპრეზიდენტებისა, გიორგი მარგველაშვილმა, რომელსაც ჯერ ბიძინა მარგველაშვილი შეარქვეს, შემდეგ — პლასტელინი, არ შეასრულა თავისი პირდაპირი მოვალეობა და ფიცი გატეხა. მარგველაშვილმა ბევრჯერ შელახა ქვეყნის ისედაც შელახული რეპუტაცია.** ის ექვმიტანილია სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მცდელობაში, მაგრამ ძალიან კარგია, რომ არ შეასრულებს პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის დავალებას. **თავიდანვე გათვლილი იყო, რომ ღარიბაშვილს უნდა დამორჩილებოდა ხელისუფლება, მათ შორის, საკანონმდებლო; უნდა შესრულებულიყო ღარიბაშვილის ყველა მოთხოვნა ისე, რომ განხილვას არ დაქვემდებარებოდა, რაც კარგი არ არის და ახლა ამ მორჩილებას პრეზიდენტი არღვევს.**

თუ ამ კუთხით განვიხილავთ მარგველაშვილის დამოუკიდებლობის სურვილს, მაშინ გამართლებული პოზიციაა. **მარგველაშვილის გაბუტვა ივანიშვილთან, ირაკლი ალასანიას გუნდის გასვლა უმრავლესობიდან — ეს ის საკითხებია, რომლებიც პლურალიზმისთვის აუცილებელია.**

არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ მარგველაშვილმა ყველასთვის მისაღები კანდიდატურა წარმოადგინოს, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ძალიან რთული საქმეა.

**— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრეზიდენტმა თავის ადმინისტრაციაში სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხების გადასაწყვეტად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე კახა კოჟორიძე მიიყვანა, ხომ შეიძლება, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატი ხალხისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს? პრეზიდენტმა ამ საკითხის გასარკვევად ეკა გიგაური, კახა კოჟორიძე და ნინო ლომჯარია დაიბარა...**

— გვარებს მოვწყდეთ და შევხედოთ იმ კუთხით, რომ პრეზიდენტი არასამთავრობოებს ეკითხება აზრს და არა — ღარიბაშვილს, რომელიც მას სხვა ადამიანის მეშვეობით გადასცემს თავის მოსაზრებას, რაც უკვე კარგია.

სამწუხაროდ, **წლების განმავლობაში ვხედავდით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციიდან ხელისუფლებაში მოსული ადამიანები, პარლამენტში იქნებოდა ეს თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მყისიერად იცვლებოდნენ და ნაცვლად პრინციპულობისა და ფასეულობების დაცვისა, რეჟიმს ემსახურებოდნენ.** გავიხსენოთ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდი და ის ადამიანები, რომლებიც მის ხელისუფლებაში არასამთავრობოებიდან იყვნენ მობილიზებული. თუმცა ასე შორს წასვლაც არ გვინდა, — ამჟამინდელ პარლამენეტსაც რომ გადავხედოთ, ამის ნათელი სურათი დაგვიდგება თვალწინ. გახსოვთ, ალბათ, უახლესი წარსული, როგორ იცავდნენ პროკურორ ფარცხალაძეს „ქოცები“, რადგან ღარიბაშვილს ასე სურდა. სულ ვფიქრობდი, ეს ადამიანები პარლამენეტში რომ არ იყვნენ, მაშინ როგორი რეაქცია ექნებოდათ-მეთქი. **დღევანდელ ხელისუფლებაში პრინციპულობის ფასი ნული თეთრია.**

დამღუპველია, როდესაც ერთი ადამიანი ისე მართავს ქვეყანას, როგორც სააქციო საზოგადოებას, ანუ მართვის პაკეტი ერთი ადამიანის ხელშია, ამიტომ სწორია პოზიცია, როდესაც პრეზიდენტი პრემიერ ღარიბაშვილს წინააღმდეგობას უწევს.

არ იფიქროთ, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი შეარჩევს ზუსტად იმ კანდიდატს, რომელსაც ხალხი ენდობა. ამის გარანტია არ გვაქვს. უზანაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა ურთულესი პროცესია, განსაკუთრებით — საქართველოში, რადგან ძნელია, ჩვენს ქვეყანაში იპოვო ადამიანი, რომელიც თავის კეთილდღეობაზე მაღლა დააყენებს უზენაეს პრინციპს — იყოს დამოუკიდებელი ხელისუფლების შტოებისა და ადამიანებისგან.

**— როგორც გატყობთ, მოგწონთ მარგველაშვილის პოზიცია, უფრო ზუსტად, სიჯიუტე ამ საკითხის მიმართ... ხომ არ იცით, ვისი დასახელება სურს საპარლამენტო ოპოზიციას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე?**

— „სეკვესრტირებულ“ პრეზიდენტს დარჩა უფლება, — დანიშნოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ის ამ უფლებით ისარგებლებს, რაც შეეხება **„გაქოცებულ“ „ნაცებს“, თუ პირიქით, „განაცებულ“ „ქოცებს“, ისინი შეეცდებიან, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატი ჩააგდონ და მხარი დაუჭირონ იმ ადამიანს, რომელიც ღარიბაშვილის ერთგული იქნება და მის ბრძანებებს უსიტყვოდ დაემორჩილება.**

**— გამოდის, მარგველაშვილის კანდიდატის მომხრე უფრო იქნებით, ვიდრე ღარიბაშვილის?**

— მარგველაშვილი ძალიან არამყარი ადამიანია, ამიტომ შესაძლოა, ისეთი კანდიდატი წარმოადგინოს, რომ საზოგადოებამ პარლამენტს მისი ჩაგდებისკენ მოუწოდოს.

კოტე კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს ნომინალური თავმჯდომარე იყო, საზოგადოებამ შესანიშნავად იცოდა, რომ ზურაბ ადეიშვილი, რომელიც ჯერ გენპროკურორი იყო და შემდეგ — იუსტიციის მინისტრი, ხელმძღვანელობდა სასამართლოს ყველა ინსტანციას. **გამოცდილი სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ადეიშვილი კუბლაშვილთან დარეკვასაც კი არ კადრულობდა, თავის მოადგილეს აძლევდა დავალებას და კუბლაშვილის გვერდის ავლით ყველა საქმეს აწარმოებდა.** ეს იყო სამარცხვინო ამბავი. საერთაშორისო ანგარიშებში საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ხშირად წერდნენ: „საქართველოში არ არის უდანაშაულობის პრეზუმფცია და სასამართლო“; „დასავლეთი საქართველოს დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნაში ეხმარებოდა, ხოლო მივიღეთ სასამართლო, რომლის გამოც ხალხი ქვეყნიდან გარბის“.

სამწუხაროდ, ჩვენთან სტრუქტურები ისე არ არის განვითარებული, რომ, თავისუფალ მასმედიასთან ერთად, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი აკონტროლოს, ამიტომ ასეთ შემთხვევაში პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს, ძლიერი, დამოუკიდებელი ადამიანი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს, არამედ იყოს პრინციპული და არავის დავალება არ უნდა შეასრულოს. თუმცა ადამიანი, რომელიც თავის კეთილდღეობაზე მაღლა პრინციპს დააყენებს, ძნელი მოსაძებნია.

**სკეპტიკურად ვუყურებ ამ პროცესს, რადგან მეეჭვება, რომ ჩვენნაირ ქვეყანაში განხორციელდეს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი მართლმსაჯულება. არსებობს სტატისტიკა: ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობა უკიდურესად შეჭირვებულია, დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს.**

სააკაშვილმა სასამართლო პროკურატურის მორჩილ ფილიალად აქცია, ეს დღემდე გრძელდება. მოსამართლე დღესაც ფიქრობს, რომ პროკურატურა მისი ზემდგომი ინსტანციაა.

მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვაღიარო, რომ დღეს უფრო იმედიანად ვარ — როგორიც უნდა იყოს ჩვენი პლასტელინი პრეზიდენტის მოტივაცია, სასარგებლოა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის.



**ირმა ჭკადუა:**

## პარლამენტარები ხალხის ნებას არ გამოხატავენ, ნდობის მანდატი, რომელიც მათ ხალხმა მიანიჭა, ამოიწურა!

**ირმა ჭკადუა:**

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ათი წლით ვირჩევთ, ამიტომ უნდა დაინიშნოს ისეთი ადამიანი, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ იქნება ასოცირებული.

პრეზიდენტი იურისტი არ არის, მან აუცილებლად უნდა გაიაროს კონსულტაცია ყველა იმ ჯგუფთან, რომლებიც ამ საკითხში კომპეტენტური არიან. არასამთავრობო სექტორი უნდა შეჯერდეს რამდენიმე კანდიდატზე, სასურველია, პრაიმერიც ჩატარდეს. ადამიანი, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდება, დიდი ნდობით უნდა სარგებლობდეს ამ სფეროში, მას უნდა ენდობოდნენ მოსამართლეებიც, პროკურორებიც და ადვოკატებიც.

**— ხომ არ იცით, სავარაუდო კანდიდატები ვინ არიან?**

— კულუარული ინფორმაციით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატად **ლადო ჭანტურიასა და ანა დოლიძეს** ასახელებენ. კანდიდატურები, ერთი შეხედვით, მისაღებია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ — ადამიანმა, რომელიც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნება, უნდა იცოდეს, რომ ქვეყანაში, სულ ცოტა, 220 პოლიტიკური პატიმარი იყო და მათ დაპატიმრებაში 100 მოსამართლე მაინც არის დამნაშავე. უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს მოუწევს ძალიან ხისტი და არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა.

**— ანა დოლიძე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარეა, როგორ ფიქრობთ, მას ნდობას გამოუცხადებენ? პრეზიდენტის მრჩევლად კახა კოჟორიძის დანიშვნამ ხომ ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია?**

— დიდი ხანია, ანა დოლიძე ყველაფერს ჩამოშორდა და ამერიკაში წარმატებით მოღვაწეობს. თანაც, წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია, რადგან, თუ წარმოდგენილი კანდიდატი პარლამენტისთვის მისაღები არ იქნება, ვერ დაინიშნება.

კადრების პრობლემაა, თანაც პრეზიდენტი ამ საქმეში ვერ ერკვევა. რაც შეეხება კახა კოჟორიძეს, მან ბევრი ისეთი ადამიანის ისტორია იცის, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან საპატიმროებში და უკანონო პატიმრები არიან, პრეზიდენტს კი შეწყალებაზე ექსკლუზიური უფლება აქვს და ვფიქრობ, ამ საკითხების გადაწყვეტაში კოჟორიძე დაეხმარება. პრეზიდენტმა ციხიდან უნდა დაიხსნას ეს ადამიანები, მაგალითად, გია გვიჩიანი ციხიდან აუცილებლად უნდა გამოიყვანონ.

ქვეყანაში ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს, შესაძლოა, ხარვეზები იყოს, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ პროცესი კარგია.

ისე, ადვოკატები ძალიან გულდაწყვეტილები ვართ ჩვენი ყოფილი კოლეგების მუშაობით პარლამენტში.

**— ალბათ, მანანა კობახიძესა და ეკა ბესელიას გულისხმობთ...**

— და კიდევ — შალვა შავგულიძეს. მანანა კობახიძე, ეკა ბესელია და შალვა შავგულიძე ჩვენთან ერთად იბრძოდნენ იმ ხარვეზების წინააღმდეგ, რომლებიც „ნაციონალების“ პერიოდში იყო, მაგრამ დღეს აღარც კი ახსოვთ. არადა, პრობლემის მოგვარებას ერთი სასესიო კვირა სჭირდება. **პარლამენტარები ხალხის ნებას არ გამოხატავენ, ნდობის მანდატი, რომელიც მათ ხალხმა მიანიჭა, ვერ გაამართლეს.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

„საქართველოს სომხები მიხვდნენ, რომ ქვეყნის სათავეში მყოფ ზოგიერთ პიროვნებას საქართველოს ბედი საერთოდ არ აინტერესებს და სიტუაციის გამოყენებას შეეცადნენ. თუ სომხური სეპარატიზმი კიდევ უფრო გაღრმავდება, მაშინ საქმეში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელები ჩაერევიან, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებითაა დაინტერესებული“.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სომხეთმა ექსპანსიის ახალი ტალღა დაიწყო — საქართველო 450 ქართულ ტაძარს კარგავს!

**საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ანტიეროვნული ძალა აშკარად რომ დომინირებს, უკვე ცხადია. ამ ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად ბოლო ოცი წლის განმავლობაში ტერიტორიები დავკარგეთ, გადავიტანეთ სამი ომი და სახელმწიფო პრაქტიკულად მოიშალა. აი, ამ მოშლილ ქვეყანაში კი ყველანაირმა სარეველამ იხარა — თურქებმა აჭარაში მცოცავი რელიგიური ექსპანსია დაიწყეს, ცალკე სომხებმა მიჰყვეს ხელი ქართული ისტორიული ძეგლების მიტაცებას, აზერბაიჯანმაც გამოგვიცხადა ტერიტორიებზე პრეტენზია... მოკლედ, საჯილდაო ქვა გავხდით და ახლა, ვინც მეტ გრანტს დახარჯავს ჩვენი გრანტიჭამია პოლიტელიტის გასაძლომად, ბურთიც მისია და მოედანიც...**

## ვიდრე «ქოცები» სათავეში ყოფნის მესამე, «გაბრწყინების» წელიწადით ტკბებიან, სომხური ლობი სამარეს გვითხრის

ეჩმიაძინი 450 ქართულ ტაძარს გვედავება. შესაბამისი მოთხოვნით მათ უკვე მიმართეს საქართველოში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს და წარმოადგინეს იმ ძეგლების ნუსხაც, რომლებიც მიაჩნიათ, რომ სომხური ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. როგორც სააგენტოში ამბობენ, ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხის განხილვა მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილება თითოეული ძეგლის შესწავლის შემდეგ უნდა მიიღონ. **პროცესში ქართველ სპეციალისტებთან ერთად ჩართული არიან სომხური მხარის წარმომადგენლებიც, მაგრამ სომხები ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების პარალელურად იუნესკოსაც მიმართავენ, — საქართველო ისტორიულ ძეგლებს გვართმევს, გვიშველეთო.**

თავისი ინტერესებისთვის იბრძვის აზერბაიჯანიც. ბაქოში საქართველოს მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიქვამენ ეჩმიაძინის გააქტიურებას და ამ ყველაფერს მოსალოდნელი სომხური სეპარატიზმის ფრთაში ხედავენ. აი, რა განაცხადა წინა კვირას რადიო „ექოსთან“ ინტერვიუში აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა, „პოლიტიკური ინოვაციების ცენტრის“ დირექტორმა **მუბარიზ აჰმედოღლუმ:** „საქართველოში ბოლო ხანს სომხური სეპარატიზმი ძალას იკრებს. ერთ-ერთი „პოლიტპატიმარი“, ციხიდან გათავისუფლებული ვაჰაგან ჩახალიანი მთავარი სეპარატისტია. გარდა ამისა, საქართველოში არსებულ სომხურ სეპარატიზმს მხარს თვით სომხეთი უჭერს. ამ ანტიქართულ დესტრუქციულ ქმედებაში თავისი წვლილი შეაქვს ევროპის სომხების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს — გასპარ კარაპეტიანს. იგი საქართველოში ამას წინათ ჩამოვიდა, შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელებს, აგრეთვე, სომეხ სეპარატისტებს“.

იმავე ინტერვიუში აჰმედოღლუმ დასძინა: **„საქართველოს სომხები მიხვდნენ, რომ ქვეყნის სათავეში მყოფ ზოგიერთ პიროვნებას საქართველოს ბედი საერთოდ არ აინტერესებს და სიტუაციის გამოყენებას შეეცადნენ. თუ სომხური სეპარატიზმი კიდევ უფრო გაღრმავდება, მაშინ საქმეში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელები ჩაერევიან, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებითაა დაინტერესებული“.**

რეალურად შევხედოთ ამ ყველაფერს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის შეიარაღებული კონფლიქტი თვით „ყოვლისშემძლე“



ნატოს არ უღირს, რომელი საერთაშორისო მოთამაშე და მსოფლიო ასპარეზზე პოლიტიკური ამინდის შემქმნელი სუბიექტია აზერბაიჯანი, რომ უცხო ქვეყნის დასაცავად ასეთ ნაბიჯზე წავიდეს?! მაშ, რაშია საქმე, **რა ინტერესი აქვს ოფიციალურ ბაქოს? რატომ გვაფრთხილებენ ასე პირდაპირ და დაუფარავად — თუკი სომეხ სეპარატისტებს არ მიხედავთ, ჩვენ ვიცით და ჩვენმა ბიჭობამო.** ყველაფერი ძალზე მარტივია, — **სომხეთიც, თურქეთიც და აზერბაიჯანიც მოქმედებენ საკუთარი ინტერესებით, ცდილობენ, რეგიონში თავიანთი გეგმით, სცენარით განხორციელდეს გარდაუვალი პოლიტიკური ცვლილებები და ამ პროცესში რაც მეტ ტერიტორიას წაგლეჯავენ, ამოცანაც მით უფრო ზუსტად იქნება შესრულებული.** აქ, სამხრეთ კავკასიაში, ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ არეალში, ერთადერთი ჩვენ, ქართველები, ვართ უუნარო ხელისუფლების ამარა დარჩენილი და ამას გვაძახებენ კიდეც ერთგვარი ნიშნისმოგებით... **აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმაც პირში გვიძრახა მწარე სიმართლე: სომხები გრძნობენ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისთვის არ მუშაობს და ხელისუფლების წარმომადგენლები სულაც არ დარდობენ სახელმწიფოს განმტკიცებაზე.** ძნელია, ამ კაცს შეედავო — „ნაცსექტის ბელადმა“ ცხრა წლის განმავლობაში ხომ ყველაფერი გააკეთა ეროვნული ცნობიერების დასამარხავად, ბოლოს თურქეთის 10 ათასამდე მოქალაქეს ქართული პასპორტები დაურიგა და ისედაც ისლამური ექსპანსიის ქვეშ მგმინავი აჭარა თურქეთის ულუფად აქცია.

რაც შეეხება სომხებს, **გაიხსენეთ 2011 წლის 10 ივნისს სომეხთა პატრიარქის — გარეგინ მეორეს ვიზიტი თბილისში და სამების საკათედრო ტაძრიდან გაკეთებული განცხადებები: საქართველოში ჩამოვედი, რათა პასუხი მოიძებნოს ორ ეკლესიას შორის დღემდე გადაუწყვეტელ საკითხებზეო...**

იმ ვიზიტიდან მალევე **„ნაცხროვამ“ ცვლილებები შეიტანა სამოქალაქო კოდექსში და ხუთი რელიგიური კონფესია, მათ შორის გრიგორიანულიც, სტატუსით მართლმადიდებლობას გაუთანაბრა.** „დემოკრატიის ტრუბადურებმა“ მაშინ ეს ცვლილება ევროპული ღირებულებებისკენ გაკეთებულ გიგანტურ ნახტომად შეაფასეს, მაგრამ რეალურად სად და რას დავახტით, ყველა ვხედავთ, — **„დაშნაკები“, ხუთის ნაცვლად, უკვე 450 ქართულ ტაძარს გვედავებიან, ისტორიულ სიწმინდეებს ცხვირწინ გვაცლიან და... ქვები ღაღადებენ კი არა, ისე გაჰკივიან, წმინდა ილია მართლის ძვლები ლამის საფლავიდან ამოცვივდეს...** ამაზეა ნათქვამი, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, **სწორედ რომ უპატრონო ქვეყანაა საქართველო, თორემ ჩვენ რომ ეროვნული ხელისუფლება გვყავდეს, სომხური სეპარატიზმის ნაკვერჩხალს რა ეშმაკი გააღვივებდა.**

სხვათა შორის, დასაწყისში კულტურის სამინისტრო ვახსენე და აი, რა განაცხადა ამ უწყების მესვეურმა **მიხეილ გიორგაძემ** სომხეთის მოთხოვნაზე: „კულტურის სამინისტროს კომპეტენცია ნამდვილად არ არის რელიგიური კუთვნილების გამორკვევა. **ამ სიაში მოხსენიებულ და სხვა კულტურულ ძეგლებსაც ჩვენ ვუდგებით, როგორც ძეგლებს, მიუხედავად მათი კუთვნილებისა“.**

მოკლედ, **კულტურის მინისტრმა ხელი დაიბანა — მისთვის ის ტაძრები მხოლოდ კულტურული ძეგლებია და საქართველოს კუთვნილება იქნება, სომხეთის თუ ტანზანიის, მისთვის სულერთია. საერთოდ, დიდი ხანია, ამ ქვეყანაში ყველას ყველაფერზე ხელი აქვს დაბანილი — მთავრობასაც, მართლმსაჯულებასაც და ამ ყველაფრის „უზენაეს შემოქმედს“ — „ყოვლისშემძლე“ ოლიგარქსაც კი.** ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ უპატრონო ქვეყანა ვართ და, უძაღლობას ვინ ჩივის, კატების ყეფაც სანატრელია. არადა, საფრთხე კარსაა მომდგარი — **ვიდრე „ქოცები“ სათავეში ყოფნის მესამე, „გაბრწყინების“ წელიწადით ტკბებიან, სომხური ლობი სამარეს გვითხრის...**

**ჯაბა ჟვანია**

**გაიხსენეთ 2011 წლის 10 ივნისს სომეხთა პატრიარქის — გარეგინ მეორეს ვიზიტი თბილისში და სამების საკათედრო ტაძრიდან გაკეთებული განცხადებები: საქართველოში ჩამოვედი, რათა პასუხი მოიძებნოს ორ ეკლესიას შორის დღემდე გადაუწყვეტელ საკითხებზეო... იმ ვიზიტიდან მალევე «ნაცხროვამ» ცვლილებები შეიტანა სამოქალაქო კოდექსში და ხუთი რელიგიური კონფესია, მათ შორის, გრიგორიანულიც, სტატუსით მართლმადიდებლობას გაუთანაბრა**

მსოფლიო

## ალექსანდრე ლუკაშენკო: უკრაინის მაგალითიდან ჩანს, რა შეიძლება მოჰყვეს ევროკავშირთან და აშშ-თან მეგობრობას

**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ გამოცდა, რომელიც წილად ხვდა ევროპისკენ სავალ გზაზე უკრაინას, არის ქაოსი. ბელარუსს კი რუსეთს ვერავინ შეუცვლის — ვერც ევროკავშირი და ვერც აშშ.**

„ჩვენ რუსეთთან მრავალფორმატიანი ურთიერთობა დავამყარეთ და ერთმანეთს ისე მოვეპყრობით, როგორც ძმური სახელმწიფოები. როდესაც ჩვენ გვიჭირდა, რუსეთი ყოველთვის მხარში გვედგა. რუსეთს ვერავინ შეგვიცვლის. და როდესაც დიალოგს ვმართავთ დასავლეთთან, ევროკავშირთან ან ამერიკასთან, ვსვამთ კითხვას — თქვენ შეგვიცვლით რუსეთს? — არა. მაშინ რატომ გვითრევთ ჩვენს საწინააღმდეგო საქმეში? მოძმე უკრაინის მაგალითმა დაგვანახა, რა მოსდევს ევროკავშირთან და აშშ-თან მეგობრობას. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ გამყიდველები და არც ახლა ვიქნებით!“ — განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ ეროვნული საკრებულოს წარმომადგენლობით პალატაში სიტყვით გამოსვლისას.



პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იუმორი, სატირა, გროტესკი, თავისთავად, ცუდი არ არის, მაგრამ ადამიანი ვალდებულია, იქონიოს მცირე სულიერი კულტურა მაინც და ესმოდეს, რომ არის ისეთი რამ, რაზეც ხუმრობა კატეგორიულად დაუშვებელია! ადამიანი ვალდებულია, არ გადააბიჯოს ზნეობის ზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ემსგავსება პირუტყვს, ან, რაც გაცილებით უფრო უარესია, ემსგავსება ეშმაკს!“**



## ლე პენი: პარიზში მომხდარი ტერაქტები უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა დაგეგმეს

**საფრანგეთის მემარჯვენე პარტია „ნაციონალური ფრონტის“ დამფუძნებელი ჟან-მარი ლე პენი თვლის, რომ საფრანგეთში 7-9 იანვარს მომხდარ ტერორისტულ აქტებში, რომელთა შედეგადაც 17 ადამიანი დაიღუპა, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ხელი ურევია. იუწყება ბრიტანული გამოცემა „ინტერპენდენტი“.**

ფრანგმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ ჟურნალ „შარლი ებდოს“ რედაქციაზე თავდასხმა ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების აგენტებმა დაგეგმეს საფრანგეთის ხელისუფლების ხელშეწყობით.

„ნაციონალური ფრონტის“ საპატიო პრეზიდენტს თავისი ვერსიის დასამტკიცებლად მოჰყავს ის ფაქტი, რომ პარიზული გამოცემის რედაქციაზე განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილის (კუაშის) პასპორტი იპოვეს ავტომობილში, რომლითაც ბოროტმოქმედი მიიმალა.

**ჟან-მარი ლე პენმა ეს „დაუჯერებელი ფაქტი“ შეადარა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მომხდარს, როცა ნიუ იორკში, სავაჭრო ცენტრზე თავდასხმიდან ცოტა ხანში, ერთ-ერთი ტერორისტის პასპორტი ქუჩაში იპოვეს.**

**გარდა ამისა, ლე პენმა პარიზში გამართული მარშის მონაწილეებს ჩარლი ჩაპლინები უწოდა.**

## მამა თეოდორე: არც «შარლი» ვარ და არც — ტერორისტი!

**7 იანვარს პარიზში მომხდარ სასაკლაოზე გვესაუბრება თბილისის ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე:**



**— მამაო, როგორ შეაფასებთ მართლმადიდებლური შობის დღეს პარიზში მომხდარ სისხლიან მოვლენას?**

— ეს იყო ტერორისტული აქტი, რომელსაც გამართლება არ აქვს! აგრეთვე, არ აქვს გამართლება მოკლული ფრანგი ჟურნალისტების მოღვაწეობასაც!

**— ქრისტიანის თვალსაზრისით, სად ხედავთ მიზეზებს, რომელმაც ეს სისხლისღვრა გამოიწვია?**

— მინდა, იგავური სიუჟეტი დავხატო: ვთქვათ, მეტროპოლიტენის ვაგონში ან რომელიმე დაწესებულებაში შემოგვივარდა შეიარაღებული ადამიანი. მისი ფსიქიკა არაჯანსაღ მდგომარეობაშია. ეს ადამიანი რაღაცას მოითხოვს და თანაც სროლით გვემუქრება. წარმოიდგინეთ, რომელიმე ჩვენგანი ადგეს და იმის ნაცვლად, რომ ეს ეგზალტირებული თავდამსხმელი დაამშვიდოს, დაუწყოს მას გინება, შეურაცხყოფა, დამცირება და ა. შ., ანუ, ფაქტობრივად, ცეცხლზე ნავთი დაასხას. შეიარაღებული აღგზნებული ადამიანი აუცილებლად დაიწყებს სროლას, მოკლავს შეურაცხმყოფელსაც და იქ მყოფ სხვა ადამიანებსაც, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ. ვსვამ კითხვას: ვისი ბრალია ადამიანების დაღუპვა? ვიღაც იტყვის, მკვლელის ბრალიაო. რა თქმა უნდა, მკვლელის ბრალია, მაგრამ არა მხოლოდ მისი, არამედ მსხვერპლის ბრალიცაა, რომელმაც ასეთი არაადეკვატური პიროვნება შეურაცხყო და არ გაითვალისწინა, მის თავშეუკავებლობას რა ტრაგიკული შედეგი მოჰყვებოდა. ანუ, ქრისტიანული თვალსაზრისით, ეს მოკლული ადამიანი ითვლება არა ვაჟკაცად, არამედ თვითმკვლელად! ამ ადამიანის ცოდვით მკვლელის ცოდვა არ მართლდება, მაგრამ მოკლული არანაკლებ დამნაშავეა მკვლელზე!

ახლა, ამ იგავურ ამბავს თუ მივუსადაგებთ პარიზის მოვლენას, უცნაურ რამეს წავაწყდებით.

**— მაგალითად, რას, მამაო?**

— ვიცით, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ მრავალი სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ამ ჟურნალის უგვანი მოქმედება რომ აღკვეთილიყო, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. **„შარლი ებდოს“ ჟურნალისტებს არ ეშინოდათ ქრისტიანების, რომლებსაც, სხვათა შორის, ყველაზე მეტად ამცირებდნენ. არ ეშინოდათ იმიტომ, რომ კარგად იცოდნენ, ქრისტიანული რელიგია კრძალავს ნებისმიერ ძალადობას.** ქრისტიანობის თვალსაზრისით, ღმერთი შეურაცხყოფილი ვერ იქნება. მზეს რამდენიც უნდა აგინო, მზედ რჩება. შეურაცხყოფილები ვართ ჩვენ — ქრისტიანები. გვეცოდება ეს ადამიანები და შეიძლება, ვილოცოთ კიდეც მათთვის.

**— რატომ არის შესაცოდი ეს ხალხი?**

— წარმოიდგინეთ, რა საშინელ მდგომარეობაშია ახლა სული იმ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ღმერთის ლანძღვა-გინებას...

**— ისლამი ვერ მიუტევებს ამგვარ შეურაცხყოფას?..**

— ისლამი კი არა, ვერ მიუტევებს ის ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ისლამს ამოეფარნენ, ანუ ისლამის სახელით სჩადიან დანაშაულს! მაგ ორგანიზაციებს ოღონდ საბაბი მიეცი... ეს მშვენივრად იცოდნენ ფრანგმა ჟურნალისტებმა; და მათი ქმედება იყო ისეთივე პროვოკაცია, როგორც იმ ადამიანისა, ზემოთ თქმულ იგავში. „შარლი ებდოს“ ჟურნალისტები, ფაქტობრივად, იყვნენ თვითმკვლელები, რადგან თავიანთი შემოქმედებით გააღიზიანეს ტერორისტები და აიძულეს, სასტიკი დანაშაული ჩაედინათ!

**— მაინც რომელი მხარეა უფრო დამნაშავე?**

— **ქრისტიანული თვალსაზრისით, მომხდარში თითქმის ერთნაირი დანაშაული მიუძღვით მკვლელებსაც და მოკლულებსაც. ერთნი ფიზიკურად ანადგურებენ ადამიანებს, მეორენი — სულიერად!..** კიდევ ერთი იგავი: მაგალითად, ჩვენ ვართ რომელიღაც რედაქციის თანამშრომლები და გადავწყვიტეთ, მასხრად ავიგდოთ, დავამციროთ, გავაშარჟოთ, ანუ სულში ჩავაფურთხოთ საქართველოში მცხოვრებ ისლამის მიმდევრებს, ებრაულ თემს, სომეხ მონოფიზიტებს ან, გნებავთ, კათოლიკებს. დარწმუნებული ვარ, რომ პირველივე ნომრის შემდეგ, ჩვენს საქმიანობაში ჩაერევა საქართველოს უშიშროება და გამოცემა დაიხურება. და ეს იქნება სრულიად სამართლიანი ქმედება უშიშროების მხრიდან, რადგან ჩვენი ე. წ. მოღვაწეობა არის ანტისახელმწიფოებრივი და დესტრუქციული, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება რელიგიური და ეროვნული შუღლის გაღვივება, რომელიც უზარმაზარ ზიანს მიაყენებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და მის მოქალაქეებს.

**— მაგრამ, მამაო, ეს ჟურნალი ხომ იუმორისტული იყო?!**

— **იუმორი, სატირა, გროტესკი, თავისთავად, ცუდი არ არის, მაგრამ ადამიანი ვალდებულია, იქონიოს მცირე სულიერი კულტურა მაინც და ესმოდეს, რომ არის ისეთი რამ, რაზეც ხუმრობა კატეგორიულად დაუშვებელია! ადამიანი ვალდებულია, არ გადააბიჯოს ზნეობის ზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ემსგავსება პირუტყვს, ან, რაც გაცილებით უფრო უარესია, ემსგავსება ეშმაკს!** აქვე მიჩნდება კითხვა — სასაკლაოს თავიდან ასაცილებლად საქმეში რატომ არ ჩაერია საფრანგეთის უშიშროება?! მაგ ქვეყანაში, თუ არ ვცდები, რამდენიმე მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს. რატომ არ აიკრძალა ეს ჟურნალი, რომლის მკრეხელური, რელიგიური გრძნობის შეურაცხმყოფელი პროპაგანდა დიდ საფრთხეს შეიცავდა? **რატომ შეექმნა სამსახურში პრობლემები ერთ ფრანგ პროფესორს, როდესაც მან განაცხადა: „მე არ ვარ შარლი“? ან კიდევ — რატომ დააკისრეს დიდი ჯარიმა ერთ ფრანგს, როდესაც მან არასახარბიელოდ მოიხსენა ეს ჟურნალი?** თუ სიტყვის თავისუფლებაა, რატომ არ მაქვს უფლება, ვთქვა: მე არ ვარ „შარლი“?! თუ მუჰამედის ან ღვთისმშობლის, ან ქრისტეს — განკაცებული ღმერთის — შეურაცხყოფა დასაშვებია, რატომ არ შემიძლია, რომ „შარლი“ ცუდად მოვიხსენიო?! რატომ არის აქ ორმაგი სტანდარტი?! რატომ უქმნიან ადამიანს ისეთ ვითარებას, რომ, თუ მან საჯაროდ არ „აღიარა“, „შარლი“ ვარო, ტერორისტად თუ არა, ტერორისტების მომხრედ გამოაცხადებენ? მე არც „შარლი“ ვარ და არც ტერორისტი! ერთიც მიუღებელია ჩემთვის და მეორეც!

**— კი მაგრამ, მამაო, 1920-იანი წლების საბჭოთა კავშირში ასევე აშარჟებდნენ ღმერთს, წმინდანებს...**

— დიახ, არსებობდა ორგანიზაცია „მუკ“-ი — „მებრძოლ ულმერთოთა კავშირი“, რომლის წევრები სიწმინდეებს შეურაცხყოფდნენ, კარიკატურებსაც ხატავდნენ; მაგრამ, უბედურება არის ის, რომ „შარლი“ არ აქვეყნებდა უბრალო კარიკატურებს, ეს იყო პორნოკარიკატურები, რომლებზეც ჩანდა გენიტალიები, ასახავდნენ გაუკუღმართებულ სექსუალურ აქტს... როცა ამბობენ: „მე ვარ „შარლი“, ეს იგივეა, თქვა: „მე ვარ პორნოს მხატვარი“. ის ადამიანი კი, რომელიც პორნოგრაფიას ხატავს, არ არის ფსიქიკურად ჯანმრთელი. ან როგორ შეიძლება, ნორმალური ფსიქიკის მქონედ ჩავთვალო ის მხატვარი, რომელიც ადამიანის ბუნებრივ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს ნატურალისტურად ასახავს ფერწერაში ან ქანდაკებაში — ეს ხომ ადამიანის ცხოვრების ფარული მხარეა, რომელსაც ის საკუთარ თავსაც უმალავს?! ანუ ადამიანი, რომელიც თავის თავში ღვთიურს ატარებს, ამ ცხოველურს მალავს, ინტიმურ მხარეს უწოდებს, საპირფარეშოში კეტავს. აი, პირუტყვი კი, მაგალითად, ღორი, ასე არ იქცევა...

**— აბა, სიტყვის თავისუფლებაო, პირადი თავისუფლებაო და, საერთოდ, თავისუფლებაო?**

— სიტყვა არ უნდა იყოს ბინძური! ვინ მოგცა ადამიანის შეურაცხყოფის უფლება?! როდესაც ლიბერალური „ინტელიგენციის“ წარმომადგენლები ბევრს გაიძახიან ადამიანის თავისუფლებაზე, მახსენდება, თუ არ ვცდები, დიდი ფრანგი ფილოსოფოს-ეგზისტენციალისტის — ალბერ კამიუს სიტყვები: „ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანის უფლებები“. ამას ვერაფერს დავუმატებ!

**«თუ სიტყვის თავისუფლებაა, რატომ არ მაქვს უფლება, ვთქვა: მე არ ვარ «შარლი»?! თუ მუჰამედის ან ღვთისმშობლის, ან ქრისტეს — განკაცებული ღმერთის — შეურაცხყოფა დასაშვებია, რატომ არ შემიძლია, რომ «შარლი» ცუდად მოვიხსენიო?! რატომ არის აქ ორმაგი სტანდარტი?! რატომ უქმნიან ადამიანს ისეთ ვითარებას, რომ, თუ მან საჯაროდ არ «აღიარა», «შარლი» ვარო, ტერორისტად თუ არა, ტერორისტების მომხრედ გამოაცხადებენ?»**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

მსოფლიო

## «გარდიანი»: რუბლის დაცემამ, შესაძლოა, კრიზისი 9 ქვეყანაში გამოიწვიოს

**რუბლის კურსის დაცემამ შეიძლება 9 ქვეყნის ეკონომიკას საფრთხე შეუქმნას, რადგან დამოკიდებული არიან გადმორიცხულ ფულზე იმ მოქალაქეებისა, რომლებიც რუსეთში მუშაობენ და გამომუშავებულ თანხას სამშობლოში გზავნიან, — წერს ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“.**

გამოცემას მოჰყავს მსოფლიო ბანკის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, საზღვარგარეთიდან (ძირითადად, რუსეთიდან) გადარიცხული თანხები შეადგენს: სომხეთის ეკონომიკის — 21%-ს; **საქართველოს ეკონომიკის — 12%-ს;** ყირგიზეთის — 31,5%-ს; მოლდოვის — 25%-ს; ტაჯიკეთის — 42%-ს; უკრაინის — 5,5%-ს; ლიტვის — 4,5%-ს; აზერბაიჯანის — 2,5%-ს; უზბეკეთის — 12%-ს.

2015 წელს ამ ქვეყნებმა, საერთო ჯამში, შეიძლება 10 მლრდ დოლარი დაკარგონ, რადგან რუსეთში მომუშავე ბევრი მიგრანტი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ეკონომიკური სირთულეების გამო, ქვეყნის დატოვებას აპირებს. გარდა ამისა, რუბლის დაცემამ ეკონომიკური კრიზისი შეიძლება გამოიწვიოს რამდენიმე ქვეყანაში. მაგალითად, რუბლის დაცემამ თურქმენეთში ამ ქვეყნის ვალუტის გაუფასურება გამოიწვია.



„ქართველი ემიგრანტები უცხოეთში ყველანაირად უუფლებოები, დათრგუნვილები, იგნორირებულები არიან და კაბალურ პირობებში კაპიკებისთვის მუშაობენ, ოჯახები რომ შეინახონ“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამა ელიზბარ დიაკონიძე: რასაც ხელისუფლება იტყვის, საპატრიარქო კვერს უკრავს; მაგრამ, რასაც საპატრიარქო ამბობს, ხელისუფლება ყოველთვის საწინააღმდეგოს აკეთებს

**ხელისუფლებასა და საპატრიარქოზე განაწყენებულმა მამა ელიზბარ დიაკონიძემ საქართველო რამდენიმე თვის წინათ დატოვა და საბერძნეთში გაემგზავრა სამოღვაწეოდ. დღეს კი სამშობლოში დროებით დაბრუნებული დეკანოზი, მამა ელიზბარი, ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების პრობლემებსა და მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე გვესაუბრება:**



— ქართველი ემიგრანტების ყოფამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენიმე ქვეყანაში გახლდით — საბერძნეთში, იტალიაში, ბელარუსში და ა. შ. ქართველი ემიგრანტები ყველგან საშინელ პირობებში ცხოვრობენ. არადა, მე თუ მკითხავთ, თითოეულ ქართველ ემიგრანტს საქართველოში ძეგლი უნდა დავუდგათ. ქართველი ემიგრანტები უცხოეთში უუფლებოები, დათრგუნვილები, იგნორირებულები არიან და კაბალურ პირობებში კაპიკებისთვის მუშაობენ, ოჯახები რომ შეინახონ. ამის შემდეგ როგორ უნდა თქვას ვინმემ, ქართველი ზარმაცია და შრომა არ უნდაო?! ჩვენს ხელისუფლებას კი საქართველოში მცხოვრებლებისთვის არ სცალია, ემიგრანტები არ ახსოვს. მგონი, უხარია, რომ ამდენი ადამიანია წასული ქვეყნიდან. **როცა საკუთარ ხელისუფლებას არ ახსოვხარ და ჯეროვან ყურადღებას არ გაქცევს, რა თქმა უნდა, უცხო ხელისუფლებისთვის მეასეხარისხოვანი ხარ**. საქართველოს საელჩოებს ხომ ევალებათ, ქართველ ემიგრანტებს ყურადღება მიაქციონ, მაგრამ არც მათ ახსოვთ ეს ადამიანები. საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს მხოლოდ არჩევნების პერიოდში ახსენდებათ ემიგრანტები, ისიც იმიტომ, რომ დააშინონ და, თუ ხელისუფლებას ხმას არ მისცემენ, უსაბუთოებს დეპორტაციით დაემუქრონ. შეიძლება საკონსულოს თანამშრომელი არ აკეთებდეს ამას, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ემიგრანტებს შორისაც ბევრი ჰყავთ ასეთი.

ბელარუსში ისეთ ფაქტს წავაწყდი, აუცილებლად უნდა ვთქვა. იქაური სახალხო ბანკი საქართველოს ბანკის კუთვნილებაა. ბელარუსის ეგზარქოსმა მთხოვა, პირადად გავაკონტროლო, რომ ჩვენს პრემიერთან მოხვდეს მათი წერილი, რა დღეში ჩააგდო ამ ბანკმა ბელარუსის მოქალაქე. ამ დღეებში მომაწვდიან დოკუმენტაციას და შემდეგ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებ ამ თემაზე.

საბერძნეთში მცხოვრებმა ქალბატონმა **მარინა გელოვანმა,** რომელსაც ბერძენი მეუღლე ჰყავს, ურთიერთდახმარების ფონდი შექმნა, რომელიც ოჯახებს, ძირითადად, გარდაცვლილთა სამშობლოში ჩამოსვენებაში ეხმარება. **ხელისუფლებასაც ხომ შეუძლია, დაეხმაროს ამ ფონდს და ამ ხალხს ყურადღება მიაქციოს? ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება არ აძლევს საკუთარ მოქალაქეს უფლებას, იყოს მსოფლიოს სრულუფლებიანი წევრი; პირიქით — თავისი ქმედებით მონურ, კაბალურ მდგომარეობაში ყოფნას აიძულებს.** არადა, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მიუხედავად მუქარისა, დეპორტაციისთვის განწირულმა ამ ადამიანებმა მაინც „ქართულ ოცნებას“ დაუჭირეს მხარი. ხელისუფლება კი შეიცვალა, მაგრამ მათთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა.

საბერძნეთში სასულიერო აკადემიის სტუდენტია კაცი, რომელმაც ბერძნული ერთი სიტყვა არ იცის. ჩამოვა მერე ეს **ავთანდილ გიუნაშვილი** საქართველოში და წარჩინებული კაცი გახდება, შეიძლება მეუფედაც აკურთხონ. ბოლო არჩევნებისას ხალხს ურეკავდა, „ქართულ ოცნებას“ მიეცით ხმა, თუ არადა, დეპორტაციას მიიღებთო. მერე ასეთი კაცი სულიერებაზე დაიწყებს საუბარს. ეს კაცი ამაზრზენ პასკვილებს წერდა ჩემზე, — სკანდალური განცხადებებით ცნობილი მამა ელიზბარი ჩამოვიდაო. თურმე სიმართლის თქმა ამ ხელისუფლებისთვისაც მიუღებელი ყოფილა, ხოლო სააკაშვილს შობა-ახალ წელს რომ მიულოცავ, მისაღები. მერე დაიწყეს გადაბრალება, — შორენას გაკეთებული იქნება და პატრიარქი მაგას არ იზამდაო. რატომ არ იზამდა? — ედუარდ შევარდნაძეს თუ ულოცავდა, სააკაშვილს რატომ არ უნდა მიულოცოს, რატომ გაუკვირდათ?! **თუ სააკაშვილი კრიმინალი არ არის და ხელისუფლება არ იჭერს, მაშინ პატრიარქი ვალდებულია, მიულოცოს, როგორც ყოფილ პრეზიდენტს.** ეს ელემენტარული ეტიკეტია.

**— ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ემიგრანტებს მხარდაჭერას აიძულებდნენ, მაგრამ ეს ხელისუფლებაც ანალოგიურად იქცევა?**

— ადამიანები, რომლებიც ამას სჩადიოდნენ არსად წასულან — ახლა ამ ხელისუფლებას „ემსახურებიან“, ანუ, ვინც ფულს გადაუხდის, იმას ემსახურებიან.

**— უცხოეთში ყოფნისას სხვადასხვა გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუებში საქართველოს საპატრიარქოს მიერ საზღვარგარეთ წარგზავნილ სასულიერო პირებს აკრიტიკებდით, მაგალითად, მამა აბიბოსის. როგორ იქცეოდნენ იქ მოღვაწე სასულიერო პირები, ასეთი მწვავე განცხადებები რომ გააკეთეთ?**

— როგორც აქ იქცევიან, ოღონდ იქ უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს. ბერძნული ეკლესია მათ არ აკონტროლებს, ქართული — ვერ აკონტროლებს. მაგალითად, **საბერძნეთში არიან მამა თეიმურაზი და მამა აბიბოსი. მამა თეიმურაზი პატიოსანი კაცია, მაგრამ მშიშარაა, თავისი აზრი არ გააჩნია. მამა აბიბოსი წალკაში გაზრდილი ბერძენია და ამიტომ ცოტა მეტი ავტორიტეტით სარგებლობს. მამა აბიბოსი ძალიან უზნეო ქმედებებში ვამხილე. ჩემთან ერთი ქალბატონი მოვიდა და მითხრა, მრევლი გვაკურთხა მამა აბიბოსიმ, ვისაც ვალები გვაქვს, ლოცვა-კურთხევა მოგვცა, ლატარია ითამაშეთო.** გავოგნდი, ეკლესიისთვის ეს უდიდესი ცოდვაა. სხვა სახელი მაინც დაარქვით, მაგალითად, ერთმანეთის დახმარებამეთქი, — ვუთხარი. სხვათა შორის, ისევ ქართველებს აქვთ ერთმანეთის ვალი. ბერძნის ვალი არც ერთს არ აქვს. ისევ ქართველები „აპროცენტებენ“ ფულს ერთმანეთზე; მეტიც, ვფიქრობ, ფულს თვითონ სასულიერო პირები „აპროცენტებენ“.

ყოველი თვის პირველ კვირა დღეს იკრიბებიან წმინდა პანტელეიმონის ტაძარში ქართველები. იქ ჩვენს ეკლესიას შეუძლია, მსოფლიო პატრიარქის ჩარევით, წირვა-ლოცვა დაადგინოს. მესმის, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ შეუძლებელი არ არის. მთავარია მონდომება, რომელიც არ აქვთ.

> «არსად მინახავს ასეთი ახალგაზარდა მრევლი, როგორც საქართველოშია, თუმცა არც ეკლესიაზე გულაცრუებული ამდენი ადამიანი მინახავს სადმე. როცა ახალგაზრდა გულანთებული ადამიანი მიდის ეკლესიაში, მას ჩვენი საეკლესიო იერარქია თავისი ქმედებებით განიზიდავს ეკლესიისგან»

უნდა აღვნიშნო, რომ არსად მინახავს ასეთი ახალგაზარდა მრევლი, როგორც საქართველოშია, თუმცა არც ეკლესიაზე გულაცრუებული ამდენი ადამიანი მინახავს სადმე. როდესაც ახალგაზრდა გულანთებული ადამიანი მიდის ეკლესიაში, მას ჩვენი საეკლესიო იერარქია თავისი ქმედებებით განიზიდავს ეკლესიისგან, **ამიტომ ეკლესიას გაწმენდა სჭირდება!**

**— მამაო, ჟურნალ Charlie hebdo-ს რედაქციაზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, რომელიც ამ ჟურნალის მიერ გამოქვეყნებულ კარიკატურებს მოჰყვა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, შესაძლოა, შეიტანონ ცვლილება, რომლის მიხედვითაც, შუღლის გაღვივების მიზნით მოწოდება 2-დან 5 წლამდე დაისჯება. ამ ინიციატივამ უკვე გამოიწვია საზოგადოების ნაწილის პროტესტი, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას გამოიწვევს.**

— პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ მორწმუნე ადამიანი ასეთ კარიკატურებს არ გამოაქვეყნებს. ნებისმიერმა ქრისტიანმა უნდა დაგმოს ასეთი საქციელი. მუსლიმანებს ასე არ უნდა დაუპირისპირდე. არსებობს ტელევიზია, სადაც შეიძლება, გამოხვიდე, დაჯდე დებატებში და მოწინააღმდეგე დაარწმუნო შენს სიმართლეში. ბელარუსში მუსლიმანები მეჩეთის აშენებას აპირებენ. არადა, საკმაოდ ცოტა მუსლიმანი ცხოვრობს. არ მიკვირს, ისინი მეჩეთს რომ აშენებენ, მე ის მაოცებს, ქრისტიანებსა და მსოფლიოს ასე რამ გაუწყალა გონება, რომ კარიკატურებს დასდევენ და მუსლიმანების გაძლიერებას ყურადღებას არ აქცევენ. **ვიღაცებს მესამე მსოფლიო ომისკენ მიჰყავთ ყველაფერი და ახლო მომავალში გამორიცხული არ არის, მუსლიმანური და არამუსლიმანური სამყარო ერთმანეთს დაეჯახოს.**

ან რას ნიშნავს შუღლის გაღვივების მიზნით მოწოდება? მე რომ გამოვიდე ტელევიზიით ან პრესაში და დავგმო ეს მთავრობა, გამოდის, შუღლს ვაღვივებ? ვინ გამიჯნავს ამას — რა ჩაითვლება შუღლის გაღვივებად და რა არა? მაშინ კანონში გარკვევით უნდა ჩაიწეროს, რომ რელიგიური მიზნით შუღლის გაღვივება დაისჯება კანონით.

**— ანტიდისკრიმინაციული კანონი ვერ დაიცავს მორწმუნეების უფლებებს?**

— ანტიდისკრიმინაციული კი არა, დისკრიმინაციული კანონი მიიღეს. მალე საკუთარ ქვეყანაში არაფრის უფლება აღარ გვექნება. ზვიად გამსახურდიას შემდეგ საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის ტაშს უკრავს სამთავრობო ინიციატივებს, თითქოს პატრიარქი ცოტა გაჯიუტდება ხოლმე, შეეწინააღმდეგება, მაგრამ გამოვა სინოდი და... რასაც ხელისუფლება იტყვის, საპატრიარქო კვერს უკრავს; მაგრამ, რასაც საპატრიარქო ამბობს, ხელისუფლება ყოველთვის საწინააღმდეგოს აკეთებს.

> «ზვიად გამსახურდიას შემდეგ, საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის ტაშს უკრავს სამთავრობო ინიციატივებს, თითქოს პატრიარქი ცოტა გაჯიუტდება ხოლმე, შეეწინააღმდეგება, მაგრამ გამოვა სინოდი და...»

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

მსოფლიო





## რომის პაპის ვიზიტის გამო უსახლკარო ბავშვები საკნებში გაამწესეს

**რომის პაპის ფილიპინებზე ჩასვლამდე მანილას ქუჩებიდან უსახლკარო ბავშვები გისოსებს მიღმა, საკნებში აღმოჩნდნენ.** ადგილობრივმა პოლიციამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ასობით ბავშვი საკნებში დამნაშავეებთან ერთად მოათავსა. ბრიტანული გამოცემის ცნობით, ბავშვებს პირდაპირ ბეტონის იატაკზე ძინავთ, ზოგი მათგანი უფროსების მხრიდან ძალადობის მსხვერპლია. რამდენიმე ბავშვი კი პოლიციამ ხელბორკილებით ბოძებს მიაბა.



ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო პერიოდის კვლევებმა დაამტკიცა, რომ ყოველგვარი ავხორცობა, უწინარესად კი, სექსუალური თავაწყვეტილობა, უბიძგებს ადამიანებს უფრო მეტი ავხორცობისკენ, ატეხილ ვნებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზეზით წარმოქმნილი გაუკუღმართების უსაზიზღრესი ფორმა სადომაზოხიზმია.**

# ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

# დაძალებული სექსი

მომიახლოვდნენ მდევარნი გარყვნილებისა;
შენს რჯულს დაშორდნენ.
*ფს. 118, 150*

## პორნოინდუსტრია და პედოფილია ევროპაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №47 (282) 2014 წ.

**„საქართველო და მსოფლიოს“ შარშანდელ ბოლო (47-ე) ნომერში რუბრიკით „ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს“ შემოგთავაზეთ ივო ზასეკის ფილმის — „დაძალებული სექსის“ — გადმოქართულებული საგაზეთო ვარიანტის — „პორნოინდუსტრია და პედოფილია ევროპაში“ — პირველი ნაწილი. დღეს მეორე ნაწილს ვაქვეყნებთ და ამთავითვე ვაფრთხილებთ ჩვენს მკითხველებს: მოარიდეთ ეს პუბლიკაცია ემოციურ ადამიანებს! აქ ისეთი საშინელებაა აღწერილი და დოკუმენტური სიზუსტით გადმოცემული, რომ სიმშვიდეს დაურღვევს მათ. თვით ევროპაა აღშფოთებული ასეთი სექსუალური თავაშვებულობით და, პირდაპირ ვთქვათ, სატანისტური მორალის ფეხმოკიდებით თანამედროვე საზოგადოებაში, უმანკო ბავშვების გარყვნისა და ადამიანების გაცხოველების შემთხვევებით.**




### ბავშვებს საკუთარი სიამოვნებისთვის აწამებენ

ეს პრობლემა რეალურად დგას თანამედროვე ევროპაში და არ არის ავადმყოფი გონების მანიაკური წარმოსახვის პროდუქტი.

ბელგიაში ერთი კაცი აქვეყნებს განცხადებას: ვეძებ 2-დან 12 წლამდე გოგონას საწამებლად, შეიძლება სიკვდილამდეც კი. გაზეთის რეპორტიორი ამ განცხადების კვალს მიჰყვება, მიდის განმცხადებელთან და თავს შუამავლად წარუდგენს. ის კაცი (განმცხადებელი) შუამავალს (ჟურნალისტს) აჩვენებს ფოტოსურათებს, სადაც იგი (განმცხადებელი) ძალადობს თავის შვილებზე(!), და გარკვეულ საფასურს ჰპირდება ახალი მსხვერპლის მოყვანისთვის.

მომდევნო შეხვედრისას ამ კაცს მიაქვს წამების იარაღი და „შუამავლის“ მანქანაში დებს. ჟურნალისტს მოძალადე პოლიციაში მიჰყავს... სამარცხვინოა და სრულიად გაუგებარი, რომ ამ შემთხვევის შესახებ პრაქტიკულად არაფერი ქვეყნდება პრესაში — მხოლოდ მოკლე ცნობა ადგილობრივ გაზეთში.

საზოგადოების აღშფოთების გამომწვევი პუბლიკაციები? მოქალაქეთა პიროვნული პოზიცია? მღვდელმსახურთა და სამართალდამცავთა რისხვა? — არაფერი მსგავსი. ისე ჩაიარა, როგორც გაზაფხულზე თბილისის ბაზარში ახალი კარტოფილის გასაყიდად გამოტანის რიგითმა ფაქტმა.

გამოთაყვანებაც ასეთი უნდა! **მხოლოდ ეს რომ იყოს მიზეზი... ბოლო პერიოდის კვლევებმა დაამტკიცა, რომ ყოველგვარი ავხორცობა, უწინარესად კი, სექსუალური თავაწყვეტილობა, უბიძგებს ადამიანებს უფრო მეტი ავხორცობისკენ, ატეხილ ვნებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზეზით წარმოქმნილი გაუკუღმართების უსაზიზღრესი ფორმა სადომაზოხიზმია.**

ეს უბედურება ცალკეულ შემთხვევებში კი არ ვლინდება, არამედ მთელ მსოფლიოსაა მოდებული სადომაზოხისტური გაერთიანებების სახით, ამასთან, დაკავშირებულია ზოოფილიასთან და ყველაზე უარესთან — პედოფილიასთან, გასაგებად რომ ვთქვათ, ცხოველებთან სექსუალური ურთიერთობისა და ბავშვების გარყვნის პროპაგანდასთან.

**ინტერვიუები, რომელიც ფილმშია წარმოდგენილი, მხოლოდ ზრდასრული, მყარი ფსიქიკის მქონე ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.**

ლაპარაკობს **ტოსტერ ბეკერი**, ახალგაზრდების დაცვის სამსახურის ფუნქციონერი (ჰამბურგი, გერმანია).

— **გერმანიაში ვრცელდება ცნობები შემზარავი ფაქტების შესახებ, რომლებიც ბავშვებზე სექსუალურ ძალადობასთან და გარკვეულ რიტუალებთან არის დაკავშირებული. მათი რაოდენობა კატასტროფულად იზრდება, მოცემულ მომენტში 300-ს გადააჭარბა. სამწუხაროდ, მათ მიმართ ადეკვატური მოქმედება იშვიათად თუ ხორციელდება.**

ბეკერს მხარს უბამს სექტებთან დაკავშირებული საკითხების საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი **ჰაიდემარიე კამენსი:**

— ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს სატანისტებთან, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდები არიან.

**«არსებობს პედოფილთა სექტები. მათ შექმნეს ქსელი ბავშვების გასაუპატიურებლად და მოსაკლავად, ვიდეოკასეტების გამოსაცემად. ეს გიჟების დაჯგუფება არ არის, ჭკუაზე გადასულების, რომლებიც იტაცებენ და კლავენ ბავშვებს, თავიანთი სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არა. ეს არის პროფესიულად მართული ქსელი»**

— სექსუალური ძალადობა სხვა გადახრებთან შედარებით, ყველაზე უწყინარია, — ლაპარაკობს **პედოფილების მიერ გატაცებული მსხვერპლი**, რომელიც თავის წარსულს იხსენებს (ცხადია, მან ანონიმად დარჩენა ისურვა), — მაგრამ იქ იყვნენ ტიპები, რომლებიც გვცემდნენ, გვირტყამდნენ მთელი საათის განმავლობაში — მათრახით დაწყებული, სასქესო ორგანოთი დამთავრებული. ასე ალიგზნებოდნენ სექსუალურად. რაგინდ სულელურად ისმოდეს, მაინც ვიტყვი — **მადლობა ღმერთს, რომ ისინი მხოლოდ გვცემდნენ, რადგან გაცილებით უარესი ფორმებიც არსებობს. ზოგი ისეთია, ადამიანებისადმი რწმენას სრულად დაგაკარგვინებს. მე, მაგალითად, ასე დამემართა. დავაზუსტებ, იმდენად არა ადამიანების მიმართ, რამდენადაც სახელმწიფოს ხელმძღვანელი ფენის მიმართ.**

**კლაუდია ფლისი,** ფსიქოთერაპევტი, რიტუალური ძალადობის საკითხების სპეციალისტი განმარტავს, რომ არსებობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქიკური ძალადობა, მუქარა, შანტაჟი, ხმის ამოუღებლობის იძულება, ცხოველებისა და ადამიანების — ახალშობილთა, ბავშვების, ქალების მკვლელობა რიტუალების ჩარჩოებში. კლავენ ხან ერთ ადამიანს, ხან — რამდენიმეს ერთად.

ლაპარაკობს **ყოფილი სატანისტი ქალბატონი** (ასევე — ინკოგნიტო):

— ჩვენ წინ წარმოდგა შავ ანაფორაში გამოწყობილი ქალი. ხელში თოთო ბავშვი ეჭირა. დადო ეს ჩვილი საკურთხეველზე. ბავშვი სუნთქავდა, მაგრამ არ ტიროდა. პირველმსახურმა აიღო დანა და ჩვილს ყელი გადაუჭრა, იფეთქა სისხლმა, მან თასი შეუდგა სისხლის ნაკადს. ვიგრძენი, რომ მუხლები მეკვეთებოდა, ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ წავცქეულიყავი...

შეუძლია კი ადამიანს ამ საშინელების ჩადენა?

— დიახ, — ამბობს **კურტ ჯექსონი,** ქალაქ ბომონტის პოლიციის თანამშრომელი, — მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, რომ მსხვერპლს საკურთხეველზე მიათრევენ და ყელს გამოჭრიან. თუ სატანისტი გაბრაზდა, იგი თავში ესვრის ტყვიას, კლავენ დანის დარტყმით, წამლავენ.

— არსებობს სატანისტური ჯგუფები, რომლებიც დედებს უბრძანებენ თავიანთი შვილების მსხვერპლად შეწირვას, — განმარტავს ოკულტიზმის საკითხების ექსპერტი **ბილ შონოებელენი,** — ისეც ხდება, რომ ქალებს მაინცდამაინც ამ რიტუალის ჩასატარებლად საგანგებოდ აორსულებენ.

**სტივი**, რომლის სახეს ფილმში არ აჩვენებენ, თავისი მოგონებებით გამოწვეული სულიერი ტკივილის დასაოკებლად ნემსს იყრის ფეხში (ეს „პროცედურა“ კადრშია ასახული).

— **როცა ვიღაცამ მომაწოდა ხანჯალი და მიბრძანა — მოჰკალ! უარი ვთქვი. მაგრამ იმავე წუთში დანა მომაბჯინეს ყელში. მივხვდი, რომ, თუ არ გავაკეთებდი იმას, რასაც მიბრძანებენ, მომკლავენ. ხანჯალი დავკარი მსხვერპლს. მაგრამ ამან ისინი არ დააკმაყოფილა. კიდევ და კიდევ უნდა დამერტყა. შემდეგ მაიძულეს, ჭრილობებიდან სისხლი ამომეწოვა.**

ბრიტანეთის პარლამენტის წევრი **დევიდ ვილშარი** აცხადებს:

— სატანიზმი, ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს, იგი უსაზღვროდ დაუნდობელია, — უარს არ ამბობს არც მკვლელობაზე, არც ბავშვების ბოროტად გამოყენებაზე, წამებაზეც კი. ეს სახუმარო საქმე არ არის და სახელმწიფო დაუნდობლად უნდა ებრძოლოს ამ ყველაფერს.

ტრაგიკული ისტორიებიდან, რომლებიც, სამწუხაროდ, გახშირდა, ფილმის ავტორი გამოყოფს ერთს, რომელიც 15 წლის გოგონას — **დებორას** გადახდა. ინტერვიუ მასთან რამდენიმე საათს გაგრძელდა, მაგრამ ფილმში მხოლოდ რამდენიმე ძირითადი მომენტია შეტანილი:

— ვფიქრობდით, რომ დამნაშავეები ჩვენა ვართ, რადგან გვეგონა, რომ ცუდი რამ ჩავიდინეთ და სასჯელი გარდაუვალია...იქ იდგა მაგიდა და მაგიდის გარშემო სანთლები ენთო.

**— იყვნენ იქ ადამიანები?**

— დიახ. იყვნენ ისინი, ვინც მაუპატიურებდნენ.

**— შეგიძლია თქვა, რა ხდებოდა?**

— მათ გაკვეთეს ბავშვი, მოაჭრეს სხეულის ნაწილები.

**— რით გაკვეთეს?**

— ელექტროდანით.

**— ცოცხლად გაჭრეს ბავშვი?**

დებორა თავის დაქნევით უდასტურებს, რომ ბავშვი ცოცხალი იყო.

**— ცოცხალი დატოვეს, რომ წამებულიყო?**

— დიახ.

**— ბავშვი მაინც გარდაიცვალა?**

— დიახ.

დებორა თავის უძლურებას გრძნობდა, ბავშვების ამ მოკვდინებას რომ უყურებდა. ახლა ამბობს, რომ დაეხმარება ყველას, ვისაც ასეთი საშიშროება დაემუქრება.

— ბავშვს მოაჭრეს თითი, შემდეგ — ქუსლი ▶

**„როცა ვიღაცამ მომაწოდა ხანჯალი და მიბრძანა — მოჰკალ! უარი ვთქვი. მაგრამ იმავე წუთში დანა მომაბჯინეს ყელში. მივხვდი, რომ, თუ არ გავაკეთებდი იმას, რასაც მიბრძანებენ, მომკლავენ. ხანჯალი დავკარი მსხვერპლს, მაგრამ ამან ისინი არ დააკმაყოფილა. კიდევ და კიდევ უნდა დამერტყა. შემდეგ მაიძულეს, ჭრილობებიდან სისხლი ამომეწოვა“.**

ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ — მოკვეთეს ქუსლი და მიატოვეს?

— არა. ერთი აუპატიურებდა, დანარჩენები უცქერდნენ.

პატარა ბავშვების ბოროტი განზრახვით გამოყენება სამწუხარო ნორმალურობაა. **ბავშვებზე მოძალადეთა კაპიტალის წლიური ბრუნვა მსოფლიოში 300 მილიარდ ევროს აჭარბებს. მათ შორის, ერთ მილიარდამდე ევრო გერმანიის წილად მოდის.**

რასაც დებორა ყვება და აღწერს, ეს სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. „სნაფ ვიდეო“. ეს არის ფილმი იმის შესახებ, თუ როგორ კლავენ ბავშვს და სექსუალურად ძალადობენ მასზე. **ეს ფილმები არის სტიმული პარალელურად არსებული ბაზრისა, რომელიც მოქმედებს მდიდარი საზოგადოების წყალობით და მის ხარჯზე. ადამიანები, ვისაც ხელეწიფება ასეთი „პროგრამის“ ყიდვა, ძალიან მდიდრები არიან. დღის წესრიგში მათი იდენტიფიკაციის საკითხი დგას: ვინ არიან ეს ბოზოლები, რომლებიც რყვნიან ადამიანების სულსა და გონებას. ეს გათახსირებულები მხოლოდ იმიტომ, რომ იხილონ, როგორ კვდება პატარა ბავშვი, მზად არიან გადაიხადონ 25 ათასიდან მილიონ ევრომდე.**

— უნდა იცოდეს ყველამ, რაც ხდება. მხოლოდ მაშინ იქნება შედეგიანი ამ ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა, — ამბობს დებორა და ამიტომაც გამოაქვს სააშკარაოდ ის, რაც თავს გადახდა. სხვები თავს იკავებენ. საკუთარი თავის კომპრომეტირებას ერიდებიან.

ვერც გაამტყუნებ.

შეკითხვაზე, თუ რას განიცდიან ამორალიზმის ასეთ წნეხში მოხვედრილი ნორჩი არსებები, დებორა მოკლედ უპასუხებს:

— ჯოჯოხეთს.

**— რას ნიშნავს შენთვის ჯოჯოხეთი?**

— იმას, რასაც სხვაგან ვერსად ვერ განიცდი. ყველაზე უარესს, რაც ცხოვრებაში შეიძლება შეგემთხვეს.

**ნოემი მ.-ზე** ხუთი წლის განმავლობაში ძალადობნენ. მან შეძლო და გადალახა შიში საზოგადოების თვალში სახელის გატეხვისა.

— **ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს უბედურება ნამდვილად ხდება, რომ ბავშვებზე ყოველდღიურად ძალადობენ და კლავენ. მე გადავიტანე ეს ყველაფერი, მე მოწმე ვარ ამისი. ბოლოს და ბოლოს, ვიცი, რა და როგორ უნდა ვთქვა. მე ეს უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ აღარ დაიტანჯონ ბავშვები, გაუპატიურება და მკვლელობა რომ შეწყდეს მათი. ადამიანები რომ გამოფხიზლდნენ და გაერკვნენ რეალობაში. რომ აღარ ილაპარაკონ, თითქოს ბავშვები იტყუებიან და რასაც ყვებიან, მათი ფანტაზიის ნაყოფია. არადა, ბავშვები სიმართლეს ლაპარაკობენ და, საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა, უნდა სურდეს ამ სიმართლის მოსმენა.**

და იგი აღწერს იმ საშინელი რიტუალის სცენას:

— იქ იდგა მაგიდა და მის გარშემო შეკრებილი იყვნენ მღვდლები. მათ გრძელი, შავწითელი ანაფორები ეცვათ. უფრო — შავი. მაგიდის გარშემო წრეს ურტყამდნენ და მღეროდნენ. დიდხანს გრძელდებოდა ასე. იქ იყო რაღაც, ანაფორის ფერის ქსოვილში გახვეული. მათ ეს რაღაც მაგიდასთან მიიტანეს: პატარა ბავშვი აღმოჩნდა. ჩემმა ბაბუამ მიიყვანა, ჩემი ძმა პიერი მის გვერდით იდგა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისინი გავიდნენ.

**ცერემონიები ყოველთვის მეტ-ნაკლებად ერთნაირად ტარდებოდა. შემდეგ ტერასაზე ორი დიდი ლანგრით შემოჰქონდათ ხორცი, ჭამდნენ ამ ხორცს. დღეს ვიცი, რომ ადამიანის ხორცი იყო.**

ჩემი ისტორია ამტკიცებს, რომ **არსებობს პედოფილთა სექტები. მათ შექმნეს ქსელი ბავშვების გასაუპატიურებლად და მოსაკლავად, ვიდეოკასეტების გამოსაცემად. ეს გიჟების დაჯგუფება არ არის, ჭკუაზე გადასულების, რომლებიც იტაცებენ და კლავენ ბავშვებს, თავიანთი პირადი სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არა. ეს არის პროფესიულად მართული ქსელი.** მე არ ვთხოვ მსოფლიოს, დამიჯეროს, რასაც ვამბობ. არა. დაე, ყველამ ის დაიჯეროს, რაც სურს. მაგრამ მე ვამბობ სიმართლეს და ვიცი ჩემი სიტყვების ფასი. სჯერათ ჩემი თუ არა, მათი პრობლემაა. მე ვიცი, რომ ის, რასაც ვამბობ, ბევრ ადამიანს ეხება, ბევრ ბავშვს ემუქრება გატაცება და სიკვდილი. რეალობა ამას ამტკიცებს.

შეიძლება, ბევრმა არც დაიჯეროს, რადგან ამის წარმოდგენაც კი ძნელია.

**პედოფილების მიერ ბავშვობაში გატაცებულ მსხვერპლთაგან ერთი**, რომელიც ანონიმად ყოფნას ამჯობინებს, აცხადებს, რომ დღემდე ვერ გაიგო იმ რიტუალის აზრი, რომელსაც ესწრებოდა.

— ისინი საოცარ გახრწნილობას ჩადიოდნენ: ამოთხრიდნენ ახლად დასაფლავებული ბავშვის ცხედარს. ჩვენ მის გვერდით, კუბოში უნდა დავწოლილიყავით... უნდა გაგვეუპატიურებია გვამი. ამას არავინ ყვება. პრესა ამბობს, რომ ეს აკრძალული თემაა.

წამყვანი ურთავს რეპლიკას, რომ ახლახან ჰაიტიზე დიდი მიწისძვრა იყო, დაიღუპა ბევრი ბავშვი და გამორიცხული არ არის, რომ სატანისტებს მათი ცხედრები ჩამოჰქონდეთ ევროპაში და ჰყიდდნენ.

**— მსოფლიოში მოქმედებს ოთხი კონცერნი სახსრების მილიარდიანი ბრუნვით. პირველი, თავისთავად ცხადია, ნავთობია, მეორე ფარმაცევტული მრეწველობაა, მესამესაც ფარმაწარმოებასთან აქვს კავშირი — ატარებს კიბოს და იმუნოდეფიციტის „გამოკვლევებს“, მეოთხე კონცერნი შანტაჟია, ორგანოებითა და ბავშვებით ვაჭრობაა, მონებით ვაჭრობა.**

კიდევ ერთი ანონიმი ყვება, რომ მოძალადენი თავიანთი მსხვერპლის მიმართ იყენებდნენ ძალადობის ყველა ფორმას:

— და **ჩვენც, ვინც ამ ძალადობის მსხვერპლნი ვიყავით, გვაიძულებდნენ, სხვებისთვის იგივე ტკივილი მიგვეყენებინა. თუ არ დავემორჩილებოდით, გვსჯიდნენ, ეს კი ნიშნავდა, რომ გველოდა იმაზე მეტი და უფრო დახვეწილი ძალადობა, რომელიც გადატანილი გვქონდა. გვსჯიდნენ ყოველთვის, რადგან დავალების ზუსტად შესრულება შეუძლებელი იყო.** გვეშლებოდა რაღაც და სასჯელი გარდუვალი ხდებოდა. ასეთი რიტუალები გადატანილი მაქვს, ბევრი და ძალიან მტკივნეული. შემდეგ გავიგე, რომ წამების **ამ პროცესს ესწრებოდნენ გამორჩეული, დიდი თანამდებობების პირები, რომლებსაც სურდათ, ეხილათ, როგორ ხოცავენ ბავშვები ერთმანეთს. ეს მათთვის მნიშვნელოვანი იყო. ისინი ბავშვების სისხლსა სვამდნენ. ტკბებოდნენ პატარების სიმწრის ყვირილით. ეს მათთვის რიტუალი იყო.**

**ჰაიდემარიე კამენსი,** რომელიც სექტების საქმეთა საინფორმაციო სამსახურში მუშაობს, ადასტურებს ნათქვამს და დასძენს:

— ეს არის სატანისტური შავი წირვის რიტუალი, რომელიც სატანის თაყვანისცემისთვის სრულდება. სატანას სჭირდება მსხვერპლი, სისხლიანი მსხვერპლი და ყველაზე საუკეთესო მისთვის ახლადშობილი ბავშვის მსხვერპლად შეწირვაა.

— ყველა სატანისტი ბავშვობაში გაუპატიურებული იყო, ყველა, — ამტკიცებს დოქტორი **ჯიმ ფილიპსი,** რომელიც პოლიციაში ექიმად მუშაობდა, — ვერავინ წარმოიდგენს ნორმალურად ადამიანს, რომელიც ასეთ საზიზღარ, საშინელ, ადამიანის ღირსების დამამცირებელ, მხეცურ ქმედებას ჩადის.

ძალადობის კულტის მქადაგებელი ფილმების მღვრიე ტალღა შედეგია მოყირჭებული სექსუალიზმისა. **სასაკიუსტიცია, სამართალი კი ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავს. ეს ხდება მაშინ, როცა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ქვემო საქსონიის კრიმინოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი კრისტიან ფაიფერი საჯაროდ აცხადებდა, რომ „საზოგადოება, რომელიც ამგვარ თამაშებს დასაშვებად მიიჩნევს, მძიმედ არის დაავადებული“.**

**მეცნიერ-კრიმინალისტის ეს განცხადება ეხებოდა იმ დროს მიმოქცევაში არსებულ გაცილებით უწყინარ თამაშებს.**

**ჯოჯოხეთის ალი, რომელიც ნელ-ნელა გაძლეირდა, დღეს უკვე შთანთქმით ემუქრება კაცობრიობას.**



დებორა: მათ გაკვეთეს ბავშვი, მოაჭრეს სხეულის ნაწილები...



ნოემი მ.: ტერასაზე ორი დიდი ლანგრით შემოჰქონდათ ხორცი, ჭამდნენ ამ ხორცს. დღეს ვიცი, რომ ადამიანის ხორცი იყო.



ინკოგნიტო: უნდა გაგვეუპატიურებია გვამი.



ინკოგნიტო: ისინი ბავშვების სისხლსა სვამდნენ.

**ეს ფილმები არის სტიმული პარალელურად არსებული ბაზრისა, რომელიც მოქმედებს მდიდარი საზოგადოების წყალობით და მის ხარჯზე. ადამიანები, რომელთაც ხელეწიფებათ ასეთი „პროგრამის“ ყიდვა, ძალიან მდიდრები არიან. დღის წესრიგში მათი იდენტიფიკაციის საკითხი დგას: ვინ არიან ეს ბოზოლები, რომლებიც რყვნიან ადამიანების სულსა და გონებას? ეს გათახსირებულები მხოლოდ იმიტომ, რომ იხილონ, როგორ კვდება პატარა ბავშვი, მზად არიან, გადაიხადონ 25 ათასიდან მილიონ ევრომდე**

**ლაომ, რომელიც დენვერში ფილმ „ბეტმენის“ დემონსტრირების შემდეგ მოხდა, და რომელიც მთავარი გმირის მიბაძვით იყო განხორციელებული, გაამჟღავნა, რომ წამებისკენ მიდრეკილება მასაში რეალურად არსებობს. ქილერს ისეთივე ნიღაბი ეკეთა, როგორიც ფილმის ბოროტ გენიას, იგი (ქილერი) ხელის აუკანკალებლად ესროდა ადამიანებს და 70-ზე მეტი კაცი, ქალი და თითო ბავშვი დაჭრა.**

ლიტტონიდან უტოიამდე ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ადამიანების მასობრივ დახოცვას, ვინ მოთვლის, ძალადობის კულტის მქადაგებელი რამდენი კინოსურათი უძღოდა წინ.

შეიძლება ბევრს არც ახსოვს, **რა მოხდა ლიტტონში (აშშ) 1999 წლის 20 აპრილს.**

თოფებით შეიარაღებულმა ორმა მოსწავლე ბიჭმა 13 თანაკლასელი დახოცა.

შემდეგ — **შვეიცარია, ზუგი. 2001 წლის 27 სექტემბერი.** შეიარაღებული შვეიცარიელი მთავრობის შენობაში შეიჭრება და 14 პოლიტიკოსს დამიზნებით ესვრის.

**ერფურტი, გერმანია. 2002 წლის 26 აპრილი.** უმაღლესი სასწავლებლიდან გარიცხული სტუდენტი ერთმანეთის მიყოლებით კლავს 12 ლექტორს, ერთ მდივანს, 2 სტუდენტსა და ერთ პოლიციელს.

**ბლექს ზორგი, აშშ. 2007 წლის 16 აპრილი.** დილაადრიან ერთი სტუდენტი შეიჭრება ვირჯინიის ტექნიკურ უნივერსიტეტში: 32 ადამიანი მოკლულია, 29 დაჭრილია.

**ვინინდენი, გერმანია. 2009 წლის 11 მარტი.** 17 წლის ყმაწვილი სკოლაში სიცოცხლეს გამოასალმებს 15 ადამიანს. ბოროტმოქმედების ადგილიდან გაქცეული კიდევ 11 ადამიანს დაჭრის.

**უტოია, ნორვეგია. 2011 წლის 22 ივლისი.** მასონი ანდრეს ბრეივიკი ჯერ ოსლოს სამთავრობო კვარტალში აფეთქებს ბომბს. შემდეგ კი 77 ახალგაზრდას კლავს, რომლებიც ანტისიონისტურ ახალგაზრდულ კონგრესზე იყვნენ შეკრებილები უტოიაში.

უტოიადან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გერმანიის საუკეთესო კომპიუტერული თამაშის წოდება მიანიჭეს ეგო შუტოს, მკვლელთა დაუნდობელ თამაშს „კრიზის 2“-დან. ასეთი ვიდეოთამაშების მეშვეობით ბავშვებს აჩვევენ სიამოვნების მიღებას ძალადობრივი მოპყრობისგან.

ხომ არ არის ტვინების გამორეცხვის საშიში პრეცენდენტი ის, — კითხულობენ ფილმის შემქმნელები, — როცა ბავშვები მკვლელობას საზიზღარ ქმედებად კი არ მიიჩნევენ, არამედ სიამოვნებას იღებენ და უხარიათ კიდეც ადამიანის მოკვდინების ხილვა.

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დემოკრატიიის განვითარება“ — ეს ყველაზე წარმატებული და ეფექტიანი ფორმულაა აშშ-ის ინტერესების გასატარებლად მსოფლიოში. ის ერთდროულად მრავალ ამოცანას ასრულებს: საზოგადოებას აძლევს მაღალ იდეალებს — მატერიალური კეთილდღეობის მოთხოვნის საკომპენსაციოდ; ხსნის პოლიტიკურ რისკებსა და ბრალდებებს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის არალეგიტიმურობაზე; აკეთებს სამხედრო, დაზვერვისა და სახელმწიფო ორგანოების ძალების ეკონომიას და თავის ბიზნესმენებს უქმნის მძლავრ ფინანსურ სახსრებს“.**

# გერმანულის გაკვეთილები უკრაინისთვის და არამხოლოდ მისთვის

(ნაწილი მეოთხე)

დასასრული. დასაწყისი იხ. №46-47 2014 წ., №1 2015 წ.

## „ფერადი რევოლუციების“ მეთოდოლოგია

ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში ამერიკელი სამხედროები და სადაზვერვო სამსახურები ათვითცნობიერებდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან ბრძოლა მხოლოდ სამხედრო მეთოდებით საჭირო შედეგს ვერ მოიტანდა. ამას ადასტურებდა 1956 წლის მოვლენები უნგრეთში და 1968 წლის პრაღის გაზაფხული ჩეხოსლოვაკიაში, ამიტომ რეჟიმის შეცვლის „მშვიდობიანმა“ მეთოდებმა სისტემური ხასიათი შეიძინა. ბევრი რამ, რითაც დაკავებული იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, გელენის ორგანიზაცია და ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკი არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების ფუნქციებში გადავიდა. ამ პროცესს **1991 წელს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ გავლენიანმა კომენტატორმა დევიდ იგნეიშსმა „ჯაშუშების გარეშე სახელმწიფო გადატრიალებების ახალი სამყარო“ უწოდა.**

რეჟიმებისთვის ძირის გამოთხრისა და დამხობის იატაკქვეშა ოპერაციებს ერთი დიდი ნაკლი აქვს — თვითონ იატაკქვეშა ხასიათი. როდესაც მათ შესახებ ამერიკელი საზოგადოება შეიტყობს, კრიტიკა გარდაუვალია. ხოლო ასეთი ოპერაციების გამჭვირვალეობის შემთხვევაში, რომლებიც „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ სახელით ტარდება, საზოგადოება სპეცსამსახურებს არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ეხმარება კიდეც. **ქუჩის დემონსტრაციები და ქაოსი სპონტანურს ჰგავს, მაგრამ ამ ყველაფრის უკან ერთი დირიჟორის მიერ დეტალურად მოფიქრებული სისტემური ორგანიზებულობა და მეთოდოლოგია დგას.** როგორც სერბული ორგანიზაცია „ოტპორის“ დამფუძნებელმა სრჯა პოპოვიჩმა განაცხადა, „საინტერესო იყო იმის შეტყობა, რომ არსებობს მეცნიერება იმაზე, რითაც ჩვენ ვართ დაკავებული“.

**„ფერადი რევოლუციების“ მეთოდოლოგია ფართო საზოგადოებრიობისთვის არცთუ ცნობილი და ყველა ქვეყნის ოპოზიციონერებისთვის კერპადქცეული ჯინ შარპის ნაშრომებიდან აღმოცენდა.** კერპი დღეს 83 წლისაა და ყავარჯნებით გადაადგილდება. 2007 წელს კი ის უგო ჩავესმა — ვენესუელის აწ გარდაცვლილმა პრეზიდენტმა — ქვეყანაში არეულობის მოწყობაში დაადანაშაულა. **გაზეთმა „უოლ სტრიტ ჟორნელმა“ 2008 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ჯინ შარპს მიუძღვნა, ასე დაასათაურა: „ამერიკელი რევოლუციონერი: მოკრძალებული პროფესორი ბოსტონიდან მსოფლიოს ამბოხებულებს აღაფრთოვანებს“.** შარპმა განაცხადა, რომ ამბოხებებისა და პუტჩების ორგანიზების მეთოდები მაჰათმა განდის მიერ შემუშავებულ არაძალადობის ფილოსოფიაში იპოვა(?).

**დიდი პოპულარობა მოიხვეჭა შარპის წიგნმა „დიქტატურიდან დემოკრატიამდე: გათავისუფლების კონცეფციური საფუძვლები“. ეს 90-გვერდიანი ნაშრომი ბიბლიად იქცა ანტისამთავრობო მოძრაობებისთვის ვიეტნამში, ბირმაში, ზიმბაბვეში, ტიბეტში, ირანში, აგრეთვე, სერბეთში, უკრაინასა და საქართველოში. ეს წიგნი 39 ენაზე ითარგმნა.**

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ჯინ შარპმა არასამხედრო გზით ხელისუფლებების დამხობით თავისი მეთოდოლოგიის დახვეწა-განვითარება 1960-იან წლებში დაიწყო. 1973 წელს მან გამოაქვეყნა 900-გვერდიანი ოპუსი — „არაძალადობრივი ბრძოლის პოლიტიკა“. 1983 წელს დააარსა ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტი. მოგვიანებით შარპის თეორიულ ნაშრომებს დაემატა კონკრეტული მოქმედებების სახელმძღვანელოები. ბროშურა „არაძალადობრივი მოქმედებების 198 მეთოდი“ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს აღწერს — საჯარო გამოსვლებიდან, მასობრივ პეტიციამდე, გაფიცვებამდე და საკუთრების განადგურებამდე. **შარპი იშვიათად იძლევა ინტერვიუს. თუმცა ფრანგი ჟურნალისტების დოკუმენტურ ფილმში „რევოლუცია.COM. აშშ. აღმოსავლეთის დაპყრობა“ სიფრთხილეს კარგავს და სერბეთში მომხდარ რევოლუციაზე დაწვრილებით ლაპარაკობს:**



ჯონ შარპი

**დასავლეთი ოსტატურად იყენებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სინამდვილეში მომავალი მთავრობის საყრდენია. მათ თავიანთი მოღვაწეობა უნდა წარმართონ ისე, რომ აშშ-ის სახელმწიფო ორგანოები არავინ დაადანაშაულოს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაში, და ეს დემოკრატიზაციაზე მზრუნველი სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივად წარმოაჩინონ**

„სერბეთში ოპოზიციონერებმა წინასწარი განზრახვით „შეარბილეს“ პოლიციისა და სამხედროების მოქმედებები, სასტიკი რეპრესიები რომ არ დაეწყოთ, როცა ანტისამთავრობო მოძრაობა გააქტიურდებოდა. **14-15 წლის ბიჭები და გოგონები პოლიციას ამანათებს უგზავნიდნენ — საკვებს, წიგნებს და ა. შ., რათა შეესუსტებინათ მათი ერთგულება მილოშევიჩისადმი. შემდეგ მათ დაამყარეს კონტრაქტები პოლიციის ხელმძღვანელობასთან იმისათვის, რომ, როდესაც დემონსტრანტები დაიძვრებოდნენ, ისინი პოლიციას არ შეეფერხებინა“.**

**„მსოფლიო დემოკრატიზაციის“ მთავარი მფარველი და დამფინანსებელია „დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდი“ (დმნფ) — NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY, NED), რომელიც აშშ-ის კონგრესმა 1982 წელს დააარსა პრეზიდენტ რეიგანის წინადადებით. ფონდის შექმნას კი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი სპეციალისტი უოლტერ რეიმონდი.**

დმნფ აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება ასეთი სქემით: **სახელმწიფო დეპარტამენტი — საერთაშორისო განვითარების სააგენტო.** ამ ფონდს ჯორჯ ბუშის (უმცროსი) პრეზიდენტობის პერიოდში **პოლა დობრიანსკი** კურატორობდა, ხოლო უშუალოდ ხელმძღვანელობდა მისი მოადგილე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში **ბარი ლოუენკრონი** — პროფესიონალი სამხედრო მზვერავი. ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში დობრინსკის პოსტი **მარია ოტერომ** დაიკავა. ის რეიგანის ეპოქაში საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანამშრომელი იყო ლათინურ ამერიკაში, 1986 წელს — ჰონდურასში, როდესაც იქ აშშ-ის მიერ ორგანიზებულმა ტერორმა პიკს მიაღწია. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურის მოადგილედ კი დაინიშნა **მაიკლ პოზნერი**, რომელიც მანამდე ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ფირსტს“ ხელმძღვანელობდა.

**დმნფ-ს სახსრების გასანაწილებლად აქვს ოთხი დიდი არხი: საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) და ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) რესპუბლიკელებისა და დემოკრატების პოლიტიკური ინიციატივის განხორციელებას ემსახურებიან; კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრი (CIPE) და მუშათა სოლიდარობის საერთაშორისო ამერიკული ცენტრი (ACILS) კი ბიზნესპროექტებს ახორციელებენ.**

ფონდი, როგორც „საფარის“ ფუნქციების მქონე სტრუქტურა, მნიშვნელოვნად აიოლებს ასობით ორგანიზაციის დაფინანსებას, რომლებსაც აშშ-ის ბიუჯეტიდან თანხის მიღების გამო ბევრი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა მოუწევდათ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) მსოფლიოს 70 ქვეყანაში ახორციელებს პროექტებს.

**დმნფ თანხებს პირდაპირ გადასცემს მიმღებს ან ურიცხავს მას ისეთი ჯაჭვით, რომ დასაფინანსებელი ობიექტების გამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.**

1980-იან წლებში, როგორც კი ცვლილებების სიომ დაუბერა, დმნფ-მა დააფინანსა ლეხ ვალენსას ანტისახელისუფლო ორგანიზაცია „სოლიდარობა“ პოლონეთში და სხვა მსგავსი პარტიები აღმოსავლეთ ევროპაში. 1990-იანი წლების ბოლოდან კი „ფერადი რევოლუციების“ დაფინანსება დაიწყო.

**აშშ-ის ხელისუფლებასა და სხვადასხვა სტრუქტურასთან ერთად მსოფლიოში, განსაკუთრებით — აღმოსავლეთ ევროპაში, „დემოკრატიის წინსვლას“ აფინანსებს მილიარდერი ჯორჯ სოროსიც.**

სოროსმა თავისი პირველი ფონდი „ღია საზოგადოება“ 1979 წელს დააარსა. შემდეგ ფონდის მოღვაწეობა გეომეტრიული პროგრესიით ფართოვდებოდა: 1984 წ. — უნგრეთი; 1986 წ. — ჩინეთი (შეჩერდა 1989 წელს); 1987 წ. — საბჭოთა კავშირი; 1988 წ. — პოლონეთი; 1989 წ. — ჩეხოსლოვაკია; 1990 წ. — ბულგარეთი, ესტონეთი, ლიტვა, რუმინეთი, უკრაინა; 1992 წ. — ალბანეთი, ბელარუსი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, ჩეხეთი, ლატვია, მაკედონია, მოლდავეთი, სლოვაკეთი, სლოვენია; 1993 წ. — ყაზახეთი, ყირგიზეთი, სამხრეთ აფრიკა; 1994 წ. — საქართველო; 1995 წ. — ჰაიტი.

სოროსის გავლენამ და ფინანსებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთში 1990-იან წლებში ე. წ. შოკური თერაპიის განხორციელებაში. **„თავბრუდამხვევი წარმატების“ მაგალითად იქცა სოროსის „ღია საზოგადოების“ მოღვაწეობა საქართველოში ალექსანდრე (კახა) ლომაიას ხელმძღვანელობით, რომელიც ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო ედუარდ შევარდნაძის დამხობის საქმეში.** ლომაია, ოფიციალური ბიოგრაფიის თანახმად, სოროსის ფონდის პროექტ „დემოკრატიული კოალიციის“ დირექტორის რანგში, ხელს უწყობდა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ნაციონალური კოალიციების შექმნას „დემოკრატიული რეფორმების“ განსახორციელებლად.

ამ კოალიციებს ზემოქმედება უნდა დაეწყოთ მთავრობებზე და მათგან 2002 წლის ვარშავის დეკლარაციით აღებული დემოკრატიული ვალდებულებების შესრულება მოეთხოვათ. პროექტის მიზანი იყო სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში დემოკრატიული ფასეულობების ინტეგრაცია.

ლომაიას ძალისხმევით შეიქმნა ნაციონალური კოალიციების საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც იწყებს „დემოკრატიულ რეფორმებს საერთაშორისო არენაზე“.

2003-2004 წლებში, ანუ „ვარდების რევოლუციის“ მომზადებისა და განხორციელების პერიოდში, ლომაია ფონდ „ღია საზოგადოებას“ ხელმძღვანელობდა საქართველოში; შემდეგ სააკაშვილის მთავრობაში ის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტს იკავებს (2004-2007), 2007 წლის ნოემბერში კი ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტების დაწყების წინ ის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშნეს.

ფრანგი ტელეჟურნალისტების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ედუარდ შევარდნაძე მისი რეჟიმის დამამხობლებზე ლაპარაკობს:

„ახალგაზრდები, ბევრი მათგანი, დარწმუნებული ვარ, მოისყიდეს. ამაში დიდი როლი ითამაშა ცნობილმა სოროსმა. ის დაინტერესებული იყო ხელისუფლების შეცვლით... არავითარი რევო- ▶



ბრუს ჯექსონი და მიხეილ სააკაშვილი

**აშშ-ისთვის მისაღებია იუშჩენკოს უკრაინა და სააკაშვილის საქართველო, მორჩილი ხელისუფლებები, რომლებიც თავიანთი ქვეყნების რესურსებისკენ მისასვლელ გზებს გაუკვალავენ ამერიკულ კორპორაციებს, რომლებიც თავიანთ ხალხს ომში გაგზავნიან ამერიკის ინტერესების დასაცავად და რომლებიც მოემსახურებიან ამერიკის ამოცანების გადაჭრას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.**

გეოპოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლუცია არ ყოფილა — ეს ჩვეულებრივი გადატრიალება იყო".

2008 წლის ზაფხულში სოროსმა დაიწყო თავისი მოღვაწეობის გააქტიურება, მისი ფონდის ფილიალები კი უკვე აქტიურად მუშაობდნენ ბელარუსში ვითარების შესაცვლელად.

**დასავლეთი ოსტატურად იყენებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სინამდვილეში მომავალი მთავრობის საყრდენია. მათ თავიანთი მოღვაწეობა უნდა წარმართონ ისე, რომ აშშ-ის სახელმწიფო ორგანოები არავინ დაადანაშაულოს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაში, და ეს დემოკრატიზაციაზე მზრუნველი სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივად წარმოაჩინონ.** მაგალითად, „ფერადი რევოლუციების" აქტიურ ფაზაში (2003-2005) ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის" ხელმძღვანელი იყო ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი (1993-1995) **ჯეიმს ვულსი.**

**„დემოკრატიიის განვითარება" — ეს ყველაზე წარმატებული და ეფექტიანი ფორმულაა აშშ-ის ინტერესების გასატარებლად მსოფლიოში. ის ერთდროულად მრავალ ამოცანას ასრულებს: საზოგადოებას აძლევს მაღალ იდეალებს — მატერიალური კეთილდღეობის მოთხოვნის საკომპენსაციოდ; ხსნის პოლიტიკურ რისკებსა და ბრალდებებს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის არალეგიტიმურობაზე; აკეთებს სამხედრო, დაზვერვისა და სახელმწიფო ორგანოების ძალების ეკონომიას და თავის ბიზნესმენებს უქმნის მძლავრ ფინანსურ სახსრებს.**

## საბოლოო მიზანი – ნატო

აშშ-მა რუსეთთან ბრძოლის ესტაფეტა მიიღო მესამე რაიხისგან, როდესაც ხელში ჩაიგდო ფაშისტების აგენტურული ქსელი, მეთოდები და კადრები.

ასე შექმნა აშშ-მა რადიკალურად განწყობილი ანტისაბჭოთა ორგანიზაციების დატოტვილი ქსელი აღმოსავლეთ ევროპაში. ასე შეცვალა აშშ-მა ხელისუფლებები საქართველოსა და უკრაინაში და განაგრძობს ნიადაგის მომზადებას „რეჟიმების შესაცვლელად" რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

**ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას აშშ-ისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს. თუკი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, აშშ-თან კარგი ურთიერთობის მიუხედავად, არ სურდა რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყება, ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პროვოკაცია პირველივე შესაძლებლობისთანავე მოაწყო. თუკი უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა მზად არ იყო ანტირუსული ხაზის გასატარებლად, ახალმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ეს ყველაფერი იოლად მოახერხა.**

თუმცა ესეც არ არის საკმარისი მსოფლიოზე ბატონობისკენ ამერიკის მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. **რუსეთის „შეკავებას" მტკიცე საფუძველი არ ექნება, ვიდრე მის საზღვრებთან მდებარე სახელმწიფოები ფორმალურად არ გაერთიანდებიან დასავლურ სტრუქტურებში, კერძოდ — ნატოში, რითაც რუსეთს მანევრის საშუალებას მოუსპობენ. რუსეთის პერიმეტრზე — ფინეთიდან ჩინეთამდე — ნატოს ბაზების განლაგება — აი, რა არის „ფერადი რევოლუციების" საბოლოო მიზანი.**

ამასთანავე, **1990-იანი წლებიდან ანტირუსული მოღვაწეობა იატაკქვეშეთიდან საჯარო სფეროში გადავიდა და ხორციელდებოდა დემოკრატიის სახელით, სინამდვილეში კი ეს სამხედრო პროექტია, რომელსაც სამხედრო დაზვერვის ყოფილი და მოქმედი კადრები ხელმძღვანელობენ.**

**„იმას, რითაც ჩვენ დღეს ვართ დაკავებული, 25 წლის წინათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აკეთებდა", — აღიარა 1991 წელს ალენ ვაინშტეინმა — დემოკრატიის მხარდამჭერი ფონდის პირველმა პრეზიდენტმა. მას კვერი დაუკრა „ფრიდომ ჰაუსის" პრეზიდენტმა კარატნიცკიმ, რომელიც ყველა „ფერადი რევოლუციის" დაფინანსებასა და კადრების შერჩევაში მონაწილეობდა.**

„1950-იან, 60-იან და 70-იან წლებში ასეთ აქტივისტებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობდა, ისინი აშშ-ის სპეცსამსახურების ინსტრუმენტები ხდებოდნენ. თუკი ადრე მსგავსი პრაქტიკა გასაიდუმლოებული იყო, დღეს თეთრმა სახლმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს გამჭვირვალედ, საჯაროდ და უეჭველად არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით განახორციელოს".

**დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდი შექმნის დღიდანვე მხარს უჭერდა სიკვდილის ესკადრონებს ცენტრალურ ამერიკასა და აფრიკაში, რომლებსაც ისევე, როგორც ავღანელ მოჯაჰედებს, „თავისუფლებისთვის მებრძოლ რაინდებად" ასაღებდა.**

ზემოაღნიშნულ ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტში ჯონ შარპის პარტნიორი იყო **რობერტ ჰელვი** — სამხედრო დაზვერვის პოლკოვნიკი, რომელმაც 30 წელი იმსახურა სახმელეთო ჯარებში. იბრძოდა ვიეტნამში, იყო სამხედრო ატაშე ბირმაში. როგორც ჰელვი ამბობს, შარპის თეორიაში მოეწონა ის, რომ არაძალადობრივ ბრძოლას საერთო არაფერი აქვს პაციფიზმთან.

ჰელვიმ შესანიშნავად იცის, როგორ შეიძლება არმიის დასუსტება და ხელისუფლების დამხობა — ბირმაში ის ოპოზიციურად განწყობილ პარტიზანებს ამზადებდა და უკმაყოფილო იყო, რომ ხელისუფლებასთან აშკარა სამხედრო დაპირისპირების მცირე შედეგი მოჰქონდა. **სწორედ ბირმა იყო შარპის არაძალადობრივი სახელმწიფო გადატრიალების თეორიის**





„ფერადი რევოლუციების" გრაფიკი „ფრიდომ ჰაუსის" ნიუ იორკის ოფისში



ალენ ვაინშტაინი, დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდის პირველი პრეზიდენტი: „იმას, რითაც ჩვენ დღეს ვართ დაკავებული, 25 წლის წინათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აკეთებდა".

# «მსოფლიოს დემოკრატიზაციის» მთავარი მფარველი და დამფინანსებელია დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდი (დმნფ) — National Endowment for Democracy, NED), რომელიც აშშ-ის კონგრესმა 1982 წელს დააარსა პრეზიდენტ რეიგანის წინადადებით. ფონდის შექმნას კი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი სპეციალისტი უოლტერ რეიმონდი

**ტესტირების პირველი პოლიგონი — 1990 წელს ამ თეორიას პოლკოვნიკი ჰელვი პარტიზანებს ასწავლიდა ბირმის ჯუნგლებში.**

აი, რას უყვება ფრანგ ჟურნალისტებს ჰელვი:

**„იდეა არის ის, რომ ძირი გამოვუთხაროთ სისტემის საყრდენებს და ისინი ჩვენს ბანაკში გადმოვიტანოთ. ამ საყრდენების დანგრევა აუცილებელი არ არის, უბრალოდ, ისინი უნდა გადავაადგილოთ და ადამიანები დავარწმუნოთ, რომ მათი ადგილი აუცილებლად იქნება დემოკრატიული მთავრობის პირობებში**".

სერბეთის რევოლუციის ლიდერი პოპოვიჩი ჰელვის 2000 წლის აპრილში შეხვდა:

„ჰელვისთან შეხვედრა ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იყო, რადგან ამ ადამიანს უზარმაზარი გამოცდილება აქვს... თქვენ სამართალდამცავი ორგანოებიდან, კერძოდ, პოლიციიდან, ირჩევთ ადამიანებს და რეგულარულად უგზავნით მას შეტყობინებებს, რომ რეჟიმის მსხვერპლი არის ყველა — ისინიც და ჩვენც! — აი, ასე ხსნის სამართალდამცველებზე ზემოქმედების პრაქტიკას „ოტპორის" მეთაური.

სერბეთში რობერტ ჰელვის ჩასვლიდან ორი თვის თავზე მილოშევიჩის რეჟიმი დაემხო.

ყველაზე სრულფასოვანი მაგალითი კი, რომელიც საკითხის ყველა წახნაგს წარმოაჩენს, არის ამ მასალის დასაწყისში ნახსენები ბრუს ჯექსონი, რომელსაც სააკაშვილი ეკითხება, რამე ხომ არ წამოვროშეო.

სამხედრო დაზვერვის გადამდგარი ოფიცერი ჯექსონი ნატოს გაფართოების კომიტეტის (მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და ასე იწოდებოდა: „დემოკრატიის გზაზე მიმავალი ქვეყნების ფონდი") დამფუძნებელია.

**2002 წლამდე ჯექსონი თავის მოღვაწეობას მსოფლიოში დემოკრატიის განმტკიცებისთვის აშშ-ის სამხედრო ინდუსტრიის უდიდესი კამპანიის „ლოკჰიდ მარტინის" ვიცეპრეზიდენტის პოსტზე მუშაობას უთავსებდა. ანუ, როგორც ერთ-ერთი ექსპერტი ამბობდა, „ჯექსონი დამაკავშირებელი რგოლია სამხედრო ინდუსტრიასა და ნეოკონსერვატორებს შორის".**

ნატოს ამჟამად, „ცივი ომის" პერიოდთან შედარებით, დიდი სარგებლობა მოაქვს აშშ-ისთვის: ახალი წევრების მოზიდვა საშუალებას იძლევა, მათგან აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის ძღვენი მიიღონ; ემსახურება ამერიკის ინტერესების დაცვას სხვა სახელმწიფოების მეშვეობით; აშშ-ს უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსებით; აძლევს მას ადამიანური და მატერიალური რესურსების ეკონომიის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ ჯექსონის მამა უილიამ ჯექსონი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი დამაარსებელია და 1950-1951 წლებში ამ სამმართველოს დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. მოგვიანებით კი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მრჩეველი იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში.

აი, ასეა გამოხატული ბრუს ჯექსონის პერსონაში სამხედრო დაზვერვა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ნატოს გაფართოება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესები, „დემოკრატიის მხარდამჭერი" არასამთავრობო ორგანიზაციები და „ფერადი რევოლუციები".

## დასკვნა

ავტორმა სათავგადასავლო წიგნებისა ბავშვებისა და მოზრდილებისთვის, ნობელის პრემიის ლაურეატმა ლიტერატურის დარგში და ბრიტანული იმპერიალიზმის დაცემის წინასწარმეტყველმა რედიარდ კიპლინგმა თავის დროზე თქვა: **„დიდი თამაში მაშინ სრულდება, როდესაც ყველა კვდება".** კიპლინგი დაიბადა ინდოეთში, ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოს „მარგალიტში", ბევრს მოგზაურობდა აზიაში და თვითმხილველია დიდი თამაშისა — კონკურენციისა ცენტრალური აზიის ხელში ჩასაგდებად და მსოფლიოზე ბატონების მცდელობისა, რომელიც XIX საუკუნეში დაიწყო ორ იმჟამინდელ სუპერსახელმწიფოს — დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს — შორის. იმხანად მსოფლიოზე დიდი ბრიტანეთის გაბატონებას ხელი რუსეთმა შეუშალა. უფრო ადრე რუსეთის დაპყრობა ნაპოლეონს სურდა. 1941 წელს რუსეთი წინ აღუდგა მესამე რაიხს. ფაშისტების დამარცხების შემდეგ კი საბჭოთა კავშირი ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა — ეს არის აშშ, რომელმაც მსოფლიოზე ჰეგემონიის დამყარების ესტაფეტის ჯოხი დიდი ბრიტანეთისგან მიიღო. თუმცა, როგორც უნდა იწოდებოდეს იმპერია, მას მსოფლიოზე გაბატონებისთვის რუსეთის დაპყრობა-დამორჩილება მოუწევს. ამისათვის აუცილებელია რუსეთის დაპყრობა და მისი ბუნებრივი რესურსების დაუფლება — ეს გეოპოლიტიკური ლოგიკა საუკუნეებია, არ იცვლება.

დღეს აშშ დიდ თამაშს ეწევა აზიასა და, საერთოდ, მსოფლიოში. რა მიზნები ამოძრავებს აშშ-ს? **აშშ-ისთვის მისაღებია იუშჩენკოს უკრაინა და სააკაშვილის საქართველო, მორჩილი ხელისუფლებები, რომლებიც თავიანთი ქვეყნების რესურსებისკენ მისასვლელ გზებს გაუკვალავენ ამერიკულ კორპორაციებს, რომლებიც თავიანთ ხალხს ომში გაგზავნიან ამერიკის ინტერესების დასაცავად და რომლებიც მოემსახურებიან ამერიკის ამოცანების გადაჭრას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.** რაც შეეხება პოსტსაბჭოთა სივრცეს, იქ აშშ-ს სჭირდება „სტაბილური, რეფორმებზე ორიენტირებული, თავისი საზღვრების გამკონტროლებელი, გარე (რუსეთის) სამხედრო და ეკონომიკური ზემოქმედებისგან დაცული, საიმედო ენერგოტრანზიტის უზრუნველმყოფი სახელმწიფოები, რომლებიც მხარს დაუჭერენ ალიანსის ოპერაციებს". აი, ეს განაცხადა 2009 წლის 2 მარტს აშშ-ის სენატში გამართულ მოსმენაზე ამერიკელმა გენერალმა **ჯონ კრედოკმა,** ევროპაში აშშ-ის სამხედრო ძალებისა და ნატოს გაერთიანებული ძალების იმჟამინდელმა მთავარსარდალმა

ბოლო ათი წლის განმავლობაში აშშ-მა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და სრულყო თავისი ინტერესების სარეალიზაციო ინსტრუმენტები. რამდენი სატანკო დივიზიის გამოყენება დასჭირდებოდა ნატოს სსრკ-ის რომელიმე ნაწილის დასაპყრობად? არადა, **როგორც აღმოჩნდა, დემოკრატიის სახელითა და „ფერადი რევოლუციების" გამოყენებით შეიძლება მთავრობის შეცვლა ამა თუ იმ ქვეყანაში და... ეს ქვეყნები თვითონ დაიწყებენ სწრაფვას ნატოში გაერთიანებისკენ. „ფერადი რევოლუციების" შედეგად ქვეყნის სათავეში მოდიან აშშ-ისადმი ლოიალურად განწყობილი ხელისუფლებები. ნატოში გაწევრება კი ვითარებას კარგა ხნით შეუქცევადს ხდის.**

ის, რომ უკრაინისა და საქართველოს გაწევრება ნატოში ჭიანურდება, გამოწვეულია იმით, რომ ამ ორი არასტაბილური ქვეყნის ალიანსში მიღება თვითონ აშშ-ს არ აძლევს ხელს. სწორედ ამიტომ მისცა აშშ-მა უფლება სააკაშვილს, პროვოკაცია მოეწყო და ომი გაეჩაღებინა ე. წ. სამხრეთ ოსეთში. ევროპასა და აშშ-ს არაფერში სჭირდებოდათ ალიანსის წესდების მე-5 პუნქტის ამოქმედება სოლიდარობის თუ დაცვის შესახებ.

გულუბრყვილობა იქნებოდა ფიქრი იმაზე, რომ აშშ-ს შეუძლია ან სურს თავისი იმპერიული პოლიტიკის შეცვლა. **აშშ-სა და, საზოგადოდ, ანგლოსაქსური სისტემის თამაში კონკურენტების წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც ერთ-ერთი მოთამაშე სრულად და უპირობოდ დანებდება მეორეს. კიპლინგის კანონი, სამწუხაროდ, მხოლოდ დიდ თამაშს არ მიესადაგება...**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერ-რიადში არიან ახალგაზრდა პრინცები, რომლებიც ხელისუფლებისკენ მიილტვიან და მთელი ძალით ცდილობენ გეგმის განხორციელებას არა მხოლოდ ამერიკის ნავთობის ბაზრის ხელში ჩასაგდებად, არამედ, გადამწყვეტი თუ არა, სერიოზული გავლენის მოპოვების მიზნით პოლიტიკურ სისტემაზე. ეს გავლენა ითვალისწინებს აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე ორი წლის შემდგომი არჩევნების დროს სწორედ საუდელების რჩეულის მოყვანას.**

# საუდეველები თეთრ სახლში «საკუთარი პრეზიდენტის» დასმას აპირებენ



**პოლიტიკა, როგორც ცნობილია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკასთან. ეს ნათლად ჩანს ნავთობის ფასების კლებით. პირველი ქვეყანა, რომელმაც ფასის შემცირება დაიწყო, საუდის არაბეთია.**

მრავალი მიზეზი დასახელდა ელ-რიადის ახალი და თითქოს მოულოდნელი კურსის ასახსნელად. მაგრამ, თუ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებს, განსაკუთრებით კი საუდურ-ამერიკულ ურთიერთობებს, ყურადღებით გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონს ე. წ. ფიქლური რევოლუციის მსვლელობისას ძველებურად აღარ ესაჭიროებოდა საუდის არაბეთის ნავთობი და ამ მიმართულებით ამ უკანასკნელის კონკურენტადაც კი იქცა. გარდა ამისა, **აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ირანელ აიათოლებთან დაიჭირა საქმე და, როგორც ჩანს, ფსონი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში უფრო ძლიერ ირანზე დადო.**

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე თეირანის დაბრუნებაზე მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად ზომიერი და პრაგმატული ჰასან რუჰანი დადგა. **ირანი მსოფლიოში მეორე ადგილზეა გაზის მარაგის თვალსაზრისით და მესამეზე — ნავთობის რეზერვებით.** აქედან გამომდინარე, მას შესწევს ძალა, ახლო აღმოსავლეთში ენერგეტიკული თამაშის მოედანზე განლაგება შეცვალოს. 80-მილიონიანი მოსახლეობის განათლების დონე არაფრით ჩამოუვარდება დასავლურს და მისი სრული დაბრუნება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა.

ბუნებრივია, ეს უმალ იგრძნეს ერ-რიადში, სადაც ავადმყოფი 90 წლის მეფე აბდალას ხელისუფლებას სულ უფრო მეტად იტაცებენ შედარებით ახალგაზრდა ტექნოკრატები. საუდეველებმა, სხვათა შორის, 1945 წლის (როდესაც მიღწეულ იქნა შეთანხმება აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტსა და საუდის არაბეთის მეფე აბდულ აზიზ იბნ აბდ რახმანს იბნ ფეისალ ალ საუდს შორის სტრატეგიული კავშირის შესახებ) შემდეგ პირველად საკმაოდ ნათლად გააცნობიერეს, რომ ახლა მათ თვითონ მოუწევთ საკუთარ თავზე და საკუთარ ნავთობშემოსავლებზე ზრუნვა. მაშინ, შეთანხმების თანახმად, ამერიკა საუდის სამეფო ოჯახსა და ნავთობკომპანია Aramco-ს უცვლელ მხარდაჭერას დაჰპირდა, ვიდრე ეს უკანასკნელნი „შავი ოქროს" უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფდნენ. მაგრამ ახლა ვაშინგტონმა ნელ-ნელა გადაუხვია ერ-რიადის უპირობო მხარდაჭერიდან, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს.

საუდელების მხრიდან გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად იქცა ნავთობის ფასების მკვეთრი შემცირება „შავი ოქროს" მოპოვების დონის შენარჩუნების პირობებში. სამეფოში ბარელის მოპოვების ყველაზე დაბალი დონეა აშშ-თან შედარებით, სადაც ფიქლური გაზის რენტაბელობა 50-დან 80 დოლარამდე მერყეობს. შორი არ არის დღე, როდესაც დასრულდება ფიქლების დამუშავება, საუდელები კი, კვლავაც შევიდნენ რა ამერიკის ნავთობბაზარზე, მონოპოლიურად დააწესებენ ფასებს. გარდა ამისა, **ერ-რიადში არიან ახალგაზრდა პრინცები, რომლებიც ხელისუფლებისკენ მიილტვიან და მთელი ძალით ცდილობენ გეგმის განხორციელებას არა მხოლოდ ამერიკის ნავთობის ბაზრის ხელში ჩასაგდებად, არამედ, გადამწყვეტი თუ არა, სერიოზული გავლენის მოპოვების მიზნით პოლიტიკურ სისტემაზე. ეს გავლენა ითვალისწინებს აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე ორი წლის შემდგომი არჩევნების დროს სწორედ საუდელების რჩეულის მოყვანას.**

ამ ყველაფერთან ერთად საუდელები მშვენივრად აცნობიერებენ, რომ, თუ ისინი თავიანთ მოკავშირეს არჩევნებში დაეხმარებიან და ამ პროცესში წინასაარჩევნო კამპანიაზე არაერთ ათეულ მილიარდ დოლარს დახარჯავენ (ამერიკულ ბანკებში დაახლოებით 1 ტრილიონი საუდური ნავთობდოლარი დევს), თეთრი სახლის მომდევნო ბინადარი სავსებით ბუნებრივად მადლობელი იქნება დახმარებისთვის და საეჭვოა, „ფიქლური რევოლუციის" ახალი ეტაპი დაუშვას. რაღაც დოზით ახლა საუდელებს სურთ, გაიმეორონ ნავთობემბარგოს ის წარმატებული გეგმა, რომელიც შორეულ 1973 წელს განხორციელდა და რომელმაც ბიძგი მისცა ვაშინგტონის პოზიტიურად დაძვრას არაბებისკენ, რომლებსაც სათავეში სწორედ საუდის არაბეთი ედგა.

**პირველი, ვინც იერიში მიიტანა ვაშინგტონზე, იყო ავადსახსენებელი პრინცი ბანდარი, რომელმაც პრესკონფერენციაზე განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საუდის არაბეთის შებრუნება აშშ-ის საპირისპირო მხარეს მართლაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ერ-რიადს აღარ სურს, აღმოჩნდეს სიტუაციაში, რომლის დროსაც დამოკიდებული იქნება ამერიკელების მოქმედებებსა თუ უმოქმედობაზე**

შესაძლებელია თუ არა ამგვარი ვარიანტის გამეორება ახლა, თუ ნაქები ამერიკული „დემოკრატია" მოიპოვებს უპირატესობას? ეს ყველაფერი გარკვეული დროის შემდეგ გახდება ცნობილი, ახლა კი შეგვიძლია, იმაზე ვიმსჯელოთ, თუ რას — როგორ ორგანიზაციებსა და რომელ პოლიტიკოსებს — „ფლობენ" საუდელები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული კანონმდებლობა კრძალავს პირდაპირ ლობირებას უცხოური ხელისუფლებების მხრიდან. მიუხედავად ამისა, შემუშავებული იქნა ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც უცხოეთის სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ინტერესებისთვის იბრძოლონ აშშ-ის პოლიტიკურ არენაზე და ზემოქმედება მოახდინონ ამერიკაში, როგორც არჩევნებზე, ასევე ამერიკული საგარეო-პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე.**

ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის საუდური მიმართულება ამგვარი ლობიზმის მშვენიერი მაგალითია — XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული მჭიდრო კავშირები ამერიკის ხელმძღვანელობას, ამერიკულ ენერგეტიკულ კომპანიებსა და სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელ მონარქიებს შორის, რომელთაც სათავეში სწორედ საუდის არაბეთი ედგა, ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევდა, გამოეყენებინა საკუთარი ფინანსურ-სანავთობე რესურსები ახლო აღმოსავლეთში ამერიკის პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

ამერიკელი მკვლევარების აზრით, არაბული მონარქიებმა, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სფეროში დიდწილად არიან დამოკიდებულნი ამერიკულ მხარდაჭერაზე და ამერიკისგან იარაღის მიწოდებაზე, წლების განმავლობაში შეიმუშავეს ვაშინგტონთან ურთიერთობის იმგვარი პრაქტიკა, რომლის დროსაც შესაძლებელია საუბარი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაქვემდებარებაზეც კი სპარსეთის ყურის ქვეყნების, პირველ რიგში კი, საუდის არაბეთის ინტერესებისთვის.

**მრავალწლიანი მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად საუდის არაბეთმა შეაგროვა ლობისტების მთელი არმია, რომელიც ფუნქციონირებს კარგად ორგანიზებული და დატოტვილი ქსელის სახით.** ამ ლობისტების საშუალებით წყდებოდა სხვადასხვა სახის საკითხები მძიმე იარაღის შესყიდვებიდან დაწყებული, ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის გარიგებებით დამთავრებული. ლობისტების საშუალებით საუდელებს, ასევე, ჰქონდათ და აქვთ საშუალება, გავლენა მოახდინონ აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნებისადმი განსაკუთრებული სიახლოვით მუდამ გამოირჩეოდნენ რესპუბლიკელები და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ტრადიციის თანახმად, ხელისუფლებაში არც ერთი პარტია არ დარჩენილა 8 წელზე მეტხანს (პრეზიდენტობის ორი ვადა) და ახლა სწორედ რესპუბლიკელების ჯერი დგება.

ამერიკული მასმედიის ცნობით, საუდის არაბეთი აქტიურად თანამშრომლობს კომპანია Qorvis Communications-თან, რომელიც ყველანაირად ცდილობს აშშ-ში სამეფოს იმიჯის გაუმჯობესებას. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ამ ფირ- ▶



მოკლედ



## გერმანიაში «ისლამური სახელმწიფოს» წევრი დააკავეს

**გერმანიაში, ქვემო საქსონიის ქალაქ ფოლფსბურგში, დააკავეს 26 წლის ტუნისელი, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან" თანამშრომლობაშია ეჭვმიტანილი.** გერმანიის ფედერალური პროკურატურის ცნობით, ეჭვმიტანილი გერმანიის მოქალაქეა, თუმცა მას აქვს ტუნისის პასპორტიც. დაკავებულმა 2014 წელს რამდენიმე თვე გაატარა სირიაში. პროკურატურის განცხადებით, მან სირიაში ისლამისტებთან სამხედრო მომზადება გაიარა. დაკავებულს ბრძოლის ველიდან დაჭრილთა გამოყვანაში ავარჯიშებდნენ. დაკავებულის კონკრეტული გეგმების თაობაზე სამართალდამცავები ინფორმაციას ჯერჯერობით არ ავრცელებენ.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ახალი პრინტერები, რომლებიც საბეჭდ მასალად იყენებენ ლითონს, ხესა და ნაჭერს, ფართო აუდიტორიისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება და საინჟინრო სამყაროს ისტორიაში უდიდესი ცვლილებების წინაშე დააყენებს.

◀ მამ სამეფოსგან 60,3 მილიონი დოლარი მიიღო და კვლავაც განაგრძობს მედია-სფეროში საუდის არაბეთის მომსახურებას. ორგანიზაციის ერთ-ერთი პირველი პროექტი იყო მოკლე სატელევიზიო და რადიოსიუჟეტების მომზადება, რომლებშიც ყვებოდნენ ამერიკულ-საუდური მეგობრობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი მონარქიის ერთგულების შესახებ. ორგანიზაცია უკეთდებოდა ორგანიზებას საუდის მმართველი ოჯახის წევრების საგულდაგულოდ მომზადებულ შეხვედრებს ჟურნალისტებთან, ინტერვიუსებსა და სახალხო გამოსვლებს.

გარდა მიზანმიმართული პიარკამპანიისა, ერ-რიადი საჭიროებდა აქტიურ მუშაობას კონგრესმენებთან და პარტიულ მუშაკებთან. „მოკავშირეების“ მოსაზიდად დემოკრატიული პარტიის გარემოცვიდან დაქირავებულ იქნა ფირმა Patton Boggs-ი. ის ახლაც განაგრძობს საუდის არაბეთზე მუშაობას და უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რეგულარულად იღებდა ამ ქვეყნის ხელისუფლებისგან ათეულობით მილიონ დოლარს.

რესპუბლიკელთა მხრიდან ვაშინგტონში ერ-რიადის ინტერესებს წარმოადგენს ფირმა Loeffler Group-ი, რომელსაც სათავეში უდგას წარმომადგენლობით პალატაში ტეხასის ყოფილი რესპუბლიკელი და ჯონ მაკკეინის ერთ-ერთი უახლოესი მხარდამჭერი ტომას ლოფლერი. ამ ადამიანმა ლობისტური მომსახურებების გაწევისთვის მხოლოდ რამდენიმე წლის მანძილზე საუდის არაბეთისგან 10,3 მილიონი დოლარი მიიღო.

არაბული ლობიზმის შემსწავლელი სპეციალისტის — მიტჩელ ბარდას გათვლებით, საერთო ჯამში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საუდის არაბეთმა ოცზე მეტი ლობისტური ფირმის, კონსულტანტისა და იურიდიული კომპანიის მომსახურებით ისარგებლა და ამ საქმეზე რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დახარჯა.

პირდაპირი გადახდების გარდა, საუდელები რეგულარულად ახორციელებენ ნავთობის გეგმიურ მიწოდებას მნიშვნელოვანი ფასდაკლებით. კერძოდ, ამერიკული კორპორაციები, რომლებზეც Saudi Aramco ნავთობს შეღავათიან ფასად ყიდდა, გაცილებით უფრო მონდომებით უწევდნენ ფინანსურ დახმარებას აშშ-ის კონგრესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც შეიარაღებული ძალების კომიტეტისა და საგარეო პოლიტიკის კომიტეტის წევრები იყვნენ და რომელთა მოღვაწეობითაც საუდის არაბეთი დაინტერესებული იყო.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ Saudi Aramco-სგან ორეფერენციებს იღებდნენ სწორედ ის ნავთობკომპანიები, რომლებიც ყველაზე აქტიურად უჭერდნენ მხარს ზემოხსენებული კომიტეტების წევრებს. ამასთან, სახსრების ძირითადი ნაწილი ხმარდებოდა ე. წ. პოლიტიკური მოქმედების კომიტეტების დაფინანსებას. „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტები“ არის სტრუქტურები, რომლებიც საშუალებას აძლევს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, ამა თუ იმ პოლიტიკური ამოცანების ლობირებისთვის დახარჯონ ფული.

უნდა ითქვას ისიც, რომ **პირველი, ვინც იერიში მიიტანა ვაშინგტონზე, იყო ავადსახსენებელი პრინცი ბანდარი, რომელმაც პრესკონფერენციაზე განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საუდის არაბეთის შებრუნება აშშ-ის საპირისპირო მხარეს მართლაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ერ-რიადს აღარ სურს, აღმოჩნდეს სიტუაციაში, რომლის დროსაც დამოკიდებული იქნება ამერიკელების მოქმედებებსა თუ უმოქმედობაზე.** მან ასევე აღნიშნა, რომ ახალ სიტუაციაში საუდელი დიპლომატები მიიღებენ განკარგულებას, მკვეთრად შეზღუდონ კონტაქტი ამერიკელ კოლეგებთან. გარდა ამისა, სამეფო დაიწყებს აშშ-ის შემცვლელის ძებნას ნავთობის სფეროში ძირითადი პარტნიორისა და არმიისთვის იარაღის მთავარი მიმწოდებლის როლისთვის.

1982 წელს როდესაც ტახტზე ავიდა, პრინცმა ფაჰდიმ არ დაუვიწყა რა ძველი დამსახურებები, ბანდარა ვაშინგტონში ელჩად მიავლინა. ამ თანამდებობაზე მან 22 წელი იმუშავა და „თავისიანად“ იქცა არა მხოლოდ ამერიკული უმაღლესი ელიტის წარმომადგენელთათვის, არამედ ბუშების ოჯახისთვისაც. განსაკუთრებით იგი უმცროს ბუშს დაუმეგობრდა. როგორც მაშინ ზოგიერთი ჟურნალისტი აღწერდა, **ბანდარა მუდამ თბილი ღიმილით შესციცინებს თვალებში სხვებს, გულუხვად ურიგებს ჰუმანიტარულ ფონდებს და „საჭირო ამერიკელებს“, არა მხოლოდ უზარმაზარ თანხებს, საჩუქრად შეფუთულ ბრილიანტებსაც სთავაზობს.**

საუდელი ელჩი, როგორც თვითმხილველები იხსენებენ, შინაური იყო მისთვის საჭირო ამერიკის სამინისტროებსა და ოფიციალურ დაწესებულებებში, სადაც, სხვა უცხოელებისაგან განსხვავებით, თავისუფალი წვდომის უფლებით სარგებლობდა. ვაშინგტონში ამ დრომდე ახსოვთ უამრავი მდიდრული მიღება, რომელთაც ბანდარი ნებისმიერი მიზეზით მართავდა ხოლმე. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მიღებებზე ამერიკის მთელი ბომონდი იყო მიწვეული და ბანდარი მშვიდად უმასპინძლდებოდა მათ შავი ხიზილალით და „ამუშავებდა“ მისთვის საჭირო პირებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბანდარას „უანგარო“ მეგობრობა ბუშების უჯახთან და კონკრეტულად უმცროს ბუშთან, რის გამოც მას ბანდარ-ბუშიც კი შეარქვეს. ამერიკის ამ პრეზიდენტის მშობლები — ბარბარა და ჯორჯი ბანდარას მეუღლის — ჰაიფასთვის „ნამდვილ დედ-მამასავით“ იყვნენ. პრინცესა მუდამ ამბობდა, რომ, როგორც კი რაიმე დასჭირდებოდა, თავის ამერიკელ მშობლებს ურეკავდა. სხვათა შორის, ადამიანები, რომელთაც ბარბარა ბუშმა თავის სახლში სიგარის მოწევის ნება დართო, მისი შვილი ჯორჯი და ბანდარა იყვნენ. როგორც ცსს-ს ყოფილი ხელმძღვანელი, უფროსი ბუში აფასებდა ბანდარაში საიდუმლო ოპერაციებისა და აღმოსავლური ელფერის კომბინაციებისადმი მისწრაფებას.

გასაგებია, რომ ამ გულთბილი დამოკიდებულებისთვის საუდელი უხვად უხდიდა თავის ამერიკელ მეგობრებს. მაგალითად, მხოლოდ ოფიციალურად მან ჯორჯ ბუშის სახელობის ბიბლიოთეკის ფონდს რამდენიმე მილიონი დოლარი შესწირა. **როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა დაითვალეს, მხოლოდ უმცროსი ბუშის ოჯახს სხვადასხვა მიზეზით საუდის ელჩმა რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გადასცა.**

ეს მაგალითი იმაზე მიანიშნებს, რომ შემდგომშიც, უხვად გაიღებს რა სახსრებს რესპუბლიკელი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიისთვის, საუდის მორიგი პრინცი აშშ-ის თავისკენ მიმხრობას შეეცდება. როგორც არაბული პრესა წერს, სწორედ მოვლენათა ამგვარ განვითარებას შეუძლია იხსნას საუდის ამჟამინდელი რეჟიმი და გაახანგრძლივოს მისი არსებობა.

posthunt.net

**როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა დაითვალეს, მხოლოდ უმცროსი ბუშის ოჯახს სხვადასხვა მიზეზით საუდის ელჩმა რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გადასცა**



# 3D ბეჭდვა — რევოლუცია სამხედრო სფეროსა და საგარეო პოლიტიკაში

**ექსპერტთა აზრით, 3D-ბეჭდვა რევოლუციას მოახდენს სამხედრო სფეროსა და საგარეო პოლიტიკაში არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ახალი წარმოუდგენელი პროექტების განხორციელების საშუალებას იძლევა, არამედ იმიტომაც, რომ თავდაყირა აყენებს მთელ თავდაცვით მრეწველობას და შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკასაც.**

ადამიანთა უმრავლესობისთვის 3D-ბეჭდვა კვლავაც მოდური სიახლეა, რომელიც მხოლოდ უსარგებლო პლასტიკური ფიგურების შესაქმნელად გამოიყენება.

**მაგრამ ახალი პრინტერები, რომლებიც საბეჭდ მასალად იყენებენ ლითონს, ხესა და ნაჭერს, ფართო აუდიტორიისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება და საინჟინრო სამყაროს ისტორიაში უდიდესი ცვლილებების წინაშე დააყენებს.** მრავალმილიონიანი თავდაცვის მრეწველობა ამ ინოვაციის გამოყენებაში მოწინავე ადგილს იკავებს, აშშ-ის ჯარები კი უკვე აბანდებენ მნიშვნელოვან თანხებს სამხედრო უნიფორმის, საბრძოლო ჭრილობების სამკურნალოდ სინთეტიკური კანისა და თვით საკვების ბეჭდვის მცდელობებშიც კი.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა უკვე გამოიგონეს 4D-ბეჭდვა — ისეთი მასალების შექhმნა, რომლებიც ფორმას იცვლიან წყალთან ურთიერთქმედებისას. ეს იმას ნიშნავს, რომ მალე შესაძლებელი გახდება ისეთი უნიფორმის დაბეჭდვა, რომელიც გარემოს შესაბამისად იცვლის ფერს.

გასული წლის ბოლოს ბრიტანეთის თავდაცვის კომპანიამ BAE Systems-მ რეაქტიულ გამანადგურებელ ტორნადოში პირველი დაბეჭდილი ლითონის ნაწილი ჩააყენა. ცოტა ხნის წინათ კომპანიამ გამოუშვა ანიმაციური ვიდეო, რომელშიც ნაჩვენებია, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ესოდენ მოკრძალებული წამოწყება მომავალში. ვიდეოზე ნაჩვენებია თვითმფრინავი, რომელიც საკუთარ ბორტზე ბეჭდავს ახალ თვითმფრინავს და შემდეგ უშვებს მას.

**მაგრამ 3D-ბეჭდვის ნამდვილი რევოლუცია გამოიხატება არა იმაში, თუ რისი შექმნა შეგიძლია, არამედ იმაში, თუ სად შეგიძლია ამის კეთება. როგორც ექსპერტები ამბობენ, საბრძოლო მოქმედებათა ზონაში პრინტერების გამოყენება სამხედრო და თავდაცვითი მრეწველობისთვის რადიკალურ რყევებს განაპირობებს.**

ამგვარი ცვლილებები უზარმაზარ პოლიტიკურ შედეგებს გამოიწვევს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, სადაც თავდაცვის კომპანიები მიზანმიმართულად არიან მოფენილი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მილიონობით სამუშაო ადგილს ქმნიან. ზემოხსენებული ინოვაციის გამო პენტაგონისა და თავდაცვის მრეწველობისთვის წარმოუდგენლად მძიმე პერიოდი დადგება.

3D-ბეჭდვამ, შესაძლოა, თვით საგარეო პოლიტიკაც კი შეცვალოს, მაგალითად, აბსოლუტურად უსარგებლო გახადოს სანქციების დაწესების პრაქტიკა. აშშ კი სანქციებს აწესებს ყველაფერზე — დაწყებული რეაქტიული გამანადგურებლების სათადარიგო ნაწილებიდან ნავთობალჭურვილობებამდე.

უფრო მეტიც, არსებობს უფრო შემაშფოთებელი პერსპექტივებიც, რომლებიც იარაღის წარმოებისთვის ყოველგვარი წინაღობის გაქრობას უკავშირდება. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ვერ შეედრება იმ საფრთხეს, რომელიც ეკონომიკას ელის, თუ ნებისმიერი, ვინც კი მოინდომებს, შეძლებს, ბეჭდოს ყველაფერი, რაც მოესურვება.

3D-ბეჭდვა ჯერ კიდევ 80-იან წლებში გამოიგონეს, მის მიმართ ბოლოდროინდელი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ თავდაპირველ ტექნოლოგიებზე პატენტების ვადა იწურება და ეს კი გზას უხსნის კონკურენციას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ხარისხის ამაღლებას და ფასების კლებას.

სრული მასშტაბებით შედეგების წარმოდგენა, უბრალოდ, შეუძლებელია. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში პირველად სამრეწველო წარმოებაში კარდინალური რყევები მოხდება და ეს არა მხოლოდ გააუმჯობესებს ვითარებას, არამედ სრულიად შეცვლის თამაშის წესებს.

mixednews.ru




## ერდოღანი «შარლი ებდოს» ზიზღის გაღვივებაში ადანაშაულებს

**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი სატირულ ფრანგულ ჟურნალ „შარლი ებდოს“ აკრიტიკებს და გამოცემას ზიზღისა და რასიზმის გაღვივებაში ადანაშაულებს.**

„ეს ჟურნალი ცნობილია თავისი პროვოკაციული მასალებით მუსლიმებსა და ქრისტიანებზე. რასაც ისინი აკეთებენ, ეს არის რასიზმისა და ზიზღის გაღვივება. ეს არ არის თავისუფლება. ეს ნიშნავს ტერორსა და სხვა ადამიანების პირად სივრცეში შეჭრას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ არ არსებობს უსაზღვრო თავისუფლება“, — განაცხადა ერდოღანმა. მისივე თქმით, ასეთი პროვოკაციები კანონით უნდა დაისაჯოს. პრეზიდენტის აზრით, მუსლიმებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ისეთივე პატივისცემა წინასწარმეტყველ მუჰამედისადმი, როგორც თავად სცემენ პატივს იუდაისტურ და ქრისტიან წინასწარმეტყველებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთში მოსახლეობის 5-10 პროცენტს, დაახლოებით 5 მილიონ მოსახლეს, მუსლიმანები შეადგენენ და ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმანური თემია ევროპაში.**




# ცუდი დრო პარიზელი მუსლიმანებისთვის

**მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანი მუსლიმანი მოსახლეობა სულ უფრო იოლად ერგება საფრანგეთის ცხოვრების წესს, ერწყმის ძირძველ ფრანგ მოსახლეობას, მიუხედავად მისი რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებისა. მაგრამ მუსლიმანებს უწევთ ამასთან შეგუება; ასევე, უწვეთ შეგუება სეკულარიზაციასთანაც, რომელმაც მთელი საზოგადოება შთანთქა.**

ფრანგული სატირული ყოველკვირეული ჟურნალის — Charlie Hebdo-ს რედაქციაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ ჰეშთეგმა Je Suis Charlie (მე ვარ შარლი) მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ჰეშთეგი, რომელიც ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ არანაკლები ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს: Je Suis Ahmed (მე ვარ ახმედი).

ეს უკანასკნელი შეიქმნა ახმედ მერაბეს ხსოვნის პატივსაცემად. ახმედ მერაბე იყო ერთ-ერთი პოლიციელი, რომელიც ტერაქტის დროს დაიღუპა იმ ორი ძმის ხელით, რომლებსაც რადიკალურ მუსლიმანებად მიიჩნევდნენ და რომლებმაც სროლა ატეხეს ჟურნალის რედაქციაში ისლამური სიწმინდეების კარიკატურებში დაცინვის გამო. მოკლული პოლიციელიც მუსლიმანი აღმოჩნდა და მისი მშობლებიც ჩრდილოაფრიკელები იყვნენ ისევე, როგორც მკვლელები.

საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმანების უმეტესობა ყოფილი აფრიკული კოლონიებიდან არიან წარმომავლობით. სხვა კოლონიებთან შედარებით, ყველაზე დრამატული ურთიერთობები საფრანგეთს ალჟირთან ჩამოუყალიბდა. როდესაც 1954 წელს ალჟირის ომი დაიწყო, ძალაუფლებისთვის გაცხარებულმა ბრძოლამ სამუდამოდ გააფუჭა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობები. **ალჟირიდან ფრანგები გაყარეს, ხოლო მას შემდეგ, რაც 1962 წელს ალჟირმა დამოუკიდებლობა მიიღო, მის მოქალაქეებს საფრანგეთში შესვლა აუკრძალეს. შედეგად ამ ორ ქვეყანას შორის უნდობლობა გაჩნდა და ასე დარჩა მანამდე, ვიდრე ეკონომიკური აყვავების პერიოდში, განსაკუთრებით 1960-1970-იან წლებში, საფრანგეთისკენ არ დაიძრნენ ჩრდილოაფრიკელი იმიგრანტები დაბალანაზღაურებადი სამუშაოს საძებნელად.** ეს იმიგრანტები ძირითადად სწორედ ალჟირელები და მაროკოელები იყვნენ. მრავალი მათგანი პარიზისა და სხვა დიდი ქალაქების გარეუბნებში დასახლდა.

„საფრანგეთში საშინელ პირობებში მიიღეს ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩასული ადამიანები, — ამბობს პარიზში მცხოვრები მუნირა შატტი, რომელიც არაბულ და ფრანგულ ლიტერატურას ასწავლის, ასევე შეისწავლის სოციალურ-ისტორიული მოვლენების გავლენას ინტეგრაციის პრობლემებზე. — მათ მისცეს ვითომდა დროებითი საცხოვრებლები და სამუშაოები, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი სამუდამო იყო".

**მრავალი ფრანგი მიიჩნევს, რომ ის, რასაც მათი ქვეყანა ალჟირში აკეთებდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში, საფრანგეთის ისტორიის სამარცხვინო ლაქაა.** დაახლოებით ასე სამარცხვინოდ გამოავლინა თავი ვიშის რეჟიმმა მეორე მსოფლიო ომის დროს. მაგრამ, მიუხედავად არსებული დაძაბულობისა, ჩრდილოეთ აფრიკიდან მრავალი მიგრანტი კვლავაც ჩადის საფრანგეთში უკეთესი ცხოვრების საძებნელად.

2010 წელს კვლევითი ცენტრი Pew-ის მიერ ჩატარებული სოციალური გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტი ფრანგების 72%-ს მუსლიმანებისადმი დადებითი დამოკიდებულება აქვს; ამასთანავე, საფრანგეთში ამგვარად კეთილგანწყობილი რესპონდენტების რაოდენობა მეტია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში.

**საფრანგეთში მოსახლეობის 5-10 პროცენტს, დაახლოებით 5 მილიონ მოსახლეს, მუსლიმანები შეადგენენ და ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმანური თემია ევროპაში.** მაგრამ 1905 წლიდან, მას შემდეგ, რაც ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო, საკანონმდებლო ბაზაზე საფრანგეთში საეჭვო და პროვოკაციული გადაწყვეტილებების მიღება დაიწყეს.

**2004 წელს მიიღეს კანონი, რომელიც სკოლებში ჰიჯაბის, სხვა მუსლიმანური თავსაბურავებისა და გულზე ჯვრების ტარებას კრძალავდა. 2011 წელს კი გამოვიდა კანონი, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივ ადგილებში აკრძალულია ისეთ სამოსში გამოჩენა, რომელიც სრულად ფარავს სახეს.** მრავალი მუსლიმანი ამბობს, რომ სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის კანონი მუსლიმანების წინააღმდეგაა მიმართული და **მრავალი მუსლიმანი ქალი ახლა საფრანგეთში ჰიჯაბს იმ შემთხვევაშიც კი ატარებს, თუ მეტისმეტად რელიგიური არ არის, რადგან საკუთარი კულტურული იდენტურობის დემონსტრირება და დაცვა სურს.**






**მრავალი მუსლიმანი ქალი ახლა საფრანგეთში ჰიჯაბს იმ შემთხვევაშიც კი ატარებს, თუ მეტისმეტად რელიგიური არ არის, რადგან საკუთარი კულტურული იდენტურობის დემონსტრირება და დაცვა სურს**

„საფრანგეთში ძალზე თავისებური სიტუაციაა. ქვეყნის კოლონიური წარსული ძალზე ძლიერ მოქმედებს ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაზე, — ამბობს საფრანგეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის სპეციალური მრჩეველი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის საკითხებში მანსურია მოკეფი. — კომუნიჰტარიზმის ან რელიგიურობის ნებისმიერი გამოვლინება აქ აკრძალულია".

მუსლიმანური საზოგადოება იმდენად მარგინალიზებული აღარაა, როგორც ადრე, მაგრამ კვლავაც არსებობს პოლიტიკური ბარიერები, ხოლო მუსლიმანებისთვის სამუშაოს შოვნის შეუძლებლობა ძველებურად აღვივებს მათში გამოუვალი სიტუაციისა და სოციალური იზოლაციის შეგრძნებებს. ამას ადასტურებდა მასობრივი არეულობები პარიზის გარეუბნებში 2005 წელს. შატის აზრით, ამ პრობლემის წყარო ინტეგრაციიდან იღებს სათავეს. „ფრანგული ხელისუფლება უდიდეს სირთულეებს განიცდის და არ შეუძლია, ბოლომდე უზრუნველყოს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთქმედება", — ამბობს იგი.

მუსლიმანები ხშირად ამბობენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეში არ ეთანხმებიან აშშ-ის საგარეო პოლიტიკას, მათი აზრით, მათ, როგორც მუსლიმანებს, უკეთესი ცხოვრების პირობები აშშ-ში ექნებოდათ, ვიდრე ევროპაში აქვთ. ამავე დროს ფრანგი მუსლიმანების მესამე და მეოთხე თაობის წარმომადგენლები უკვე სრულფასოვანი მოქალაქეები არიან, შეუძლიათ ისწავლონ კერძო სკოლებში, გახდნენ ექიმები, იურისტები ან პოლიციელები.

პოლიტიკური თვალსაზრისით, მუსლიმანებმა საზოგადოებაში დამკვიდრებისთვის ბევრი იშრომეს და მათ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამის საბაბად იქცა პოლიტიკური უთანხმოებები თემის შიგნით, ძირითადად, — მაროკოელებსა და ალჟირელებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის საშუალებები ძირითადად ნეგატიური ხასიათის მოვლენების გაშუქებას ცდილობენ (მასობრივი არეულობების ან რელიგიური ქვეტექსტების მქონე ტერაქტების), შემთხვევათა უმრავლესობისას, როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, ხელისუფლებისადმი მათი უკმაყოფილება სასამართლოს გზით გვარდებოდა და არა ძალადობის აქტებით.

**ზოგიერთი გარემოების დამთხვევის შედეგად ევროპელი მუსლიმანებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც საფრანგეთში ცხოვრობს, კრიტიკული მომენტი დადგა. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურმა არეულობებმა ევროპის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, შედეგად საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში მცხოვრები ისლამისტი მებრძოლები სირიასა და ერაყში მიმდინარე ომებში ჩაება. ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მეტი ისლამისტი ბოევიკი საფრანგეთიდანაა.**

როდესაც შარშან, მაისში სირიაში მებრძოლმა საფრანგეთის მოქალაქემ ცეცხლი გახსნა ბრიუსელის ებრაელთა მუზეუმში, მრავალი ევროპელის ყველაზე საშინელი წინათგრძნობა ახდა. შემდეგ საფრანგეთი შეძრა არანაკლებ დრამატულმა მოვლენამ, როდესაც ალჟირის მთებში ფრანგ ტურისტს თავი იმის გამო მოჰკვეთეს, რითაც „ისლამურმა სახელმწიფომ" შური იძია ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის დაბომბვებში საფრანგეთის მონაწილეობისთვის. Charlie Hebdo-ს რედაქციაში მომხდარი ტერაქტი, რომლის შედეგადაც 12 ადამიანი მოკლეს, და რომელიც ვითომდა „ალ ქაიდას" მიერ იყო ორგანიზებული, კიდევ უფრო აძლიერებს მღელვარებას ისლამური საფრთხის წინაშე.

მუსლიმანებმა პირველებმა განიკითხეს ეს ბოროტმოქმედები და შერაცხეს ისლამის სწავლებებით მანიპულირების მიმდევარ ტერორისტებად. მაგრამ რადიკალების გააქტიურებასთან ერთად იმატა პოპულისტების უკმაყოფილებამაც, ისინი ძირითადად ანტიიმიგრანტულ განწყობას გამოხატავენ. **ამ ტერაქტმა, შესაძლოა, გააძლიეროს მარინ ლე პენის ნაციონალური ფრონტის პოზიციები, რადგან ამომრჩეველს ეშინია რადიკალური ისლამის და მას ხშირად აიგივებს ყველა მუსულმანთან.**

ამ შიშს მხოლოდ პოლიტიკოსები როდი თესენ. რამდენიმე დღის წინათ სკანდალურად ცნობილმა მწერალმა მიშელ უელბეკმა გამოსცა ახალი წიგნი სახელწოდებით „მორჩილება", რომელშიც საფრანგეთი აღწერილია, როგორც მუსლიმანური ქვეყანა, სადაც მრავალცოლიანობა მეფობს და ფარანჯებში გახვეული ქალები დადიან.

როგორც ჩანს, ყველაზე მომგებიანი დასკვნა მარსელელმა მოზარდმა გააკეთა, როდესაც კორესპონდენტს უთხრა: „ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მუსლიმანებისთვის ყველაზე ცუდ დროს დავიბადე"...

**Christian Science Monitor**

მოკლედ




## საფრანგეთის პოლიციამ ტერორისტების დახმარებაში ეჭვმიტანილი თორმეტი პირი დააკავა

საფრანგეთში პოლიციამ დააკავა თორმეტი ეჭვმიტანილი, რომhლებიც გასულ კვირას მომხდარ ტერაქტებთან არიან დაკავშირებულნი. თორმეტივე ეჭვმიტანილია ტერორისტებისთვის შესაძლო ლოჯისტიკური დახმარების აღმოჩენაში, რაც მათთვის იარაღის მიწოდებას გულისხმობს. პოლიციამ რეიდი პარიზთან ახლოს მდებარე ხუთ ქალაქში ჩაატარა. შეგახსენებთ, საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა. ჟურნალ „შარლი ებდოზე" განხორციელებულ ტერაქტზე პასუხისმგებლობა იემენში მოქმედმა „ალ ქაიდას" დაჯგუფებამ აიღო.





**ამჟამად ამერიკის მოსახლეობა დაახლოებით 320 მილიონ ადამიანს ითვლის, დაახლოებით ამდენივე ერთეული იარაღი აქვთ სამოქალაქო პირებს. ასე რომ, ზემოხსენებული სავარაუდო ტენდენციები იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკელებს ავტომობილებისადმი ინტერესი ეკარგებათ, იარაღისადმი კი — კი არა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მკვლელობის მთავარი იარაღი ამერიკისთვის

**წელს ამერიკაში იარაღით მოკლულთა რაოდენობამ, შესაძლოა, ავტოავარიებში დაღუპულთა რაოდენობას გადააჭარბოს. გასული საუკუნის სტატისტიკით, ამერიკელების მთავარი მკვლელი ავტომანქანა იყო. 2012 წელს საავტომობილო ავარიებისას 33 561 ადამიანი დაიღუპა. 2012 წლის შემდეგ მსგავსი სტატისტიკური მონაცემები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნაციონალურ სამმართველოს არ აქვს, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულთა რაოდენობა 2011 წლის შემდეგ არ აღურიცხავთ, მაშინ კი ეს ციფრი იყო 32 251.**

შესაძლოა, წელს ამერიკაში იარაღით უფრო მეტი ადამიანი მოკლან, ვიდრე ავტოავარიებში იხოცება. ამერიკული პროგრესის ცენტრის მოხსენებიდან ამოღებული მონაცემების თანახმად, სწორედ ეს პერსპექტივაა მოსალოდნელი. ანგარიშში არის დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაცია, რომელიც აჩვენებს, რომ **2015 წელს 25 წლამდე ამერიკელებს შორის იარაღით უფრო მეტი მოკვდება, ვიდრე ავტოავარიით.** ამერიკის პედიატრიის აკადემიის მონაცემებით, ამჟამად აშშ-ში 15 და მეტი წლის ახალგაზრდებს შორის გარდაცვლილთა 25%-ზე მეტი სწორედ იარაღით მიყენებული ტრამვების გამო კვდება.

სამი წლის წინანდელ ანალოგიურ ანალიზში, რომელიც Bloomberg-ს ეკუთვნის, წერია, რომ 2015 წლისთვის ცეცხლსასროლი იარაღით დაღუპულთა რაოდენობა, შესაძლოა, 33 ათასამდე გაიზარდოს, საგზაო შემთხვევებისას გარდაცვლილთა რაოდენობა კი 32 ათასამდე შემცირდება. გათვლები გაკეთებულია ათი წლის მონაცემების საშუალო ტენდენციების მიხედვით.

**ამჟამად ამერიკის მოსახლეობა დაახლოებით 320 მილიონ ადამიანს ითვლის, დაახლოებით ამდენივე ერთეული იარაღი აქვთ სამოქალაქო პირებს. ასე რომ, ზემოხსენებული სავარაუდო ტენდენციები იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკელებს ავტომობილებისადმი ინტერესი ეკარგებათ, იარაღისადმი კი — კი არა.**

დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, რთული სიტუაცია იხატება. ცენტრი ახდენს სიკვდილის მიზეზთა კლასიფიკაციას. იარაღით დაღუპვაში შედის თვითმკვლელობები, მკვლელობები, შემთხვევითი გასროლები და თვით „კანონიერი“ მკვლელობებიც კი. მიუხედავად ამისა,



## 2015 წელს 25 წლამდე ამერიკელებს შორის იარაღით უფრო მეტი მოკვდება, ვიდრე ავტოავარიით

მონაცემები მაინც არაა ყოვლისმომცველი. 2008 წლიდან ზოგიერთი ოლქი იარაღით მოკლულთა შესახებ არ იტყობინება, რადგან კონფიდენციალობას და პირადი საიდუმლოს უფლებას იცავენ. რაც შეეხება პოლიციელების მიერ დაკავებისას მოკლულებს, ისინი რეგისტრირდება, მაგრამ მიჩქმალულია.

ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობების მონაცემებს კიდევ უფრო ხლართავს ამ სტატისტიკის გამო გაჩენილი სახიფათო პოლიტიკური შედეგები. ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხოება ერთ-ერთი უმწვავესი პოლიტიკური საკითხია ქვეყანაში და ორივე მხარე ამ კამათში საკუთარ, შერჩევით არგუმენტებს იყენებს იმის დასადგენად, თუ რა დოზით უნდა დარეგულირდეს იარაღის ბრუნვა. ზუსტად ისიც კი არ არის ცნობილი, რა რაოდენობის იარაღი აქვს ხელზე მოსახლეობას. გამოკითხვებისას ზოგიერთი ადამიანი არ ამხელს, ფლობს თუ არა ცეცხლსასროლ ირაღს, მით უფრო, თუ მათ იარაღის ფლობის უფლების შეზღუდვა ადარდებთ ან უკანონოდ აქვთ ის შეძენილი.

მაგრამ ცნობილია, რომ ამერიკაში მოსახლეობას უფრო მეტი იარაღი აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. „ჰყავს რა პლანეტის მოსახლეობის 5%-ზე ნაკლები მოსახლეობა, აშშ ის ქვეყანაა, სადაც მოსახლეობას ხელზე მსოფლიო მასშტაბით სამოქალაქო პირთა მფლობელობაში არსებული იარაღის 35-50% აქვს“, — აღნიშნულია Small Arms Survey-ის კვლევაში.

დღეისთვის ადამიანების სიკვდილის მიზეზთა შორის უბედური შემთხვევები მეხუთე ადგილზეა, რასაც ადასტურებს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემები. ამერიკელები ყველაზე ხშირად გულის უკმარისობით კვდებიან, შემდეგ მოდის სიმსივნეები, ქრონიკული დაავადებები და ინსულტები.

**The Atlantic**

# გლობალური რისკები, რომლებზეც აქედანვე უნდა ვღელავდეთ



**როგორც ცნობილია, კონსალტინგური ფირმის — Eurasia Group-ის ლიდერი იან ბრემერი და საექსპერტო ცენტრ Roubini Global Economics-ის დამაარსებელი ნურიელ რუბინი საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო ექსპერტები არიან პოლიტიკური რისკების სფეროში. რამდენიმე დღის წინათ ისინი გამოვიდნენ და ყოველწლიურ პროგნოზში ჩამოაყალიბეს ის ყველაფერი, რასაც უნდა ვუფრთხოდეთ 2015 წელს გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპარეზებზე. TIME-ს მთავარი რედაქტორის მოადგილემ რანა ფორუხარმა მოსალოდნელი საფრთხეებიდან ხუთი უმთავრესი გამოყო.**



### ამერიკა სულ უფრო განცალკევებული ხდება

აშშ დანარჩენი მსოფლიოსგან განცალკევებულად დგას როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. რუბინის აზრით, მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე ამერიკა ერთადერთი ნათელი წერტილი იყო გასულ წელს, რადგან მდგრადი აღდგენის დემონსტრირება შეძლო. მეორე მხრივ კი იგრძნობა, რომ აშშ პოლიტიკურადაც შორდება დანარჩენ ქვეყნებს, რისი ნათელი მაგალითიც იყო პარიზის ანტიტერორისტული მიტინგი, რომელსაც ობამა არ ესწრებოდა.

### ნავთობის დაბალი ფასი სამუდამოდ არ შენარჩუნდება

რუბინიცა და ბრემერიც მცდარად მიიჩნევენ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთი არ ამცირებს ნავთობის მოპოვებას და ზეწოლას ახდენს ფასებზე, რათა ზიანი მიაყენოს რუსეთსა და ირანს. რუბინი დარწმუნებულია, რომ საქმე ეკონომიკას ეხება. მისი აზრით, საუდის არაბეთი ცდილობს, ბაზრიდან განდევნოს კონკურენტები (მათ შორის ამერიკული ფიქლური გაზიც), რათა გაზარდოს ბაზარზე საკუთარი წილი.

### ჩინეთი დიდ გამოცანად რჩება

ამ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უდავოდ ნელდება. მაგრამ სი ჩზინპინის ხელისუფლების განმტკიცება იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ ქვეყანა სიაოპინის შემდეგ არნახული საბაზრო რეფორმების პერსპექტივის წინაშე დგას? ან ეს იმის ნიშანია, რომ ჩინეთი მაო ძედუნის ბნელ დროში ბრუნდება, როდესაც ნებისმიერი განსხვავებული აზრი ციხის კამერისკენ მიმავალი გზა იქნება? ბრემერი იმედოვნებს, რომ ჩინეთი ნახტომს გააკეთებს მცირე ბიზნესის მიმართულებით და განამტკიცებს სოციალურ სტაბილურობას. რუბინი კი ნაკლებად ოპტიმისტურია და აცხადებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური მოდელი ამ დრომდე ეფუძნება იაფ სამუშაო ძალას და იაფფასიან კაპიტალს. ორივე ექსპერტი იზიარებს მოსაზრებას, რომ 2015 წელი ჩინეთისთვის უმნიშვნელოვანესი გარდატეხების პერიოდი იქნება.

### 2015 წლის საკვანძო სიტყვები იქნება: განხეთქილება, უთანასწორობა და ცვალებადობა

პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც ძველი ალიანსების ნგრევის და ახლების ფორმირების პროცესები მიმდინარეობს. ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში რელიგიათშორისი კონფლიქტები გამწვავდება, შემდეგ კი ჩაცხრება. ევროპა საშინელი დეფლაციური სავალე სპირალისკენ მიექანება, ეს კი ულტრამემარჯვენე ძალებს გამოაღვიძებს. ჩინეთის შენელება და ნავთობის ფასის ვარდნა ააფეთქებს გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს. წელს ბაზრები მოულოდნელობებით იქნება აღსავსე, ასე რომ, უსაფრთხოების ღვედები ზედმეტი არავისთვის იქნება.

**mixednews.ru**



## 19 წლის სნაიპერი გოგონა, რომელმაც 10 ძალოვანი მოკლა

**უკრაინაში დააკავეს 19 წლის სნაიპერი გოგონა, რომელსაც უკრაინის თავდაცვის სამსახურის 10 ძალოვანი ჰყავს მოკლული. სნაიპერმა, რომლის მეტსახელიც „ექსტაზი“ გახლავთ, აღიარა უკრაინელი ძალოვნების მკვლელობა.** უკრაინის თავდაცვის სამსახურის მეთაურის მრჩეველმა მარკიან ლუბკივსკიმ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ „უკრაინის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული სნაიპერი, მეტსახელად „ექსტაზი“ კონტრდაზვერვის სამსახურის ოპერატიულმა ჯგუფმა დააკავა. მან აღიარა უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების მკვლელობა“.





ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ მოვიქცეთ, როცა „შარლი ებდო“, სანიმუშო დემოკრატიისა და მანერების ევროპაში ენით უთქმელ რამეს სჩადის – შეურაცხმყოფელ ნახატებს აქვეყნებს ქრისტესა და მუჰამედზე, რითაც ოთხ მილიარდ ადამიანს (2,4 მილიარდ ქრისტიანს და 1,6 მილიარდ მუსლიმანს) სულში გვაფურთხებს?!**

# ზღვარგადასული «გამოხატვის თავისუფლება», როგორც ადამიანის უფლება, და შელახული ღირსების დაცვა, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება

**ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება, ანუ „ჰომო საპიენსი“, თავის თვალსაზრისს ყოველთვის გამოხატავდა და ხშირად სიმართლესაც ამბობდა, თუმცა სიმართლის პირში მთქმელს „ცხენიც შეკაზმული ჰყავდა“ ხოლმე (გააჩნია, ვის ეუბნებოდა ამ სიმართლეს). ისიც უნდა ითქვას, რომ კაცს, თუ ამ სიმართლეს დედის გინებას ან ოჯახის შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც მიაყოლებდა, შეკაზმული ცხენიც ველარ უშველიდა, რადგანაც ღირსების შელახვას არავინ არავის არასდროს მიუტევებდა. ამ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ ჰქონდა და არც დღეს აქვს!**



**გულზე დაიწერო «მე ვარ შარლი» და ამით თავი მოიწონო, პირდაპირ ნიშნავს, რომ იწონებ ყველა შეურაცხყოფას, რომლებიც კი წლების განმავლობაში ამ ჟურნალმა ქრისტიანებსა და მუსლიმანებს მოგვაყენა! და შენ კი, ახლადგამომცხვარო «შარლი», შეყუჟული იყავი შენს ნაჭუჭში და ხმას არ იღებდი! ისე, დიდად გასაკვირი არც არის ზომბირებული ადამიანების რეაქცია – როგორ «კეთილსინდისიერ» ინფორმაციასაც ჩასძახებ მათ 24-საათიან რეჟიმში ყველა ტელეარხის მეშვეობით, ზუსტად იმავეს ამოგვძახებს «ობიექტურად» ეს გაბითურებული ხალხი!**

სატირული ყოველკვირეული ჟურნალის „შარლი ებდოს“ რედაქციაში დატრიალებული ტრაგედია ადვილად გასაანალიზებელი რომ გახდეს, ცხადია, სხვა მაგალითებიც უნდა მოვიშველიოთ შესადარებლად.

დავუშვათ, მე ან ჩემს ოჯახს მიუტევებელი შეურაცხყოფა მოგვაყენა ვინმემ. მაგალითად, ერთმა პიროვნებამ ან ჟურნალმა (ანუ ადამიანთა ჯგუფმა), ჩვენი გამასხარავების მიზნით, გამოაქვეყნა „მეგობრული“ შარჟები – დაგვხატეს შიშვლები, ხან ფეხაწეულები და ხანაც წაკუზულები, ხან ანალური და ხანაც ორალური სექსით დაკავებულები. ცოლებს და დედებს კი ბოზები, უკაცრავად, მეძავები უწოდეს „ზრდილობიანად“... **როგორ უნდა მოვიქცე ასეთ შემთხვევაში დემოკრატიულ საზოგადოებაში აღზრდილი, სხვისი უფლებების პატივისმცემელი და კანონმორჩილი კაცი?** თუ აფექტის მდგომარეობაში გამოუსწორებელი შეცდომა არ ჩავიდინე და თავის ხელში აყვანა მოვახერხე, ცხადია, სასამართლოში ვუჩივლებ ჩემი და ჩემი ოჯახის შეურაცხმყოფლებს და მათ დასჯას მოვითხოვ, აგრეთვე – შესაბამის კომპენსაციასაც.

მაგრამ დავუშვათ და, მე აღარა ვარ ცოცხალი, მაშინ? — მაშინ ჩივილის უფლება აქვს ჩემი ოჯახის ნებისმიერ წევრს. თუ არც ისინი არიან ცოცხლები? მაშინ – ნათესავებს, მეგობრებს, მოწაფეებს და ა. შ. თუ არც ასეთები აღმოჩნდნენ, მაშინ? მაშინ, რა დიდი მიხვედრა უნდა — **ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს თავისი ინიციატივით! სახელმწიფოს არც უნდა სჭირდებოდეს ოჯახის წევრის ან ვინმეს საჩივარი, ყოველი მოქალაქის (და არა შერჩევით – ქონებრივი სტატუსის თუ რელიგიური კუთვნილების მიხედვით) ღირსების დაცვა კანონის ძალით ისედაც არის მისი უპირველესი მოვალეობა, მით უმეტეს, თუ მას მართლა სურს, თავიდან აიცილოს ვენდეტა, განუკითხაობა და ქაოსი ქვეყანაში!**

თუკი ჩივილმა შედეგი არ გამოიღო და სასამართლო, ანუ სახელმწიფო მკაცრი ზომების ნაცვლად მხოლოდ შენიშვნის მიცემით შემოიფარგლა **და ჟურნალ-გაზეთებმაც ძველებურად განაგრძეს აღმაშფოთებელი კარიკატურების ბეჭდვა, თანაც ნომრიდან ნომერში და წლების(!) განმავლობაში, მაშინ?** მაშინ რა ქნას პატიოსანმა კაცმა, როგორ მოიქცეს — ხელები ჩამოუშვას და შეეგუოს ბედს?! დაბეჩავებული ხალხი (სამწუხაროდ, ასეთ დღეშია ხალხების უმრავლესობა მსოფლიოში) ასე იქცევა ან, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ზოგჯერ, პირიქითაც კი — **ნაწილი ხალხისა პატივშელახულის ნაცვლად პატივშემლახავის მხარეს იჭერს!**

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ერთი ან რამდენიმე ადამიანის პირად შეურაცხყოფას შეეხებოდა, მაგრამ, როცა მსგავსი შეურაცხყოფა ასეულ მილიონობით ადამიანს შეეხება?! მხედველობაში მაქვს ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფა! უფრო მეტიც, **როგორ მოვიქცეთ, როცა „შარლი ებდო“, სანიმუშო დემოკრატიისა და მანერების ევროპაში ენით უთქმელ რამეს სჩადის — შეურაცხმყოფელ ნახატებს აქვეყნებს ქრისტესა და მუჰამედზე, რითაც ოთხ მილიარდ ადამიანს (2,4 მილიარდ ქრისტიანს და 1,6 მილიარდ მუსლიმანს) სულში გვაფურთხებს?!** დამცირებულ-დაშინებულები კი ვართ ბევრნი, განსაკუთრებით, ქრისტიანები, მაგრამ **როგორ გინდა, ნახევარი მსოფლიო დაარწმუნო იმაში (არადა, სწორედ ამას ცდილობს ევროპა), რომ მუჰამედის, ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობლის, წმინდა სამების გამასხარავებასა და უწმაწური სიტყვებით შემკობაში მიუღებელი თურმე არაფერია, რომ მსგავსი კარიკატურებისადმი ლოიალური მიდგომა ცივილიზაციისა და დემოკრატიის უმაღლეს მწვერვალზე დგომის მაჩვენებელია, და არა — აღვირახსნილობის?!**

ევროპული სახელმწიფოების მიერ შეგნებულად გატარებულ ამ ერთობ საშიშ პროვოკაციულ პოლიტიკას, რასაც უცნაური სახელი – „გამოხატვის თავისუფლება“ გამოუგონეს, ადვილად შეუძლია ეროვნებათშორისი თუ რელიგიური შუღლის გაღვივება. **ოთხი მილიარდიდან ერთმა ღრმად მორწმუნე კაცმა რომ განიზრახოს, საკუთარი სიცოცხლის ფასად ზღვარგადასული „თავისუფლებისთვის“ ლაგამის ამოდება და ყოველგვარ მორალურ და ეთიკურ საზღვრებს გადასული ჟურნალისტების დასჯა, მოულოდნელი იქნება?** და მერე უნდა ატყდეს განგაში ტერორიზმზე თუ პირიქით — პრევენციული ზომების მისაღებად უნდა ატყდეს განგაში? **პრევენცია გაცილებით ადვილი და ეფექტიანი იქნება, ვიდრე ოთხ მილიარდ პოტენციურ ტერორისტთან გამკლავება (შუბლზე ხომ არავის აწერია, ამ ოთხი მილიარდიდან რომელი აიღებს თავზე ხელს?), ან ვინ დაიჯერებს, რომ სახელმწიფო აპარატს არ ძალუძს მოსალოდნელი მძიმე შედეგების წინასწარ განჭვრეტა?! ცხადია, არავინ!**

და, თუკი ყველაფერი დღესავით ნათელია, მაშინ **რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ზნედაცემული „გამოხატვის თავისუფლებისთვის“ მწვანე შუქის ანთება, ფაქტობრივად, პროვოკაციის წახალისება და პრევენციული ზომების მიუღებლობა (ისეთის, როგორიც პუტინის რუსეთმა მიიღო კანონის სახით, როცა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სასჯელი დააწესა)? — მშვიდობასა და ძმობას თუ პირიქით — მოსალოდნელ შურისძიებას და მტრობას?** არა მგონია, ამაზე პასუხის გაცემა ჭირდეს!

დღეს, როცა მკვლელებსაც კი აღარ სჯიან სიკვდილით, უზრდელობისთვის ჟურნალისტების დახოცვა როგორ შეიძლება ვინმემ გაამართლოს, მაგრამ პარიზში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებზე კანტიკუნტად თუ საუბრობს ვინმე. უფრო მეტიც, რას არ მოისმენ ჩვენი ტელევიზიებით – ახლა რა დროს მიზეზებზეა საუბარიო. **თუ მკვლელობა ვერ აიცილე თავიდან (არადა, შეგეძლო) და მკვლელობის შემდეგაც არ ჩასწვდი ტრაგედიის არსს, აბა, როდისღა არის მიზეზებზე ლაპარაკის დრო?!**

გასაოცარია, როცა „შარლად“ ყოფნას იჩემებს ბევრი – საქმის არსში ჩაუხედავი და ბევრიც — „შარლისნაირი“ ადამიანი. **გულზე დაიწერო „მე ვარ შარლი“ და ამით თავი მოიწონო, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ იწონებ ყველა შეურაცხყოფას, რაც კი წლების განმავლობაში ამ ჟურნალმა ქრისტიანებსა და მუსლიმანებს მოგვაყენა!** და შენ კი, ახლადგამომცხვარო „შარლი“, შეყუჟული იყავი შენს ნაჭუჭში და ხმას არ იღებდი! ისე, დიდად გასაკვირი არც არის ზომბირებული ადამიანების რეაქცია – როგორ „კეთილსინდისიერ“ ინფორმაციასაც ჩასძახებ მათ 24-საათიან რეჟიმში ყველა ტელეარხის მეშვეობით, ზუსტად იმავეს ამოგვძახებს „ობიექტურად“ ეს გაბითურებული ხალხი! ეს პროპაგანდის ანაბანაა!

11 იანვარს პარიზში ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული, ფაქტობრივად კი, „შარლი ებდოს“, ანუ ე.წ. გამოხატვის თავისუფლების მხარდასაჭერი გრანდიოზული მარში გაიმართა, რომელშიც 30-ზე მეტი სახელმწიფოს პირველი პირებიც მონაწილეობდნენ სოლიდარობის ნიშნად (მათ შორის, ჩვენი პრემიერიც).

**ტერორისტების მიზანი შურისძიება რომ იყო და ჟურნალისტების დაშინება, ნათელია, მაგრამ რა იყო მარშის მიზანი? ამ მარშის მიზანი არ ყოფილა ტერორიზმის შეჩერება — ტერორიზ-** ▶

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახელმწიფოს არც უნდა სჭირდებოდეს ოჯახის წევრის ან ვინმეს საჩივარი, ყოველი მოქალაქის (და არა შერჩევით – ქონებრივი სტატუსის თუ რელიგიური კუთვნილების მიხედვით) ღირსების დაცვა კანონის ძალით ისედაც არის მისი უპირველესი მოვალეობა, მით უმეტეს, თუ მას მართლა სურს, თავიდან აიცილოს ვენდეტა, განუკითხაობა და ქაოსი ქვეყანაში!

**◀ მის ამოძირკვა რომ შეუძლებელია მისი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრის გარეშე — ეს ყველას ესმის ტერორიზმთან „მებრძოლი" სახელმწიფოების გარდა!** მარშებით არც მოსალოდნელი ტრაგედიების აცილებაა შესაძლებელი — ესეც ადვილი მისახვედრია – კამიკაძე ტერორისტებს მარში ვერ შეაჩერებს. **შეურაცხყოფილ ადამიანებს ერთადერთი რამ — შეურაცხყოფის ნიაღვრისთვის ზღვარის დადება, ანუ რელიგიური გრძნობების შემლახავი ქმედების კანონით(!) აკრძალვა შეაჩერებს მხოლოდ!** არც ეს არის ძნელი მისახვედრი და, ვინაიდან ამ კანონს არ იღებენ იმ მოტივით, რომ,ვითომდაც, „გამოხატვის თავისუფლება", ანუ განუკითხავი თავისუფლება იყოს ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლების მაჩვენებელი (ასეთი ლოგიკით, რასისტული იდეების გამოთქმა და ე. წ. სიძულვილის ენით მეტყველებაც უნდა ითვლებოდეს ამ თავისუფლების მაჩვენებლად), ამიტომ რჩება ერთადერთი ახსნა — **მარშის მონაწილეებმა, ჟურნალისთვის გამოცხადებული სოლიდარობით, ფაქტობრივად, ახალ-ახალი პროვოკაციებისკენ უბიძგეს გადარჩენილ ჟურნალისტებსა და სხვებსაც — ამ ჟურნალის იდეოლოგიის მიმდევრებს. ეს იგივეა, სიტყვიერად რომ უთხრა მათ: ჟურნალისტებო და მხატვრებო, არ შეშინდეთ, უკან არ დაიხიოთ, კვლავ გააგრძელეთ აღებული გეზი, აგინეთ და რა პოზაშიც გნებავთ, ისე დახატეთ ქრისტიანებისა და მუსლიმანების წმინდანები, ოღონდ — მხოლოდ მათი! სხვას, როგორც აქამდე არ ეხებოდით, არც მომავალში შეეხოთ!**

აკი, ბრძანა კიდეც გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა: „ჩვენ ჩვენი ღირებულებებისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ!". როგორ გავიგოთ მისი ნათქვამი — **ვინმე ემუქრება ევროპულ ღირებულებებს, თუ ღირებულებებისთვის ბრძოლაში ქრისტესა და მუჰამედის წინააღმდეგ ბრძოლა, ანუ მათი ლანძღვა-გინება იგულისხმა ქალბატონმა კანცლერმა?** უფრო, ალბათ, ეს უკანასკნელი, თორემ აბა, ვინ, მუსლიმანი (ან მართმადიდებელი ქრისტიანი) რა თავში იხლის თანამედროვე ევროპაში ბოლო 40-50 წელიწადში დამკვიდრებულ ღირებულებებს?! **მუსლიმანების (ისევე, როგორც ქრისტიანების) სურვილი ერთია: როგორც გსურთ, ისე იცხოვრეთ ევროპაში, ოღონდ ჩვენს რელიგიურ რწმენასა და წმინდანებს ნუ გვიგინებთ, ნუ ცდილობთ, მოთმინებიდან გამოგვიყვანოთ! იცოდეთ, თავგანწირულებს არ გვანაღვლებს – შურისმაძიებლებს გვიწოდებთ თუ ტერორისტებს.**

**ბოლო 15 წელიწადში მსოფლიოში მომხდარი განუზომლად უფრო მასშტაბური ტრაგედიებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი მრავალი უმძიმესი დანაშაულის მიუხედავად, არავის ახსოვს მსგავსი მარში გამართულიყო ამ დანაშაულების გასაპროტესტებლად.** განა შეიძლება, სამი თუ ოთხი ადამიანის მიერ ჩადენილი 17 ადამიანის მკვლელობა (10 ჟურნალისტის და მხატვრის, 3 პოლიციელის და 4 მძევალის) შევადაროთ ათობით, ასობით და ათასობით უდანაშაულო ადამიანის, ქალებისა და ბავშვების უმოწყალოდ დახოცვას თუ დაწვას, მასიურ ჟლეტას?! თანაც, ჩადენილს არა ერთეული დამნაშავეების, არამედ – სახელმწიფოების(!) მიერ?! მაგალითები? ყველას რა ჩამოთვლის, ეს ფიზიკურად შეუძლებელია, მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდები:

***2010 წელი** – ბლოკირებული ღაზის სექტორისთვის ჰუმანიტარული(!) დახმარებით მიმავალი ექვსი გემიდან ერთ-ერთზე, ისრაელის მიერ მოკლულ იქნა 9 უდანაშაულო და უიარაღო ადამიანი, 30 კი – დაიჭრა;

***2014 წელი, უკრაინა.** ოდესაში, პროფკავშირების სახლში გამოკეტეს და სპეციალური ქიმიური ნარევით გააჩენილი ცეცხლით ცოცხლად დაწვეს 150-მდე ადამიანი უკრაინის ხელისუფლების მარჯვენა ხელის, მილიარდერ კოლომოისკის მითითებით (მხოლოდ 46 დამწვარ-დანახშირებული გვამი დატოვეს შენობაში, დანარჩენი გაიტანეს ქალაქგარეთ და იქ დამარხეს). როდესაც ხელისუფლება დანაშაულს არ იძიებს, ბრალი მას ედება და ამიტომ აქაც შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ მოკლა საკუთარი მოქალაქეები ასე მხეცურად;

***2014 წელი**. ისრაელმა კვლავ დაადუღა ღაზის სექტორის ვიწრო ზოლი (უკვე მერამდენედ) – მოკლა 2 200 პალესტინელი, მათგან 75 %(!) მშვიდობიანი მოქალაქე და 520 ბავშვი!

კიდევ უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება სერბეთ-ერაყ-ლიბია-სირია-ავღანეთის მაგალითზე, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია.

ვიმეორებ, კაცის კვლას გამართლება არ აქვს! **„არა კაც კლა" არის ძირითადი რელიგიების უმთავრესი პოსტულატი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი ფაქტი უეჭველად გეცემა კაცს თვალში — რატომღაც მხოლოდ ქრისტიანობა და ისლამი, მუჰამედი, ყურანი, ქრისტე, მარიამ ღვთისმშობელი და წმინდა სამებაა უზნეო კრიტიკის სამიზნე, და არასოდეს — იუდაიზმი, იეღოვა, მოსე და თორა.**

აქედან გამომდინარე, ისევე, როგორც ყოველთვის, უპირველეს კითხვად უნდა დაისვას: **ვის აძლევს ხელს ამგვარი „გამოხატვის თავისუფლება" და მისგან გამომდინარე სავალალო შედეგები?** ხოლო შემდეგ — **თუ ვინ და რატომ ჩაიდინა ტერორისტული ქმედება?** ბოლოდან თუ მივყვებით, თავშიც ადვილად გავალთ. პასუხი ბოლო ორ კითხვაზე ცნობილია – ჩაიდინეს ისლამის მიმდევრებმა მუჰამედის და ყურანის შეურაცხყოფისთვის (ახსენებენ აგრეთვე, დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" ლიდერის ალ ბაღდადის სახელსაც). ვინ და რატომ შეურაცხყო მუსლიმანები? აქაც პასუხი გარკვეულია — მრავალი წელია, უკვე არა მხოლოდ ისლამს, ქრისტიანობასაც (უფრო მეტადაც კი!) მიწასთან ასწორებენ ყოვლად მიუღებელი ხერხებით. **ვინ ბედავს ამას? — ევროპული სახელმწიფოს მედიასაშუალებები, პირველ რიგში კი, მათი ფლაგმანი – ფრანგული ჟურნალი „შარლი ებდო". ვინ დგას ამ ჟურნალის სათავეში, ვინ განსაზღვრავს მის იდეოლოგიურ კურსს? ამაზე, ლიბერასტები ნამდვილად აყვირდებიან: რის იდეოლოგია და რის განსაზღვრა, ეს ევროპაა, იქ ჟურნალისტები თავისუფლები და დამოუკიდებლები არიან არჩევანში, ვინც რას მოისურვებს, იმას წერს და იმას ხატავსო!** მაშინ ჩნდება კითხ-




**რა უნდა იყოს საყოველთაო განგაშის, ანუ პარიზში გამართული მარშის მთავარი მიზანი? ვფიქრობ, ზუსტად იგივე, რაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გაირკვა – ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ნებისმიერ ეჭვმიტანილ სახელმწიფოზე თავდასხმის გაიოლება; მოსახლეობის კიდევ უფრო დაშინება და კონტროლის გამკაცრება ყველასა და ყველაფერზე (მოსმენები, ელექტრონული ფოსტისა და საბანკო ანგარიშების საყოველთაო შემოწმება); «გონივრული» თუ არაგონივრული ეჭვით მოქალაქეების დაკავება; დაკითხვის კიდევ უფრო «თანამედროვე» მეთოდების დანერგვა და ა. შ.**



ვა: **როგორ მოიყარეს ჟურნალის რედაქციაში ერთნაირად მოაზროვნე ადამიანებმა თავი, რომლებიც მხოლოდ(!) ქრისტიანობას და ისლამს იგდებდნენ მასხრად?!** შემთხვევითობა ხომ გამორიცხულია! **ე.ი. ვიღაცამ შეარჩია ისინი რაღაც ნიშნით და, სავარაუდოდ, დავალებაც მისცა! ამის გაკეთება კი მხოლოდ მფლობელს შეეძლო და სხვას — არავის.** ამ კითხვაზე პასუხი უდავოდ საინტერესო იქნებოდა, ბევრ რამეს ახდიდა ფარდას, მაგრამ ზედა ეშელონებს, როგორც ყოველთვის, სამწუხაროდ, არავინ ეხება! **როგორც ჩანს, პარიზის პოლიციის უფროსი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, შეეხო მათ (ან შეეცადა შეხებას), რასაც შედეგად მისივე თვითმკვლელობა (თუ მკვლელობა?) მოჰყვა!**

გაოცებას იწვევს პარიზის ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტის ინტერპრეტაციაც — **როდესაც ორი ტერორისტი კოშერულ ანუ ებრაულ სასურსათო მაღაზიაში შეიჭრა (შეგნებულად თუ შემთხვევით, არავინ იცის), ეს შეჭრა უცებ მონათლეს ანტისემიტიზმად; ქრისტიანებისა და მუსლიმანების წმინდანების ბილწ პოზებში დახატვა კი ამ ორი რელიგიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად კი არ უნდა შევაფასოთ, არამედ, „გამოხატვის თავისუფლებად" უნდა აღვიქვათ, თურმე!**

გამაოცა, აგრეთვე, ყველასგან პატივსაცემი ადამიანის, ქართველი ფრანგი ქალბატონის — სალომე ზურაბიშვილის პოზიციამ: „თავისუფლება არის ისეთი რამე, რომელიც არ ნაწილდება, არ შეიძლება, რომ ზღვარი სადღაც გაიყვანო, თქვა, რომ რაღაცის დაბეჭდვა შეიძლება, რაღაცის – არა. იმიტომ, რომ მაშინვე ისმება კითხვა — ვინ იღებს გადაწყვეტილებას, რომ რამე აიკრძალოს, ვის აქვს ამის უფლება, სად გადის რეალურად ზღვარი?... არა მგონია, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში... პირადად ადამიანები არიან პასუხისმგებლები ამაზე... აკრძალვა ჩემთვის, როცა ეს ეხება პრესას, რა ფორმითაც უნდა იყოს ეს, არ არის მისაღები," — განაცხადა მან „ობიექტივის" ეთერში სკაიპით ჩართვისას პარიზიდან, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, მართლმადიდებელმა ქრისტიანმა დასაშვებად მიიჩნია მსგავსი კარიკატურების დაუსჯელად გამოქვეყნება, და დაუშვებლად მიიჩნია მათი გამოქვეყნების აკრძალვა! მაგრამ როგორ შეიძლება მხარი დაუჭირო სიტყვის, ქმედებისა თუ გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც აუცილებლად საფრთხეში ჩააგდებს ცალკეული ადამიანების სიცოცხლეს და დიდი ალბათობით ეროვნებათაშორის შუღლსაც გააღვივებს რელიგიურ ნიადაგზე, მარში უშველის მერე დატრიალებულ უბედურებას?!

კი გამაოცა ქალბატონმა სალომემ, მაგრამ მალე მივხვდი: **საქართველოზე შეყვარებულ, მაგრამ საფრანგეთში დაქალებულ და ამერიკის საგარეო პოლიტიკის წამყვანი იდეოლოგის, ცნობილი ზბიგნევ ბჟეზინსკის მოწაფეს სხვა რეაქცია,** ალბათ, არც შეიძლება, ჰქონოდა. უფრო გასაგები რომ იყოს, ამ იდეოლოგის მხოლოდ ერთ გამონათქვამს მოვიტან: „ახალი მსოფლიო წესრიგი აშენდება რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ნანგრევებზე და რუსეთის ხარჯზე!" ბჟეზინსკის მიერ დაგეგმილი საგარეო პოლიტიკა ზუსტად ემთხვევა თეოდორ ჰერცლის (ბენიამინ ზეევი) მოსაზრებას: **„იმისათვის, რათა დავეპატრონოთ მსოფლიოს, საჭიროა, დავეპატრონოთ რუსეთს!"**

და მაინც — **რა უნდა იყოს საყოველთაო განგაშის, ანუ პარიზში გამართული მარშის მთავარი მიზანი? ვფიქრობ, ზუსტად იგივე, რაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გაირკვა – ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ნებისმიერ ეჭვმიტანილ სახელმწიფოზე თავდასხმის გაიოლება; მოსახლეობის კიდევ უფრო დაშინება და კონტროლის გამკაცრება ყველასა და ყველაფერზე (მოსმენები, ელექტრონული ფოსტისა და საბანკო ანგარიშების საყოველთაო შემოწმება); „გონივრული" თუ არაგონივრული ეჭვით მოქალაქეების დაკავება; დაკითხვის კიდევ უფრო „თანამედროვე" მეთოდების დანერგვა და ა.შ.**

დასასრულ, დასკვნის სახით უნდა ითქვას: თუკი ადამიანების შეუზღუდავი და განუკითხავი „გამოხატვის თავისუფლება" განიხილება, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ადამიანის უფლება, მაშინ ადამიანების მიერ საკუთარი ღირსებისა და რელიგიური გრძნობების დაცვა ამ ზღვარგადასული „თავისუფლებისგან", ანალოგიურად განხილულ უნდა იქნას, როგორც ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლება! და, თუკი შესაბამისი კანონის უქონლობის გამო ადამიანები ღირსების დაცვას სხვადასხვა, ხშირად მიუღებელი გზით განახორციელებენ, ამაში დამნაშავე სახელმწიფო იქნება და არა — ეს ადამიანები!

**იაკობ ლეჟავა**

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენთვის მთავარია პაციენტის გამოჯანმრთელების უზრუნველყოფა და არა მაინცდამაინც შეღავათიანი კლინიკების ძებნა, რომლებშიც მკურნალობა პაციენტს შეიძლება იაფი დაუჯდეს, მაგრამ დაავადების დაძლევის გარანტია ასპროცენტიანი არ იყოს. ვცდილობთ, სწორად დავგეგმოთ პაციენტის თურქეთში ყოფნის პერიოდი, ზუსტად იმ ექიმთან მივიყვანოთ, ზუსტად იმ კლინიკაში, რომელშიც მას ისე უმკურნალებენ, რომ დადებითი შედეგი გარანტირებული ექნება“.**

# ვის უნდა მიაკითხონ თურქეთში ქართველმა პაციენტებმა

**სტამბოლში ფუნქციონირებს ჩვენი თანამემამულის მიერ დაარსებული სამედიცინო დაწესებულება „ჯეომედი“, რომელიც საქართველოდან ჩასული პაციენტებისთვის უზრუნველყოფს მაღალპროფესიულ მკურნალობას თურქეთის წამყვან აკადემიურ კლინიკებში.**
**„ჯეომედის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელია თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ექიმი არჩილ გოგოლაური.**
**„საქართველო და მსოფლიო“ მკითხველებს ბატონ არჩილ გოგოლაურთან საუბარს გთავაზობთ.**

**— თქვენი გაერთიანების — „ჯეომედის“ ინტერნეტ სავიზიტო ბარათში მითითებულია, რომ მკურნალობთ დაავადებების მთელ წყებას. მათ შორისაა: ონკოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ., კეთდება ურთულესი ოპერაციები...**

— დიახ. ეს მაღალპროფესიული სამედიცინო მომსახურების მთელი კომპლექსია. ამ გაერთიანების შექმნას ბიძგი მისცა საქართველოდან თურქეთში ჩამოსული პაციენტების რაოდენობის სისტემატურმა ზრდამ. საჭირო გახდა ხალხის ამ მასის ორიენტირება თურქეთის კლინიკურ სივრცეში, მათი დაყენება სწორ გზაზე, ერთგვარი შუამავლის, მრჩევლის, გზამკვლევის როლის შესრულება. ჩვენი მოქალაქეებისთვის შევქმენით ისეთი სერვისი, როგორიც არის დახვედრის, დაბინავების, თარჯიმნის, საავადმყოფოებში, სასტუმროებში მოთავსებისა და ა. შ. სამსახურები.

თურქეთის ყველა წამყვან კლინიკასთან დავდეთ ხელშეკრულებები. უმნიშვნელოვანესი მაინც „ჩაპასთან“ გაფორმებული მემორანდუმია.

**— „ჩაპა“?**

— „ჩაპა“ არის 180 წლის უნივერსიტეტი სტამბოლში. მისი კლინიკის მაღალი აკადემიური დონის პროფესურასთან მიღების რიგში თურქეთის მოქალაქეები 4-დან 6 თვემდე დგანან: „ჩაპას“ მომსახურება უფასოა. მნიშვნელოვანი არის ის, რომ საქართველოდან ჩაყვანილ ექსტრაპაციენტებს მაქსიმალურად დაყოვნების გარეშე იღებენ.

პაციენტს, მისი მდგომარეობის შესაბამისად, რამდენიმე კლინიკას ვთავაზობთ. მაქსიმალურ ინფორმაციას ვაწვდით და ისიც, საკუთარი მატერიალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ირჩევს ისეთს, რომელიც უფრო ხელს აძლევს. ზოგს მაინცდამაინც „ვიპი“ უნდა და მზად არის, ცარიელ კედლებში დიდძალი ფული გადაიხადოს, სხვა — მაღალ აკადემიურ დონეს ეძებს. განსხვავებული შესაძლებლობის პაციენტები ჩამოდიან თურქეთში სამკურნალოდ, განსხვავებული მოთხოვნებით, ზოგი ონკოლოგიური ავადმყოფია, ზოგსაც ესთეტიკური მედიცინის მომსახურება აინტერესებს. ჩვენ, შესაბამისად, ყველას ვეხმარებით.

**— ბატონო არჩილ, თქვენ თქვით, რომ „ჩაპა“ პაციენტებს უფასოდ იღებს.**

— უფასოა თურქებისთვის.

**— ჩვენებურებისთვის თუ არსებობს შეღავათი?**

— კი, არსებობს. მაგალითად, „ალმან ჰასტანში“ (გერმანულ კლინიკაში) 20-30-პროცენტიანი შეღავათია.

პრობლემა ყველა ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად წყდება: მაგალითად, „აჯივადენში“ ერთი საწოლი დღეში 1750 ლირა ღირს, ჩვენი პაციენტებისთვის — 1200 ლირა. ზოგს შეიძლება 50-პროცენტიანი შეღავათი გავუკეთოთ, ზოგს — 10-პროცენტიანი. ზოგს შეიძლება ვერაფერი დავუკლოთ, ეს მაშინ, როცა ძალიან რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელსაც თურქეთში სულ 5-7 ექიმი თუ უმკლავდება (თუმცა ბევრი იქაც იბრალებს). დიდ სპეციალისტებთან მკურნალობის ღირებულების შემცირებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, რადგან მიღებული არ არის. **ჩვენთვის მთავარია პაციენტის გამოჯანმრთელების უზრუნველყოფა და არა მაინცდამაინც შეღავათიანი კლინიკების ძებნა, რომლებშიც მკურნალობა შეიძლება პაციენტს იაფი დაუჯდეს, მაგრამ დაავადების დაძლევის გარანტია ასპროცენტიანი არ იყოს. ვცდილობთ, რომ დადებითი შედეგი გარანტირებული ჰქონდეს.**

**— თქვენ თქვით, რომ „იქაც ბევრი იბრალებს“.**

— დიახ, ბევრი იბრალებს. მაგალითად, ღვიძლის გადანერგვას თურქეთში სულ 7 ქირურგი აკეთებს. დანარჩენს (ვინც იბრალებს) მათნაირი შედეგები არ აქვთ. „სათუო ქირურგს“ ქართველს ხელში ვერ ჩავუგდებთ. ჩვენებურმა მაქსიმალური შედეგი უნდა მიიღოს, მაგრამ ძვირი ჯდება. ღვიძლის გადანერგვის ღირებულება 80 000 დოლარიდან იწყება. ასეთ თანხას რომ იხდის პაციენტი, მან მსოფლიო დონის მომსახურება და გარანტირებული შედეგი უნდა მიიღოს.

**— მაშასადამე, თურქეთში ჩასვლა და ხელის ცეცებით ნაპოვნ კლინიკაში დაწოლა არ ნიშნავს, რომ იგი მაღალი კვალიფიკაციის ექიმების ხელში მოხვდა და სწორი მკურნალობით იქნება გარანტირებული.**

— რა თქმა უნდა, არ ნიშნავს... აქაც იგივე არ ხდება?! მთავარი სწორი ორგანიზაცია და გამართული მარკეტინგია.

**— მაგრამ ამ ორგანიზებასა და მარკეტინგს სწორად და გამართულად მხოლოდ ექიმი თუ წარუძღვება. სპეციალისტი, რომელსაც, გარდა ორგანიზატორის მონაცემებისა, მკურნალობის შესაბამისი გამოცდილებაც აქვს.**

— ასეა, რა თქმა უნდა.

**— მაშინ, ბატონო არჩილ, თქვენი საექიმო პრაქტიკის შესახებაც მითხარით რამე, თუ შეიძლება.**

— ვმუშაობდი კამოს ქუჩაზე, მეორე სამშობიაროში. შემდეგ ოთხმა მეგობარმა შევქმენით კერძო სამშობიარო „ჰერა“ ვაკის პარკის „ლეჩკომბინატში“, შემდეგ კი სტამბოლში წავედი. დავიწყე დედეულლუს პოლიკლინიკაში მუშაობა. დედეულლუ გვარია, რომელსაც აქვს კლინიკების ქსელი. იმ პოლიკლინიკაში მამაკაცი გინეკოლოგისთვის საქმე საკმარისი არ იყო და კმაყოფილი არ ვიყავი. შემდეგ წამყვანი კარდიოქირურგის — ისმაილ ილქსელდინის კლინიკაში მოვხვდი. კარდიოქირურგიაში ვმუშაობდი, საოპერაციოში. მერე ისევ მეანობას დავუბრუნდი.

**— ისევ თურქეთში?**

— დიახ. და ახლა ვცდილობ, რომ ქართველებს დავეხმარო.

**— კმაყოფილი თუ არიან თქვენი მომსახურებით?**

— კმაყოფილი რომ არ იყვნენ, ამდენი პაციენტი არ მოგვმართავდა.

**— როდის შექმენით „ჯეომედი“?**

— 2014 წლის გაზაფხულზეა დარეგისტრირებული თურქეთში. შემდეგ საქართველოშიც დავარეგისტრირეთ. ასეთია მოკლე ისტორია, მაგრამ კავშირურთიერთობა ყოველთვის გვქონდა: საქართველოდან პაციენტები პირადი ურთიერთობით, პირადი კონტაქტების მეშვეობით ინდივიდუალური პროგრამით ჩამოდიოდნენ. ბევრი ონკოლოგიური ავადმყოფი იყო, ბევრიც — გაურკვეველი დიაგნოზებით, ბავშვებიც — საკმაო რაოდენობით.

**ვიწრო სპეციალობით კარგი ექიმი თურქეთშიც მოსაძებნია. ისე არ არის, რომ კარგად რეკლამირებულ კლინიკაში მიხვიდე და მაღალი დონის მკურნალობა უზრუნველყოფილი გქონდეს. კარგი კლინიკა თვითონ ეძებს კარგ ექიმს.**

**— თქვენს გაერთიანებას საქმიანი კონტაქტები აქვს რამდენიმე კლინიკასთან. რა პრინციპით აარჩიეთ?**

— თავიდან — აკადემიურობიდან გამომდინარე; შემდეგ — პრაქტიკიდან, რომელიც ამ კლინიკებთან გვქონდა.

**ჩვენთან ჩამოდიან ამერიკელებიც, ბელგიელებიც, ჰოლანდიელებიც, გერმანელებიც. რა იზიდავს, იცით, პრაგმატულ უცხოელებს? ის, რომ თურქეთში მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ეს — ერთი; მეორე — აქაური კლინიკები უთანამედროვესი სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი; და, მესამე, რომ მომსახურება მათ ქვეყნებთან შედარებით აქ გაცილებით იაფია.**


ექიმი არჩილ გოგოლაური

**«ჩამოდიან ამერიკელებიც, ბელგიელებიც, ჰოლანდიელებიც, გერმანელებიც. რა იზიდავს, იცით, პრაგმატულ უცხოელებს? ის, რომ თურქეთში მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ეს — ერთი; მეორე — აქაური კლინიკები უთანამედროვესი სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი; და, მესამე, რომ მომსახურება მათ ქვეყნებთან შედარებით აქ გაცილებით იაფია»**

**— თუ არ ვცდები, შაქრიან დიაბეტსაც მკურნალობთ...**

— მეტაბოლურ ქირურგიას გულისხმობთ, ალბათ.

**— მაპატიეთ ჩემი უცოდინარობის დემონსტრირება...**

— არ მიკვირს *(ეღიმება)*, რადგან ეს ახალი თემაა, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში კეთდება. ერთი ოპერაცია საქართველოშიც გააკეთა ჩამოსულმა სპეციალისტმა. შემდეგ როგორ განვითარდა, არ ვიცი. **სტამბოლში მოქმედებს მეტაბოლური ქირურგიის ცენტრი. ჩემი მეგობარი ალპერ ჩეთინი, ორი წელიწადია, ამ მიმართულებით მუშაობს და უკვე 500 ოპერაცია გააკეთა. ძალიან დიდი რიგი დგას მასთან, მაგრამ მე შემიძლია, თუ ამ კვირაში ვინმე ჩამოვა, მომდევნო კვირაში გაუკეთონ ოპერაცია, თანაც თურქეთის მოქალაქის ფასში. უცხოელებისთვის ძალიან ძვირია.**

**— თქვენს ინტერნეტრეკლამაში განსაკუთრებით გამოყოფილია რობოტიზებული ქირურგიული სისტემა „დავინჩი“.**

— ეს მართლაც შესანიშნავი სისტემაა, რომელიც ექვსი მკლავით აკეთებს ოპერაციებს ადამიანის სხეულის ისეთ ნაწილებში, რომლებსაც ქირურგის ხელი ვერ სწვდება. მას მთელი ბრიგადა ემსახურება, ადამიანის გონება და უმაღლესი პროფესიონალიზმი წარმართავს. განკუთვნილია ონკოლოგიური პაციენტებისთვის, თუნდაც პროსტატის კიბოს საოპერაციოდ. ორი წლის დანერგილია და სრულად გაამართლა.

**— კონკურენციას თუ გრძნობთ თურქეთში?**

— მართალი გითხრათ, მე ბევრი პაციენტის უფრო მეშინია...

**— ?!**

— დიახ. ძალიან ბევრს, ელემენტარულად, ვერ მოვუვლით. ჯერ ერთი, ამას დრო სჭირდება; მეორეც, ამდენი კარგი სპეციალისტი თურქეთში არ არის. კონკურენციის პრობლემა არ გვიდგას.

**— თქვენ, არჩილ გოგოლაური, თურქეთში წარმოდგენილი ხართ, როგორც ექიმი თუ როგორც თქვენი დაარსებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი?**

— ამ საქმის გადამკიდე საექიმო პრაქტიკისთვის ველარ ვიცლი. დავრბივარ ხან აქ, ხან — იქ.

**— ქართველები თუ არიან თქვენთან ერთად?**

— ერთი ფანტასტიკური გოგონაა — მანანა ნარგევაძე, აჭარელია, ხელვაჩაურის რაიონიდან. თბილისში სულ ორჯერაა ნამყოფი. გულ-სისხლძარღვთა ქირურგია. ექიმები ორნი ვართ. ოთხი თარჯიმანი გოგონა გვყავს აყვანილი. მოგეხსენებათ, პაციენტის გვერდით სულ ვიღაც უნდა იყოს. ენის უცოდინარობის გამო პაციენტი შეიძლება პანიკაშიც კი ჩავარდეს.

**— განვითარების პერსპექტივას ხედავთ?**

— „ჯეომედს“ განვითარების პერსპექტივა, რა თქმა უნდა, აქვს. ჩვენი ურთიერთობა ავადმყოფებთან იწყება მაშინ, როცა საქართველოში ვერაფერს შველიან. ეს დონე — ერთგვარი ფილტრი — აუცილებლად უნდა იყოს და ასეთად დარჩება. ხდება ისეც, რომ ჩამოდიან ისეთი პაციანტები, რომლებსაც ქართველი ექიმები ეუბნებიან, მეტი არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიაო, და თურქეთში გზავნიან.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«პაციენტს, მისი მდგომარეობის შესაბამისად, რამდენიმე კლინიკას ვთავაზობთ. მაქსიმალურ ინფორმაციას ვაწვდით და ისიც, საკუთარი მატერიალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ირჩევს ისეთს, რომელიც უფრო ხელს აძლევს»**

**P. S.** ბატონ არჩილ გოგოლაურს ვეკითხები იმ თემაზე, რომელსაც მედიცინასთან საერთო არაფერი აქვს:

— თურქული სერიალები ისეთივე პოპულარულია თურქეთში, როგორც საქართველოში?

— იქ საოცრებაა! ჩვენი ფილარმონიის ოდენა დარბაზებში შეიძლება მიტინგები გაიმართოს მოთხოვნით, რომ შეიცვალოს სცენარი და მოქმედება ასე კი არ განვითარდეს, არამედ სხვანაირად. იმართება გამოსვლები, რომლებსაც ტელევიზიით გადასცემენ. დიდი არმიაა სერიალების ფანატების, „სახალხო მოძრაობაა“, ძირითადად, ქალების. კაცები იქ არ მინახავს. საინტერესო ფენომენია.

**აფხაზეთის ომში მონაწილეობდა რამდენიმე (ან რამდენიმე ათეული) უკრაინელი ნაციონალისტი, რადიკალური „უნა-უნსოს“ წევრი. ისინი არასოდეს მალავდნენ, რომ რუსეთის დასასუსტებლად იბრძოდნენ. სხვათა შორის, „უნა-უნსო“ მოგვიანებით ჩეჩნების მხარესაც იბრძოდა — იმ ჩეჩენი “ბოევიკების” მხარეს, რომლებსაც აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი.**

თვალსაზრისი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ დაგწყევლათ ასე მწარედ, ვაიპატრიოტებო?!

## ილია ჭავჭავაძის «ასის წლის წინათ» მაინც წაგეკითხათ, ფარისევლებო!

**საჭიროდ მივიჩნევ, გამოვეხმაურო ბოლო ხანს აგორებულ ახალ არაკეთილსინდისიერ პროპაგანდას, რომელიც ყველაზე უფრო აუცილებელ ადამიანურ განცდაზე — მადლიერებაზე — აპელირებს.**



საუბარია 1992-1993 წლებში აფხაზეთში ქართული შენაერთების მხარეს მებრძოლ უკრაინელებზე, რომელთა ღვაწლი ახლა, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე გაახსენდა ზოგიერთს (არადა, აფხაზეთის ომის ქართველი ვეტერანების დიდ ნაწილს უკიდურესად უჭირს და ეს არავის ახსოვს). **ამ ზოგიერთის აზრით, ქართველებმა სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ კიევს და თვალები დავხუჭოთ ყველაფერზე, მათ შორის, სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებისთვის უკრაინაში სასათბურე პირობების შექმნაზე.** მეტიც, რუსეთი ხომ ჩვენი „მტერია“, უკრაინელები კი იმხანად ჩვენთან ერთად თურმე „რუსეთს ებრძოდნენ“.

საქმეც სწორედ ეს არის — **ისინი რუსეთს ებრძოდნენ, რუსეთთან საბრძოლველად იყვნენ ჩამოსულნი. საქართველოს ბედი, როგორც ასეთი, მათთვის არ იყო საინტერესო. აფხაზეთის ომში მონაწილეობდა რამდენიმე (ან რამდენიმე ათეული) უკრაინელი ნაციონალისტი, რადიკალური „უნა-უნსოს“ წევრი. ისინი არასოდეს მალავდნენ, რომ რუსეთის დასასუსტებლად იბრძოდნენ. სხვათა შორის, „უნა-უნსო“ მოგვიანებით ჩეჩნების მხარესაც იბრძოდა — იმ ჩეჩენი „ბოევიკების“ მხარეს, რომლებსაც აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების სისხლში ჰქონდათ ხელი გასვრილი.**

**ინტერნეტში ვრცელდება დაკრძალვის კადრები 1992 წელს აფხაზეთში დაღუპული 19 წლის უკრაინელი მებრძოლისა, რომელსაც მამა დასტირის. ამ ფაქტს დასავლეთის მიერ მართული პროპაგანდა ქართველებში ანტირუსული და უკრაინელი ნაციონალისტების სასარგებლო განწყობების გასაღვივებლად იყენებს.** ვიდეოკადრების ავტორი მოუწოდებს ქართველებს, სოლიდარობა გამოუცხადონ უკრაინელ ხალხს, რადგან უკრაინელები თურმე გასაჭირის დროს დაგვეხმარნენ.

**რუსი (ისევე, როგორც უკრაინელი და ნებისმიერი სხვა) არ არის ვალდებული, იბრძოლოს საქართველოს ნაციონალისტურად გაგებული ინტერესებისთვის, და მთავარი: ამ იმპერიის იდეალები იყო ქრისტეს სჯული და მართლმადიდებელი ხელმწიფის ერთგულება, რაც სავსებით მისაღები იყო (და უნდა იყოს!) ყველა ნორმალური ქართველისთვის!**

კეთილი და პატიოსანი. მეც მივიჩნევ, რომ, **მიუხედავად „უნა-უნსოს“ წევრების კონკრეტული მოტივისა, ეომათ აფხაზეთში, ჩვენ გულწრფელად მადლიერები უნდა ვიყოთ მათი, რადგან ისინი ქართველების მხარეს იდგნენ.** ეს მართალია. **ოღონდ არ შეიძლება, სახელმწიფო ინტერესები დავუქვემდებაროთ ემოციებს,** მაგრამ ესეც არ არის ახლა მთავარი.

თუკი მორალის კატეგორიებით ვიმსჯელებთ, მაშინ მივმართავ ქართველ ვაიპატრიოტებს, რომლებიც უკრაინისადმი სოლიდარობას ითხოვენ რამდენიმე დაღუპული უკრაინელი ნაციონალისტის გამო და **ამ დროს უზარმაზარი ღვაწლი, რომელიც რუსმა ჯარისკაცებმა ორასი წლის მანძილზე გასწიეს საქართველოს ისტორიაში, დავიწყებული აქვთ.**

**იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი შეეწირა სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებას?! იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი დაიხოცა აჭარისა და ტაო-კლარჯეთის გამოსახსნელად?! სხვა თუ არაფერი, სწორედ რუსი ჯარისკაცის დამსახურებაა დასავლეთ საქართველოში მონობით ვაჭრობის — სამარცხვინო „ტყვის სყიდვის“ ამოძირკვა! ქრისტიანობა და ქართველობა სწორედ რუსეთის მეშვეობით გადარჩა — ილია ჭავჭავაძის „ასის წლის წინათ“ მაინც წაგეკითხათ, ფარისევლებო!**

არ იცით და არც გინდათ, იცოდეთ! ეს კი უდიდესი **უმადურობაა.** თქვენისთანების გამო არ უნდა რცხვენოდეს ქართველ კაცს რუსების წინაშე, არ უნდა გვქონდეს უმადური ხალხის სახელი! ამიტომაც გეკითხებით: **ვაიპატრიოტებო, ვინ დაგწყევლათ ასე მწარედ, რომ ამხელა უმადურობას ავლენთ?!**

ქართველი ხალხი მადლიერია, არ დაივიწყებს არავის ღვაწლს. სწორედ ამიტომ შეუწყო ჩვენმა ორგანიზაციამ ხელი აჭარაში, სოფელ ხუცუბანში, სააკაშვილის ავად სახსენებელი რეჟიმის დროს იავარქმნილი საძმო სასაფლაოს რეაბილიტაციას, სადაც ციხისძირის ბრძოლაში (1878 წლის იანვარში) დაღუპული, აჭარის გათავისუფლებას შეწირული რუსი ჯარისკაცები განისვენებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **აჭარის, ისევე, როგორც მანამდე სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებისას, ქართული შენაერთები რუსების გვერდზე მამაცურად იბრძოდნენ. ისინი ერთგულნი იყვნენ რუსეთის იმპერატორისადმი მიცემული ფიცისა, ამასთანავე, სამშობლოს — საქართველოს ინტერესებს იცავდნენ.** მადლობა ღმერთს, რომ ეს გენეტიკურად ახსოვს ნამდვილ, ხალას ქართველ კაცს, როგორებიც ბევრი ვნახე ხუცუბანში და მეგულება საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ქალაქსა და სოფელში.

ახლა იმასაც იტყვიან: თუკი უკრაინელი ნაციონალისტები რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაშინ რუსი ჯარისკაცებიც რუსეთის იმპერიისთვის (და არა საქართველოს სიყვარულით) იბრძოდნენო. მათ ვუპასუხებ: **დიახ, იმპერიის ინტერესებისთვის იბრძოდნენ, მაგრამ, ჯერ ერთი, რუსი (ისევე, როგორც უკრაინელი და ნებისმიერი სხვა) არ არის ვალდებული, იბრძოლოს საქართველოს ნაციონალისტურად გაგებული ინტერესებისთვის, და მთავარი: ამ იმპერიის იდეალები იყო ქრისტეს სჯული და მართლმადიდებელი ხელმწიფის ერთგულება, რომელიც სავსებით მისაღები იყო (და უნდა იყოს!) ყველა ნორმალური ქართველისთვის!**

დასასრულ, აჭარაც და სამცხე-ჯავახეთიც, როგორც ვიცით, საქართველოს დარჩა, იგი არც იმპერატორს წაუღია იმქვეყნად, არც — ლენინსა და სტალინს.

**გულბაათ რცხილაძე**

# ერთი დაუვიწყარი დღე მოსკოვში

**2014 წლის 6 დეკემბერს მოსკოვში პოკლონნაია გორაზე მდებარე დიდი სამამულო ომის მუზეუმში ჩატარდა რუსეთის სამხედრო დიდების დღისადმი, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 69 წლისთავისადმი, მოსკოვთან ბრძოლების 73 წლისთავისადმი და 1944 წლის ძირითადი საბრძოლო მოვლენების — ლენინგრადის ბლოკადის მოხსნის, ყირიმის, უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლებისადმი მიძღვნილი „გამარჯვებულთა საღამო“ (Бал победителей), რომელზეც მიწვეული იყვნენ ომის ვეტერანები ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან და გმირი ქალაქებიდან.**

მათ შორის იყო საქართველოს ხუთკაციანი დელეგაცია ომის ვეტერანების — სერგო მირზოიანის, ლილი ზერიკიძის, იოსებ ცხოვრებაშვილის, შოთა ბუაძისა და დელეგაციის ხელმძღვანელის — გია ნემსაძის შემადგენლობით. ეს იყო გრანდიოზული, მეტად ამაღელვებელი შეხვედრა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვახსენა ის ტკივილიანი და წარმოუდგენლად მძიმე წლები, რომლებიც გავიარეთ და გადავიტანეთ დიდი სამამულო ომის პერიოდში

ვიდრე შეხვედრის ოფიციალური ნაწილი დაიწყებოდა, დავათვალიერეთ სამამულო ომის შესანიშნავი მუზეუმი, რომელიც ისეთი მასშტაბურია, რომ მისი დათვალიერებისთვის 3-4 საათი კი არა (ჩვენს განკარგულებაში მეტი დრო არ იყო), რამდენიმე დღეა საჭირო. მეტად შთამბეჭდავი იყო მუზეუმის ექსპონატები, რომლებიც დიდ სამამულო ომში გამოყენებულ ყველა საომარ ტექნიკას მოიცავს. გულისამაჩუყებელი და ცრემლის მომგვრელიც კი იყო იმ სამხედრო იარაღების ხილვა, რომლებითაც გვიხდებოდა ბრძოლა. მაგალითად, აქ იყო წარმოდგენილი 45-მილიმეტრიანი ქვემეხი, რომელსაც, განსაკუთრებით — ავდარში, მებრძოლები ძლივს მივათრევდით; ყველგანმავალი ამერიკული მანქანა „ვილისი“, რომლითაც გადავადგილდებოდით იმ უგზოობაში.

როდესაც დაიწყო შეხვედრის ოფიციალური ნაწილი, წაიკითხეს შეხვედრის მონაწილეებისადმი რუსეთის პრემიერმინისტრ მედვედევისა და მოსკოვის მერის მისალმება. გაიხსენეს დიდი სამამულო ომის პერიოდი, განსაკუთრებით — მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლები და ლენინგრადის ბლოკადის მძიმე დღეები, უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლებისათვის გამართული ბრძოლები. იყო საინტერესო მოგონებები ომისდროინდელი პერიოდიდან. შემდეგ გადავინაცვლეთ საზეიმო სუფრასთან. პარალელურად მიმდინარეობდა ამ შეხვედრისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი. გათვალისწინებული იყო თამარ გვერდწითელის გამოსვლაც, მაგრამ რატომღაც ეს გამოსვლა არ შედგა. საღამო საინტერესოდ, მხიარულ ვითარებაში ჩატარდა. იგი მეტად შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო. ბუნებრივია, იგი სასიამოვნო იყო იმ ეპოქის უშუალო მონაწილეთათვის, რომლებიც დღეს 90 წელს მიღწეული და გადაცილებულნი ვართ.

საღამო ჩატარდა რუსებისათვის ჩვეული უმაღლესი ორგანიზების პირობებში, ამაღლებული საზეიმო განწყობით. საღამოზე აშკარად იგრძნობოდა მეგობრული და ძმური ატმოსფერო მრავალეროვანი აუდიტორიის დამსწრეთა შორის, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩა ომისდროინდელ პერიოდიდან და რომელიც წარმოადგენდა დიდ სამამულო ომში ისტორიული გამარჯვების ძირითად ფაქტორს.

შეუძლებელია ერთი თვალშისაცემი ფაქტი არ აღვნიშნო. ეს არის დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი უდიდესი ყურადღება და კეთილშობილური დამოკიდებულება, რომელსაც მოსკოვში ყოველ ნაბიჯზე გრძნობ. ომის ვეტერანებს რუსეთში დიდი თუ პატარა პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობა.



მოსკოვს ერთ დღეს ვსტუმრობდით, მაგრამ მდიდარი შთაბეჭდილებებით დავბრუნით.

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ეროვნული მუზეუმი




# ასალამუ ალეიქუმ, ტაჯიკეთო!

**ტაჯიკეთის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანია — ჰანაფიტური მაზჰაფის (2009 წლიდან ოფიციალური სტატუსი მიენიჭა) სუნიტი. მთიან ბადახშანში ცხოვრობენ შიიტი ისმაილისტები, რომლებიც თავიანთ ისტორიას X-XI საუკუნიდან ითვლიან. ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს 3 ათასი მეჩეთი და 19 მედრესე. ტაჯიკეთში რეგისტრირებულია 85 არამუსლიმანური რელიგიური გაერთიანება; მათ შორის, ქრისტიანული (უმეტესად — მართლმადიდებლური), აგრეთვე, ბაპტისტებისა და რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობები. გარდა ამისა, ქვეყანაში მოქმედებს ზოროასტრული და იუდეური ორგანიზაციები.**


ეროვნული ბიბლიოთეკა


ერის სასახლე

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა ტაჯიკეთი (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა სსრკ-ის შემადგენლობაში) ცენტრალური აზიის სახელმწიფოა. ფართობის მიხედვით (142,1 ათასი კვ.კმ), ყველაზე პატარა ქვეყანაა შუა აზიაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ყირგიზეთს, დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით — უზბეკეთს, აღმოსავლეთით — ჩინეთს, სამხრეთით — ავღანეთს. ტაჯიკეთი შედგება მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქისგან, სოგდიის, ხათლონისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ყარატეგინის ოლქებისგან, აგრეთვე, 62 რაიონისა და 17 ქალაქისგან.

**კლიმატი** სუბტროპიკულია დღე-ღამური და სეზონური ტემპერატურული გადახრებით, დამახასიათებელია მცირენალექიანობა და მშრალი ჰავა. ტემპერატურის დიაპაზონი: მაქსიმალური — პლუს 48 გრადუსი, მინიმალური — მინუს 63 გრადუსი.

**ფლორა** წარმოდგენილია მცენარეთა იმ სახეობებით, რომლებიც დამახასიათებელია სტეპისა და ალპური ზონისთვის. იქ მცენარეების 4,5 ათასამდე სახეობა ხარობს. მათ შორის, ფოთლოვანი ხეები.

**ფაუნა.** ცხოველთა სამყარო საკმაოდ მდიდარია. ბინადრობს თოვლის ჯიქი, მთის თხის რამდენიმე სახეობა, ირემი, მგელი, ლელქაშის კატა, აგრეთვე, იშვიათი ჯიშის გველები.

ტაჯიკეთის უდიდესი **მდინარეები**: სირდარია, ამუდარია და ზერავშანი, ტბა — ყარაყული.

ტაჯიკეთი მთაგორიანი (ტიან შანის, გისარო ალაისა და პამირის მთათა სისტემა) ქვეყანაა, რომელიც თავის ლანდშაფტში აერთიანებს ევრაზიის მთიან ქედებსა და ალპურ მდელოებს. უმაღლესი წერტილია **ისმოილ სომონის (ადრე კომუნიზმის) პიკი — 7495 მ.**

დედაქალაქი: **დუშანბე** (780 ათასი ადამიანი). დიდი ქალაქები: **ჰუჯანდი, ისფარა, ყულიბი, ტურსუნზადე, ყურგან-ტიუბე.**

ტაჯიკეთის მოსახლეობა, რომლის რაოდენობა ბოლო ხანს სწრაფად იმატებს, 2014 წლის აღწერით, 8.1 მლნ-ს შეადგენს (93-ე მსოფლიოში). ქვეყანაში ცხოვრობს 80-მდე ეროვნების წარმომადგენელი: ტაჯიკები (62%), უზბეკები (24%), რუსები (4%), თათრები და სხვ.

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ტაჯიკეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტის მოვალეობას ამჟამად **ემომალი რახმონი** (რახმონოვი) ასრულებს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა მეჯლისი (პარლამენტი), რომლის თავმჯდომარეა **შუქურჯონ ზუჰუროვი.** მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერმინისტრი **კოხირ რასულზადე.**

ტაჯიკების წინაპრები თავიანთ ქვეყანას Aryanam vaeja-ს უწოდებდნენ, რაც ტაჯიკურად (სპარსულად) „არიელთა ქვეყანას" ნიშნავს. არიელი (არიელთა ტომები) ავესტური სიტყვა „არიას"-გან წარმოდგება და „კეთილშობილს", „სუფთას" ნიშნავს. ეს არის სახელწოდება ძველი ინდოირანული ტომებისა, რომლებიც ჩვ.წ. აღ. II ათასწლეულში გამოეყვნენ ინდოევროპულ ტომებსა და ცენტრალურ აზიაში გადასახლდნენ.

**ტაჯიკეთის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანია — ჰანაფიტური მაზჰაფის (2009 წლიდან ოფიციალური სტატუსი მიენიჭა) სუნიტი. მთიან ბადახშანში ცხოვრობენ შიიტი ისმაილისტები, რომლებიც თავიანთ ისტორიას X-XI საუკუნეებიდან ითვლიან.** ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს 3 ათასი მეჩეთი და 19 მედრესე. **ტაჯიკეთში რეგისტრირებულია 85 არამუსლიმანური რელიგიური გაერთიანება. მათ შორის, ქრისტიანული (უმეტესად — მართლმადიდებლური), აგრეთვე, ბაპტისტებისა და რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობები.** გარდა ამისა, ქვეყანაში მოქმედებს ზოროასტრული და იუდეური ორგანიზაციები.

**სახელმწიფო ენა — ტაჯიკური,** რომელიც ინდოევროპული ენების ოჯახის ინდოირანული განშტოებაა. ტაჯიკური ენის ალფაბეტი რამდენჯერმე შეიცვალა. თავდაპირველად იყენებდნენ არაბულს, შემდეგ (ცოტა ხნის განმავლობაში) — ლათინურს, რომელიც რუსულმა კირილიცამ შეცვალა. ამჟამად ტაჯიკები კვლავ რუსულ დამწერლობას იყენებენ, მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში ხელისუფლებას სურვილი ჰქონდა, ქვეყნის მოსახლეობა სპარსულ ანბანზე გადასულიყო.

## ეკონომიკა

ტაჯიკეთი საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ, ვინაიდან რესპუბლიკის ტერიტორიის 96% მთაგორიანია, ქვეყნის ინფრასტრუქტურა კი — სუსტად განვითარებული, მათი მოპოვება გართულებულია. სოგდიის ოლქში მდებარეობს დიდი ვერცხლის საბადო. ქვეყანაში არის ურანის (ზოგიერთი მონაცემით, მსოფლიოს მარაგის 16%), ოქროს, ალუმინისა და ძვირფასი ქვების საბადოები.

ტაჯიკეთში განვითარებულია **მსუბუქი** (ბამბა, აბრეშუმი, შალი), **კვების** (კონსერვები, ღვინო, საკონდიტრო ნაწარმი) და **სამშენებლო მასალების** მრეწველობა, აგრეთვე, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური დარგები, ფერადი მეტალურგია. ქვეყანას საექსპორტოდ გააქვს ბამბა, აბრეშუმი, მარცვლეული, თამბაქო, ბოსტნეული, ხილი და ჩირი, აგრეთვე, ალუმინი, ტყვია და თუთია. ექსპორტიდან შემოსულმა თანხამ 2008 წელს 1,6 მლრდ დოლარი შეადგინა. იმპორტის (3,7 მლრდ) უდიდესი წილი რუსეთზე, ჩინეთზე, ყაზახეთსა და უზბეკეთზე მოდის. **მთიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2190 დოლარია (2013 წლის მონაცემები).**

ტაჯიკეთის ეროვნული ვალუტაა **სომონი,** ინტერნეტდომენი — **tj**, სატელეფონო კოდი **+992.** საათობრივი სარტყელი — **UTC+5.**

## კულტურა

ტაჯიკურ კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ის ყალიბდება შუა აზიისა და თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე და ვითარდებოდა ქალაქებში: ბუხარა; სამარყანდი, ნიშაპური, ბალჰი და სხვ. ტაჯიკი ხალხის კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა ხალხების, განსაკუთრებით — ირანელთა კულტურასთან. თანამედროვე ტაჯიკეთის ტერიტორიაზე დღესაც არსებობს უძველესი ქალაქები: პენჯიკენტი (ცნობილია VI საუკუნიდან); ურა-ტიუბე (დღემდე განთქმულია ადგილობრივი ოსტატების ნახელავით), ისფარა და სხვ.

აღსანიშნავია ისეთი ძეგლები, როგორიცაა **გისარის ციხესიმაგრე**, ხოჯა მაშჰადის მავზოლეუმი, აჯინა-ტეპე VI-VII საუკუნეების ბუდისტური ტაძრების ნანგრევებით. **ტაჯიკეთი განთქმულია მინიატურული წიგნებით, ვერცხლის ნაკეთობებითა და ხალიჩებით. ამ ქვეყნის კულტურის მრავალი ობიექტი იუნესკოს მიერ მსოფლიოს მემკვიდრეების სიაშია შეტანილი.**

ტაჯიკური ფოლკლორი მრავალფეროვანია, ლიტერატურა კი მჭიდროდ არის დაკავშირებული სპარსულ ლიტერატურასთან, რომელსაც სახელი გაუთქვეს რუდაქიმ, რუმიმ, ფირდოუსიმ, ნიზამიმ და სხვებმა.


რუდაქის ბაღი


გისარის ციხესიმაგრე



## ტაჯიკური ფლავის რეცეპტი

**ინგრედიენტები:**

*ცხვრის ხორცი (უძვლო) — 350 გრ
*ცხვრის ძვლიანი ხორცი — 200 გრ
*მცენარეული ზეთი — 80 გრ
*ბრინჯი — 200 გრ
*ქიშმიში — 60 გრ
*სტაფილო — 200 გრ
*ხახვი — 70 გრ
*ძირა — 2 გრ
*კონწახური — 10-10 გრ
*ქინძი, ოხრახუში — 20 გრ
*წიწაკა, მარილი — გემოვნებით.

**მომზადება:**

მცენარეულ ზეთში შეწვით ძვლიანი ხორცი ყავისფერის მიღებამდე, დაუმატეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი და მოხრაკეთ.

20-30 გრამამდე დაჭრილი ხორცის ნაჭრები შეწვით, ვიდრე არ წარმოიქმნება მოწითალო ქერქი; დაუმატეთ წვრილ ჩხირებად დაჭრილი სტაფილო, შემდეგ — ძირა, კონწახური და განაგრძეთ შეწვა.

შემწვარ პროდუქტებს დაასხით 2 ჭიქა წყალი, დააყარეთ მარილი და სუსტ ცეცხლზე 25-30 წუთის განმავლობაში ხარშეთ. შემდეგ დაუმატეთ მარილიან წყალში წინასწარ გავლებული ბრინჯი და ქიშმიში. მასის ზედაპირი გაასწორეთ და განაგრძეთ ხარშვა. როდესაც სითხეს შეიწოვს, ბრინჯი გორად შეაგროვეთ, ქვაბს თავსახური მჭიდროდ დაახურეთ და სუსტ ცეცხლზე დატოვეთ 5-7 წუთით.

სუფრაზე მიტანამდე ფლავის ბრინჯის გორას ზემოდან დაადეთ ხორცის ნაჭრები და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

## სამზარეულო

ტაჯიკური სამზარეულო თავისი ტექნოლოგიებითა და პროდუქტების ასორტიმენტით ახლოს დგას შუა აზიის სხვა ხალხების სამზარეულოსთან, თუმცა აქვს თავისებურებებიც. ამ ქვეყანაში სუფრაზე ძირითადი პროდუქტი არის ხორცი — ცხვრის, თხის, იშვიათად — ძროხისა და ფრინველის. კერძებში იყენებენ მარცვლეულს: ბრინჯს, ხორბალს, ლობიოს, ოსპს, წიწიბურას; სანელებლებს: კონწახურს, ზაფრანას, ძირას, ნიორს; მწვანილს: ოხრახუშს, ქინძს, პიტნას, მწვანე ხახვს, კამას; ბოსტნეულს: კიტრს, პომიდორს, სტაფილოს.

ტაჯიკეთი განთქმულია ტკბილეულით, რომლის დასამზადებლად ჩირსა და ახალ ხილს იყენებენ. ამ ქვეყანაში ძალიან პოპულარულია ფლავი, ქაბაბი და ჰალვა.

**P.S. „ასალამუ ალეიქუმ" ტაჯიკური (არაბული ენიდან) მისალმებაა და გამარჯობას ნიშნავს.**

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძე

**ეს პერიოდი სასიკეთო იქნება ჰაერის ნიშნით დაბადებულთათვის — მერწყულებისთვის, ტყუპისა და სასწორებისთვის, აგრეთვე, კუროსა და ქალწულებისთვის, დასახული მიზნების მისაღწევად დიდი ძალისხმევის გამოჩენა მართებთ კირჩხიბებსა და ლომებს.**

ჰოროსკოპი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**21-27 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი — 20 აპრილი

ეს პერიოდი ვერძებისთვის მცირე შეფერხებებით ჩაივლის. თუ ვინმეს დახმარების იმედი გქონდათ, შეიძლება, მან გადაწყვეტილების მიღება არ იჩქაროს. თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ, გააანალიზეთ, სწორად მოქმედებთ თუ არა. კარგი დროა, ახალი პროექტების დასაწყებად. ასე რომ, იმედს ნუ გაუცრუებთ გარშემომყოფებს, რომლებიც ამ კვირაში თქვენგან ქმედით და გადამწვეტ ნაბიჯებს ელიან. ამ პერიოდის მთავარი შტრიხი მეგობრული კონტაქტები იქნება, ხოლო სასიყვარულო ურთიერთობებში შეიძლება, კონფლიქტები დაიწყოს. ნაცნობების წრის გაფართოებაზე მეტისმეტად კონცენტრირებამ, შესაძლოა, პარტნიორებს დაგაშოროთ. არ არის გამორიცხული, მარტოხელა ვერძები თავიანთ სიყვარულს შეხვდნენ ან მგზნებარე რომანი დაიწყონ, თუმცა ურთიერთობა ხანგრძლივი არ იქნება. ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი საკმაოდ მაღალია, თუმცა კვირის ბოლოს ჯანმრთელობას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ. გაფრთხილდით ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 25 იანვარი.**
**ნეგატიური დღე: 23 იანვარი.**

## კურო — 21 აპრილი — 21 მაისი

ამ პერიოდში გელოდებათ დაუგეგმავი ხარჯების გაწევა, ძველი ვალდებულებების დაფარვა, კრედიტების დაბრუნება და ა. შ., თუმცა კვირის ბოლოს მნიშვნელოვანი ფინანსური მოგებაც გექნებათ. საჭიროების შემთხვევაში მშობლების ან ახლობლების ფინანსური მხარდაჭერის იმედი იქონიეთ. ამ პერიოდის მთავარი პრობლემა შეყვარებულ წყვილსა თუ ცოლ-ქმარს შორის დაწყებული დაპირისპირება იქნება. მოსალოდნელია უთანხმოება მშობლებთანაც, თუმცა ის დიდხანს არ გასტანს. თქვენ შეიძლება ვერ შეძლოთ, ახლობლებს სათანადო ყურადღება მიაქციოთ, ამიტომ მათ არა მხოლოდ მიზეზები უნდა აუხსნათ, არამედ დახმარებაც სთხოვოთ. საქმიან და რომანტიკულ ურთიერთობებს შორის ზღვარი, შესაძლოა, ისე წაიშალოს, რომ რომელიმე თანამშრომელთან სამსახურებრივი რომანიც კი გააჩაღოთ. ამიტომ, თუ დაქორწინებული ხართ, ფრთხილად იყავით — შესაძლოა, ეს გატაცება სკანდალით დასრულდეს.

**დადებითი დღე: 24 იანვარი.**
**რთული დღე: 26 იანვარი.**

## ტყუპი — 22 მაისი—21 ივნისი

ეჭვი შეგიპყრობთ, როდესაც სადავო და რთული საკითხების განხილვა დაიწყება. არ არის გამორიცხული ურთიერთობის გამწვავება პარტნიორებთან, თუმცა 24 იანვრიდან ვითარება შეიცვლება და შესაძლოა, ხელმძღვანელობისგან ქათინაური მიიღოთ ან სულაც თანამდებობრივად დაწინაურდეთ. ოჯახურ ან სასიყვარულო ურთიერთობებში უსიამოვნებები გელით. ძველი, თითქოს მყარი კავშირები შეიძლება დაირღვეს. ამის მიზეზი იქნება ის, რომ თქვენი ინტერესები და მიზნები ერთმანეთს არ დაემთხვევა და თითოეული თქვენგანისთვის საკუთარი გზით წასვლა სამომავლოდ გამართლებული იქნება. არ უნდა დაგწყდეთ გული, რადგან ჭეშმარიტ მეორე ნახევართან შეხვედრა მომავალში გელოდებათ. ეს პერიოდი კარგია მოგზაურობისთვის, მხიარული წვეულებების მოსაწყობად. ასე რომ, ნუ დაჯდებით შინ ან სამსახურში. აქტიურად გაერთეთ და ნახავთ, რომ ყოველ მომდევნო დღეს პოზიტიური ენერგიით აღსავსე შეხვდებით.

**დადებითი დღე: 22იანვარი.**
**ნეგატიური დღე: 25 იანვარი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი—22 ივლისი

ამ პერიოდში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ეს დრო შექმნილი ვითარების გაანალიზებასა და სამომავლო გეგმების დაწყობას დაუთმეთ. არც ფინანსური მდგომარეობა გექნებათ მაინცდამაინც სტაბილური — დიდი ხარჯი და შემოსავლების შემცირება გელით, თუმცა ვითარება მალე სასიკეთოდ შეიცვლება.

მოგიწევთ დაგროვილი პრობლემების გადაჭრა და დაპირებების შესრულება. ბევრი კირჩხიბის ოჯახში კამათის მიზეზი ბავშვები და მათი პრობლემები იქნება.

დროსა და ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ, ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ოჯახის წევრებთან ერთად მყუდრო გარემოში. ეს განტვირთვაში დაგეხმარებათ და თქვენს შრომისუნარიანობაზეც დადებითად აისახება.

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და მეტი დაისვენეთ.

**დადებითი დღე: 25 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 27 იანვარი**

## ლომი — 23 ივლისი —22 აგვისტო

22 იანვრიდან თებერვლის დასაწყისამდე ლომების ოპონენტები წინააღმდეგობრივ ნაბიჯებს გადადგამენ. ეცადეთ, როგორღაც გადაიტანოთ ეს პერიოდი, რომ შემდეგ თამაშის საკუთარი წესების დადგენა შეძლოთ. მენეჯერი ლომები ყურადღებით უნდა იყვნენ ქვეშევრდომებთან. კვლავინდებურად აქტუალურია სხვა ქვეყნებსა თუ ქალაქებში მცხოვრებ კოლეგებთან ურთიერთობის შენარჩუნება. შემოსავლები ცოტა შეგიმცირდებათ, მაგრამ ვითარება მალე გამოსწორდება. მოზღვავებული ვნებები ნელ-ნელა ჩაცხრება და საპირისპირო სქესთან გაცილებით სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებას შეძლებთ. სამსახურებრივ საქმეებსაც მეტი სერიოზულობით მოეკიდეთ — კარგად დაფიქრდით, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებთ და გახსოვდეთ, რომ რისკი ყოველთვის არ ამართლებს. ეძებეთ გზები კომპრომისის მისაღწევად. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ეს პერიოდი მშვიდი და ჰარმონიით აღსავსე. და, თუ დათმობთ, ნახავთ, რომ საყვარელი ადამიანიც მზად არის ანალოგიური ნაბიჯის გადასადგმელად. დაძაბული მუშაობის გამო დაღლილობა შეგაწუხებთ, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებასა და გართობას.

**დადებითი დღე: 24 იანვარი.**
**უარყოფით დღე: 26 იანვარი.**

## ქალწული — 23 აგვ. —23 სექტემბ.

ამ პერიოდში ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებას თავი დაანებეთ და კონკრეტულ პროექტზე იფიქრეთ — ვიდრე განხორციელებას შეუდგებით, მას დამუშავება სჭირდება. მენეჯერ ქალწულებს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ კოლეგებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება, თქვენდამი ნდობა შეილახოს. გაურკვევლობა თებერვლის დასაწყისამდე გაგრძელდება, შემდეგ კი სიტუაცია ძველ კალაპოტს კვლავ დაუბრუნდება. არ არის გამორიცხული, ახალი სამსახური შემოგთავაზონ, თუმცა გადაწყვეტილებას ნაჩქარევად ნუ მიიღებთ. რაც შეეხება პირად ურთიერთობებს, აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა — უბრალოდ, მიჰყევით დინებას და არანაირი ცვლილება არ დაგეგმოთ. თუ ჯერ კიდევ არ გიპოვიათ ცხოვრების თანამგზავრი, ამ პერიოდში ეს ნამდვილად არ მოხდება. ხელსაყრელი პერიოდია უძრავი ქონების საკითხების მოსაგვარებლად.

27 ან 28 იანვარს დამატებით შემოსავალს ელოდეთ.

**დადებითი დღე: 21 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 24 იანვარი.**

## სასწორი — 24 სექტ. — 23 ოქტ.

სასწორებს კარიერაში წინსვლა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ელით. ხელმძღვანელობა თქვენი შემოქმედებითი უნარით დაინტერესდება და შესაძლოა, ახალი პროექტების განხორციელება შემოგთავაზოთ. თქვენც ყოყმანს ნუ დაიწყებთ და შემოთავაზებას მყისვე დათანხმდით.

საუკეთესო პერიოდია რომანტიკული შეხვედრებისთვის, განსაკუთრებით, თუ ცვლილებებისთვის ხართ მზად. შესაძლოა, ამ კვირაში მომავალი მეორე ნახევარიც კი გაიცნოთ, თანაც ისეთ ადგილას, სადაც ყველაზე ნაკლებად ელით. ასე რომ, იყავით ყურადღებით და არ არის გამორიცხული, წლის ბოლო გრანდიოზული ქორწილითაც დააგვირგვინოთ.

შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახის წევრებს და მათ პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ.

**დადებითი დღე: 23იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 27 იანვარი.**

## მორიელი — 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ამ პერიოდში მორიელებს, შესაძლოა, ურთიერთობა დაეძაბოთ სამსახურში — ხელმძღვანელობასთან ან კოლეგებთან. პრობლემების მოგვარებას დიპლომატიურობის უნარის გამოჩენით შეძლებთ. გახსოვდეთ, ურთიერთპრეტენზიებსა და წყენინებას ძლიერი გრძნობების შელახვაც კი შეუძლია. იყავით მობილიზებულები და ეცადეთ, უსიამოვნებები დელიკატურად აირიდოთ. კარგი იქნება, თუ დასვენების დღეებს ქალაქგარეთ გაატარებთ ან დროებით მაინც განმარტოვდებით ხმაურიანი საზოგადოებისგან. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითგვემას მიეცეთ, პირიქით — დღისით შეგიძლიათ, მსუბუქად ივარჯიშოთ ან სუფთა ჰაერზე გაისეირნოთ, საღამოს კი საყვარელი ფილმის სანახავად ტელევიზორს მიუჯდეთ. საერთოდ კი, ეს პერიოდი მორიელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ცვლილებები მათ მომავალზე იქონიებს გავლენას.

**დადებითი დღე: 26 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 23 იანვარი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. — 21 დეკ.

სამსახურში, კოლეგებთან არცთუ სახარბიელო ურთიერთობის მიუხედავად, ვითარება გამოსწორდება. დაფიქრდით და გაარკვიეთ, ვისთან ღირს საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება და ვის არ უნდა ენდოთ, თუმცა, თუ დიპლომატიას მიმართავთ, პრობლემებს თავიდან აიცილებთ. ამ პერიოდში იდეების ისეთ ფოიერვერკს მოაწყობთ, რომ მათაც კი სასიამოვნოდ გააოცებთ, ვისაც თქვენს შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს ეპარებოდა. ფინანსური თვალსაზრისით ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმეთ. შესაძლოა, თანხის გაღება დაგჭირდეთ, მაგრამ შემოსავალიც არ დააყოვნებს.

საუკეთესო პერიოდია მოგზაურობისთვის, საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, საქმიანი შეხვედრებისთვის. ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი შემცირებული იქნება, ამიტომ გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**დადებითი დღე: 27 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 22 იანვარი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. — 20 იან.

თხის რქებს შეიძლება, უთანხმოება შეექმნათ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ პარტნიორებთან. ფინანსური მდგომარეობაც სტაბილური არ იქნება — ამ პერიოდში მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი, შესაძლოა, სწრაფად დახარჯოთ პირადი თუ პროფესიული მიზნებისთვის. თხის რქას არც პირად ცხოვრებაში ექნება დიდი სიამტკბილობა. ლაპარაკია უძრავ ქონებაზე, რომლის გამოც მოსალოდნელია კონფლიქტები ნათესავებთან, რომლებიც თქვენს ოჯახურ საქმეებში ერევიან.

ამ პერიოდში თქვენი მოვალეობა მხოლოდ საქმის ხელმძღვანელობა და სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენაა, ფინანსურ მოგებას კი სხვები უფრო ნახავენ.

თუმცა გულს ნუ დაიწყვეტთ, თქვნი ენთუზიაზმი მომავალში დაფასდება და შეიძლება, კარიერაში წინსვლის საფუძველიც კი გახდეს.

**დადებითი დღე: 24 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 27 იანვარი.**

## მერწყული — 21 იან. — 19 თებ.

ამ პერიოდში მერწყულებს საქმიან ასპარეზზე შეიძლება გაურკვეველი ვითარება შეექმნათ. ასეთი მდგომარეობა თებერვლის დასაწყისამდე გაგრძელდება, შემდეგ კი ყველაფერი თქვენთვის სასურველ კალაპოტში ჩადგება. ზოგიერთ მერწყულს შეიძლება მეგობრებთან ურთიერთობა დაეძაბოს. ამის მიზეზი მატერიალური ინტერესები იქნება. თუ ვინმეზე ნაწყენი ხართ, ურთიერთობის გარკვევას მაინცდამაინც ამ პერიოდში ნუ შეეცდებით, რადგან ამან შეიძლება, უფრო დიდი კონფლიქტი გამოიწვიოს. ეცადეთ, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე გადაერთოთ, რადგან ეს კონფლიქტური სიტუაციებისგან თავის არიდებაშიც დაგეხმარებათ და თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც სასიკეთოდ აისახება. შეეცადეთ, ყურადღება ცხოვრების სულიერ მხარეზე გაამახვილოთ და ინტელექტი აიმაღლოთ.

**დადებითი დღე: 22 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 26 იანვარი.**

## თევზები — 20 თებ. — 20 მარტი

თევზები მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ გარემოცვის წევრები ინტრიგებს მოუწყობენ და და ცრუ ხმებს გაუვრცელებენ. ეცადეთ, სიფრთხილე გამოიჩინოთ და მოემზადოთ, რომ ეს ვითარება საკმაო ხანს გასტანს. ბევრს თქვენი წარმატებისა შურს და შეიძლება, თქვენი რეპუტაციის შელახვას შეეცადოს. კეთილსინდისიერად შეასრულეთ დაკისრებული ვალდებულებები და ხელმძღვანელობა კმაყოფილი დაგრჩებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება თქვენი პოზიციები გაუარესდეს. თუ მოახერხებთ და სამოგზაუროდ წახვალთ, ეს მოგზაურობა წარმატებით ჩაივლის. თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი მაღალია, ამიტომ ჯანმრთელობა არ გიღალატებთ. საერთოდ კი, დროა, გამოხვიდეთ ჩრდილიდან და გარშემომყოფები თქვენი ორიგინალურობითა და დახვეწილი მანერებით გააკვირვოთ.

**დადებითი დღე: 23 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 26 იანვარი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კატაკომბების სახასიათო ნიშანია სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა დონეზე განლაგებულ გალერეათა ქსელი. სამარხები ნაკვეთი იყო, როგორც გალერეათა კედლებში, ასევე კუბიკულუმებში ვერტიკალურ რიგებად, ოთხ-ოთხი ან ხუთ-ხუთი. სამარხის შესასვლელი მარმარილოს ფილებით ან დაცემენტებული აგურებით იკეტებოდა.**


პარიზი

# ყველაფერი კატაკომბების შესახებ

**კატაკომბები ძველ რომსა და სხვა ქალაქებში მიწის ქვეშ გაყვანილი ან ბუნებრივად გაჩენილი მრავალსართულიანი ვრცელი გალერეები, დერეფნები, გნებავთ, სადგომები იყო, რომლებსაც პირველ ხანებში თავს დევნილი ქრისტიანები აფარებდნენ. სიტყვა კატაკომბა ბერძნული ენიდან მომდინარეობს, მისი წარმომავლობა სადავოა და ზუსტად ჯერაც არაა დადგენილი.**

თავდაპირველად (IV საუკუნიდან) ტოპონიმი გამოიყენებოდა წმიდა სებასტიანესა და სესილია მეტელას საფლავებს შორის არსებული „ღრმულის" აღსანიშნავად. ამჟამად კატაკომბა ძველ ქრისტიანულ და ებრაულ მიწისქვეშა სასაფლაოებს ნიშნავს.

ძნელია იმის ზუსტად დადგენა, თუ როდიდან დამკვიდრდა ქრისტიანულ სასაფლაოთა წარმართულთაგან განცალკევების ტრადიცია. მაგალითად, მოციქულ პეტრესა და პავლეს საფლავები ვატიკანისა და ოსტიის წარმართულ სასაფლაოთა ტერიტორიაზე განთავსდა.

**კატაკომბების სახასიათო ნიშანია სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა დონეზე განლაგებულ გალერეათა ქსელი. სამარხები ნაკვეთი იყო, როგორც გალერეათა კედლებში, ასევე კუბიკულუმებში ვერტიკალურ რიგებად, ოთხ-ოთხი ან ხუთ-ხუთი. სამარხის შესასვლელი მარმარილოს ფილებით ან დაცემენტებული აგურებით იკეტებოდა.**

მოსაზრება, რომ ეკლესია თავისი არასებობის პირველ სამ საუკუნეს მიწისქვეშა სასაფლაოებს აფარებდა თავს, ლეგენდაა. კატაკომბებს ყოველთვის სასაფლაოს დანიშნულება ჰქონდა, თუმცა იმ ფაქტმა, რომ იქ მოწამეთა საფლავები იყო, III საუკუნიდან კატაკომბების საკულტო ადგილად გადაქცევა განაპირობა.

გუთების მიერ გაძარცვისა (VI საუკუნე) და მოწამეთა ნეშტების გადასვენების შემდეგ კატაკომბები მიივიწყეს. ეს მდგომარეობა XIX საუკუნიდან თანდათან შეიცვალა.

**ყველაზე ცნობილია კალისთეს, დომიცილასა და პრისცილას კატაკომბები.**

ამ ბუნებრივ ან ხელოვნურ მიწისქვეშა სათავსებს ძველად რელიგიური წეს-ჩვეულებების შესასრულებლად და მიცვალებულთა დასამარხად იყენებდნენ.

ცნობილია რომის მიდამოების, ნეაპოლის, აგრეთვე, სიცილიისა და მალტის, ეგვიპტის (ალექსანდრია), ჩრდილოეთ აფრიკის, წინა და მცირე აზიის, ბალკანეთისა და სხვა კატაკომბები.

რომში დაახლოებით 60-მდე კატაკომბაა (150-170კმ სიგრძის). მათ კედლებში აკეთებდნენ სწორკუთხა, სხვადასხვა ზომის ნიშებს ერთი ან მეტი ადამიანისათვის. დღეს თითქმის ყველა ნიშა გახსნილი და ცარიელია, თუმცა დახურულებიც შემორჩა.

სახელი „კატაკომბა" რომაელებმა არ იცოდნენ. ისინი ხმარობდნენ სიტყვა ცემეტერიუმს (coemeterium), რომელიც განსასვენებელს ნიშნავს. მხოლოდ წმინდა სებასტიანეს ცემეტერიუმს ერქვა კატაკომბა. შუა საუკუნეებში კატაკომბების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის და მათ იმ დროიდან დაერქვათ ეს სახელი.

წმინდა სებასტიანეს კატაკომბა მორთულია ფრესკებით. აქ კარგად ჩანს წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლა: წარმართული გამოსახულებები ეთანხმებიან ქრისტიანულ წარწერებს. უფრო გვიან ქრისტიანულ კატაკომბებში არის წმინდა სებასტიანეს კრიპტა, სადაც ინახებოდა წმინდანის ნაწილები. გადმოცემის მიხედვით, ამ კატაკომბაში ინახებოდა პეტრესა და პავლეს ნაწილებიც. ამაზე მიუთითებს წარწერა: „ვინც არ უნდა იყო პეტრესა და პავლეს სახელის მაძიებელი, უნდა იცოდე, რომ აქ განისვენებდნენ წმინდანები".

ყველაზე ადრეული პრისცილასა და დომესცილას კატაკომბებია. დომესცილას კატაკომბაში განისვენებდნენ წარმართებიც და ქრისტიანებიც. ტერიტორია, რომელზეც ის მდებარეობს, ეკუთვნოდა ფლავიუსების ოჯახს, თუმცა უცნობია, რომელი დომესცილა იგულისხმება. ზუსტად ცნობილია მხოლოდ ის, რომ დომესცილას კატაკომბა შეიქმნა რამდენიმე საგვარეულო აკლდამისგან და შემდეგ გაფართოვდა ოთხ სართულად. ყოველი სართული დაახლოებით 5 მეტრი სიმაღლისაა. იქ შემორჩენილია ადრექრისტიანული სიმბოლოები: მტრედი, ბატკანი, თევზი, ღუზა.

პრისცილას კატაკომბა იყო რომის კონსულის ოჯახის საკუთრება. ნაგებობა მორთულია ადრექრისტიანული ფრესკებით, რომლიდანაც გამოიყოფა ნადიმის სცენა ბერძნულ კაპელაში და უძველესი გამოსახულება, რომელზეც ღვთისმშობელს ყრმა უჭირავს და მიბრუნებულია ესაია წინასწარმეტყველისკენ. აქვე არის სცენა, თუ როგორ აგდებენ იონას ზღვაში. ფერები ღიაა. იონას ფიგურა თითქოს გაშეშებულია. ზღვის ტალღები მსუბუქი მონასმითაა დახატული. პრისცილას კატაკომბაშია ასევე ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ცეცხლში მდგარი სამი ყრმა. ფიგურები დგანან ორანტას პოზაში. კონტურები რბილია და ისედაც მცირე მოძრაობა არ არის შეზღუდული და გაშეშებული. ასეთი გამოსახულება სიმბოლურია პირველი ქრისტიანებისთვის. ისინი თაყვანს სცემდნენ სამ ბაბილონელ ყმაწვილს, რომლებიც თავიანთი რწმენა შეინარჩუნეს უცხო რჯულის ხალხს შორის.


პარიზი

**გვირაბების კედლები და ჭერი ადამიანების ძვლებითა და თავის ქალებითაა მოპირკეთებული. მუშების, ბურჟუებისა და არისტოკრატების ძვლები ერთმანეთზე მჭიდროდაა დალაგებული, რომელიც მიწისქვეშა გალერეის დეკორატიულ ფონს ქმნის და იზიდავს ტურისტებს**


ლიმა, პერუ

**წმინდა აგნესას კატაკომბა თარიღდება III-IV საუკუნეებით და მას სახელი დაერქვა ადრექრისტიანული ეპოქის მოწამე აგნეს რომაელის საპატივცემულოდ. ამ კატაკომბაში არ არის კედლის მხატვრობა, მაგრამ ორ კარგად შემონახულ გალერეაში კედლებზე უამრავი წარწერაა.**

წმინდა კალისტოს კატაკომბა ძველ რომში ყველაზე დიდი ქრისტიანული სასაფლაოა. კატაკომბა განფენილია 20 კმ-ზე, აქვს ოთხი დონე და ქმნის ლაბირინთს. წმინდა კალისტოს კატაკომბაში არის დაახლოებით 170 000 ადამიანის სამარხი ნიშა. ეს კატაკომბა მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი.

ღიაა პაპის კრიპტა, რომელშიც განისვენებს III საუკუნის რომის 9 ეპისკოპოსი. ღიაა წმინდა ცეცილიას კრიპტაც, რომელშიც 820 წელს აღმოჩნდა ამ წმინდანის ძვლები. კრიპტას კედლები მორთულია მოწამე სებასტიანეს, კირიონისა და ცეცილიას გამოსახულებებით. რომაული კატაკომბების კედლებზე გამოსახულია ძველი და ახალი აღთქმის სცენები, წარმართული მითები, სხვადასხვა ქრისტიანული ალეგორიული სიმბოლო. მაგალითად, მოგვთა თაყვანისცემა განასახიერებს წარმართთა მოქცევას ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. დევნის შიშით პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ჯვარს, ძირითადად, გამოსახავდნენ, როგორც ღუზას ან ქრისტეს სახელის ბერძნულ მონოგრამას. ბერძნულად დაწერილი სიტყვა თევზი კი წარმოადგენდა აბრევიატურას ფრაზისა: „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი".

რომაულ კატაკომბებში ფრესკების უმრავლესობა შესრულებულია ელინისტურ სტილში. ადრეულ ფრესკებში ფიგურები პროპორციულია, მოძრაობა — თავისუფალი, კონტური — უფრო რბილი და ფერებიც ნათელი, უფრო ოქროსფერი ჭარბობს. მოგვიანებით კი ელინისტური კედლის მხატვრობა იკონოგრაფიად იქცევა: გამოიყენება მეტი ოხრა, ფიგურები უფრო მძიმე ჩანს. სხეულის ფორმა უკანა პლანზეა გადაწეული, მთელი ყურადღება სულიერებას ექცევა.

აღსანიშნავია, რომ კატაკომბებში არ გვხვდება ჯვარცმისა და აღდგომის სცენები. სამაგიეროდ, III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისის მხატვრობაში ხშირად გვხვდება ქრისტეს სასწაულების სცენები: პურის გამრავლება, ქორწილი კანაში, ლაზარეს აღდგომა, რომელიც ყველაზე ხშირია. აქ ქრისტეს ხელში უჭირავს კვერთხი. ასე გამოსახავდნენ სასწაულს ანტიკურ ეპოქაში და ის ასევე გადმოიტანეს ქრისტიანებმა.

**ვატიკანმა რომის კატაკომბებში არსებული ის რესტავრირებული ფრესკები წარმოადგინა, რომლებზეც ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ყველაზე ადრეული, 230-240 წლით დათარიღებული გამოსახულებაა შემონახული. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია ხელებაპყრობილი ქალი, სავარაუდოდ, წმინდა პრისცილა (იგივე პრისკილა) საღვთისმსახურო შესამოსელში, რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იმის დასტურია, რომ ადრექრისტიანულ ეპოქაში ქალები ლიტურგიას აღასრულებდნენ და, შესაბამისად, სასულიერო ხარისხიც ეძლეოდათ. პრისცილა მოციქულთა საქმეებშია მოხსენებული.**

თუმცა, ვატიკანის წმინდა არქეოლოგიის კომისიის უფროსის — ფაბრიციო ბისკონტის აზრით, ასეთი განმარტება, შესაძლოა, არასწორი იყოს. მიუხედავად იმისა, რომ კატაკომბთა ოფიციალური ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სცენა, სადაც პრისცილაა გამოსახული, ცხადად მიანიშნებს, რომ საქმე გვაქვს წმინდა ევქარისტიის აღსრულებასთან, ბისკონტი მიიჩნევს, რომ მასზე უბრალოდ ქალის ლოცვაა გამოსახული.

ქალთა ხელდასხმას არც კათოლიკე, არც მართლმადიდებელი და არც პროტესტანტული ეკლესიების დიდი ნაწილი არ მიესალმება. ეს ეკლესიები მიიჩნევენ, რომ ქრისტეს არ გამოურჩევია არც ერთი ქალი მოციქული, შესაბამისად, ქიროტონია შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ მამაკაცზე. ქალთა ქიროტონიის მომხრეები კი ამ აზრს არ ეთანხმებიან და არგუმენტად მოჰყავთ ქალთა მსახურების შემთხვევები ახალი აღთქმის პერიოდსა და ადრექრისტიანულ ეპოქაში. მათი თქმით, ქრისტეს არც არაებრაელი მოციქულები გამოურჩევია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სასულიერო ხარისხი მხოლოდ ებრაელთა პრივილეგიაა.

უნიკალური კოლექციების, მუზეუმებისა და ფასდაუდებელი არქიტექტურული შედევრების კიდევ ერთი ქალაქი პარიზია. საფრანგეთის დედაქალაქი მიწის ქვეშ ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობას — პარიზის კატაკომბებს მალავს.

რომელ საუკუნეში შეიქმნა იდუმალებით მოცული გვირაბები, უცნობია. ესაა ადამიანის ხელით გაკეთებული გამოქვაბულები, რომლებშიც მოიპოვებდნენ ქვას, რომლითაც დედაქალაქის მშენებლობა მიმდინარეობდა. მიწისქვეშა გვირაბების საერთო სიგრძე სამას კილომეტრს აღემატება. კატაკომბები ისტორიული პარიზის მთლიან ტერიტორიას მოიცავს.

მეცნიერები მხოლოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პირველი კატაკომბა პარიზის ტერიტორიაზე ან- ▶


იიგლავა, ჩეხეთი

## მსოფლიოში ხელით ნაკეთ მიწისქვეშა ოთახებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იქ ადამიანების ნარჩენები, კატაკომბებს უწოდებენ. ამას ჩეხეთის კატაკომბები ამტკიცებენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ტიკურ ხანაში შეიქმნა. შემდეგ დაიწყო ფრანგი არისტოკრატებისა და დიდგვაროვნების სასახლეების მშენებლობა, რომლისთვისაც აუცილებელი იყო სამშენებლო ქვები, ამიტომ კატაკომბების ფართობი წლიდან წლამდე, საუკუნეების მანძილზე იზრდებოდა.

XII საუკუნიდან, როდესაც პარიზმა ზრდა და გაფართოება დაიწყო, დღევანდელი ლუქსემბურგის ბაღის ტერიტორიაზე მოპოვებული ქვით შენდებოდა ყველაზე ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები საფრანგეთის დედაქალაქში. მათ შორისაა ლუვრის სამეფო სასახლე და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

თავდაპირველად გვირაბების ზემოდან ტერიტორია დასახლებული არ იყო, ეს ადგილები მაშინ პარიზის შემადგენლობაში არ შედიოდა. შემდეგ ქალაქი გაფართოვდა და კატაკომბების ზემოდანაც გაჩნდა შენობები.

გადიოდა საუკუნეები, კატაკომბების დანიშნულება იცვლებოდა. მათ, ძირითადად, იყენებდნენ როგორც მიწისქვეშა აკლდამებს. ნელ-ნელა ეს ადგილი დიდ ნეკროპოლისად გადაიქცა. ისტორიკოსების განცხადებით, გვირაბებში იმაზე მეტი ადამიანია დამარხული, ვიდრე დღეს პარიზში ცხოვრობს. ოფიციალური ვერსიით, მიწისქვეშა სამარხში ინახება 6 მილიონზე მეტი ადამიანის ძვლები. ეს რიცხობრივი მაჩვენებელი დაახლოებითია, რადგან ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია.

პარიზის კატაკომბები ივსებოდა შუა საუკუნეების სასაფლაოდან გადმოტანილი ძვლებითაც. 1785 წელს აქ გადმოიტანეს იმ ადამიანების ნეშტები, რომლებიც დაკრძალული იყვნენ „უდანაშაულოთა სასაფლაოზე". ამის შემდეგ პარიზის კატაკომბებმა შეიძინა ახალი სახელწოდება — „წყვდიადის ქალაქი".

**გვირაბების კედლები და ჭერი ადამიანების ძვლებითა და თავის ქალებითაა მოპირკეთებული. მუშების, ბურჟუებისა და არისტოკრატების ძვლები ერთმანეთზე მჭიდროდაა დალაგებული, რომელიც მიწისქვეშა გალერეის დეკორატიულ ფონს ქმნის და იზიდავს ტურისტებს.** აქ მოთავსებულია ორი ფინანსთა მინისტრის ძვლები — ლუდოვიკო XIV-ს პერიოდში თავმოკვეთილი ფუკესა და მოგვიანებით გარდაცვლილი კოლბერისა. აქ განისვენებენ რობესპიერის, დანტონის, მარატის და სხვათა ძვლები. მიწისქვეშა ნეკროპოლისში დაკრძალულია მსოფლიოში ცნობილი მეზღაპრე შარლ პერო, ასევე, სხვა ფრანგი მწერლები — ჟან რასინი, ბლეზ პასკალი, ფრანსუა რაბლე.

მიწისქვეშა გალერეები 20 მეტრ სიღრმეზეა განლაგებული. კატაკომბების კედლებს დღემდე ეტყობა აქ ჩატარებული სამუშაოების ნაკვალევი, რაც შესაძლებლობას გაძლევთ, წარმოიდგინოთ, როგორ შლიდნენ მუშები ქვებს ნაწილებად უძველესი იარაღებით. კედლებზე შენიშნავთ „შავ ხაზს", რომელიც ერთადერთი მაორიენტირებელი იყო უძველეს დროში. ის მითიურ არიადნას ამბავს შეგახსენებთ — ერთადერთი გზა გამოხვიდე ლაბირინთიდან!

ვიწრო გალერეების გავლის შემდეგ, დამთვალიერებელი დიდ და ფართო კატაკომბაში აღმოჩნდება, რომელსაც უწოდებენ „ატელიეს". ამ ადგილას იქნა მოპოვებული ყველაზე დიდი რაოდენობის ქვა. ის უძველესი დროიდან თითქმის ხელუხლებლადაა შემონახული. მიწისქვეშა ნეკროპოლისი შემკული იყო ქანდაკებებითა და ბარელიეფებით, რომლებიც ბარეარის კუნძულზე მდებარე სასახლის ღირსშესანიშნაობების ზუსტ ასლს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ულამაზესმა ქანდაკებებმა ვერც დროს გაუძლო და ვერც „შავ არქეოლოგებს", რომლებიც მიწისქვეშა აკლდამებს ძარცვავდნენ. დღეს ქანდაკებებისგან აღარაფერია შემორჩენილი. ჩვენს დრომდე მოაღწია მხოლოდ ბარელიეფებმა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალია ის, რომ გვირაბების დასაწყისში გაკეთებულია წარწერები იმ ქუჩებისა, რომლებიც კატაკომბის ზემოთ მდებარეობს. პირველი წარწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, ხოლო კატაკომბების შესწავლის ინიციატორი მეფე ლუდოვიკო XVI ყოფილა. იმ დროისთვის კატაკომბას მრავალი შესასვლელი ჰქონია, იქ ცხოვრობდნენ უსახლკაროები, მას თავს აფარებდნენ დამნაშავეები...

**1814 წლიდან პარიზის კატაკომბებს კიდევ ერთი დანიშნულება დაემატა — გამოიყენებოდა ღვინის სარდაფებად, საწყობებად, ბარებად და კაფეებად.**

1902 წელს მალტის ქალაქ პაოლაში მუშები საცხოვრებელი სახლების შენებისას შემთხვევით წააწყდნენ საკმაოდ ვრცელ მიწისქვეშა კომპლექსს, რომელიც მოგვიანებით 3500 წლით დათარიღდა. ამჟამად ეს ადგილი იუნესკოს მფარველობის ქვეშაა.

ხანგრძლივმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ყველაფერი ისე მარტივად არ იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. კატაკომბებში 7 000-მდე ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინეს, რომლებიც სპეციალურ ოთახებში იყო განაწილებული. ბევრი თავის ქალა არაბუნებრივად განიერი იყო და მეცნიერები მათი წარმოშობის საკითხმა საგონებელში ჩააგდო (ზუსტი ახსნა დღესაც არ აქვთ). რამდენიმე


მალტა

## 1902 წელს მალტის ქალაქ პაოლაში მუშები საცხოვრებელი სახლების შენებისას შემთხვევით წააწყდნენ საკმაოდ ვრცელ მიწისქვეშა კომპლექსს, რომელიც მოგვიანებით 3500 წლით დათარიღდა. ამჟამად ეს ადგილი იუნესკოს მფარველობის ქვეშაა

თავის ქალას ხაზი ეტყობოდა, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფდა მას. ნათელი იყო, რომ თავის შუაზე გაყოფა გაუგებარი მიზეზების გამო მომხდარიყო ბავშვობაშივე (ან ასეთად დაიბადნენ). მალტელებს არ ჰყოლიათ დიდთავა ღმერთები, მათთვის რომ მიებაძათ. არც უცხოპლანეტელებთან კონტაქტს აღწერენ, რომ თავის ქალის გაგანიერება ამ მიზეზით ყოფილიყო (როგორც სხვა ცივილიზაციებშია).

იმთავითვე ითქვა, რომ ეს ჩონჩხები არ მიეკუთვნებოდა ადამიანებს, არამედ იყო ნათელი დადასტურება მიწისქვეშა ცივილიზაციის არსებობისა.

უძველეს მალტელებს ჰქონდათ მსხვერპლშეწირვის რიტუალი მიწისქვეშეთის ღმერთის პატივსაცემად, რომელიც, მათი რწმენით, დედამიწის სიღრმეში ცხოვრობდა. მისი სახელი უხეშად ითარგმნება, როგორც „გველი". მიაჩნდათ, რომ ამით კეთილგანწყობასა და წყალობას მოიპოვებდნენ. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს ჩონჩხები სწორედ შეწირულ მსხვერპლთ ეკუთვნის. შეიძლება, ეს ოთახებიც ერთ დროს მიწაზე იდგა ტაძრის სახით, მაგრამ შემდგომში, ბუნებრივი კატასტროფების გამო, მიწისქვეშ აღმოჩნდა.

კატაკომბები ბოლომდე შესწავლილი დღემდე არაა. კედლებზე უხვადაა უძველესი წარწერები, გრავიურები და ნახატები. პირველი მოკვლევისას მთავარი არქეოლოგი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა, რამაც ამ ადგილის შესახებ ბევრი მისტიური მოსაზრება წარმოშვა. ამას დაემატა ისიც, რომ 1940 წელს დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომელი შევიდა დასათვალიერებლად გიდთან ერთად. მან გადაწყვიტა, მოენახულებინა ყველაზე ქვედა სართული. მოგვიანებით ირწმუნებოდა, რომ ერთ-ერთ კედელში გვირაბი იყო უცნობი მიმართულებით, ამ გვირაბში კი 20-მდე რეპტილიის მსგავსი თმიანი არსება დაინახა. ერთ-ერთმა მათგანმა ცეცხლი ჩაუქრო, რის შედეგადაც ის უკანმოუხედავად გამოიქცა. თანამშრომელს რამდენიმე დღის შემდეგ უთხრეს, რომ ის გიდი, ვისზეც საუბრობდა, მათთვის უცნობი პიროვნება იყო, ხოლო მისი აღწერილი გვირაბი საერთოდ არ არსებობდა.

მალტის კატაკომბებს დღეს უამრავი მნახველი ჰყავს, მაგრამ დღეში მხოლოდ 80 ადამიანს შეუძლია შესვლა, ბილეთი კი შეკვეთიდან 2-3 კვირაში გეძლევათ. თუმცა, რიგმა რომც მოგიწიოთ, კატაკომბას მაინც ვერ იხილავთ იმ სახით, რა სახითაც აღმოაჩინეს — თავის ქალები გამოსაკვლევად წაიღეს, ასევე ბევრი უცნაური ნივთიც. რამდენიმე წლის განმავლობაში იქაურობა დაკეტილიც კი იყო და აქტიური კვლევა-ძიება მიმდინარეობდა.

**მსოფლიოში ხელით ნაკეთ მიწისქვეშა ოთახებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იქ ადამიანების ნარჩენები, კატაკომბებს უწოდებენ. ამას ჩეხეთის კატაკომბები ამტკიცებენ.** მათ ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ისინი ააშენეს შუა საუკუნეებში, როგორც თავშესაფარი შემოსევების დროს და ისინი გამოიყენებოდა, როგორც საკვების შესანახი ადგილი „შავი დღისთვის". ჭები და პროდუქტების შესანახი შესაბამისი ადგილები მიანიშნებდა იმაზე, რომ ქალაქი შეძლებდა ავტონომიურად არსებობას ალყის დროს.

ლონდონური კატაკომბების უმეტესობა თარიღდება დედოფალ ვიქტორიას მმართველობის ეპოქით, როდესაც ლონდონში თავისუფლად დადიოდა მფატრავი ჯეკი და დეტექტივი შერლოკ ჰოლმსი. პირველი კატაკომბები გაკეთდა სასაფლოებთან ვესტ ნორვუდსა და კენსალ გრინთან ახლოს. ეს მიწისქვეშა ნაგებობები განსხვავდებოდა გოთიკური და ვიქტორიანული არქიტექტურული სტილით და დიდი ისტორიული მნიშვნელობით. კიდევ ერთი კატაკომბი იქცევს მეცნიერების ყურადღებას – კამდენის კატაკომბები, რომლებიც კამდენის ბაზრის ქვემოთ მდებარეობს.

წმინდა ფრანცისკის ეკლესიისა და მონასტრის კომპლექსის მშენებლობა დასრულდა 1774 წელს. მან გაუძლო დროის გამოცდას და მხოლოდ მცირედით დაზიანდა მიწისძვრის შედეგად 1970 წელს. მოცემული კომპლექსის კატაკომბები გამოიყენებოდა ლიმას გარდაცვლილების დასაკრძალად 1803 წლამდე. დღეს ეს ადგილი არის ტურისტული ობიექტი — ნებისმიერს შეუძლია დაათვალიეროს გამოქვაბულები. კატაკომბებში არის 70 000 ძვალი. მეორე მსოფლიო ომის დროს კატაკომბები დაიკარგა, მაგრამ 1943 წელს გათხრების შედეგად კვლავ აღმოაჩინეს.

იტალიის შორეულ სამხრეთში, ხმელთაშუაზღვის ცენტრში მდებარეობს კუნძული სახელწოდებით მალტა. მასზე მდებარეობს ქალაქი რაბათი, რომელიც ცნობილია თავისი მიწისქვეშა ლაბირინთებით და გამოქვაბულებით. ამ პატარა ქალაქში 7 000 ადამიანი ცხოვრობს, ოდესღაც ეს ტერიტორია ეკუთვნოდა რომის იმპერიას, რამაც გავლენა მოახდინა არქიტექტურულ სტილზეც. ტურისტების დიდ ინტერეს იწვევს წმინდა პავლეს და აგატეს კატაკომბები.

XX საუკუნე ცნობილია მასიური მკვლელობებით აღმოსავლეთ ევროპაში, როგორც ფაშისტების მხრიდან, ასევე კომუნისტების მხრიდანაც, ამიტომაც ნაპოვნი იქნა იმ პერიოდის ბევრი სამარხი, მათ შორის კატაკომბები ქალაქ ჰუდა იამაში. ქალაქი ძლიერ დაშავდა მეორე მსოფლიო ომის დროს. დღემდე შემორჩა მალაროები, რომლებშიც იმალებოდნენ იუგოსლავიელი პარტიზანები, ანტიფაშისტური მოძრაობის მონაწილეები. ომის დასრულების შემდეგ ნაპოვნი იქნა მასიური სამარხი 700 მოკლულით. სამარხის გულდასმითი გამოკვლევა დაიწყო 2009 წელს და გაირკვა, რომ მიცვალებულები ხაფანგში მოაქციეს და შემდეგ მოკლეს. მოცემულ კატაკომბებს ტურიზმთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

**ესპანეთის საკრამენტოს სააბატო აშენებულია 1600 წელს და მდებარეობს პატარა ქალაქის გორაკზე. მისი კატაკომბების ისტორია სრულიად არ არის შესწავლილი, მაგრამ არსებობს ლეგენდა, რომ კატაკომბებში იმპერატორ ნერონის მმართველობის პერიოდში ცოცხლად დაწვეს წმინდა ცეცილია.**

ავსტრია არის ქვეყანა, რომელშიც ტურისტები მიდიან ლუდის დასალევად და გერმანული კულტურის შესაცნობად. როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, ავსტრიაშიც არის რომის იმპერიის დროს აშენებული ნაგებობები. ერთ-ერთი მათგანი არის შტეფანსდომი, რომელიც აშენდა XIV საუკუნეში და ტაძარში, ისევე, როგორც კატაკომბებში, დასაფლავებულნი არიან ცნობილი და უცნობი ადამიანები. დასაფლავებულებს შორის შეიძლება გამოვყოთ ფრედერიკ მშვიდობისმოყვარე, რომელიც მართავდა გერმანიას და რომელიც აკურთხა რომის საღვთო იმპერიამ 1492 წელს. მეორე მსოფლიო ომის დროს ტაძარი რამდენჯერმე მოყვა სროლის ეპიცენტრში, მაგრამ ის შემდგომ აღადგინეს და ახლა უკვე ვენის დათვალიერებისას მისი ნახვაც შეიძლება.

ქვეყანა, რომელშიც ტურისტები მიდიან პირამიდების, სამარხების, სფინქსისა და ბევრი სხვა საინტერესო ადგილების დასათვალიერებლად, კატაკომბებითაც არ ჩამორჩება სხვებს. კომ-აშ-შუკაფი ცნობილია უნიკალური ნეკროპოლებით, უძველესი სამარხებით, ლაბირინთებითა და გამოქვაბულებით. მოგზაურობისას კატაკომბებში შეიძლება მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია კულტურის განვითარებაზე, დაწყებული უძველესი საბერძნეთიდან, ელინიზმიდან და ალექსანდრე მაკედონელიდან, დამთავრებული რომის იმპერიის პერიოდით. ყველაზე ცნობილი ისტორია, რომელიც დაკავშირებულია ამ ადგილთან, არის კარაკალის დარბაზზე. ადამიანების ძვლები, რომლებიც იქ აღმოაჩინეს, მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ქრისტიანებს, რომლებიც დახოცა იმპერატორ კარაკალის მმართველობის დროს ძვ.წ. 200 წელს.


ზნოიმო, ჩეხეთი


ოდესა, უკრაინა

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქალის მუცლიდან 38 წლის ბავშვის ჩონჩხი ამოუღეს

**62 წლის ჯიოტი კუმარი ექიმთან მუცლის ტკივილების ჩივილით მივიდა. როდესაც ექიმებმა გამომწვევი მიზეზის ძიება დაიწყეს, ქალის მუცელში 38 წლის ბავშვის ჩონჩხი აღმოაჩინეს.** როგორც ირკვევა, კუმარს ექტოპიკური ფეხმძიმობა ჰქონდა როდესაც 24 წლის იყო. ბავშვი მუცლად ყოფნისას გარდაიცვალა, კუმარმა, რომელიც ძალიან ნერვიულობდა ოპერაციასთან დაკავშირებით, ქირურგიულ ჩარევაზე უარი განაცხადა. ნაყოფი მუცელში დარჩა და სტანდარტული ზომის ბავშვის ჩონჩხად ჩამოყალიბდა. ექიმები ამბობენ, რომ ეს ყველაზე გრძელი ექტოპიკური ფეხმძიმობის ფაქტია სამედიცინო ისტორიაში.



## მსოფლიოში ყველაზე ცივი სოფელი

**თუკი ფიქრობთ, რომ ზამთარი გაუსაძლისია, მსოფლიოში ყველაზე ცივი სოფლის — ოიმიაკონის სურათების ნახვა აზრს სრულიად შეგაცვლევინებთ.**

**1933 წელს ოიმიაკონში მინუს 67,7°C აღინიშნა. სოფელში საშუალო ტემპერატურა კი — მინუს 50°C.**

სოფელი მსოფლიოში ყველაზე ცივ მუდმივად დასახლებულ საცხოვრებელ პუნქტად ითვლება. ახალზელანდიელმა ფოტოგრაფმა გადაწყვიტა, მსოფლიოში ყველაზე ცივი სოფელი ფოტოფირზე აღებეჭდა და რამდენიმე დღე ადგილობრივებთან ერთად გაატარა.



## ევროსასამართლომ ჭარბწონიანები უნარშეზღუდულებად გამოაცხადა

**ევროპულმა სასამართლომ ჭარბი წონის მქონე ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ადამიანებს გაუთანაბრა. სასამართლომ დაადგინა, რომ, თუკი ჭარბი წონა ადამიანს პროფესიული ვალდებულებების შესრულებაში უშლის ხელს, მაშინ ეს პრობლემა შეიძლება შშმ პირებისთვის არსებული კანონის მიხედვით განიხილონ, რომელიც მათთვის სპეციალური სამუშაო პირობების შექმნას ითვალისწინებს.**

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტიhლება მას შემდეგ მიიღეს, რაც დანიის მოქალაქე კარსტენ კალტოფტი, რომელიც საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა, წონაში საგრძნობლად მომატების შემდეგ დაითხოვეს სამსახურიდან.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაზე დაყრდნობით, ადამიანი ჭარბწონიანად იმ შემთხვევაში ითვლება, თუკი მისი სხეულის მასის ინდექსი 30-ს აღემატება. შეგახსენებთ, რომ სხეულის მასის განსაზღვრა წონისა და სიმაღლის მაჩვენებლებით ხდება.

„ჭარბი წონა ერთგვარი თვითდაზიანებაა, თუკი ვინმეს წონაში დაკლება სურს, აუცილებლად შეძლებს ამას, რისი გაკეთებაც შშმ პირებს არ შეუძლიათ. მესმის, რომ ზოგჯერ არ არის მარტივი და ადამიანებს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ წონაში დასაკლებად, მაგრამ მათ შუძლიათ წონაში დაკლება ვარჯიშის, სწორი კვების დახმარებით“, — აცხადებს ტელეშოუ Fat Families-ის წონის ექსპერტი სტივ მილერი.

## პარალელური სამყარო, სადაც დრო უკუღმა მიედინება

**ყველანი მივეჩვიეთ, რომ დრო მკაცრად აწმყოდან მომავლისკენ მიედინება, თუმცა ფიზიკოს-თეორეტიკოსების ჯგუფმა ახალი აღმოჩენა გააკეთა. მათ წამოაყენეს თეორია, რომ არსებობს ერთზე მეტი მომავალი. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ დიდი აფეთქების შემდეგ შეიქმნა ორი პარალელური სამყარო: ჩვენი, რომელიც დროში წინ მოძრაობს, და მეორე, რომელშიც ყველაფერი პირიქით ხდება.**



მეცნიერებმა: ჯულიან ბარბორმა, ტიმ კოზლოვსკიმ და ფლავიო მერკატიმ წარმოადგინეს დროის ახალი კონცეფცია, რომელიც არა თერმოდინამიკაზე, არამედ მიზიდულობის ძალაზე დაყრდნობით მიიღეს. „დრო ეს არის გამოცანა. თითქმის ყველა ფიზიკოსის თეორია ერთნაირად გამოიყურება, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი მიმართულებით მოძრაობს დრო“, — ამბობს ბარბორი.

თავიანთ თეორიაზე მუშაობისას მეცნიერებმა გამოიყენეს სამყაროს მარტივი მოდელი. ეს არის კომპიუტერული მოდელირება ათასობით ნაწილის, რომლებიც გრავიტაციის გავლენით მოქმედებენ.

კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველი ნაწილი ნელ-ნელა უფრო რთულად ორგანიზებადი ხდება და ბოლოს უფრო მოწესრიგებულ სტრუქტურად ყალიბდება. ამის შემდეგ ნაწილები იყრება ორ განცალკევებულ სიმეტრიულ და საპირისპირო დროის ხაზებზე. ზუსტად ასე შეიძლებოდა დიდი აფეთქების შემდეგ წარმოქმნილიყო ორი პარალელური სამყარო, რომელშიც დრო ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობს.

## მთვარეზე ამოუცნობი მფრინავი ობიექტი შენიშნეს

**თანამგზავრის გადაღებულ ფოტოებზე მთვარის ზედაპირზე ვირტუალურმა არქეოლოგებმა ამოუცნობი ობიექტები აღმოაჩინეს. ფოტოები, რომლებიც ნასას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ასტრონომების დაყენებული მთვარისმობილითაა გადაღებული.**



თავდაპირველად ექსპერტებმა ფოტოკამერის ობიექტივში მოხვედრილი გამოსახულება ხომალდ „ინდევორად“ ჩათვალეს, რომელიც ორბიტაზეა დარჩენილი, თუმცა ეს ხომალდი სხვაგვარად გამოიყურება, ამოუცნობი ობიექტი კი რამდენიმე სფეროსგან შედგება. გარდა ამისა, ხომალდ „ინდევორზე“ დამონტაჟებულმა კამერამ კიდევ ერთი უცნაურობა აღბეჭდა, როდესაც სამართავი მოდულის პილოტი ღია კოსმოსში გამოვიდა. ფოტოზე ვირტუალურმა არქეოლოგებმა ნანგრევები შენიშნეს. მათი აზრით, ისინი დიდი ხნის წინათ აშენებულ შენობას ეკუთვნის, რომლის ნანგრევებიც კვლავ გეომეტრიული ფორმებისაა.

## ინტერნეტი, რომელზეც არაფერი გვსმენია

**სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერმა მარტინ გილბერტმა დაამტკიცა, რომ 100 წლის წინათ მცხოვრებ ადამიანებს ცხოვრების განმავლობაში საშუალოდ 50 წიგნის წაკითხვა შეეძლოთ. ჩვენს დროში მოღვაწე ადამიანს კი შეუძლია აითვისოს ინფორმაციის ისეთი მოცულობა, რომელიც 600 000 წიგნშია თავმოყრილი.**



თანამედროვეობა ინტერნეტმა მნიშვნელოვნად შეცვალა და უკვე არსებობს მსოფლიო აბლაბუდასთან დაკავშირებული საკმაოდ უცნაური და სახალისო სტატისტიკური მონაცემებიც, რომლებიც უკანასკნელი წლების ფაქტებს ეყრდნობა.

ყოველმა მერვე წყვილმა ერთმანეთი ინტერნეტით გაიცნო.

ყოველ წუთში ინტერნეტში დაახლოებით 70 ახალი დომენი რეგისტრირდება.

ინტერნეტმომხმარებლების ყველაზე დიდი რაოდენობა — 97,8% ისლანდიაშია აღრიცხული, ხოლო ყველაზე ცოტა — ჩრდილოეთ კორეაში. ელექტრონული შეტყობინებების 81%-ს სპამი შეადგენს.

პირველი სარეკლამო ბანერი ინტერნეტში 1994 წელს გაჩნდა. you will — სწორედ ასე ეწოდებოდა სარეკლამო კამპანიას, რომელსაც მომხმარებელი დამკვეთი საიტის მთავარ გვერდზე გადაჰყავდა.

Insure.com – დომენის ყველაზე ძვირადღირებული სახელია, რომელიც 16 მილიონ დოლარად გაიყიდა.

სოციალურ ქსელებში არსებული ექაუნთების 40% სპამერების მიერაა შექმნილი. ინტერნეტ მაღაზიების რაოდენობა ამჟამად უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი მაღაზიების.

## სასტუმრო გამოძახებით




**თუ თქვენ ჯერ კიდევ ვერ გადაგიწყვეტიათ თქვენი შვებულების მთაში, ბარში, ტყეში ან ზღვის სანაპიროს ისეთ ზოლში გატარება, სადაც ინფრასტრუქტურა არ არის, თუ კომფორტის არ არსებობას უფრთხით, მაშინ Scandic To Go საუკეთესო გამოსავალია.**

ამ უკანასკნელის საშუალებით შეგიძლიათ, ერთმანეთს შეუთავსოთ შვებულება დაუსახლებელ, ლამაზ ადგილებში და სრული კომფორტი.

„მოძრავი სასტუმროს“ ნომერი, მართალია, სულ რაღაც 18მ2-ია, მაგრამ იგი მოიცავს ტერასას, ორ საწოლს, კონდიციონერს, ინტერნეტსა და აბაზანაც, აღჭურვილია საჭირო ნივთებით.



## მეცნიერებმა მამაკაცს რობოტის ხელები მიაკერეს

**მოწყობილობა გონებით იმართება. ამის საშუალებას იძლევა გადამცემები, რომლებიც ადამიანის ნერვულ დაბოლოებებს უერთდება.**

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ინჟინრებმა კოლორადოს მკვიდრ ლეს ბოს, რომელმაც ორმოცი წლის წინათ ორივე ხელი დაკარგა, მისცეს საშუალება, კვლავ ეგრძნო თავი სრულყოფილ ადამიანად.

ამისთვის მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური ჟილეტი, რომელსაც ორი ბიონიკური ხელი აქვს. მოწყობილობა გონებით იმართება და ამის საშუალებას დეტექტორები იძლევა, რომელთაც ნერვულ დაბოლოებებზე ამონტაჟებენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომავლის თვითმფრინავები

**აი, როგორი შეიძლება იყოს მომავლის ავიაცია — თვითმფრინავები ილუმინატორების გარეშე. შეიძლება არარეალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ასე არაა. ცის მთლიანი პანორამა, ინტერაქტიული ტექნოლოგიები და სუპერთანამედროვე დიზაინი ზღაპარი არ არის.**

ასეთი დიზაინის კონცეფცია უკვე შემუშავებულია. თვითმფრინავის შიგნით განთავსებული იქნება ეკრანები, რომლებზეც ცის პანორამა იქნება აღბეჭდილი, რომელსაც თვითმფრინავზე დამონტაჟებული კამერები გადაიღებენ. ასევე თავისუფლად იქნება შესაძლებელი ინტერნეტის მოხმარება.

ილუმინატორების უქონლობა საგრძნობლად შეამსუბუქებს თვითმფრინავის წონას და სამგზავრო ბილეთის ფასსაც დაეტყობა. ამ დიზაინზე მომუშავე ჯგუფი ირწმუნება, რომ მისი რეალიზაცია უკვე ათ წელიწადში იქნება შესაძლებელი.











# ყველაზე იღბლიანი საშობაო საჩუქარი

**2000 წელს, როცა ტაირელ ვულფი 7 წლის იყო, დედამ შესთავაზა, მონაწილეობა მიელო საქველმოქმედო აქციაში „შობის ყრმა“. აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი მსოფლიოს ბავშვები საშობაო საჩუქრებს გზავნიდნენ.** ტაირელის საჩუქარი შემთხვევით აღმოჩნდა ვინმე ჯოანასთან, რომელიც ფილიპინებზე ცხოვრობდა. ტაირელმა საჩუქრის კოლოფში თავისი ფოტო და მისამართიც ჩადო და გოგონამ გადაწყვიტა, სამადლობელი წერილი გაეგზავნა. ნებისმიერი სხვა ამბავი აქ დასრულდებოდა, მაგრამ ამ ორისთვის ყველაფერი მხოლოდ იწყებოდა.

2011 წელს ჯოანამ გადაწყვიტა, „ფეისბუქის“ მეშვეობით მოეძებნა ბიჭი, რომელმაც ერთ დროს ასე გაახარა. მან რამდენიმე ადამიანი იპოვა ამ სახელით და გვარით, თუმცა დაახლოებით მიხვდა, რომელი უნდა ყოფილიყო მისი ძველი ნაცნობი და მეგობრობის თხოვნა გაუგზავნა. ეს სწორედ ის ტაირელი აღმოჩნდა, რომელსაც ეძებდა.

ამის მერე ერთი წელი წერილებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, გამუდმებით ჰქონდათ კონტაქტი. ბევრი საერთო აღმოაჩინეს და ძალიან დამეგობრდნენ. 2013 წელს ტაირელმა გადაწყვიტა, ჯოანასთან ჩასულიყო. ამბობს, რომ ძალიან ღელავდა, მაგრამ სწორედ ის ემოციები მიიღო, რომელსაც ელოდა. მეორედ კი ფილიპინებზე უკვე იმისთვის ჩავიდა, რომ გოგონას ხელი ეთხოვა. წყვილი დაქორწინდა და, უკვე რამდენიმე თვეა, ამერიკაში ცხოვრობს.

# 2014 წელს ცხოველთა სამყაროს 200-ზე მეტი ახალი სახეობა შეემატა

**კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებმა 2014 წელს ცხოველთა სამყაროს 221 ახალი წარმომადგენელი აღმოაჩინეს.** მათ შორის არიან ჭიანჭველები, თევზები და ერთი ძუძუმწოვარი ცხოველი. სპეციალისტების თქმით, ამ დროისთვის მეცნიერები ჩვენი პლანეტის ფლორისა და ფაუნის ნაირსახეობების მხოლოდ 10%-ს იცნობენ.



ძუძუმწოვრის ახალი სახეობა, მეტსახელად „მოხტუნავე“, ნამიბიაში აღმოაჩინეს. მისი ზომა 10 სანტიმეტრია, თუმცა გენეტიკურად ახალაღმოჩენილი ცხოველი სპილოს ენათესავება. კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ მეგ ლოუმანის თქმით, სპეციალისტები დაუღალავად ცდილობენ, შეისწავლონ ჩვენი პლანეტის ყველა ადგილი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი სახეობის ცხოველები და მცენარეები აღმოაჩინონ, არამედ იმიტომ, რომ დაადგინონ მათი დანიშნულება დედამიწის ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნების საქმეში.

## სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. — დიეტისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე, ძვალ-სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ. 558-15-63-33;
218-46-08 ექიმი ნინო
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»

# პატიმრობა ცუდი საჩუქრის გამო



**შვედმა მამაკაცმა დედის დაპატიმრება მოითხოვა იმის გამო, რომ საშობაოდ მან შვილს ყვითელი სვიტერი აჩუქა. ეს უჩვეულო ინციდენტი შვედეთის ქალაქ ბლეკინგში მოხდა. კაცმა თავად დარეკა სამართალდამცავ ორგანოებში და მოითხოვა, დედამისი დაეპატიმრებინათ.**

როდესაც პოლიციელები ადგილზე მივიდნენ, გაოგნდნენ 36 წლის მამაკაცის ბრალდებით – მისი თქმით, დედამ საშობაოდ მისთვის საძულველი ყვითელი ფერის სვიტერი მოუქსოვა, ამიტომ ითხოვდა, დედა მკაცრად დაესაჯათ. მისი თქმით, დედამისმა მისი უფლებები დაარღვია და ამის გამო იმსახურებდა სასჯელს. არადა, დედას ისე ნდომებია საყვარელი შვილის გახარება, ორი თვე ქსოვდა მისთვის თბილ შალის სვიტერს. როდესაც ბიჭმა კოლოფი გახსნა და სვიტერი ნახა, გაფიცხდა, გამძვინვარდა და ჯერ დედა გამოლანძღა, მერე კი პოლიციაში დარეკა. კიდევ კარგი, პოლიციელები გონიერი ადამიანები აღმოჩნდნენ და სკანდალისტის დედა განყოფილებაში არ წაუყვანიათ, მომჩივანს კი ურჩიეს, ამიერიდან ნათესაური კონფლიქტები შინ მშვიდობიანად გადაეწყვიტა.

# «ჩვენი წინაპრები ხერხემალზე ოპერაციებს არ იკეთებდნენ!»

**უამრავ ადამიანს აწუხებს წელის ტკივილი ამა თუ იმ ფორმით, ტანჯავს ქრონიკული დაავადებები: რადიკულიტი, დისკოზი, პროლაფსი, პროტრუზიო, დისკოპათია, ართროზი, იშიაზი, მარილების დაგროვება, ნერვის ანთება. ჩემდა საბედნიეროდ, გავიცანი ადამიანი, ექიმი ნუგზარ თაბუნიძე, რომელიც ზემორე დაავადებებს თაბუნიძეთა საგვარეულო მეთოდით მკურნალობს. ეს ძირძველი მესხური გვარია, რომლის წარმომადგენლები თავიანთი საგვარეულო მეთოდით, საუკუნეებია, მკურნალობენ ადამიანებს.**
**სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „თაბუნი“ არაბული წარმოშობისაა. „თაბიბი ნახეთ აქიმი“, — ამბობს საბა და განმარტავს, რომ „აქიმი“ იგივე „ექიმია“, რომ „თაბუნი“ არაბული წარმომავლობისაა. ამრიგად, „თაბუნობა“ ყოფილა „სააქიმო“ მიმდევრობა და „სააქიმო“ პროფესია, რომელიც გვარითა და მემკვიდრეობით გადადიოდა საუკუნეების მანძილზე. უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, ბატონი ნუგზარი აგრძელებს წინაპართა ტრადიციას და ითვლება უბადლო მკურნალად.**



**— ბატონო ნუგზარ, თქვენზე ჩემი მეგობრისგან შევიტყვე... თქვენ უოპერაციოდ მკურნალობთ ხერხემლისა და სახსრების დაავადებებს, ნუთუ ეს ყველაფერი მხოლოდ წინაპრების შემონახული რეცეპტებით დამზადებული წამლების დამსახურებაა? ძირითადად, რა მეთოდებით მკურნალობთ?**

— დიახ, ეს არის ფიტოთერაპია, მანუალური თერაპია. პროფესიით ექიმი გახლავართ, სამედიცინო განათლება მაქვს და, თუ საჭიროა, კლასიკურ მედიცინასაც ვიშველიებ. ჩვენი საგვარეულო წამალი რამდენიმე ათეული ბალახისგან მზადდება და სამი სახისაა: დასალევი, ანუ შინაგანი, სხეულზე წასასმელი სითხე და ასევე მალამო. ყველა ეს წამალი სერთიფიცირებული და ლიცენზირებულია. უოპერაციოდ ვმკურნალობ დისკოზს, პროლაფსს, პროტრუზიოს, დისკოპათიას.

**— თქვენთან უამრავი პაციენტი მოდის, წყნეთის ქუჩის №3 საკმაოდ ცნობილი მისამართია. რამდენად რთული მდგომარეობით მოდიან თქვენთან და რამდენად შედეგიანია აქ მკურნალობა იმედგადაწურული პაციენტებისთვის?**

— მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ჩემს სოფელში ურემზე დაბმული ხალხი როგორ ბღაოდა ტკივილისგან. მამაჩემთან მოყვანის შემდეგ — ნახევარ საათში ან რამდენიმე დღეში ფეხზე დგებოდნენ და სიხარულით მიდიოდნენ სახლში. მართლაც სასწაულებს ვუყურებდი ჩემს ბავშვობაში.

უკვე 42 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. უამრავი ნაოპერაციები, უიმედო, მართლაც იმედგადაწურული ადამიანი მოდის ჩემთან. ვმკურნალობ ისე, როგორც უწინ — ჩემი წინაპრები, რადგან დაავადებები არ შეცვლილა, იგივეა.

ჩვენი წინაპრები კი ხერხემალზე ოპერაციას არ აკეთებდნენ. **ჩემთან მოსულ პაციენტსაც არ სჭირდება ოპერაცია.**

მადლიერი პაციენტების უამრავი ჩანაწერი მაქვს.

**ჩემთან დაკავშირება შესაძლებელია მობილურზე 599-22-11-66.**

ესაუბრა
**ნანიკო ითაშვილი**

# რა დაავადებების მკურნალობისას გამოიყენება ოზონოთერაპია და რამდენად ეფექტურია იგი

**ოზონოთერაპიას საუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია განვითარებული. საქართველოში ოზონოთერაპიის პირველი კლინიკა 2011 წელს ექიმმა ოზონოთერაპევტმა ადა მჭედლიძემ გახსნა, რომელიც მედიცინის ამ დარგს 8 წლის განმავლობაში გერმანიაში ეუფლებოდა. რას წარმოადგენს ოზონოთერაპია და რა დაავადებების შემთხვევაშია იგი ეფექტური, ამის შესახებ ქალბატონი ადა თვითონ გვიამბობს.**



**— რა არის ოზონოთერაპია და რა შემთხვევაში გამოიყენება იგი?**

— ოზონოთერაპია არის ნატურალური, კეთილშობილი თერაპია, რომელიც ორგანიზმს ჟანგბადით ამდიდრებს და აძლიერებს. მოგეხსენებათ, ჟანგბადით მდიდარ გარემოში ვერანაირი დაავადების გამომწვევი პარაზიტი: იქნება ეს სოკო, ვირუსი თუ ბაქტერია, ვერ ცოცხლობს და სწორედ ეს განაპირობებს ოზონოთერაპიის ეფექტურობას. იგი კაპილარულ დონეზე აღადგენს სისხლის მიმოქცევას და ყველა ორგანოს ჟანგბადით მდიდარი, ჯანსაღი სისხლი მიეწოდება.

იგი მრავალი სხვადასხვა დაავადებისას გამოიყენება. კერძოდ, ოზონოთერაპია ეფექტურად გამოიყენება კარდიოლოგიაში, პულმონოლოგიაში, გინეკოლოგიაში, ნევროლოგიაში, ინფექციური დაავადებების დროს და ა. შ.

**— მკურნალობისას რამდენად სწრაფად მიიღწევა შედეგი და აქვს თუ არა თერაპიას გვერდითი მოვლენები?**

— ვინაიდან ოზონოთერაპია ნატურალური თერაპიაა, მას არანაირი გვერდითი მოვლენები არ გააჩნია. პირიქით, იგი სისტემური თერაპიაა და შესაძლოა, პაციენტს, გარდა იმისა, რაზეც მკურნალობს კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა რამეზეც მოუხდეს.

თერაპია საკმაოდ სწრაფმოქმედია და ჩვენი პაციენტები შედეგს მკურნალობის დაწყებიდან მალევე ამჩნევენ. აქ, რა თქმა უნდა, სუბიექტური ფაქტორებიც ახდენს გავლენას.

**— სად მდებარეობს თქვენი კლინიკა და როგორ ხდება პაციენტების მიღება?**

WWW.AINO.GE
აინო
ოზონოთერაპიის კლინიკა

ჩვენი კლინიკის მისამართია:
მცხეთის ქუჩა №8 (მრგვალ ბაღთან).
პაციენტების მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით,
ტელ: 225-31-39 ან 571-25-55-33;
კონსულტაცია უფასოა!


## გახდომა უმადობით

მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულების განმავლობაში ნაგროვები უნიკალური რეცეპტების უმეტესობა დაიკარგა, საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებმაც მოახერხეს გადარჩენილი ინფორმაციის აღდგენა-გამდიდრება. ერთ-ერთი მათგანია ქ-ნი ნუნუ. მის მიერ გამოცემულ წიგნში „მედეადან დღემდე“ უამრავ სასარგებლო ხალხურ რეცეპტს ნახავთ. ორიოდე თვის წინათ კი ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე მოვუსმინე მას, როცა საუბრობდა კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებულ გასახდომ ნაყენზე, რომლის ეფექტურობა საკუთარ თავზე გამოვცადე. დიდი წონის გამო ხშირად მიწევდა „მშრალი შიმშილობა“, გამომეფიტა ორგანიზმი, დამიზიანდა ნერვული სისტემა.

ნაყენის მიღებიდან რამდენიმე დღეში კი დამიქვეითდა მადა, გაქრა შეშუპებები, გულის უკმარისობა, შევძელი სიარული ქოშინის გარეშე, თანდათან მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის და ქალური პრობლემები, დავმშვიდდი, საჭმლის მცირე ულუფაც მაკმაყოფილებდა. სწორედ ეს ნაყენი აღმოჩნდა ჩემი გალამაზების და გაჯანსაღების საშუალება. დავიკელი ბუნებრივად, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე, გავლამაზდი და თითქოს ხელახლა დავიბადე. მადლობა ქ-ნ ნუნუს!

* * *

მაჩუქეს ძალიან საინტერესი წიგნი „მედეადან დღემდე“. მივაკითხე ავტორს — ქ-ნ ნუნუს. ჩემი ჭარბი წონისა და ჯანმრთელობის პრობლემების გამო მისგან მივიღე რჩევები და დავიწყე კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებული ნაყენის სმა. ეფექტმა თავიდანვე გამაოცა: დამიქვეითდა მადა, აღვიდგინე ენერგია, გაქრა შეშუპება, დაიშალა მკერდში კვანძები, განიწოვა მიომა (გადავურჩი ოპერაციას), მოწესრიგდა კლიმაქტერიული პერიოდი, დარეგულირდა ციკლი, გაქრა კანზე გამონაყარი. წონაში დავიკელი (შემდეგ არ ხდება მატება), რადგან ორგანიზმში მიდის ბიოაქტიური წმენდა, იდევნება ტოქსინი, მარილი, ნალექი, ქოლესტერინი, მოდის ენერიგია, ახალგაზრდული იერი. ვარ ბედნიერი და კმაყოფილი. მადლობას ვუხდი ქალბატონ ნუნუს.

**ქალბატონ ნუნუს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონებზე:
2-93-47-51; 599-25-11-58**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**


გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, სტალინური ეპოქის გამოჩენილი მკვლევარი, აკადემიკოსი

გივი ბერძენიშვილი

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.
„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894